

შადიმან ფოცხვერია

**სავებერინარო
პარაზიტოლოგიის
ტერმინთა ლექსიკონი**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი
ცენტრი

შადიმან ფოცხვერია

**სავეტერინარო
პარაზიტოლოგიის
ტერმინთა ლექსიკონი**

თბილისი
2019

ლექსიკონი განხილული და მოწონებულია სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო საბჭოს მიერ (ოქმი N 24, 2018 წლის 11 ივლისი)

„სავეტერინარო პარაზიტოლოგიის ტერმინთა ლექსიკონი“ საქართველოში პირველად გამოიცემა. იგი მოიცავს 866 ტერმინსა და ცნებას, რომლებიც განმარტავენ პარაზიტიზმის საფუძვლებსა და პარაზიტული ორგანიზმების სისტემატიკური კუთვნილების საკითხებს, აღწერენ უპირატესად გავრცელებულ ინვაზიურ დაავადებათა აღმძვრელების — ჰელმინთების (ტრემატოდები, ცესტოდები, ნემატოდები, თავეკლიანები), უმარტივესების (სპორიანები, შოლტიანები, წამწამიანები), ობობასებრებისა (პარაზიტიფორმული და აკარიფორმული ტკიპები) და მწერების მორფოლოგიურ და ბიოლოგიურ თავისებურებებს, ამ დაავადებათა კლინიკური გამოვლენის ნიშნებს, მათ სანინაალმდეგო ღონისძიებათა არსს.

წინამდებარე ლექსიკონი განკუთვნილია ბიოლოგიისა და ვეტერინარიის დარგების სპეციალისტებისათვის. იგი შესძლებელია გამოყენებულ იქნეს სასწავლო პროცესში, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, აგრეთვე — სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ასევე, „სავეტერინარო პარაზიტოლოგიის ტერმინთა ლექსიკონი“ გარკვეულწილად საინტერესოა სამედიცინო პარაზიტოლოგიის მუშაკთათვის, რადგან მრავალი პარაზიტული ორგანიზმი არის ზოონოზურ დაავადებათა აღმძვრელი ან მათი გადამტანი.

მთავარი რედაქტორი:

ირაკლი ელიაშვილი

- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი

რეცენზენტები:

ნორა კოკიაძე

- სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და
ტროპიკული მედიცინის კვლევის ინსტიტუტის
დირექტორი, მედიცინის დოქტორი

ლალი მურვანიძე

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიოლოგიის ინსტიტუტის პარაზიტოლოგიის
ჯგუფის ხელმძღვანელი,
ბიოლოგიის დოქტორი

მზალ ლოპხანიძე

- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის
პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი

ISBN 978-9941-8-0970-5

აბაზია (ბერძნ. **a** უარყოფა + **basis** ნაბიჯი) – სიარულის უნარის დაკარგვა, ნერვული სისტემის დაზიანების სიმპტომი. ვითარდება ცხვრისა და თხის ცენუროზის (იხ.) დროს.

აბდომენი (ლათ. **abdomen** მუცელი) – მუცელი, ფეხსახსრიანთა სხეულის ბოლო ნაწილი.

აბორტი (ლათ. **abortus** დღენაკლული, **aboriri** გამოყოფა, უდროოდ დაბადებული) – მაკეობის შეწყვეტა, უდროო მშობიარობა, მუცლის მოშლა სხვადასხვა დაავადების ან მექანიკური მიზეზის შედეგად. ვითარდება ცხენის დაგრილების დაავადების (იხ.), ტრიქომონოზის (იხ.), ტოქსოპლაზმოზის (იხ.) და სხვა დაავადებათა დროს.

აგამეტა (**agameta**; ბერძნ. **a** უარყოფა + **gametes** მეუღლე) – ა. გარდაიქმნება მეროზოიტად (იხ.), არ კოპულირებს, მრავლდება მხოლოდ მეროგონიის (იხ.) გზით, აინვაზიებს მასპინძლის (იხ.) ახალ, ჯანსაღ უჯრედებს.

აგამონტი (**agamont**; ბერძნ. **agamos** არაშეუღლებული + **on, ontos** ყოფნა) – უსქესო, მრავალბირთვიანი უჯრედი. ა. – სპოროგონების განვითარების სტადია. იშლება აგამეტებად (იხ.).

ადოლესკარია (**adolescencia**; ლათ. **adolescere** წამოზრდა) – მწოველი ჰელმინთების ზოგიერთი სახეობის (ფასციოლა, პარამფისტომიდები და სხვ.) ინვაზიური ლარვა.

ადორალური (**adoralis**; ლათ. **ad** თან + **os, oris** პირი) – პირთან ახლოს განთავსებული, პირის ირგვლივი.

აედესი (**Aedes**; ბერძნ. **aedes** უსიამოვნო) – კოლოების გვარი; მიეკუთვნება **Culicidae**-ს ოჯახს, **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. **კები** მრავლდებიან მდგარ წყალსატევებში, რომელთა ნაპირებზე კვერცხებს დებენ. ენცეფალიტების, ინფექციური ანემიის, ციებ-ცხელებისა და სხვა დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები. ფართოდ გავრცელებული სახეობებია: **Aedes aegypty** (ლათ. ეგვიპტური), **Ae.caspius dorsalis** (ლათ. **caspius** კასპიის და **dorsalis** ზურგის), **Ae.cinereus** (ლათ. რუხი),

Ae.communis (ლათ. საერთო).

ავიტელინა (*Avitellina*; ბერძნ. **a** უარყოფა + ლათ. **vitellus** ყვითრი; სიტყვასიტ. საყვითრე ჯირკვლის არარსებობა) – ცესტოდას გვარი; მიეკუთვნება **Anoplocephalata**-ს ქვერაზმს. **Avitellina centripunctata** (ლათ. **centrum** ცენტრი + **punctatum** წერტილოვანი, პუნქტირებული) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის, თხის, იშვიათად ძროხეულის, გარეულ მცოხნელ ცხოველთა წვრილ ნაწლავებში. სხეულის სიგრძე 3 მეტრამდე, ფორმა ვიწრო – და ზონარისებრი. მას არ გააჩნია საყვითრე ჯირკვლები. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – საძოვრის მცირე ზომის კოლომბოლები (ფეხკუდიანები), რომლებიც მიეკუთვნებიან **Entomobryidae**-ს ოჯახს. ავიტელინოზის აღმძვრელი.

ავიტელინოზი (*avitellinosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება **Avitellina** + ბერძნ. **osis** დაავადება) – უპირატესად, ცხვრის, თხის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – **Avitellina centripunctata** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: მოდუნება, საკვების არმიღება, დახრილი თავი. კლინიკური ნიშნების გამოვლენიდან რამდენიმე საათის შემდეგ ცხოველი იღუპება.

აკანთელა (*acanthella*; ბერძნ. **akantha** - ქაცვი, ეკალი) – თავეკლიანების ინვაზიური ლარვა. ვითარდება შუალედური მასპინძლის – ხოჭოების ორგანიზმში. ხორთუმის წინა ბოლოზე დამახასიათებელია კაუჭების არსებობა.

აკანთორი (*acanthor*; ბერძნ. **akantha** ქაცვი, ეკალი) – ჰელმინთის კვერცხში მყოფი თავეკლიანების ლარვა.

აკანთოცეფალები (*Acanthocephala*; ბერძნ. **akantha** ქაცვი, ეკალი + **kephale** თავი) – თავეკლიანი ჰელმინთების კლასი; მიეკუთვნება **Acanthocephales** ტიპს. **ა-ებს** ქაცვებით (ეკლებით) აღჭურვილი მოძრავი ხორთუმი აქვთ, რომლითაც მასპინძლის ქსოვილებზე ფიქსირდებიან. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები, მწერების ლარვები. აკანთოცეფალოზების აღმძვრელები.

აკანთოცეფალოზები (*acanthocephaloses*; ჰელმინთების კლა-

სის დასახელება **Acanthocephala** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – შინაურ და გარეულ ძუძუმწოვართა, ფრინველების, თევზების და წყალხმელეთა ცხოველების ჰელმინთოზები. აღმძვრელები – **Acanthocephala**-ს კლასის ჰელმინთები პარაზიტობენ ნაწლავებში. სავეტერინარო პრაქტიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ: მაკრაკანთორინქოზს (იხ.), პოლიმორფოზს (იხ.) ფილიკოლოზს (იხ.).

აკარიდები (ბერძნ. **akari** ტკიპი) – მცირე ზომის მქაევანა ტკიპები; მიეკუთვნებიან **Acaridae**-ს ოჯახს, **Arachnoidea**-ს კლასს. **ა-ები** სხეული მრგვალია. მათ არ აქვთ თვალები და ტრაქეა; გააჩნიათ მოკლე კიდურები, მისაწოვრებით თათებზე. ლოკალიზებენ ძუძუმწოვართა და ფრინველების კანის სისქეში. **ა-ები** განვითარების ყველა სტადიაზე პარაზიტობენ.

აკარიფორმესი (ბერძნ. **akari** ტკიპი + ლათ. **forma** სახეობა, ფორმა) – ტკიპების რაზმი.

აკარიციდები (ბერძნ. **akari** ტკიპი + ლათ. **caedere** მოკვლა) – ტკიპების გასანადგურებელი ქიმიური საშუალებები.

აკაროლოგია (ბერძნ. **akari** ტკიპი + **logos** სწავლება) – მეცნიერება ტკიპების შესახებ.

აკარუსი (**Acarus**; ბერძნ. **akari** ტკიპი) – მქაევანა ტკიპების გვარის ძველი დასახელება (იხ. სარკოპტეს).

აკრიფლაინი (ლათ. **acer (acris)** მწვავე + **flavus** ყვითელი) – აკრიდინული კრისტალი, რომლის წყალხსნარი სას.-სამ. ცხოველთა ჰემოსპორიდიოზების საწინააღმდეგო, აგრეთვე საღეზინ-ფექციო საშუალებაა.

აკრიქინი (ლათ. **acer (acris)** მწვავე) – ღია ყვითელი ფერის წვრილი კრისტალები. ფრინველისა და ბოცვრების კოქციდიოზების (იხ.) საწინააღმდეგო საშუალება.

აკრონი (**acron**; ბერძნ. **acros** სიმაღლე) – რგოლიანი ჭიებისა და ფეხსახსრიანთა სხეულის პირველი, კრანიალური სეგმენტი. ფეხსახსრიანებს იგი შერწყმული აქვთ თავის სეგმენტთან.

ალარია (**Alaria**; ლათ. **ala** ფრთა) ტრემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Strigeidae**-ს ოჯახს. სახეობა – **Alaria alata**,

ხორცისმჭამელთა პარაზიტი. სხეულის სიგრძე – 4,4 მმ-მდე, სიგანე – 2,1 მმ-მდე. პირის მისაწოვრის ირგვლივ ყურისმაგვარი წარმონაქმნებია. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები **Planorbidae**-ს ოჯახიდან, დამატ. მასპინძ. – ბაყაყები, მათი თავკომბალები. ალარიოზის აღმძვრელი.

ალარიოზი (alariosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Alaria ალარია + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელთა ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Alaria alata** პარაზიტობს ძაღლის, მელიის, ყარსაღის, მგლის და სხვა ძაღლისებრთა ნაწლავებში, ხოლო ლარვული ფორმები (მეტაცერკარიები) – ძაღლის, კატის, სიასამურის, წაულის, კვერნის, ქრცვინის, კვერნისებრთა ოჯახის სხვა წარმომადგენლების კუნთებსა და შინაგან ორგანოებში. გავრცელებულია ყველგან. მძიმე ფორმით ავადდებიან ძაღლისა და მელიის ლეკვები. ძლიერი ინტენსივობით დაინვაზიებისას, ნაწლავების ლორწოვანი გარსის ანთების გამო ლეკვები იღუპებიან.

ალბუმინურია (ლათ. **albumen (albuminis)** ცილა + ბერძნ. **uron** შარდი) – შარდში ცილის არსებობა, რაც თირკმელების მძიმე ფორმით დაავადებაზე მიუთითებს. ვითარდება ინტოქსიკაციის, ჰემოსპორიდიოზულ (იხ.) და სხვა დაავადებათა დროს.

ალერგენი (ბერძნ. **allos** სხვაგვარი, სხვისი + **ergon** მოქმედება + **genes** დაბადება, წარმოშობა) – ნივთიერება, რომელიც ალერგიას იწვევს.

ალერგია (იხ. ალერგენი) – სხვადასხვა სახის ფაქტორების (უცხო ცილა, მიკროორგანიზმები, პარაზიტების ცხოველმოქმედების პროდუქტები, ტემპერატურის ცვალებადობა, სამკურნალწამლო ნივთიერებები, ექტოპარაზიტების ნაკბენი და ა.შ.) მიმართ ორგანიზმის შეცვლილი მგრძობელობის (რეაქტიულობის) თვისებრივი მდგომარეობა. ასეთი რეაქციები ნორმასთან შედარებით შეიძლება იყოს გაძლიერებული ან შესუსტებული, ან საერთოდ, არ არსებობდეს. ა. უმეტესი პარაზიტული ორგანიზმებით გამოწვეულ დაავადებათა თანამდევია და ართულებს მათ მიმდინარეობას. ალერგიული რეაქციები

გამოიყენება სავეტერინარო პრაქტიკაში ზოგიერთი პარაზიტოზის სადიაგნოსტიკოდ.

ალექტორობიუსი (*Alectorobius*; ლათ. *Alecto* სამიდან ერთ-ერთი ფურიას სახელი, *robius* ლამაზი) – არგასული ტკიპების გვარი. სხეულის საფარველზე მათ სხვადასხვა ფორმისა და ზომის ბორცვები აქვთ, მაგრამ არ გააჩნიათ რანტი. კავკასიაში გავრცელებულია *Alectorobius asperus* (ლათ. *asper* ბორცვიანი), რომელიც ბინადრობს ბუნებრივ თავშესაფრებში და არის შებრუნებითი ტიფის აღმძვრელის გადამტანი.

ალვეოკოკი (*Alveococcus*; ლათ. *alveolus* შემცირებული, *alveus* უჯრედი + ბერძნ. *kokkos* ჩანასახი) – ცესტოდას გვარი; მიეკუთვნება *Taeniata*-ს ქვერაზმს. პარაზიტის ლარვული ფორმა წარმოადგენს არასწორი ფორმის, მცირე ზომის ბუშტუკების კონგლომერატს, რომლებიც შეიცავენ ჩანასახოვან სკოლექსებს და გარშემოკრული არიან საერთო შემაერთებული ქსოვილით. *Alveococcus multilocularis* (ლათ. *multus* მრავალი + *loculus* ადგილი) – სახეობა, რომლის სინონიმია მრავალკამერიანი ექინოკოკი – *Echinococcus multilocularis*). ბიოჰელმინთი. დეფინ. მასპინძ. – ყარსალი, მელა, იშვიათად – მგელი და კატა, შუალედ. მასპინძ. – მღრღნელები, სას-სამ. ცხოველები და ადამიანი. იწვევს მღრღნელებისა და ადამიანის ლარვულ ალვეოკოკოზს.

ალვეოკოკოზი (*Alveococcosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Alveococcus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – მღრღნელებისა და ადამიანის ჰელმინთოზი, რომელსაც ცესტოდა *Alveococcus multilocularis*-ის ლარვული ფორმები იწვევენ. ა-ს ეპიდემიოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

ალვეოლა (ლათ. *alveolus* ვარცლი) – 1. ფილტვის ბუშტისმაგვარი აქტიური შემადგენელი ნაწილი, რომელსაც ელასტიკური კედლები აქვს; 2. ბუდე, ფოსო, რომელშიც განთავსებულია კბილის ფუძე, ძირი; 3. მრავალკამერიანი ექინოკოკის (იხ.) ლარვული ფორმის უჯრედი.

ალვეოლარული (იხ. ალვეოლა) – უჯრედული შენების მქონე.

ალვეონაზუსი (*Alveonasmus*; ლათ. *alveolus* მცირე ორმო + *nasus* ცხვირი) – ტკიპის გვარი; მიეკუთვნება *Argasidae*-ს ოჯახს. სხეულს, რომლის წინა მხარე კუთხოვანია, არ აქვს გვერდითი ნაკერი და რანტი. ძუძუმწოვრების პარაზიტი. *Alveonasmus lahorensis* (ფარეხის ტკიპი) – ძირითადად პარაზიტობს ცხვრის სხეულზე, იშვიათად ესხმის ადამიანს. ბინადრობს ცხვრის ფარეხებში, მღრღნელების სოროებში. იწვევს ცხვრის ძლიერ სიგამხდრეს, ზოგჯერ – დამბლას.

ალფორტია (*Alfortia*; ფრანგ. *Alfort* ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში, სადაც ფუნქციონირებს უმაღლესი სავეტერინარო სკოლა) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება *Strongylata*-ს ქვერაზმს.

ალფორტიოზი (*alfortiosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Alfortia* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ცხენის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელია ნემატოდა – *Alfortia edentatus*-ის (ლათ. უკბილო) ლარვული და ზრდასრული ფორმები. ლარვული ფორმები პარაზიტობენ მუცლის აფსკის პარიეტალურ და ვისცერალურ ფურცლებს შორის, ზრდასრული ფორმები (სხეულის სიგრძე – 26-40 მმ-მდე) – ბრმა ნაწლავსა და კოლინჯში. ავადდება ერთ წლამდე ასაკის მოზარდული და უფროსი ასაკის ცხენები. დაავადება მწვავე და ქრონიკული ფორმებით მიმდინარეობს. მწვავე ფორმის დროს კვიცები დასუსტებული არიან, ვითარდება ძლიერი ანემია, პერიოდულად მეორდება ჭვლეები, სხეულის ტემპერატურა უმნიშვნელოდ მატულობს, სუნთქვა გასშირებული, დაძაბული და მტკივნეულია, პულსი – სუსტი და გასშირებული. ცხოველი იღუპება ძლიერი ანემიისა და სიგამხდრის გამო. ქრონიკული მიმდინარეობის დროს დაავადება 1,5-2 თვეს გრძელდება და გამოხატულია სისუსტითა და ანემიით. გეოჰელმინთი.

ამბულაკრები (*ambulacrae*; ლათ. *ambulare* სეირნობა) – ზოგიერთი ტკიპის თათის დისტალურ ბოლოზე არსებული საფიქსაციო აპარატი, რომელიც შედგება აპკოვანი დისტალური სახსრისა (*praetarsus*) და კაუჭისებრი ბრჭყალისაგან (*ungu-*

lum).

ამება (amoebae; ბერძნ. amoebaios ცვლილება) – მიეკუთვნება **Sarcodina**-ს კლასს, რომელშიც გავრთიანებულია ერთუჯრედიანი ორგანიზმები. მათ სხეულის ფორმის ცვალებადობა ახასიათებთ. გადაადგილებიან ფსეუდოპოდიების (იხ.) მეშვეობით. ფართოდ არიან გავრცელებული გარემოში (ნიადაგი, წყალი). ამებებს შორის არიან პათოგენური სახეობები. ადამიანისა და ძაღლების ამებიაზის აღმძვრელებია – **Entamoeba histolytica**, **E.gingivalis**, ფუტკრისა – **Malpighamoeba mellifica**.

ამებოტენია (Amoebotaenia; ბერძნ. amoebaios ცვლილება + taenia ბაბთა) – ცესტოდას გვარი; მიეკუთვნება **Taeniata**-ს ქვერაზმს.

ამებოტენიოზი (amoebotaeniosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Amoebotaenia + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – **Amoebotaenia cuneatus** (ლათ. **cuneatus** სოლისებრი, მახვილბოლოიანი) პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის, კაკბის და სხვა გარეულ ქათმისებრთა წვრილ ნაწლავში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ჭიკაყელა. დაავადება მიმდინარეობს ქრონიკული ფორმით. ინტენსიური დაინვაზიების დროს ნაწლავების ანთება ვითარდება, რაც ძლიერ სიგამხდრეს იწვევს.

ამეტაბოლია (ametabolia; ბერძნ. a უარყოფის ნაწილაკი + metabole ცვლილება) – მწერების განვითარება შესამჩნევი მეტამორფოზის გარეშე (გარდაქმნა).

ამიდოსტომა (Amidostomum; ბერძნ. amis (amidos) ფილა + stoma პირი) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Amidostomatidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს.

ამიდოსტომოზი (amidostomosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Amidostomum + ბერძნ. osis დაავადება) – ბატის, იშვიათად იხვის და ზოგიერთი გარეული წყალმცურავი ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Amidostomum anseris** (ლათ. **anser** ბატი) პარაზიტობს კუნთოვანი კუჭის კუტიკულას ქვეშ. გეოჰელმინთი. სხეულის სიგრძე 21 მმ-მდე.

მას ფილასებრი პირის კაფსულა აქვს, რომლის ფსკერზე სამი კბილია. ძირითადად, 3-4 თვემდე ასაკის მოზარდული ავადობს. ინტენსიური დაინვაზიების დროს მადა დაქვეითებულია ან მთლიანად ქრება. ფრინველი დასუსტებულია, ზანტად მოძრაობს. ჩნდება ქოშინი, გულისცემა გახშირებულია. ფრინველი ძლიერ გამხდარია და ზოგჯერ, კვდება კიდევ.

ამინოაკრიქინი – ამინოაკრიდინის ქლორჰიდრატი – მწარე გემოს მქონე წითელი ფერის კრისტალური ნივთიერება. ტრიქომონოზების (იხ.) და ჰელმინთოზების (იხ.) საწინააღმდეგო საშუალება.

ამფიბია (**Amphibia**; ბერძნ. **amphi** ორივე მხრიდან + **bioun** ცხოვრება, მცხოვრები წყალსა და ხმელეთზე) – წყალხმელეთა ცხოველები, რომლებიც ბინადრობენ წყალსა და ხმელეთზე (ბაყაყი, სალამანდრა); მიეკუთვნებიან ხერხემლიანთა კლასს. ლარვული ფორმები სუნთქავენ ლაყურების მეშვეობით, ზრდასრული ფორმები – ფილტვებით და ლორწოთი დაფარული კანის მეშვეობით. **ა-ების** ზოგიერთი სახეობა ჰელმინთების შუალედური, დამატებითი ან რეზერვუარული მასპინძლია.

ამფილინა (**Amphilina**; ბერძნ. ორივე მხრიდან ერთნაირი) – ლენტისებრი ჰელმინთების გვარი; მიეკუთვნება **Cestodaria**-ს ქვეკლასს. **Amphilina foliacea** (ლათ. **folium** ფოთოლი) ლოკალიზებს ზუთხისებრი თევზების მუცლის ღრუში.

ანაპლაზმა (**Anaplasma**; ბერძნ. **aneu** გარეშე + **plasma** ფიგურა) რიკეტსიების გვარი; მიეკუთვნება **Rickettsiales**-ის რაზმს, **Protophyta**-ს ტიპს. პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის ერთროციტებში.

ანაპლაზმოზი (**anaplasmosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Anaplasma** + ბერძნ. **osis** დაავადება) ძროხეულის და ცხვრის დაავადება, რომლის აღმძვრელებია, შესაბამისად, **Anaplasma marginale** (ლათ. **margo** კიდე) და **A. ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი). აღმძვრელის გადაცემა ხდება **Ixodidae**-სა და **Argasidae**-ს ოჯახების სისხლმწოვი ტკიპების მეშვეობით, მწერებით, აგრეთვე მექანიკური გზით (ბონიტირება, კასტრაცია). ანაპლაზმოზი მიმ-

დინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. დაავადებული ცხოველები ძლიერ ხდებიან, მათ ანემია უვითარდებათ.

ანგიოსტრონგილოზი (Angiostrongylosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Angiostrongylus + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Angiostrongylus vasorum** პარაზიტობს ძაღლის, მელიის, იშვიათად მღრღნელების მარჯვენა გულში, ფილტვის არტერიასა და მის განტოტებებში. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: თავბრუდახვევა, სისხლდენა ცხვირიდან, სწრაფი დაღლა, ქოშინი, კიდურების შეშუპება. მოგვიანებით ვითარდება კატარული ბრონქიტი, ფილტვების ემფიზემა, გულის გაფართოება, წყალმანიკი.

ანგიოსტრონგილუსი (Angiostrongylus; ბერძნ. angeion სისხლძარღვი + აღმძვრელის გვარის დასახელება Strongylus ცილინდრული) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Filaroididae**-ს ოჯახს. სახეობა – **Angiostrongylus vasorum** (ლათ. vas ფიალა), ხორცისმჭამელ ცხოველთა პარაზიტი. ლოკალიზებს მარჯვენა გულში, ფილტვის არტერიასა და მის განტოტებებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მოლუსკები.

ანელიდები (Annelida; ლათ. annelus რგოლი + ბერძნ. eidos მსგავსი, გარეგნობა) – უმაღლესი ტიპის ჭიები (რგოლიანი ჭიები), მაგ. წურბელები, ჭიაყელები.

ანემია (ბერძნ. an უარყოფა + haima სისხლი) – სისხლნაკლებობა; მრავალი დაავადების, მათ შორის პარაზიტულ დაავადებათა (იხ. ჰემოსპორიდიოზები, დიფილობოთრიოზი, კოქციდიოზები და სხვ.) სიმპტომი.

ანთროპოზოონოზები (anthropozoonoses; ბერძნ. anthropos ადამიანი + zoon ცხოველი + nosos დაავადება) – ძველი განმარტებით გადამდები დაავადებები, რომელთა აღმძვრელები ცხოველიდან ადამიანს გადაეცემა (იხ. ზოონოზები).

ანისაკიდები (Anisakidae; ბერძნ. anisos არათანაბარი + akis ბასრი, სპიკულა + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ნემატოდების ოჯახი; მიეკუთვნება **Ascaridata**-ს ქვერანზმს.

ანისაკიდოიდური განვითარების ტიპი – ახასიათებს ანის-

აკიდებს, რომლებიც წყალმცურავი ფრინველებისა და ზღვის ძუძუმწოვრების ორგანიზმში პარაზიტობენ. განვითარება ხდება ერთი ან ორი შუალედური მასპინძლის მონაწილეობით.

ანისოგამია (*anisogamia*; ბერძნ. *an* უარყოფა + *isos* თანაბარი + *gamos* შეუღლება) – სქესობრივი პროცესის ტიპი, რომლის დროსაც კოპულაცია (იხ.) ხდება მორფოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავებულ სასქესო ინდივიდებს – გამეტებს (იხ.) შორის – მსხვილ, საყუათო ნივთიერებებით მდიდარ მდედრობით მაკროგამეტასა (იხ.) და წვრილ, მოძრავ მამრობით მიკროგამეტას (იხ.) შორის. ა. დამახასიათებელია უმარტივესები-სათვის.

ანკილოსტომა (*Ancylostoma*; ბერძნ. *ankylos* მრუდე + *stoma* პირი) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება *Ancylostomatidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Ancylostoma caninum* (ლათ. *canis* ძაღლი) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის წვრილ ნაწლავებში; *Ancylostoma duodenale* (ლათ. *duodenum* თორმეტგოჯა ნაწლავი) – სახეობა, პარაზიტობს ადამიანის წვრილ ნაწლავებში. გეოჰელმინთები. შესაბამისად, ძაღლისა და ადამიანის ანკილოსტომოზების აღმძვრელები.

ანკილოსტომატიდოზები (*ancylostomatidoses*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Ancylostoma* + ბერძნ. *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს + *oses* დაავადებები) – სორცისმჭამელი, მცოხნელი ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზები, რომელთა აღმძვრელი ნემატოდები მიეკუთვნება *Ancylostomatidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. სორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში პარაზიტობენ *Ancylostoma caninum* (იწვევს ანკილოსტომოზს (იხ.) და *Uncinaria stenocephala* (იწვევს უნცინარიოზს (იხ.); მცოხნელ ცხოველთა ნაწლავებში პარაზიტობენ – *Bunostomum spp* (იწვევენ ბუნოსტომოზს (იხ.).

ანკილოსტომატიდოიდური განვითარების ტიპი – ახასიათებს *Ancylostomatidae*-ს ოჯახის ნემატოდებს (ანკილოსტომა, უნცინარია – სორცისმჭამელთა პარაზიტები; ბუნოსტომები – მცოხნელთა პარაზიტები). ფეკალთან ერთად გარემოში გამოყოფილ

კვერცხებში ვითარდებიან ლარვები, რომლებიც იჩეკებიან და ინვაზიურ სტადიას აღწევენ. ცხოველების დაინვაზიება ხდება პერორალური და პერკუტანული (ლარვები აქტიურად შეიჭრიან ორგანიზმში დაუზიანებელი კანიდან) გზებით. პერკუტანული დაინვაზიებისას ლარვები სისხლის მეშვეობით ხვდებიან სისხლის მიმოქცევის მცირე წრეში, არღვევენ ფილტვის კაპილარების მთლიანობას, გადაინაცვლებენ ბრონქებში, ტრაქეაში, პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და წვრილ ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ ზრდასრულ სტადიას აღწევენ. პერორალური დაინვაზიებისას ლარვები წვრილ ნაწლავებში ხვდებიან, სადაც ზრდასრულ სტადიამდე ვითარდებიან სისხლძარღვთა სისტემაში მიგრაციის გარეშე.

ანკილოსტომოზი (ancylostomosis; გვარის დასახელება **ancylostoma** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Ancylostoma caninum** პარაზიტობს ძაღლის, მელიის, მგლის, ყარსაღის, კატის წვრილ ნაწლავებში. დაავადება გავრცელებულია თბილი, ტენიანი კლიმატის რეგიონებში. მიმდინარეობს ქრონიკული ფორმით. სიმპტ.: პირღებინება, მადის დაქვეითება ან გაუკუღმართება, სისხლნარევი ფაღარათი, ყაბზობა, ხილული ღორწოვანი გარსების ანემია, პროგრესირებადი სიგამხდრე. ცხოველი უმეტესად წვეს, რა დროსაც იგი შეიძლება დაიღუპოს.

ანოპლოცეფალატები (Anoplocephalata; ბერძნ. **an** უარყოფა + **hoplon** იარაღი + **kephale** თავი) – ცესტოდების ქვერაზმი, რომელიც აერთიანებს **Anoplocephalidae**-ს და **Avitellinidae**-ს ოჯახებს. **Anoplocephalidae**-ს ოჯახს მიეკუთვნება **Moniezia**-ს, **Anoplocephala**-სა და **Paranoplocephala**-ს გვარები, ხოლო **Avitellinidae**-ს ოჯახს – **Avitellina**-ს, **Stilesia**-ს, **Thysaniezia**-ს და **Thysanosoma**-ს გვარები.

ანოპლოცეფალატი (Anoplocephala; ბერძნ. **an** უარყოფა + **hoplon** იარაღი + **kephale** თავი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Anoplocephalata**-ს ქვერაზმს. **Anoplocephala magna** (ლათ. **magnus** დიდი, სხეულის სიგრძე – 520 მმ-მდე, სიგანე – 25

მმ-მდე) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას მლივ და თედოს ნაწლავებში; **A.perfoliata** (ლათ. **per** გამჭოლი + **foliates** ფოთლებით დაფარული, სხეულის სიგრძე – 70 მმ-მდე, სიგანე – 14 მმ-მდე) – სახეობა, პარაზიტობს იმავე ცხოველების ბრმა ნაწლავესა და კოლინჯში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – საძოვრის ორიბატიდული ტკიპები. კენტრილიქიანი ცხოველების ანოპლოცეფალოზების აღმძვრელები.

ანოპლოცეფალიდოზები (anoplocephalidoses; გვარის დასახელება **anoplocephala** + ბერძნ. **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს + **oses** დაავადებები) – ჰელმინთოზები. აღმძვრელები – **Anoplocephalidae**-ს ოჯახის ცესტოდები, პარაზიტობენ მცოხნელი და კენტრილიქიანი ცხოველების, მღრღნელების ნაწლავებში. **ა-დოზების** ჯგუფი მოიცავს მცოხნელთა მონიეზიოზებს (იხ.), ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას ანოპლოცეფალოზებსა (იხ.) და პარანოპლოცეფალოზს (იხ.). უპირატესად ავადდება მოზარდეული. გავრცელებულია ყველგან.

ანოპლოცეფალოზი (anoplocephalosis; გვარის დასახელება **anoplocephala** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელები, ცესტოდები – **Anoplocephala magna** და **A.perfoliata** პარაზიტობენ ცხენის, სახედრის, ჯორის, ჯორცხენას წვირელ ნაწლავებში. ინტენსიური დაინვაზიებისას დამახასიათებელია ენტერიტები, ჭვლები, სიგამხდრე, ზრდაში ჩამორჩენა, ზოგჯერ კიდურებისა და ღაბაბის შეშუპება. ძირითადად ავადობენ ხუთი თვიდან სამ წლამდე ასაკის ცხოველები.

ანორექსია (ბერძნ. **an** უარყოფა + **orexis** მადა) – მადის დაქვეითება, საკვების არმილების სურვილი, საკვებისადმი ზიზღი. მძიმე დაავადებების, მათ შორის პარაზიტულ დაავადებათა (იხ. ჰემოსპორიდიოზები) სიმპტომი.

ანოფელესი (ბერძნ. **anopheles** მავნე) – კოლოების გვარი; გაერთიანებულია **Culicidae**-ს ოჯახში, **Nematocera**-ს ქვერაზმსა (გრძელუღვაშიანები) და **Diptera**-ს რაზმში (ორფრთიანები). მიეკუთვნება ორფრთიან სისხლმწოვებს (მუმლი). სახეობები:

- **Anopheles maculipennis** (ლათ. **macula** ლაქა + **penna** შებუმბულა) და **A.bifurcatus** (ლათ. **bis** ორგზის + **furca** ჩანგალი) – ადამიანის მალარიის აღმძვრელის გადამტანები და დიროფილარიების (იხ.) შუალედური მასპინძელები;

- **A.plumbeus** (ლათ. **plumbeum** ტყვია) – ადამიანის მალარიის აღმძვრელის გადამტანი;

- **A.superpictus** (ლათ. **super** ზე + **pingere** ხატვა) – ტროპიკული მალარიის აღმძვრელის გადამტანი.

ანტაგონიზმი (ბერძნ. **anti** წინააღმდეგ + **agon** ბრძოლა) – ორი მოვლენის, ორგანოს ან ორგანიზმის ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედება.

ანტენები (ლათ. **antenna**) – ფეხსახსრიანთა თავზე განთავსებული ულვაშების მეორე წყვილი ულვაში (გრძნობის ორგანოები) – საცეცები.

ანტენულები (**antennulae**; ლათ. **antenna** ჭოკი) – ფეხსახსრიანთა თავზე განთავსებული ულვაშების პირველი წყვილი (გრძნობის ორგანოები).

ანტიგენი (ბერძნ. **anti** წინააღმდეგ + **genos** დაბადება) – ბიოლოგიური წარმოშობის მაღალმოლეკულური ნივთიერებები, რომელთაც უმაღლესი ცხოველების ორგანიზმში შეჭრისას შეუძლიათ სპეციფიკური ანტისხეულების (იხ.) წარმოქმნა. ა-ის წყაროა პათოგენური მიკროორგანიზმები, ჰელმინთები, ფეხსახსრიანები, უმარტივესები.

ანტიდოტი (**antidoton**; ბერძნ. **anti** საწინააღმდეგო + **didonai** მიცემა) – შხამსაწინააღმდეგო.

ანტისხეულები (ბერძნ. **anti** წინააღმდეგ + **სხეული**) – ცილოვანი ნივთიერებები (გლობულინები), რომლებიც სერხემლიანთა სისხლსა და ქსოვილებში ანტიგენების (იხ.) მოქმედების საპასუხოდ წარმოიქმნება. ისინი რეაგირებენ ქიმიურად მათთან ახლომდგომ, მათ გამომწვევ ანტიგენებსა თუ ნივთიერებებზე. შედეგად, წარმოიქმნება იმუნური კომპლექსი, რომელსაც შეუძლია კომპლემენტის (იხ.) შებოჭვა, რაც ორგანიზმის უჯრედებში იწვევს ღრმა ცვლილებებს – ჰემოლიზს, ციტოლიზს. ანტისხეულე-

ბის ზემოქმედებით იცვლება მიკროორგანიზმების ნივთიერებათა ცვლა და ისინი უფრო ადვილად ექვემდებარებიან ფაგოციტოზის (იხ.) პროცესს. **ა-ებს** შეუძლიათ გაანეიტრალონ ტოქსინები, დათრგუნონ ან დახოცონ პარაზიტები.

ანტიჰელმინთური საშუალებები (antihelminthica; ბერძნ. anti წინააღმდეგ + helminthos ჭია, ჰელმინთი) – ჭიების (ჰელმინთების) საწინააღმდეგო საშუალებები.

ანუსი (ლათ. *anus* უკანა გასაველი) – უკანგასაველი ხვრელი.

აპატემონი (Apatemon; ბერძნ. apateon მაცდური) – ჰელმინთების გვარი; მიეკუთვნება Strigeidae-ს ოჯახს, Trematoda-ს კლასს. Apatemon gracialis (ლათ. gracilis გრაციოზული) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს იხვისებრი ფრინველების ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები.

აპიკალური კომპლექსი (ლათ. *apex* კენწერო, მწვერვალი) – შეღწევის რთული ორგანელა, რომელიც გააჩნია Apicomplexa-ს ტიპის უმარტივესების (პროტოზოები იხ.) მოძრავ სტადიებს (ზოიტები იხ.). აპიკალურ კომპლექსში შედის სამმემბრანიანი პელიკულა, სუბპელიკულარული მილაკები, მიკროფორა, როპტრია (იხ.), მიკრონემა (იხ.) და კონოიდი (იხ.).

აპოდემა (apodema; ბერძნ. apo დან + demas სხეული) – სხეულის წამონაზარდები ფეხსახსრიანთა გულმკერდის ღრუს შიგნით, რომელთა დანიშნულებაა კუნთების დამაგრება და შინაგანი ორგანოების ფიქსირება.

აპორალური (aporal; ბერძნ. a უარყოფა + pora სასქესო ხვრელი) – ცესტოდას პროგლოტიდაზე (იხ.) სასქესო ხვრელის საწინააღმდეგო მხარეს განთავსებული ორგანო.

აპრონი (ინგლ. *apron* წინსაფარი) – ქიტინოვანი ფირფიტა, რომლითაც დაფარულია Ixodidae-ს ოჯახის მამრი ტკიპების სასქესო ხვრელი.

არაქნოზები – ობობასებრებით (იხ.) გამოწვეული დაავადებები.

არაქნოიდები (Arachnoidea) – ობობასებრები.

არაქნოლოგია (arachnologia; ბერძნ. **arachne** ობობა, აბლაბუდა + **logos** სწავლება) – მეცნიერება ობობასებრებზე.

არგას (Argas; ბერძნ. მბრწყინავი) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Argasinae**-ს ქვეოჯახს, **Argasidae**-ს ოჯახს, **Arachnoidea**-ს კლასს. **Argas persicus** (ლათ. სპარსული) – სახეობა „სპარსული ტკიპი“, პარაზიტობს ფრინველებზე. მისი სხეული (სიგრძე 9 მმ-მდე, სიგანე – 6 მმ-მდე) მკვრივი და კვერცხისებრი ფორმისაა. ვენტრალურ მხარეზე ხორთუმია. გვერდითი ნაკერები და რანტები კარგად არის გამოკვეთილი. იგი არის ფრინველის ბორელიოზის, ტუბერკულოზის, ტიფის აღმძვრელების გადამტანი. ბინადრობს საფრინველეებში, გარეული ფრინველების ბუდეებში ან მათ შორიასხლოს.

არგასიდე (Argasidae; ბერძნ. **argas** მბრწყინავი + **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ტკიპების ოჯახი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ზეოჯახს, **Parasitiformes** რაზმს. **Argasidae**-ს ოჯახში შედის ორი ქვეოჯახი: **Argasinae** და **Ornithodorinae**. ამ ოჯახის ტკიპები პარაზიტობენ ფრინველებისა და ძუძუმწოვრების სხეულზე.

არეალი, არეა (arealis; ლათ. **area** ფართობი, სივრცე) – ტერიტორია, რომლის ფარგლებში გავრცელებულია გარკვეული სახეობის, გვარისა და ოჯახის წარმომადგენელი ცხოველები და მცენარეები. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვს ცხოველების, მათი პარაზიტების, დაავადებათა აღმძვრელების გადამტანების და ა.შ. არეალებს.

ართროპოდები (Arthropoda) – იხ. ფეხსახსრიანები.

არისტა (ლათ. arista თავთავის ფხა) – ზოგიერთი ორფრთიანი მწერის (**Muscidae**) ანტენის მესამე სახსრის დანამატი ჯაგრის სახით, დამაგრებელი დორსალურ მხარეს.

ასკარიდა (Ascaris; ბერძნ. **askaris, askaridos** ჭია) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Ascaridata**-ს ქვერაზმს. **Ascaris suum** (ლათ. **sus** ღორი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის ნაწლავებში. სხეული – თითისტარისებრი. მდედრის სხეულის ზომები – 23-30

სმ, მამრის – 10-22 სმ; **A.lumbriciodes** (ლათ. **lumbricus** ჰელმინთი + ბერძნ. **eidos** მსგავსი, გარეგნობა) – სახეობა, პარაზიტობს ადამიანის ნაწლავებში. გეოჰელმინთები. ასკარიდოზის აღმძვრელები.

ასკარიდატები (**Ascaridata**; ბერძნ. **askaris, askaridos** ჭია) – ნემატოდების ქვერაზმი, რომელშიც გაერთიანებულია **Ascaridae**-ს, **Ascaridiidae**-სა და **Anisakidae**-ს ოჯახები.

ასკარიდია (**Ascaridia**; ბერძნ. **askaris, askaridos** ჭია + **eidos** მსგავსი, გარეგნობა) – ნემატოდის გვარი; მიეკუთვნება **Ascaridata**-ს ქვერაზმს. **Ascaridia galli** (ლათ. **gallina** ქათამი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის, სხვა ქათმისებრთა წვრილ ნაწლავებში. სხეული – თითისტარისებრი. მდედრის სხეულის ზომები – 11 სმ-მდე, მამრის – 7 სმ-მდე. გეოჰელმინთი. ასკარიდოზის აღმძვრელი.

ასკარიდოზი (**ascaridiosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Ascaridia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Ascaridia galli** პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის და სხვა ქათმისებრთა წვრილ ნაწლავებში. უპირატესად ავადდება რვა თვის ასაკამდე მოზარდეული. სიმპტ.: დაინვაზიებიდან მე-7-10 დღეს ფრინველს ეტყობა მოღუწება, დაკნინება; ხილული ლორწოვანი გარსები და ბიბილო – ანემიური; ნისკარტიდან გადმოედინება ლორწო; ზოგჯერ ვითარდება ფალარათი, რომელიც იცვლება ყაბზობით. ფრინველი ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში, ძლიერ ხდება, ნაკლებად მოძრაობს, მობუზულია და ზის ჩამოშვებული ფრთებით. უფროსი ასაკის ფრინველში, რომელიც ინვაზიის მატარებელი და გამავრცელებელია, ა. კლინიკური გამოვლენის გარეშე მიმდინარეობს. იგი გავრცელებულია ყველგან.

ასკარიდოზი (**ascaridosis**; გვარის დასახელება **Ascaris** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Ascaris suum** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. უპირატესად ავადდებიან მეძუძური გოჭები და 6-7 თვის ასაკამდე მოზარდეული. სიმპტ.: სხეულის ტემპერატურა

მატულობს, მადა ქვეითდება, სუნთქვა გასშირებულია, პირველ ეტაპზე დამახასიათებელია ხველა; მეძუძურ გოჭებს დარღვეული აქვთ საჭმლის მონელების პროცესი, აღენიშნებათ პირღებინება; 1-2 კვირის შემდეგ ვითარდება ძლიერი ქოშინი; გოჭები დაკნინებულები არიან, უპირატესად წვანან, კანზე ჭინჭრის დასუსტებისებრი გამონაყარია, შესაძლოა გაჩნდეს მცირე ზომის პაპულები; გოჭები ჩამორჩებიან ზრდა-განვითარებაში და ძლიერ ხდებიან. ზოგიერთ ცხოველს პერიოდულად აქვს კონვულსიები, კრუნჩხვები. უფროსი ასაკის ღორებში, რომლებიც ინვაზიის მატარებლები და გამავრცელებლები არიან, ა. კლინიკური გამოვლენის გარეშე მიმდინარეობს. ასკარიდოზი გავრცელებულია ყველგან.

ასკარიდული განვითარების ტიპი – დამახასიათებელია *Ascaris*-ისა და *Parascaris*-ის გვარების ნემატოდებისათვის. აღმძვრელი ვითარდება პირდაპირი გზით. ინვაზიური სტადიის კვერცხები პერორალური გზით ხვდებიან დეფინიტური მასპინძლის წვრილ ნაწლავებში. აქ გამოჩეკილი ლარვები შეიჭრებიან ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში და ასრულებენ ჰემატო-ჰეპატოპულმონტერალურ მიგრაციას.

ასკაროპსი (Ascarops; ბერძნ. askaris, askaridos ჭია + ops, opos სახეობა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Thelaziidae*-ს ოჯახს, *Spirurata*-ს ქვერაზმს. *Ascarops strongylina* (ბერძნ. *strongylus* ცილინდრული, მრგვალი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის კუჭში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ნაკელის სოჭოები.

ასკაროპსოზი (ascaropsosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Ascarops + ბერძნ. osis დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – *Ascarops strongylina* პარაზიტობს ღორის კუჭში. დაავადება გავრცელებულია ყველგან. ავადდებიან უფროსი ასაკის ღორები. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: სიგამხდრე, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა.

ასტეატოზი (asteatosis; ბერძნ. a უარყოფა + stear, steatos

ცხიმი + **osis** დაავადება) – კანის ცხიმოვანი ჯირკვლების მიერ ცხიმოვანი ნივთიერებების გამოყოფის შემცირება (მაგ. მუნის, მლერის დროს).

აფაზმიდისებრნი (**Aphasmidia**; ბერძნ. **a** უარყოფა + **phasma** გამოვლენა) – ნემატოდების ქვეკლასი. დამახასიათებელია ფაზმიდების არქონა (იხ. ფაზმიდები).

აფანიპტერა (**Aphaniptera**) – იხ. რწყილები.

აქსონემა (**axonema**; ბერძნ. **axon** ღერძი + **nema** ძაფი) – უმარტივესების წამწამებისა და შოლტების ღერძი, რომელიც შედგება წრეზე განთავსებული ორი ცენტრალური და ცხრა წყვილი ფიბრილისაგან. **ა-ს** აკრავს ფიბრილური ცხაურა სტრუქტურა.

აქსოსტილი (**axostyl**; ბერძნ. **axon** ღერძი + **stylos** ბოძი, საყრდენი) – ციტოპლაზმური წარმოშობის საყრდენი ღერძულა ღერო. **ა.** დამახასიათებელია ზოგიერთი შოლტიანისათვის (ტრიქომონადა).

ბ

ბაბეზია (**Babesia**; რუმინელი მიკრობიოლოგის ბაბეზას პატივსაცემად) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Babesiidae**-ს ოჯახს, **Piroplasmida**-ს რაზმს, **Protozoa**-ს ტიპს. ბაბეზიები ერთროციტებში პარაზიტობენ. მათ მრგვალი, ოვალური, ამებისებრი ან მსხლისებრი ფორმა აქვთ. ერთროციტებში გვხვდება ერთი ან ორი ეგზემპლარი. მათი ზომები 1-2,5x0,5-1,5 მკმ-ს ფარგლებში მერყეობს. სახეობები – **Babesia bovis** (ლათ. **bos** ძროხა, ხარი) და **B. ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი), შესაბამისად, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ცხვრის ბაბეზიოზის აღმძვრელები არიან.

ბაბეზიოზი (**babesiosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **babesia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხოველთა ობლიგატურ-ტრანსმისიული დაავადება, გამოწვეული **Babesia**-ს გვარის უმარტივესებით. ძროხეულის **ბ-ის** აღმძვრელია **Babesia bovis**.

მისი გადამტანია **Ixodes**-ის გვარის ტკიპი. დაავადება ვლინდება აპრილ-ივნისში, ნაკლებად – შემოდგომის თვეებში. სიმპტ.: მაღალი ტემპერატურა, ლორწოვანი გარსების ანემია, სიყვითლე, ჰემოგლობინურია, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და გულ-სისხლძარღვთა ფუნქციის მოშლა. ცხვრის **ბ-ის** აღმძვრელია **B. ovis**. გავრცელებულია კავკასიაში, შუა აზიის რესპუბლიკებში. მისი გადამტანია **Rhipicephalus**-ის გვარის ტკიპი. დაავადება ხშირად, სხვა ჰემოსპორიდიოზულ დაავადებებთან ერთად, უპირატესად შემოდგომაზე ვლინდება ისეთივე კლინიკური ნიშნებით, როგორც დამახასიათებელია ძროხეულის **ბ-თვის**.

ბაზალური სხეული (corpusculum basale; ლათ. corpusculum სხეული და ბერძნ. **basis** საფუძველი) – მცირე ზომის ორგანო, რომელიც განთავსებულია უმარტივესების ენდოპლაზმაში. **ბ. ს-დან** სათავეს იღებენ შოლტები (**Mastigophora**-ს კლასი) ან წამწამები (**Ciliata**-ს კლასი).

ბალანტიდიები (Balantidium; ბერძნ. ტომარა, საფულე) – უმარტივესები, მიეკუთვნებიან **Ciliata**-ს (ბერძნ. **cilium** წამწამი) კლასს. **ბ-ების** სხეული ოვალური ან კვერცხისებურია, დაფარულია წამწამებით. ციტოპლაზმაში ბირთვი და ბირთვაკია. **ბ-ები** მრავლდებიან ორად გაყოფით ან სქესობრივი გზით – კონიუგაციით (იხ.). ისინი პარაზიტობენ ღორის, მღრღნელების, ზოგჯერ ადამიანის მსხვილ ნაწლავებში. გარემოში გამოიყოფიან მოძრავი ტროფოზოიტებისა (იხ.) და უძრავი ცისტების (იხ.) სახით.

ბალანტიდიოზი (balantidiosis; აღმძვრელის გვარის დასახელება balantidium + ბერძნ. osis დაავადება). **ბ.** ფართოდაა გავრცელებული მელორეობის ფერმებში. უმთავრესად ავადებიან ასხლეტილი გოჭები, რომელთა დაინვაზიება ხდება **ბ-ის** ცისტების გადაყლაპვით. დაავადება მწვავე და ქრონიკული ფორმებით მიმდინარეობს. მწვავე ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა მცირედ მატულობს, ვითარდება ფაღარათი, ფეკალში სისხლისა და ლორწოს მინარევებია. ქრონიკული მიმდინარეობის დროს ფაღარათი პერიოდულად ვითარდება, ცხოველი საკვებს არ

იღებს. სიკვდილიანობის მაჩვენებელი მაღალია.

ბალანჯაძეები (*Trichodectidae*; ბერძნ. **thrix, trichos** თმა + **decticos** მკბენი + **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – მწერების ოჯახი; მიეკუთვნება **Mallophaga**-ს რაზმს. პარაზიტობენ ძუძუმწოვრების სხეულზე. სახეობები:

- **Bovicola bovis** (ლათ. **bos, bovis** ხარი) – ძროხეულის პარაზიტი;

- **B.equi** (ლათ. **equus** ცხენი) – ცხენის პარაზიტი;

- **B.caprae** (ლათ. **caper** თხა) – თხის პარაზიტი;

- **Trichodectes canis** (ლათ. **canis** ძაღლი) – ძაღლის პარაზიტი;

- **T.ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი) – ცხვრის პარაზიტი;

- **Felicola subrostratus** (ლათ. **felis** კატა, **sub** ქვეშ + **rostrum** სახე) – კატის პარაზიტი.

ბ-ები ღორის სხეულზე არ პარაზიტობენ.

ბალინჯოები (*Hemiptera*; ბერძნ. **hemi** ნახევრული, **სანახევრო** + **pteron** ფრთა) – ბალინჯოების (ნახევრადხეშფრთიანე-ბი) რაზმი. იხ. ჰემიპტერა.

ბესნოიტები (*Besnoitia*; ფრანგი მეცნიერის ბესნოიტეს პატივსაცემად) – ერთუჯრედიანი პარაზიტები; მიეკუთვნებიან **Besnoitia**-ს გვარს, **Coccidiida**-ს რაზმს. **ბ-ების** ტროფოზოიტები, რომელთაც ნახევარმთვარისებრი ფორმა აქვთ, ლოკალიზებენ პერიფერიულ სისხლძარღვებში, ხოლო ცისტები, რომელთაც მრგვალი ფორმა აქვთ (დიამეტრი – 0,5-4 მიკრონი) – კანის, კუნთების ფასციებში, სკლერაში, ლორწოვან და სეროზულ გარსებში. **Besnoitia besnoiti** – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის პარაზიტი; **B.tarandi** – ჩრდილოეთის ირმების პარაზიტი; **B.jellisoni** – მინდვრის თაგვის პარაზიტი.

ბესნოიტიოზი (*besnoitiosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება **besnoitia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, სხვა ცხოველების პროტოზოული დაავადება; აღმძვრელებია **Besnoitia**-ს გვარის უმარტივესები. სიმპტ.: კანი გასქელებული, დანაოჭებული და დამსკდარია. ვითარდება სის-

სლდენა, ბალანი ცვივა. ავადმყოფი ცხოველი გამხდარია.

ბითინია (Bythinia; ბერძნ. **bythios** წყლის სიღრმეში მყოფი) – მოლუსკების გვარი; მიეკუთვნება **Gastropoda**-ს კლასს. სახეობა – **Bythinia leachi**; ტრემატოდა **Opisthorchis felineus**-ის შუალედური მასპინძელი.

ბილჰარციელა (Bilharziella; გერმანელი მეცნიერის ბილჰარცის პატივსაცემად) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Schistosomatata**-ს ქვერჯს. **Bilharziella polonica** (ლათ. **polonica** პოლონური) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, გარეული წყალმცურავი ფრინველების ღვიძლის, ჯორჯლის, ფილტვებისა და სხვა ორგანოების სისხლძარღვებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები (პლანორბიდები, ლიმნიდები, ბითინიები და სხვ.). **ბ.** სქესგაყოფილი ტრემატოდაა.

ბილჰარციელოზი (Bilharziellosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Bilharziella** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Bilharziella polonica** პარაზიტობს იხვის, ბატის, გარეული წყალმცურავი ფრინველების ჯორჯლის, ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის, თირკმელების, ფილტვების, ელენთის, გულისა და სხვა ორგანოების სისხლძარღვებში. სიმპტ.: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის მოშლა; სკორე – თხიერი, მყრალი სუნიო; სუნთქვა – გართულებული; ცხვირიდან და თვალიდან დიდი რაოდენობით გამონადენია, რომელიც აწებებს ქუთუთოებს; რქოვანა – შემღვრეული.

ბიოთერმული გაუვნებლობა ნაკელის – ჰელმინთების კვერცხებისა და ლარვების, ვირუსების, ნაკელში სპორების არწარმომქმნელი მიკრობების განადგურების მეთოდი. დაფუძნებულია ნაკელსაცავში ფენებად დალაგებულ ნაკელში მაღალი ტემპერატურის (70°C) შექმნაზე, რასაც სწრაფად მრავლებადი თერმოფილური მიკროორგანიზმები წარმოქმნიან. წლის თბილ პერიოდში გაუვნებლობის პერიოდი ერთ თვეს გრძელდება, ცივ პერიოდში – ორ თვეს.

ბიოტოპი (ბერძნ. **bios** სიცოცხლე + **topos** ადგილი)

– ერთობლივად თანაარსებადი ცოცხალი ორგანიზმების ტერიტორია, რომლისთვის დამახასიათებელია შემადგენელი ელემენტების ერთგვაროვნება და მოსაზღვრე ტერიტორიებისაგან განსხვავება.

ბიოფსია (ბერძნ. **bios** სიცოცხლე + **opsis** გამოკვლევა) – ცხოველის სიცოცხლეში ქსოვილის ან ორგანოს ნაწილის ამოკვეთა დიაგნოზის დადგენის მიზნით. გამოიყენება ტრიქინელოზის, სარკოსპორიდიოზების, ლეიშმანიოზის, ფილარიატოზების და სხვა დაავადებათა დროს.

ბიოცენოზი (ბერძნ. **bios** ბიოს + **koinos** საერთო) ცოცხალი ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებითაც დასახლებულია გარკვეული ბიოტოპი.

ბიოჰელმინთი (**biohelmins**; ბერძნ. **bios** სიცოცხლე + **helmins** ჭია) – ჰელმინთი, რომლის განვითარების ციკლში შუალედური მასპინძელი მონაწილეობს. ბიოჰელმინთია ყველა ტრემატოდა, ცესტოდა, აკანთოცეფალა და ნემატოდების ნაწილი.

ბირთვაკები – უჯრედის ბირთვის განსაკუთრებით მკვერივი სტრუქტურა, რომელთა რაოდენობა ბირთვში ერთიდან რამდენიმე ეგზემპლარამდე მერყეობს. მათი ზომა და ფორმა დამოკიდებულია უჯრედის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე. ბირთვაკები განსაკუთრებით მდიდარია რნმ-ით.

ბირთვი (**nucleus** ბირთვი) – უჯრედის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. იგი შედგება ქრომატინის შემცველი გარსისაგან, ასევე, ბირთვაკებისა და ბირთვული წვეწისაგან. ბირთვის გარსში ფორებიან. უჯრედის ბირთვი გენეტიკურ და მეტაბოლურ ფუნქციებს ასრულებს.

ბირთვის გარსი – შედგება პარალელურად განლაგებული ორი მემბრანისაგან. მათ შორის ვიწრო სივრცეა, რომელსაც პერინუკლეარული ცისტერნა ეწოდება. გარსში მრავალი ფორაა, რომელთა კიდეებზე შიდა და გარე მემბრანები ერთმანეთში გადადიან. ყოველი ფორა დახურულია თხელი ძგიდით, რომელიც გავლენას ახდენს ბირთვიდან ციტოპლაზმში და უკან ნივთიერებათა გადასვლაზე.

ბლენორეა (ბერძნ. **blenna** ლორწო; **blennos** შლამი + **rhein** დენა) – ლორწოვანი, ჩირქოვანი გამონადენი უმთავრესად სასქესო ორგანოებიდან. ტრიქომონოზისათვის დამახასიათებელი სიმპტომი.

ბლეფარიტი (ბერძნ. **blepharon** ქუთუთო + **it** ანთების აღმნიშვნელი ბოლოსართი) – ქუთუთოს კიდის ანთება.

ბლეფაროპლასტი (**blepharoplastis**; ბერძნ. **blepharon** ქუთუთო + **plastos** გამოძერწილი, შექმნილი) – ბაზალური სხეული (იხ.). მისგან სათავეს იღებს შოლტი, რომელსაც მოძრაობის ფუნქცია გააჩნია.

ბოთრია (**Bothrium**; ბერძნ. **bothrion** ნაჭდევი) – ლენტურების სკოლექსზე ნაპრალისებრი საფიქსაციო ორგანოები.

ბოთრიოცეფალოზი (**bothriocephalosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Bothriocephalus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – კობრისებრთა თევზების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ლენტურა (ცესტოდა) – **Bothriocephalus acheilgnathi** პარაზიტობს ნაწლავებში. გავრცელებულია სატბორე მეურნეობებსა და წყალსაცავებში. ყველა ასაკის თევზი ავაადდება ქრონიკული ფორმით. სიმპტ.: დაავადებული თევზი გამხდარი და მოდუნებულია, არ იღებს საკვებს, ცურავს წყლის ზედაპირულ ფენებში და სუსტად რეაგირებს ადამიანის მიახლოებაზე. კანის საფარველი და ლაყუჩები ანემიურია, მუცელი – ჩამოწეული და შებერილი, ზურგი – ამობურცული, თვალები – ჩაცვენილი. დაავადების გამავრცელებელია უფროსი ასაკის თევზი, რომელიც პარაზიტმატარებელია.

ბოთრიოცეფალუსი (**Bothriocephalus**; ბერძნ. **bothrion** ნაჭდევი + **kephale** თავი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება ლენტურების რაზმს. **Bothriocephalus gowkongensis** – სახეობა, პარაზიტობს კობრისებრი თევზების (კობრი, გოჭა, ამური, კარჩხანა, სქელშუბლა) ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის კიბოსებრი ციკლოპები. ბოთრიოცეფალოზის აღმძვრელი.

ბოოფილუსი (**Boophilus**; ლათ. **bos** კურო + ბერძნ. **philos**

მოყვარული) – ტკიპის გვარი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს. **Boophilus calcaratus** (ლათ. **calcar** დე-ზი) – სახეობა, რომელიც **Piroplasma bigeminum**-ისა და **Fran-saiella colchica**-ს გადამტანია; ინვაზიას გადასცემს ტრანსოვა-რიული გზით; პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელ პირუტყვზე, იშვიათად – ცხვარსა და ცხენზე. ერთმასპინძლიანი ტკიპი. გარდა ამისა, სავეტერინარო მნიშვნელობის მქონე სახეობებია – **B.annulatus**, **B.decoloratus** და **B.microplus**.

ბორები – მწერები; მიეკუთვნებიან **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. ვითარდებიან სრულად გარდაქმნადი ციკლით. ზრდასრულ ფაზაში არ იკვებებიან და ცოცხლობენ მათი ლარვული ფორმების მიერ ძუძუმწოვრების შინაგან ორგანოებში პარაზიტობისას დაგროვილი საკვები ნივთიერებებით. **ბ-ები** კვერცხმდებლები და ცოცხალმშობებია. ისინი წარმოდგენილია სამი ოჯახით: **Hypodermatidae** – კანქვეშა **ბ-ები** (აერთიანებს გვარებს: **Hypoderma**, **Oedemagena** და **Crivellia**); **Oestridae** – ცხვირ-ხახის **ბ-ები** (აერთიანებს გვარებს: **Oestrus**, **Cephenomyia**, **Rhinoestrus** და **Cephalopina**) და **Gastrophilidae** – კუჭის **ბ-ები** (ოჯახში ერთი გვარია – **Gastrophilus**).

ბორელიები (Borrelia; ფრანგი მეცნიერის ბორელის პატივსაცემად) – სპიროქეტების (იხ.) გვარი. ძაფისებრი, სპირალური მიკროორგანიზმები, რომელთა სიგრძე 20 მიკრონს აღწევს. პარაზიტობენ შინაური და გარეული ფრინველების სისხლში. ავადმყოფიდან ჯანმრთელ ფრინველს გადაეცემა **Argas**-ისა და **Dermanyssus**-ის გვარების ტკიპების, აგრეთვე ბაღლინჯოების მიერ. ფრინველის ბორელიოზის აღმძვრელები.

ბორელიოზი ფრინველის (იხ. სპიროქეტოზი, ტრეპონემოზი) (**borreliosis, spirochaetosis, treponemosis**) – მწვავე ან ქრონიკული ფორმებით მიმდინარე დაავადება. სიმპტ.: ციებ-ცხელება, ლორწოვანი გარსებისა და ბიბილოს ანემია, დიარეა, ფრთებისა და კიდურების პარეზი. გავრცელებულია კავკასიასა და შუა აზიის ქვეყნებში.

ბრაულა (ლათ. **Braula** გვარის დასახელება) – მწერების

გვარი; მიეკუთვნება **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. **Braula caece** (ლათ. **caece** ბრმა) – მოწითალო-მორუხო ფერის ფუტკარის ტილი, რომელსაც თვალები და ფრთები არ აქვს. სხეულის სიგრძე – 1,5 მმ-მდე. პარაზიტობს უფროსი ასაკის ფუტკარებზე, უპირატესად, მდედრ ინდივიდებზე. **ბ-ს** მდედრი შობს ლარვებს, რომლებიც სწრაფად ჭუპრდებიან, ხოლო ჭუპრიდან გამოდის **ბ-ს** იმაგო, ზრდასრული ფორმა.

ბრაქიცერა (Brachycera; ბერძნ. brachys მოკლე + keras რქა) – მწერების (მოკლეულვაშიანები) ქვერაზმი, რომელიც აერთიანებს ოჯახებს: **Hypodermatidae** (კანქვეშა ბორები), **Gastrophilidae** (კუჭის ბორები), **Oestridae** (ცხვირ-ხახის ბორები), **Muscidae** (ნამღვილი ბუზები), **Calliphoridae** (ლემის ბუზები), **Sarcophagidae** (ხორცის რუხი ბუზები), **Tabanidae** (ბუზანკალე-ბი) და **Hippoboscidae** (სისხლის მწოველები).

ბრონქიტი (ბერძნ. bronchos სასუნთქი მილი + it ანთების აღმნიშვნელი ბოლოსართი) – ბრონქების ლორწოვანი გარსების ანთება.

ბრონქოექტაზია (ბერძნ. bronchos სასუნთქი მილი + ekta-sis გაგანიერება) – ბრონქების გაგანიერება ზოგიერთი ინვაზიური დაავადების (მეტასტრონგილოზი, დიქტიოკაულოზი, პროტოსტრონგილიდოზები და სხვ.) შედეგად.

ბროწეულის მარცვლისებრი სხეულები – Theileria-ს გვარის უმარტივესების მაკრო- და მიკრომერონტების (შიზონტების) დასახელება.

ბრტყელი ჭიები (Plathelminthes; ბერძნ. plathys ბრტყელი + helmins, helminthos ჭია) – **Plathelminthes** – ბრტყელი ჰელმინთების ტიპი, რომელიც აერთიანებს ტრემატოდების, ცესტოდებისა და მონოგენეას კლასებს.

ბუზანკალები (Tabanidae; ლათ. tabanus ბუზანკალი + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – სისხლმწოვი ორფრთიანი მწერების ოჯახი; მიეკუთვნება **Holometabola**-ს ჯგუფს. დიდი სხეულის მქონე ორფრთიანი ჰემატოფაგები. **ბ-ები** ძალზე ფართოდ არიან გავრცელებული, განსაკუთრებით ტაიგის, ტყისა და

ტყესტეპის ზონებში. სტეპისა და უდაბნოს ზონებში ბინადრობენ მდინარეების ნაპირების გასწვრივ და ტბების ირგვლივ. სახეობებით მრავალრიცხოვანი გვარებია: **Tabanus**, **Atylotus**, **Hybomitra**, **Chrysops** და **Haematopota**. ბები განსაკუთრებით შემაწუხებლებია. მათ აქვთ შხამიანი ნერწყვი და არიან ჯილეხის, ცხენის ინფექციური ანემიისა და ტრიპანოსომოზის, მსხვილფეხა მცობნელი პირუტყვის ანაპლაზმოზის, ემფიზემატოზური კარბუნკულის აღმძვრელების გადამტანები.

ბუზარები (Hippobosidae; ბერძ. **hippos** ცხენი + **boskien** კვება + **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – მწერების ოჯახი; მიეკუთვნება **Puppipara**-ს ქვერაზმს (ჭუბრმდებელი), **Diptera**-ს რაზმს. ძუძუმწოვრებისა და ფრინველის ექტოპარაზიტები. **Melophagus ovinus** (ბერძ. **melon** წვრილფეხა პირუტყვი + **phagein** კვება, **ovinus** ცხვრის) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს ცხვრის სხეულზე; მელოფაგოზის აღმძვრელი. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. კლ. ნები: ქავილი, დერმატიტი, მატყლის ნაწილობრივი ცვენა, სიგამხდრე. ზოგჯერ ბატკანი კვდება. სხვა სახეობები: **Hippobosca equine** (ცხენის ბუზარა), **H.canis** (ძაღლის ბუზარა), **H.camelina** (აქლემის ბუზარა) – იხ. ჰიპობოსკა; **Lipoptena cervi** (ბერძ. **leipo** დაკარგვა + **ptenos** ფრთები, ლათ. **cervus** ირემი) – ირმის ბუზარა.

ბუზები – მწერები, რომლებიც მიეკუთვნება **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. გავრცელებულია ყველგან. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ სამი ოჯახის ბუზებს: ნამდვილი ბუზები (**Muscidae**), ხორცის ლურჯი და მწვანე ბუზები (**Calliphoridae**) და ხორცის რუსი ბუზები (**Sarcophagidae**).

ნამდვილი ბუზების (**Muscidae**) დიდი ნაწილი ზოოფილური და სინანთროპული სახეობებია:

- **Musca domestica** – ოთახის ბუზი;
- **Fannia canicularis** (ფრანგ. **fane** მოდუნებული, უფერული და ლათ. **canicula** ძაღლი) – ოთახის მცირე ბუზი;
- **Muscina stabulans** (ლათ. **stabulatio** გომური, ფარეხი) – ბინის ბუზი;

- **Musca autumnalis** (ლათ. შემოდგომის) – მინდვრის ბუზი;

- **M.larvipara** (ლათ. ცოცხალმშობი) – ცოცხალმშობი მინდვრის ბუზი;

- **M.amica** (ლათ. მეგობარი) – ციმბირის მინდვრის ბუზი;

- **Stomoxys calcitrans** (ბერძნ. **stoma** სტომა + **oxys** ბასრი და ლათ. **calcitrare** წიხლის კვრა) – შემოდგომის წვია;

- **Haematobia stimulans**, **H.atripalpis** (იხ. ჰემატობია);

- **Liperosia irritans**, **L.titilans** (იხ. წვიები).

ოჯახი – **Calliphoridae** (ხორცის ლურჯი და მწვანე ბუზები. იხ. კალიფორიდები).

ოჯახი – **Sarcophagidae** (ხორცის რუხი ბუზები. იხ. სარკოფაგიდები).

ბულბუსი (**bulbus**; ლათ. ბოლქვი) – საყლაპავის ბოლქვისებრი გაგანიერება. დამახასიათებელია ნემატოდების ზოგიერთი ქვერაზმის წარმომადგენლებისათვის. ოქსიურატებს ერთი ბულბუსი აქვთ, რაბდიტატებს – ორი.

ბულიმია (**bulimia**; ბერძნ. **bus** ხარი + **limus** შიმშილი) – მეტისმეტი, ზომიერადსული ჭამის მადა. ვლინდება ზოგიერთი პარაზიტოზის დროს.

ბულიმუსი (**Bulimus**; ბერძნ. **bulimia** „ხარის შიმშილი“) – მოლუსკების გვარი; მიეკუთვნება **Pulmonata**-ს ქვეკლასს, **Gastropoda**-ს კლასს, **Mollusca**-ს ტიპს. ნიჟარა – კვერცხისებრი, რამდენადმე წაგრძელებული, ოვალური სვრელით. ამ გვარის სახეობები **Protostrongylus kochi**-სა და **Echinochasmus perfoliatus**-ის შუალედური მასპინძლები არიან.

ბუმბლიჭამიები (**Phlopteridae** და **Menoponidae**) – უფროს მწერების ოჯახები; მიეკუთვნება **Mallophaga**-ს რაზმს **Hemimetabola**-ს ჯგუფიდან. პარაზიტობენ ფრინველების სხეულზე. პირველი ოჯახის სახეობებია – **Lipeurus caponis** და **Gonioides holohaster**; მეორე ოჯახის სახეობებია – **Menopon gallinae** და **Menacanthus stramineus**. ისინი ფრინველის მუდმივი ექტოპარაზიტები არიან.

ბუმბულის ტკიპები (Analgesoidea; ბერძნ. analgesia ტკივილის არქონა) – აკარიფორმული ტკიპების ზეოჯახი, რომელიც მიეკუთვნება Sarcotiformes-ის ქვერაზმს. პარაზიტობენ შინაური და გარეული ფრინველების ბუმბულზე, კანზე და კანში.

ბუნებრივი კერობრიობა – მოვლენა, როდესაც დაავადების აღმძვრელი, მისი სპეციფიკური გადამტანი და ცხოველები (აღმძვრელის რეზერვუარი) თაობათა ცვლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობენ ბუნებრივ პირობებში ადამიანისაგან დამოუკიდებლად (ე.პალვოსკი).

ბუნოსტომა (Bunostomum; ბერძნ. bunos კუზი, ბორცვი + stoma პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Ancylostomatidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. ბ-ის თავის ბოლო დორსალურად მოღუნულია. **Bunostomum trigonocephalum** (ბერძ. trigonon სამკუთხედი + kephale თავი) და **B.phlebotomum** (ბერძნ. phleps ვენა + tome განაჭერი, განაკვეთი) – სახეობები, რომლებიც პარაზიტობენ მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის წვრილ ნაწლავებში. ბუნოსტომოზის აღმძვრელები.

ბუნოსტომოზი (bunostomosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Bunostomum + osis დაავადება) – მცოხნელ ცხოველთა ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Bunostomum**-ის გვარის ნემატოდები წვრილ ნაწლავებში პარაზიტობენ. ბ. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადობს ცხვრის მოზარდეული. სიმპტ.: სხეულის ტემპერატურის მატება, ხილული ლორწოვანი გარსების ანემია, მადის თანდათან გაუარესება, შეშუპებებისა და ჰიდრემიის განვითარება, გამჭლევა, კახექსია, თხიერი ფეკალი, რომელიც მურა ფერის ლორწოს შეიცავს. ხბობს აღენიშნებათ: დაუძლურება, მადის დაქვეითება, ბალნის აბურძგვნა, ხილული ლორწოვანი გარსების ანემია, ფალარათის მონაცვლეობა ყაბზობით, ფეკალში სისხლისა და ლორწოს შემცველობა.

ბურსის ნეკნები (costae bursae; ლათ. costa ნეკნი + bursa ჩანთა, ტომარა) – ზოგიერთი ნემატოდას (სტრონგილატები) დაგრძელებული სასქესო დვრილები, რომლებიც გამდიდრებულია კუნთოვანი და ნერვული ელემენტებით. ანსხვავენ ნეკნ-

ბის სამ ძირითად ჯგუფს: ლატერალურს, ვენტრალურსა და დორსალურს.

ბურსიტი (Bursitis; ლათ. bursa ჩანთა + ბერძნ. it ანთე-ბის აღმნიშვნელი ბოლოსართი) – სინოვიალური ჩანთის ანთება. ხშირად ვლინდება ონქოცერკებით (ჰელმინთი) ცხენების დაინვა-ზიების დროს.

ბ

გამასოიდური ტკიპები (Gamasoidea) ტკიპების ზეოჯახი; მიეკუთვნება Parasitiformes-ის რაზმს. აერთიანებს ტკიპების 20 ოჯახს, რომელთა ნაწილი თავისუფალ ცხოვრებას ეწევა, ნაწი-ლი – პარაზიტობს.

გამარუსები (Gammarus; ბერძნ. kamma ასთაკეი (ზოოლ.) – უმაღლესი კიბოების გვარი; მიეკუთვნება Gammaridae-ს ოჯახს, Amphipoda-ს რაზმს, Malacostracea-ს ქვეკლასს, Crustacea-ს კლასს. **გ-ები** ჰელმინთების შუალედური მასპინძლე-ბია. განსაკუთრებით გავრცელებული სახეობებია: **Gammarus pulex** (ლათ. რწყილი) – მტკნარი წყლის გვერდულადმცურავი; **G.lacustris** (ლათ. ტბის) – მტკნარი წყლის კიბორჩხალა.

გამბუსია (Gambusia officinis) – მცირე ზომის თევზი, რომე-ლიც ანადგურებს კოლოების, ქინქლებისა და ოფების ლარვებს.

გამეტები (ბერძნ. gamete მეუღლე) – სასქესო უჯრედები. მამრობითი მიკროგამეტისა (იხ.) და მდედრობითი მაკროგამეტის (იხ.) შერწყმით წარმოიქმნება ზიგოტა (იხ.). ტერმინი უმარ-ტივესებთან მიმართებაში გამოიყენება და მათ სასქესო პროცესს ასახავს.

გამეტოგონია (ბერძნ. gamete მეუღლე + gonea დაბადება, წარმოქმნა, განვითარება) – კოქციდიების სასიცოცხლო ციკლის ნაწილი, როდესაც წარმოიქმნება განსხვავებული სასქესო ნიშნე-ბის მქონე ინდივიდები – გამეტოციტები და გამეტები.

გამეტოციტები (gametocytus; ბერძნ. gamete მეუღლე + kytos უჯრედი) – არადიფერენცირებული სასქესო უჯრედები,

რომელთაგან მეიოზის პროცესში ზრდასრული სასქესო უჯრედები – გამეტები (იხ.) წარმოიქმნება.

გამონტი (ბერძნ. **gamos + on, ontos** ყოფნა) – სპორიანების განვითარების მრავალბირთვიანი სტადია, რომელიც წარმოიქმნება მასპინძლის უჯრედებს შიგნით აგამეტების გაზრდისა და ბირთვის მრავლობითი დაყოფის გზით. მომწიფების შემდეგ გამონტი იყოფა გამეტოციტებად.

განგულეტერაკიდოზი (**ganguleterakidosis**; აღმძრელის გვარის დასახელება **Ganguleterakis + ბერძნ. osis** დაავადება) – ბატისა და იხვის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Ganguleterakis dispar** პარაზიტობს ნაწლავის ბრმა წამონაზარდებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: დაძაბუნება, სისუსტე, მადის დაკარგვა, ფაღარათი, მოზარდეულის ზრდა-განვითარების შეფერხება, კვერცხმდებლობის შემცირება.

განგულეტერაკისი (**Ganguleterakis**) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Heterakidae**-ს ოჯახს, **Oxyurata**-ს ქვერაზმს. ფრინველის პარაზიტი. **Ganguleterakis dispar** (ლათ. უწყვილო, სხვადასხვა) – სახეობა, პარაზიტობს ბატისა და იხვის ბრმა ნაწლავში. გეოჰელმინთი. იხვისა და ბატის განგულეტერაკიდოზის აღმძვრელი.

გასტროთილაქსი (**Gastrothylax**; ბერძნ. **gaster** კუჭი + **thylax** ჯიბე) – ტრემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Paramphistomata**-ს ქვერაზმს. **Gastrothylax crumenifer** (ლათ. **crumina** ქისა, ტოპრაკი) – სახეობა, რომლის ლარვები პარაზიტობენ მცოხნელების წვრილ ნაწლავში, ზრდასრული ფორმები – ფაშვში, იშვიათად, ბადურაში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები. პარამფისტომატების სხვა სახეობებთან ერთად იწვევენ მცოხნელი ცხოველების პარამფისტომატოზებს.

გასტროპოდა (**Gastropoda**; ბერძნ. **gaster** კუჭი + **pus, podos** ფეხი) – მუცელფეხა მოლუსკების კლასი; მიეკუთვნება **Mollusca**-ს ტიპს. გ. გადაადგილდება კუნთოვანი ფეხის მეშვეობით. სხეული გაშიშვლებულია ან განთავსებულია სპირალურ ნიჟარაში. მრავალი მათგანი ჰელმინთების შუალედური მასპინძელია.

გასტროფილოზი (gastrophilosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Gastrophilus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – კენტრლიაქიანი ცხოველების ენტომოზური დაავადება, რომლის აღმძვრელებია **Gastrophilus**-ის გვარის კუჭნაწლავის ტრაქტის ბორების ლარვები. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მოტორულ-სეკრეტორული ფუნქციის დარღვევა, ანემია, სიგამხდრე, ზოგჯერ კოლიკები, ლოყებზე ბალნის გაცვენა, გართულებული სუნთქვა, ნერწყვიდენა, სწორი ნაწლავის ბოლო უბნის გაწითლება და დაწყლულება. ზოგჯერ ხდება კუჭის კედლის ან თორმეტგოჯა ნაწლავის პერფორაცია, ირღვევა ყლაპვისა და დეფეკაციის აქტები.

გასტროფილუსი (Gastrophilus; ბერძნ. **gaster** კუჭი + **philos** მოყვარული) – კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ბორების გვარი; მიეკუთვნება **Gastrophilidae**-ს ოჯახს, **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. ზრდასრული ბორები არ იკვებებიან. ისინი ცოცხლობენ პარაზიტული ცხოვრების პერიოდში ლარვების მიერ დაგროვილი მარაგების ხარჯზე. ლარვები პარაზიტობენ ცხენისა და სახედრის საჭმლის მომწელებელ ტრაქტში. სახეობები:

- **Gastrophilus intestinalis** (ლათ. ნაწლავის) – კუჭის დიდი ბორა;

- **G.veterinus** (ლათ. ვეტერინარიული) – თორმეტგოჯა ნაწლავის ბორა;

- **G.haemorrhoidalis** (ბერძნ. **haima** სისხლი + **rhein** დენა) – კუჭის წითელკუდიანი ბორა;

- **G.inermis** (ლათ. შეუიარაღებელი) – კუჭის მცირე ბორა;

- **G.nigricornis** (ლათ. **niger** შავი + **cornu** რქა) – კუჭის შავუღამა ბორა.

გაჭყლეთილი წვეთი – სასაგნე და საფარ მინებს შორის მოქცეული სინჯის წვეთისაგან მომზადებული პრეპარატი, რომელსაც იყენებენ ჰელმინთების კვერცხების, უმარტივესებისა და სხვა მიკროორგანიზმების მიკროსკოპიისათვის.

გეოჰელმინთები (geohelminthes; ბერძნ. **geo** მიწა + **helmins** ჭია) – ჰელმინთები, რომლებიც განვითარების ციკლში შუალ-

ედური მასპინძლის მონაწილეობას არ საჭიროებენ. გეოჰელმინთების კვერცხები და ლარვები ინვაზიურ სტადიამდე გარემოში (მიწა, ნიადაგი, წყალი) ვითარდებიან.

გერმინატიული (germinativus; ლათ. germen ჩანასახი, ამონაზარდი) – ჩანასახის შემცველი ორგანიზმი, ორგანო ან გარსი, რომელიც გამრავლების პროცესს უზრუნველყოფს.

გიალოცეფალუსი (Gyalocephalus; ბერძნ. gyalon ღრუ + **kephale** თავი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichonematidae**-ს ოჯახს, **Strongylata** ქვერაზმს. **Gyalocephalus capitatus** (ლათ. **caput** თავი) – სახეობა, პარაზიტობს კენტჩლიქიანთა მსხვილ ნაწლავებში და ამ ოჯახის სხვა სახეობებთან ერთად ტრიქონემატოდოზებს იწვევს.

გიმნობლეურუსი (Gymnopleurus; ბერძნ. gymnos შიშველი + **pleura** ნეკნი, მხარი) – მხერხავი ზოჭოების გვარი; მიეკუთვნება **Scarabaeidae**-ს ოჯახს, **Coleoptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. **Gymnopleurus sturmi** – სახეობა, რომელიც ნემატოდა **Physocephalus sexalatus**-ის შუალედური მასპინძელია.

გლობოცეფალოზი (globocephalosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Globocephalus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Globocephalus urosubilatus** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ამონაან.

გლობოცეფალუსი (Globocephalus; ლათ. globus სფერო + ბერძნ. **kephale** თავი) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Strongylidae**-ს ოჯახს. **Globocephalus urosubilatus** (ბერძნ. **ura** კუდი + **subula** სადგისი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის წვრილ ნაწლავებში.

გლოსინები (Glossina; ბერძნ. glossa) – ბუზები ცეცე – სისხლმწოვი მწერების გვარი; მიეკუთვნება **Muscidae**-ს ოჯახს, **Brachicera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. სისხლს წოვენ როგორც მდებრი, ისე მამრი ინდივიდები. გავრცელებულია აფრიკაში. ცხოველებისა და ადამიანების ტრიპანოსომოზების აღმძვრელების სპეციფიკური გადამტანები. უმთავრესი სახეობებია:

Glossina palpalis (ლათ. **palpare** დაუთოება) – გავრცელებული იმ რაიონებში, რომელთა ფართობები ირწყვება მდინარეების – სენეგალის, ნიგერის და კონგოს წყლებით; **G.morsitans** (ლათ. **morsitare** კბენა) – გავრცელებულია სენეგალიდან (დასავლეთი) ეთიოპიამდე (აღმოსავლეთი), ასევე ბოტსვანისა და ზამბიის სამხრეთში; **G.pallidipes** (ლათ. **pallidus** მკრთალი) – აღმოსავლეთ აფრიკული სახეობა.

გნათოსომა (**gnathosoma**; ბერძნ. **gnathos** ყბა + **soma** სხეული) – ტკიპის თავი – გამოცალკევებული პირის ორგანოების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ქელიცერებს, პალპებს და ზედა ტუჩს.

გნათოსტომა (**Gnathostoma**; ბერძნ. **gnathos** + **stoma** პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spirurata**-ს ქვერაზმს. **Gnathostoma spinigerum** (ლათ. **spiniger** მჩხვლეტავი) – სახეობა, პარაზიტობს კატის, ძაღლის, გარეული ხორცისმჭამელების კუჭში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები, დამატ. მასპინძ. – მტკნარი წყლის ლოკოკინები, ბაყაყები, რეპტილიები; **G.hispidum** (ლათ. **hispidus** ბუსუსებიანი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის კუჭში. გნათოსტომოზის აღმძვრელები.

გნათოსტომოზი (**gnathostomosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Gnathostoma** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი – ნემატოდა **Gnathostoma hispidum** გავრცელებულია მდინარე ვოლგის დელტაში მდებარე რაიონებში, ყუბანში. ვლინდება გასტრიტის ნიშნებით.

გოლჯის კომპლექსი – უჯრედის ორგანოიდი, რომელიც განთავსებულია ბირთვსა და აპიკალურ პოლუსს შორის. მიკროსკოპში მას გორგალის სახე აქვს. **გ. კ.** მონაწილეობს სეკრეციის, ნახშირწყლების სინთეზისა და წყლის გამოყოფის პროცესში.

გონგილონემა (**Gongylonema**; ბერძნ. **gongylos** მრგვალი + **nema** ძაფი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spiruridae**-ს ოჯახს. **Gongylonema pulchrum** (ლათ. **pulcher** ლამაზი) – სახეობა, პარაზიტობს მცოხნელი ცხოველების, ღორისა და ცხე-

ნის საყლაპავ მილსა და ხახაში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მას-პინძ. – კოპროფაგი ხოჭოები, ტარაკანები. გონგილონემოზის აღმძვრელი.

გონგილონემოზი (*gongylonemosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Gongylonema* + *osis* დაავადება) – მცოხნელ ცხოველთა, ღორის, ცხენის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – *Gongylonema pulchrum* პარაზიტობს საყლაპავ მილსა და ხახაში. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. სიმპტ.: ქავილი კისრის მიდამოში, ყლაპვის აქტის დარღვევა. ცხოველი საკვებს არ იღებს.

გონდერია (*Gonderia*; გერმანელი მეცნიერის – გონდერის პატივსაცემად) – *Theileria mutans*-ის ძველი დასახელება (იხ.).

გონიოიდესი (*Gonioides*; ბერძნ. *gonia* კუთხე + *eidos* მსგავსი, გარეგნობა) – ბუმბლიჭამიების გვარი; მიეკუთვნება *Phloptoridae*-ს ოჯახს, *Mallophaga*-ს რაზმს. *Gonioides holohaster* (ბერძნ. *holos* მთელი + *hasta* მახვილი) – სახეობა, პარაზიტობს ფრინველის სხეულზე.

გრეგარინიდები (*Gregarinida*; ლათ. *gregarius* ნახირად მცხოვრები) – უმარტივესები, რომლებიც მიეკუთვნებიან *Sporozoa*-ს კლასს. **გ-ებს** ერთბირთვიანი წვარძელებული სხეული აქვთ. ისინი პარაზიტობენ უხერხემლოთა ნაწლავებსა და სხეულის ღრუში.

გუბერნაკულუმი (*gubernaculum*; ლათ. *gubernare*) – საჭე – კუტიკულური შესქელება მამრი ნემატოდების კლოაკის ღორსალურ კედელზე, რომელსაც სპიკულების მოძრაობისათვის მიმართულების მიცემის დანიშნულება აქვს.

დ

დაგრილების დაავადება. კენტრილიქიანთა ქრონიკული ფორმით მიმდინარე ინვაზია, რომლის აღმძვრელია ერთუჯრედიანი პარაზიტი – *Trypanosoma equiperdum* (ბერძნ. *trypanon* ბურლი + *soma* სხეული, ლათ. *equus* ცხენი + *perdere* გაფუჭება).

დაავადება გავრცელებულია კერობრივად, ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. ცხენის დაინვაზიება ხდება დაგრილების დროს. თავდაპირველად ფაშატებსა და ულაყებს უშუბდებოთ სასქესო ორგანოები. დაავადების მეორე სტადიაზე შეშუპებები (თალერის ბალთები) ჩნდება კანზე. მესამე სტადიაზე ცხოველი ძლიერ გამხდარია. მას უვითარდება პარეზი, აგრეთვე, თავისა და კიდურების ნერვულ დაბოლოებათა დამბლა.

დავენეა (Davainea; ფრანგი ექიმისა და ბიოლოგის დავაინეს პატივსაცემად) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება Davaineata-ს ქვერაზმს. Davainea proglottina (ბერძნ. pro წინ + glotta ენა) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის ნაწლავებში; D.meleagris და D.nana – სახეობები, პარაზიტობენ, შესაბამისად, ინდაურისა და ციცრის ნაწლავებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – ლოქორები.

დავენეოზი (davainosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Davainea + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელები, ცესტოდები – Davainea proglottina, D.meleagris და D.nana პარაზიტობენ ნაწლავებში. ავადდებიან ქათმები, ინდაურები, ციცრები, უპირატესად – მოზარდული. სიმპტ.: წიწილები თავჩაქინდრული დგანან, ბუმბული აბურძგნულია, მოძრაობა – დუნე, სუნთქვა – გახშირებული.

დაკვირტვა – უმარტივესების, ასევე, ზოგიერთი მცენარის, ჭიისა და სოკოს უსქესო გამრავლების ერთ-ერთი მეთოდი.

დამატებითი მასპინძელი – იხ. მასპინძელი

დატოტვილუვაშიანი კიბოსებრები (Cladocera; ბერძნ. klados ტოტი + keras რქა) – უმდაბლესი კიბოსებრების რაზმი; მიეკუთვნება Crustacea-ს კლასს. დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანი – ძლიერ განვითარებული ულვაშები (ანტენების მეორე წყვილი), რომლებსაც სამოძრაო ფუნქცია გააჩნიათ. დ. კ-ები პლანქტონის შემადგენელი ნაწილია და წარმოადგენენ თევზების საკვებს. მათი უმრავლესობა თევზის ჰელმინთების შუალედური მასპინძელია.

დაფნია (Daphnia; ბერძნ. Daphne ერთ-ერთი ნიმფას სახე-

ლი) – კიბოსებრების გვარი; მიეკუთვნება **Cladocera**-ს რაზმს (დატოტვილულვაშიანი კიბოსებრები). **Daphnia pulex** (ლათ. რწყილი) – წყლის რწყილი.

დევასტაცია (ლათ. **devastatio** განადგურება, მოსპობა) – შეტევითი, აქტიური პროფილაქტიკის მეთოდი, რომელიც გულსხმობს დაავადებების აღმძვრელების განადგურებასა და ფიზიკურ მოსპობას მათი სასიცოცხლო ციკლის ყველა ეტაპზე ყველა ხელმისაწვდომი მექანიკური, ქიმიური, ფიზიკური და ბიოლოგიური ზემოქმედების საშუალებებით.

დეზაკარიზაცია (ფრანგ. **des**, წინსართი, ნიშნავს განადგურებას + ლათ. **acarus** ტკიპი) – ღონისძიება, რომლის დანიშნულებაცაა ტკიპებისა და მათი ჩანასახოვანი ფორმების განადგურება გარემო არესა და ცხოველის სხეულზე.

დეზინვაზია (ფრანგ. **des**, წინსართი, ნიშნავს განადგურებას + ლათ. **invasion** თავდასხმა, შეჭრა) – ღონისძიება, რომლის დანიშნულებაცაა გარემო არეში პარაზიტული ორგანიზმებისა და მათი ინვაზიური საწყისის განადგურება.

დეზინსექცია (ფრანგ. **des**, წინსართი, ნიშნავს განადგურებას + ლათ. **insecta** მწერი) – ღონისძიება, რომლის დანიშნულებაცაა გარემო არესა და ცხოველის სხეულზე მავნე მწერებისა და მათი ინვაზიური საწყისის განადგურება.

დელაფონდია (**Delafondia**, ფრანგი მეცნიერის დელაფონდეს პატივსაცემად) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Delafondia vulgaris** (ლათ. უბრალო, ჩვეულებრივი) – სახეობა, რომლის ზრდასრული ინივიდები პარაზიტობენ ცხენის, სახედრისა და ჯორის მსხვილ ნაწლავებში, ხოლო ლარვული ფორმები – ჯორჯლის არტერიებში და დელაფონდიოზურ (თრომბოემბოლიურ) კოლიკებს იწვევენ.

დელაფონდიოზი (**delafondiosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Delafondia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხენის, სახედრის, ჯორის ჰელმინთოზი. აღმძვრელია ნემატოდა – **Delafondia vulgaris**, რომლის ზრდასრული ფორმები პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში, ლარვები – ნაწლავის კედლისა

და ჯორჯლის ფუძის არტერიებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: დელაფონდიების მიერ სისხლძარღვების დაინვაზიებისას მატულობს სხეულის ტემპერატურა, ვითარდება ანემია, ირღვევა საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქცია. ქრონიკული მიმდინარეობისას ჭვლები პერიოდულად შეტევებით (5-10 წლის ასაკის ცხენებში) ვლინდება. არჩევენ დელაფონდიური ჭვლების მსუბუქ და მძიმე ფორმებს. მსუბუქი ფორმის დროს, საწყის ეტაპზე, ცხოველი მოუსვენრად არის, ეცემა მიწაზე, გორავს, აღინიშნება დეფეკაცია, ამასთან, პულსი და სუნთქვის სიხშირე ნორმის ფარგლებშია. პერიოდულად, ჭვლები სუსტდება ან ძლიერდება. მსუბუქი ფორმის დროს დაავადება ერთ დღეში გაჯანსაღებით მთავრდება. მძიმე ფორმისათვის დამახასიათებელია ჭვლების მძაფრი შეტევები, არაბუნებრივი დგომა, ზოგჯერ – მუცლის მოცულობის გადიდება. ჭვლების შეტევები სულ უფრო ხშირი და ხანგრძლივია. თავდაპირველად ნაწლავის პერისტალტიკა გაძლიერებულია, აღინიშნება ხშირი დეფეკაცია, ფეკალი თხიერი და ზოგჯერ სისხლნარევი. შემდეგ პერისტალტიკა სუსტდება და სრულიად წყდება, ვითარდება მეტეორიზმი, მუცლის კედლები დაჭიმულია. გართულებებისას (ენტერიტი, პერიტონიტი) სხეულის ტემპერატურა მატულობს, პულსი სუსტდება, ჩნდება კუნთების კანკალი, რომელიც კრუნჩხვებში გადადის. მძიმე ფორმით მიმდინარე დ. ერთი-ორი, იშვიათად 15-20 დღის შემდეგ ცხოველის სიკვდილით მთავრდება. ნაწლავური დ-ის დროს ქვეითდება ან სრულიად დაკარგულია მადა, გამოხატულია ანემია. ცხოველი გამხდარია, სწრაფად იღლებს. კვიცები ზრდა-განვითარებაში ჩამორჩებიან.

დემოდეკოზი (demodecosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Demodex + osis** დაავადება) – ცხოველებისა და ადამიანის არაქნოზული დაავადება. აღმძვრელები – **Demodex**-ის გვარის ტკიპები პარაზიტობენ ცხოველის ბეწვის ბოლქვებსა და ცხიმის ფოლიკულებში. განსაკუთრებით მძიმე ფორმით ავადდებიან ძაღლები და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი, უპირატესად – მოზარდეული. **დ-ით** ძაღლის დაავადებისას არჩევენ მსუბუქ

(ქერცლოვან) და ძძიმე (პუსტულოზურ) ფორმებს. თავდაპირველად ზიანდება კანი წარბზედა რკალის, ტუჩების, ლოყების, კისრის, იდაყვების მიდამოებში, შემდეგ – სხეულის სხვა ნაწილებზე. ამ ადგილებში ბეწვი ცვივა, კანი წითლდება, სქელდება, იჭმუხნება, ქატოსებრი ქერცლებით იფარება, ზედაპირიდან სითხე ჟონავს. ქავილის შეგრძნება სუსტია ან არ აღინიშნება. პუსტულოზური ფორმის დროს წარმოიქმნება ბორცვები, რომელთა წვერზე არსებული სვრელიდან შიგთავსი გამოედინება და სმება. კანი წითელი, უხეში და დანაოჭებულია. ვითარდება ანემია და პროგრესირებადი სიგამხდრე. ძალი კვდება სიგამხდრისა და სეფსისისაგან. **დ-ით** მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის დაავადებისას კისრის, ბეჭების, მკერდის და ზურგის მოდამოებში კანზე ვითარდება 2-დან 10 მმ-მდე დიამეტრის ბორცვები, რომელთა წვერზე არსებული სვრელიდან სითხე გამოდის, ხოლო ხელის დაჭერისას – მოთეთრო-ცვილისებრი შიგთავსი. დაზიანებულ ადგილებში ბალანი ხუჭუჭდება და ცვივა, კანი გასქელებულია. ქავილი არ აღინიშნება.

დემოდექსი (Demodex; ბერძნ. demoiος ცხიმი + dexis მკვეზავი) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Demodecidae**-ს ოჯახს, **Trombidiformes**-ის ქვერაზმს, **Acariformes**-ის რაზმს. **Demodex bovis, D.canis, D.equis, D.ovis, D.phylloides** და **D.folliculorum** – სახეობები, რომლებიც პარაზიტობენ, შესაბამისად, ძროხეულს, ძაღლის, ცხენის, ცხვრის, ღორისა და ადამიანის სხეულზე.

დერატიზაცია (ფრანგ. deratisation ვირთხების განადგურება; rat ვირთხა) – ღონისძიება, რომლის დანიშნულებაცაა თავგებისა და ვირთხების განადგურება.

დერმანისუსი (Dermanyssus; ბერძნ. derma კანი + nyssein ჩხვლეტა) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Dermanyssidae**-ს ოჯახს, **Gamasoidea**-ს ზეოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს. **Dermanyssus gallinae** (ლათ. **gallinae** ქათამი) – სახეობა, პარაზიტობს ფრინველის სხეულზე; ბინადრობს სინანთროპული ფრინველების საბუდარებსა და გარეული ფრინველების ბუდეებში. სისხლმწოვი ექტოპარაზიტი. ბორელიოზის, ორნიტოზის, ქოლერისა და ფრი-

ნველის ჭირის აღმძვრელების გადამტანი.

დერმატოზები (dermatoses; ბერძნ. **derma** კანი + **oses** დაავადებები) – კანის დაავადებები, რომლებიც ხშირია ინვაზიური დაავადებების (ონქოცერკოზი, სარკოპტოიდოზები და სხვ.) დროს.

დერმაცენტორი (Dermarcentor; ბერძნ. **derma** კანი + **kentein** ჩხვლეტა, დანესტვრა) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ოჯახს, **Ixodoidea**-ს ზეოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს. **Dermarcentor marginatus** (ლათ. მოვარაყებული) – სამმასპინძლიანი ტკიპი. ზრდასრული (იმაგო) ფორმები პარაზიტობენ ძროხეულის, ცხვრის, ცხენის სხეულზე, ლარვები და ნიმფები – მცირე მღრღნელებსა და ზღარბებზე. არის **Piroplasma caballi**-ს, **Nuttallia equi**-ს, **Anaplasma marginale**-ს, **A. ovis**-ის გადამტანი; **D. pictus** (ლათ. ლაქებიანი) – სამმასპინძლიანი ტკიპი. უპირატესად გავრცელებულია ტყიან ზონებში. იმაგო ფორმები პარაზიტობენ მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ცხენის, ღორის სხეულზე, ხოლო ლარვები და ნიმფები – მცირე ძუძუმწოვრებზე. არის **P. caballi**-ს, **P. canis**-ს, **N. equi**-ს, **A. marginale**-ს, ცხენის ენცეფალომიელიტის აღმძვრელის გადამტანი. გარდა ამისა, სავეტერინარო მიშენელობა გააჩნია **დ-ის** გვარის 12 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

დესტრობილიზაცია (destrobilatio; ლათ. **de** განზე + ბერძნ. **strobilus** ნაძვის გირჩა, სტრობილა) – ცესტოდების სეზონური ადაპტაციური რეაქციის ან მორფოლოგიური ადაპტაციის ფენომენი, რომელიც გამოიხატება ცესტოდას სხეულიდან მოუმწიფებელი (ზრდადაუსრულებელი) პროგლოტიდების მოწყვეტითა და გარემოში გამოტანით მასპინძელი ორგანიზმის სრული ან ნაწილობრივი შიმშილის შედეგად პარაზიტის ბინადრობის არეში მომხდარი ცვლილებების გამო.

დეფინიტური (საბოლოო) მასპინძელი – იხ. მასპინძელი

დეჰელმინთიზაცია (dehelminthisatio; ლათ. **de** გამოყოფა, მოცილება + ბერძნ. **helmins** ჭია) – ღონისძიებათა კომპლექსი,

რომელიც გულისხმობს ორგანიზმიდან ჰელმინთების გამოდევნას, მათ (კვერცხი, ლარვა, ზრდასრული ფორმა) მოსპობას ორგანიზმში ან გარემოში.

დიაპტომუსი (Diaptomus; ბერძნ. diaptoma შეცდომა) – მცირე კიბოსებრების გვარი; მიეკუთვნება Copepoda-ს რაზმს (იხ. ნიჩაბფეხიანი კიბოსებრები).

დიგენეა (Digenea; ბერძნ. dis ორჯერ + genea დაბადება, წარმოქმნა, განვითარება) – Trematoda-ს კლასის სინონიმი.

დითირიდია (dithyridia; ბერძნ. dis ორჯერ + thyra კარი) – ძეწკვეურების ლარვული ფორმა, რომელსაც მოგრძო სხეული და ინვაგინირებული (ჩაბრუნებული) თავი აქვს.

დიკრანოტენია (Dicranotaenia; ბერძნ. dis + taenia ლენტი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება Hymenolepididae-ს ოჯახს. **Dicranotaenia coronula** (ლათ. corona გვირგვინი) და **D.collaris** (ლათ. collum ყელი) – სახეობები, პარაზიტობენ იხვისა და ბატის ნაწლავებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები. ამ ოჯახის სხვა ცესტოდებთან ერთად დ. არის ჰიმენოლეპიდიდოზების აღმძვრელი.

დიკროცელიოზი (Dicrocoeliosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Dicrocoelium + ბერძნ. osis დაავადება) – შინაური და გარეული ბალახისმჭამელი ცხოველების ჰელმინთოზი. **Dicrocoelium lanceatum** – სახეობა, პარაზიტობს ნაღვლის ბუშტსა და ღვიძლის ნაღველსადინარებში. უპირატესად ავადდებიან მცოხნელი ცხოველები – ცხვარი, თხა, ძროხა, კამეჩი, აქლემი, ირემი და სხვ. დაავადება გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით, სამხრეთის ქვეყნებში. ინტენსიური დაინვაზიების დროს აღინიშნება დაკნინება, ფაღარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება. მატყლი მსხვრევადი ხდება, ცვივა. გულმკერდისა და ღაბბის მიდამოში შემოშუპება ჩნდება. ფურები წველადობას ამცირებენ. მოზარდეულის დაავადება ხილული კლინიკური ნიშნების გარეშე მიმდინარეობს. სამ წელზე მეტი ასაკის ცხვარი ძლიერ გამხდარია.

დიკროცელიუმი (Dicrocoelium; ბერძნ. dicroos ორმაგი, დატოტვილი + koilia ღრუ) – ტრემატოდას გვარი. **Dicrocoelium**

lanceatum (ლათ. **lancea** შუბი, წვეტი, ბასრი) – სახეობა, პარაზიტობს ნადვლის ბუშტსა და ღვიძლის ნადველსადინარებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – ჭიანჭველები. ბალახისმჭამელი ცხოველების დიკროცელიოზის აღმძვრელი.

დიოქტოფიმატა (Dioctophyme; ბერძნ. dioktes დენა + phyma ბორცვი, ნასკვი, სიმსივნე) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Dioctophymata**-ს ქვერაზმს. **Dioctophyme renale** (ლათ. **renalis** თირკმლის) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლისა და ბეწვიანი ნადირის, ნაკლებად ღორის, ცხენის, ძროხის, ადამიანის თირკმელებში, შარდის ბუშტში, მუცლის ღრუში, იშვიათად, სხვა ორგანოებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მცირეჯაგრიანი ჭიები-ოლიგოხეტები, რეზერვ. მასპინძ. – თევზები. დიოქტოფიმოზის აღმძვრელი.

დიოქტოფიმოზი (dioctophymosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Dioctophyme + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების, იშვიათად ღორის, ცხენის, ძროხის, ადამიანის ჰელმინთოზი. **Dioctophyme renale** – სახეობა, პარაზიტობს შარდის ბუშტში, თირკმელებში, იშვიათად მუცლის ღრუს სხვა ორგანოებში. დ. შესაძლოა არ გამოვლინდეს, ვიდრე მეორე თირკმელი ახდენს დაზიანებული თირკმელის კომპენსირებას. ორივე თირკმლის დაზიანების შემთხვევაში ფერხდება ცხოველის ზრდა-განვითარება, იგი გამხდარია. შემდეგ ვითარდება თირკმელის უკმარისობა და ნერვული მოვლენები, ზოგჯერ – შარდის შეკავება. ცხოველი ურემიის შედეგად იღუპება.

დიპეტალონემა (Dipetalonema; ბერძნ. dis ორჯერ + petalon ფურცელი + nema ძაფი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Setariidae**-ს ოჯახს, **Filariata**-ს ქვერაზმს. **Dipetalonema evansi** (ვეტერინარი ექიმის ევანსის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს აქლემის გულის, ფილტვის, სათესლე ჯირკვლებისა და საშვილოსნოს სისხლძარღვებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კოლო. დიპეტალონემოზის აღმძვრელი.

დიპეტალონემოზი (dipetalonemosis; აღმძვრელის გვარის

დასახელება **Dipetalonema** + ბერძნ. **osis** დაავადება) – აქლემის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელია – **Dipetalonema evansi**. დ. სუბკლინიკური ფორმით მიმდინარეობს. დაავადებული ცხოველი მოდუნებულია. მადა შენარჩუნებულია, მაგრამ ცხოველი გამხდარია. მატყლი ბზინვარებას კარგავს. ზოგჯერ აბორტი ვითარდება.

დიპილიდიოზი (dipylidiosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Dipylidium + ბერძნ. osis) – ხორცისმჭამელი ცხოველების, იშვიათად, ადამიანის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი – Dipylidium caninum პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. დ-ით უპირატესად ძაღლები და კატები ავადდებიან. სუსტი ინვაზიის დროს კლ. ნები გამოსატყული არ არის. ძლიერი დაინვაზიებისას აღინიშნება პირღებინება, გაუკუღმართებული მადა, სიგამხდრე, სისუსტე, ნერვული მოვლენები. დ. ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს.

დიპილიდიუმი (dipylidium; ბერძნ. dis ორჯერ + pylis მცირე შესასვლელი) – ცესტოდას გვარი; მიეკუთვნება Dipylidiidae-ს ოჯახს. Dipylidium caninum – სახეობა, პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველებისა და ადამიანის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – რწყილებისა და ბალანჭამიების ლარვული და ზრდასრული ფორმები. დიპილიდიოზის აღმძვრელი.

დიპლოზოონი (Diplozoon paradoxum; ბერძნ. diploos ორმაგი + zoon ცხოველი და paradoxos უცნაური) – მონოგენიების სახეობა; მიეკუთვნება Discocotylidae-ს ოჯახს, Mezocraeidea-ს რაზმს. დამახასიათებელია ორი ინდივიდის შეზრდა.

დიპლოზოონოზები (diplozoonoses; აღმძვრელის გვარის დასახელება Diplozoon + ბერძნ. oses) – მტკნარი წყლის თევზების ჰელმინთოზები. აღმძვრელები – Diplozoon-ის გვარის, Monogenea-ს კლასის მწოველები პარაზიტობენ მტკნარი წყლის თევზების ლაყუჩებზე. დ-ები გავრცელებულია დალამულ, სუსტი ღინების მქონე წყალსატევებში, სატბორე მეურნეობებში. უპირატესად ავადდება მოზარდული. დაავადებული თევზის

ლაყუჩების ფურცლების მთლიანობა დარღვეულია, რის გამო ისინი კარგავენ ელასტიკურობას, ქვეითდება ნივთიერებათა ცვლის ფუნქცია.

დიპტერა (Diptera; ბერძნ. dis ორჯერ + pteron ფრთა) – მწერების რაზმი (იხ. ორფრთიანები).

დიროფილარია (Dirofilaria; ლათ. dirus საშინელი + filum ძაფი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Filariidae-ს ოჯახს.

დ-ები ცოცხალმშობები არიან. **Dirofilaria immitis** – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის გულის მარჯვენა პარკუჭში, ფილტვის არტერიაში, ბრონქებში; **D.repens** (ლათ. ახალი) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის კანქვეშა უჯრედისში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კოლო. დიროფილარიოზის აღმძვრელები.

დიროფილარიოზი (dirofilariosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Dirofilaria + osis დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Dirofilaria**-ს გვარის ნემატოდები პარაზიტობენ სისხლძარღვთა სისტემაში ან კანქვეშა უჯრედისში. **დ.** უპირატესად გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. გულის დაინვაზიებისას აღინიშნება ქრონიკული სველა, ცხოველი ძლიერ ხდება. ვითარდება გულის უკმარისობის ნიშნები: გართულებული სშირი სუნთქვა, შუილი გულში, კოლაფსი – დატვირთვის შემდეგ. შეიმჩნევა ნაწლავების დახშობის, ასციტის, ფილტვების, თირკმელებისა და სხეულის სხვადასხვა უბნის შეშუპების მოვლენები. ზოგჯერ აღინიშნება ეკზემატოზური დერმატიტი ქავილით. კანქვეშა უჯრედისის **დ-ის** დროს ქვეითდება მადა, ნაკვებობა, ცხოველი სწრაფად იღლება. სშირად მას თავი მიტრიალებული აქვს ერთ მხარეს, ვითარდება კიდურების პარეზი, ზოგჯერ – ასციტი. ცხოველი იღუპება ძლიერი კახექსიისა და სრული დამბლის განვითარების შედეგად.

დისფარინქსი (Dispharynx; ბერძნ. dis ორჯერ + pharynx ხახა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Acuariidae-ს ოჯახს, **Spirurata**-ს ქვერაზმს. **Dispharynx nasuta** (ლათ. nasus ცხვირი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის,

ხოხბის, გარეული ფრინველის ჯირკვლოვანი კუჭის, საყლაპავი მილის კედელში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ოფა. დის-ფარინქსოზის აღმძვრელი.

დისფარინქსოზი (dispharynxosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Dispharynx** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Dispharynx nasuta** პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის, ხოხბის, გარეული ფრინველის ჯირკვლოვანი კუჭის, საყლაპავი მილის კედელში. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. ძლიერი დაინვაზიებისას ფრინველი დასუსტებულია, ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში, ვითარდება პროგრესირებადი სიგამხდრე, რაც ფრინველის სიკვდილით მთავრდება.

დიფილობოთრიოზი (diphyllobothriosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Diphyllobothrium** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ადამიანისა და ხორცისმჭამელი ცხოველების ჰელმინთოზი. გავრცელებულია კერობრივად, უპირატესად – ჩრდილოეთის ქვეყნებში, სადაც მდორე დინების მქონე მდინარეებია.

დიფილობოთრიოზი (Diphyllobothrium; ბერძნ. **dis** ორჯერ + **phyllon** ფოთოლი + **botrion** ღრმული) – ლენტურების გვარი. **Diphyllobothrium latum** (ფართო ლენტურა, ლათ. **latus** ფართო) – სახეობა, პარაზიტობს ადამიანის, აგრეთვე ძაღლის, კატის, ყარსალის, კვერნას წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კიბო-ციკლოპები, დამატ. მასპინძ. – მტკნარი წყლის თევზები. დიფილობოთრიოზის აღმძვრელი.

დიქტიოკაულოზი (dictyocaulosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Dictyocaulus** + **osis** დაავადება) – მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Dictyocaulus**-ის გვარის სახეობები პარაზიტობენ ბრონქებსა და ტრაქეაში. უპირატესად ავადდება ერთ წლამდე ასაკის მოზარდეული. ჩვეულებრივ, დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: გართულებული სუნთქვა, ხველა, ქოშინი, ხიხინი ფილტვებში. ცხვირიდან სეროზულ-ჩირქოვანი გამონადენია, რომელიც ხმება და ქერქები წარმოიქმნება. ლორწოვანი გარსები ციანოზურია, ყბათაშორის არეში, ქუთუთოებზე, ტუჩებსა და

ლაბაბის მიდამოში, იშვიათად კიდურებზე შეშუპებები ჩნდება. გულის მუშაობა სუსტდება, ხშირად ფალარათი ვითარდება. ცხოველი თანდათან ხდება, სუსტდება, მატყლი ბზინვარებას კარგავს. ცხოველი იღუპება სრული სიგამხდრის ან ჰელმინთის გროვებით სასუნთქი გზების დახშობის შედეგად.

დიქტიოკაულუსი (Dictyocaulus; ბერძნ. **diction** ბადე + **kaulos** ღერო) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერაზმს. პარაზიტობს მცოხნელი ცხოველების, ცხენების ტრაქეასა და ბრონქებში. დიქტიოკაულოზის აღმძვრელება:

- **Dictyocaulus filaria** (ლათ. **filum** ძაფი) – ცხერისა და თხის პარაზიტი;

- **D.viviparus** (ლათ. **vivus** ცოცხალი, სიცოცხლისუნარიანი + **parere** შობა, გაჩენა) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის პარაზიტი;

- **D.eckerti** (ამერიკელი პარაზიტოლოგის ჯ.ეკერტის პატივსაცემად) – ჩრდილოეთის ირმების პარაზიტი;

- **D.arnfieldi** (ჰელმინთოლოგ არნფიელდის პატივსაცემად) – ცხენის პარაზიტი;

- **D.cameli** (ლათ. **camelus** აქლემი) – აქლემის პარაზიტი.

დრაკუნკულოზი (dracunculosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Dracunculus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ძალღის, ცხენის, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Dracunculus medinensis** პარაზიტობს კანქვეშა უჯრედისში. დ. ფართოდაა გავრცელებული ავღანეთში, ირანში, ერაყში, აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. დაავადება დასნებოვნებიდან 8-12 თვის შემდეგ ვლინდება. კანზე, უმეტესად კიდურების მიდამოში, მოწითალო ფერის ბუშტები ჩნდება, რომლებიც ჩირქდება; მეორეული მიკროფლორით დაინფიცირებისას კანქვეშა უჯრედისში ანთებითი პროცესი ვითარდება, ხოლო დაავადების გართულებისას – კანის, კუნთების, მყესებისა და სახსრების ფიბროზი.

დრაკუნკულუსი (Dracunculus; ბერძნ. გველი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Camallanata**-ს ქვერაზმს. **Dracunculus**

medinensis (ლათ. სამედიცინო) – სახეობა, პარაზიტობს ცხოველებისა და ადამიანის კანქვეშა უჯრედისში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები. დრაკუნკულოზის აღმძვრელი.

დრაშეია (Drascheia; ავსტრიელი მეცნიერის დრაშეს პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spiruridae**-ს ოჯახს, **Spirurata**-ს ქვერანს. კენტჩლიქიანი ცხოველების პარაზიტი. **Drascheia megastoma** (ბერძნ. **megas** დიდი + **stoma** პირი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის, სახედრის, ჯორის, ჯორცხენას კუჭის ჯირკვლოვან ნაწილში. **დ-ას** ლარვები ცხენის კანის დრაშეიოზს იწვევენ.

დრაშეიოზი (drascheiosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Drascheia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხენის, სახედრის, ჯორის, ჯორცხენას ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელის – **Drascheia megastoma**-ს ზრდასრული ფორმები პარაზიტობენ კუჭის კედელში, მათი ლარვები – კანში. **დ.** გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით, სამხრეთის ქვეყნებში. კუჭის ფორმის დროს აღინიშნება გასტროენტერიტის ნიშნები, პროგრესირებადი სიგამხდრე, ზოგჯერ – ჭვლები. კანის ფორმის დროს, რომელიც წლის ცხელ პერიოდში ვითარდება, ზურგის, კისრისა და კიდურების მიდამოებში დაწყულელებული უბნები („ზაფხულის წყლულები“) ჩნდება.

დრეპანიდოტენია (Drepanidotaenia; ბერძნ. **drepanon** ნამგალი, მრუდე ხმალი + **taenia** ლენტე) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Hymenolepididae**-ს ოჯახს. **Drepanidotaenia lanceolata** (ლათ. **lanceolatus** ლანცეტისებრი) და **D.przewalski** (რუსი მეცნიერი ნ.პრევევალსკის პატივსაცემად) – სახეობები, პარაზიტობენ ბატის, იხვის, ჭაობისა და წყალმცურავი გარეული ფრინველის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის კიბოსებრები. დრეპანიდოტენიოზის აღმძვრელები.

დრეპანიდოტენიოზი (drepanidotaeniosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Drepanidotaenia** + ბერძნ. **osis** დაავადება)

– შინაური და გარეული წყალმცურავი ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Drepanidotaenia lanceolata** და **D.przewalski** პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. **დ-სათვის** დამახასიათებელია ნერვული სისტემის დაზიანება. მოზარდეულში დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს. ჭუჭყულები დასუსტებულები არიან. მათ აღენიშნებათ პროფუზური ფალარათი, პროგრესირებადი სიგამხდრე, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა. ისინი ტაატით დადიან, თავი უკან აქვთ გადაგდებული ან ქანქარასებრად ამოძრავებენ. ნერვულ მოვლენებს თან სდევს ჩონჩხის კუნთების დაძაბვა შემდგომი დამბლით, რაც სიკვდილით მთავრდება. უფროსი ასაკის ფრინველში **დ.** ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. აღენიშნება დამაუძლურებელი ფალარათი, რის გამოც ფრინველი ძლიერ გამხდარია.

ე

ედეაგუსი (aedeagus; ბერძნ. aidoia სასქესო ორგანოები) – ფალოსი (პენისი) – წარმონაქმნი მწერების მამრი ინდივიდების მუცლის მეცხრე სეგმენტზე.

ედემაგენა (Oedemagena) – კანქვეშა ბორების გვარი (იხ. ჰიპოდერმატიდები).

ედემაგენოზი (oedemagenosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Oedemagena + ბერძნ. osis დაავადება) – ენტომოზური დაავადება. აღმძვრელი, კანქვეშა ბორას – **Oedemagena tarandi**-ის ლარვა პარაზიტობს ჩრდილოეთის ირმის შემაერთებელ კუნთოვან ქსოვილსა და კანქვეშა უჯრედისში ზურგის, გავისა და თქოს მიდამოებში. უპირატესად ავადდება მოზარდეული, ავადმყოფი და გამხდარი ცხოველი. სიმპტ.: ოქტომბრიდან მაისის ჩათვლით ფისტულების გაჩენა ზურგისა და გავის მიდამოებში. ფისტულების ადგილები ცხელია და ხელის დაჭერით – მტკივნეული. მათ ირგვლივ ბალანი აბურძღნულია და დასვრილია შემხმარი გამონადენით. დაავადებული ირემი ნაკლებად მოძრაობს, ხშირად ისვენებს, გამხდარია, ჩამორჩება ჯოგს.

ეზოფაგოსტომა (Oesophagostomum; ბერძნ. **oesophagos** საყლაპავი + **stoma** პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერაზმს. სახეობები:

- **Oesophagostomum dentatum** (ლათ. **dentatus** დაკბილული) – ღორის პარაზიტი;

- **Oes.columbianum** (კოლუმბია) – მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის პარაზიტი;

- **Oes.venulosum** (ლათ. **venula** ამცირებს, **vena** ვენა) – ცხერის, თხისა და აქლემის პარაზიტი;

- **Oes.radiatum** (ლათ. სხივოსანი) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის პარაზიტი.

ეზოფაგოსტომოზის აღმძვრელები პარაზიტობენ ნაწლავებში. გეოჰელმინთები.

ეზოფაგოსტომოზი (oesophagostomosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Oesophagostomum** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მცოხნელი ცხოველებისა და ღორის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელები – **Oesophagostomum**-ის გვარის ნემატოდები პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში. სიმპტ.: ფაღარათი სისხლისა და ღორწოს მინარეგებით, დაქვეითებული მადა ან საკვების არმიღება, სიგამხდრე, ზოგჯერ ჭვლები, ანემია, შესაძლებელია სხეულის ტემპერატურის მატება.

ეიმერია (Eimeria; გერმანელი მეცნიერის თ.ეიმერის პატივსაცემად) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Eimeriidae**-ს ოჯახს, **Sporozoa**-ს კლასს, **Apicomplexa**-ს ტიპს. **ეები** პარაზიტობენ მრავალი სახეობის ცხოველისა და ფრინველის ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში, ასევე, ბაჭის თირკმელებში, ბოცვრის ღვიძლში. მათ ახასიათებთ სპეციფიკურობა მასპინძლის სახეობისა და ბინადრობის ადგილის მიმართ. **ეებს** განვითარების რთული ციკლი აქვთ. მასპინძლის ორგანიზმში ისინი განვითარების მეროგონიისა და გამეტოგონიის სტადიებს გადიან. გარემოში გამოიყოფიან ფეკალთან ერთად მოუმწიფებელი ოოცისტების სახით. ხელშემწყობი პირობების შემთხვევაში ოოცისტებში მიმდინარეობს სპორულირების პროცესი და ისინი

ინვაზიურ სტადიას 1-4 დღის განმავლობაში აღწევენ. ცხოველების ორგანიზმში რამდენიმე სახეობის ეიმერია პარაზიტობს. მაგ. ხბოს ორგანიზმში პარაზიტობს 10-ზე მეტი სახეობა, რომელთაგან განსაკუთრებით პათოგენურებია – **Eimeria zuernii** და **E.bovis**; ცხვრის ორგანიზმში – რვა სახეობა, მათგან ძალზე პათოგენურებია – **E.arloingi** და **E.ninaekohljakimovae**; ქათმის ორგანიზმში – 10 სახეობა, რომელთაგან ფართოდ გავრცელებული სახეობებია – **E.tenella** და **E.acervulina**.

ეიმერიოზები (Eimerioses; აღმძვრელის გვარის დასახელება **Eimeria** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ბოცვრის, ფრინველისა და მრავალი სახეობის ცხოველების ინვაზიური დაავადებები, რომელთა აღმძვრელებია **Eimeria**-ს გვარის უმარტივესები. გავრცელებულია ყველგან. განსაკუთრებით მძიმე ფორმით ავადდება მოზარდეული. სიმპტ.: უმადობა, ლორწოვანი გარსების ანემიურობა, თხიერი ფეკალი ლორწოს მინარევებით. თუ ეიმერიები ლოკალიზებენ მსხვილ ნაწლავებში, მაშინ ფეკალში სისხლის მინარევებიცაა. ვითარდება ნერვული მოვლენები: დაძაბუნება, კრუნჩხვა, ფრინველებს შესაძლოა განუვითარდეთ კიდურების პარეზი. დამახასიათებელია ავადმყოფი ცხოველისა და ფრინველის სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი.

ეკოლოგიური ნიშა (ბერძნ. **oikos** საცხოვრებელი, ადგილბინადრობა + ნიში) – ბიოცენოზში სახეობის (პოპულაციის) მიერ დაკავებული ადგილი, რომელსაც ბიოცენოზში განსაზღვრავს აღნიშნული სახეობის (პოპულაციის) ურთიერთქმედება, აგრეთვე კვებითი და კონკურენტული კავშირები სხვა პარტნიორებთან. ცნება – **ე. ნ.** ეხება პარაზიტულ ორგანიზმებსაც. მაგ., ნაწლავის პარაზიტები (ჰელმინთები, უმარტივესები, მიკროფლორა) და პლაზმის პარაზიტები (უმარტივესები, ჰელმინთები და მათი ლარვები) დაკავშირებული არიან გარკვეული ურთიერთობით. ცხოველისა თუ მცენარის ყველა სახეობას საკუთარი **ე. ნ.** აქვს.

ეკოსისტემა (ბერძნ. **oikos** საცხოვრებელი, ადგილბინადრობა

+ სისტემა) – ორგანიზმების (მცენარეები, ცხოველები, მიკროორგანიზმები, ვირუსები) დახურული, ფუნქციური ერთობლიობა, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზე ხანგრძლივად ბინადრობს.

ელეოფორა (Elaeophora; ბერძნ. elaiα ზეთის ხე, ზეთისხილი + phorein ტარება) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Filariidae-ს ოჯახს, Filariata-ს ქვერაზმს. Elaeophora poeli – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის აორტაში. ელეოფოროზის აღმძვრელი.

ელეოფოროზი (elaeophorosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Elaeophora + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი ნემატოდა – **Elaeophora poeli** პარაზიტობს აორტაში. გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აფრიკაში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ძროხეული ავადდება სუბკლინიკური ფორმით. ცხვარს თავზე უეითარდება ფილარიატოზული დერმატიტი, ხოლო კანის დაზიანებულ ადგილებში აქვს ქავილის შეგრძნება.

ელიმინაცია (eliminatio; ლათ. eliminare განდევნა) – ექსკრეტორული ორგანოებიდან ორგანიზმისათვის მავნე ნივთიერებების ან პარაზიტების გამოდევნის პროცესი.

ელიტრები (elytrum; ბერძნ. eliminare საფარი) – ზოგიერთი მწერის (განსაკუთრებით ხოჭოების) წინა და ზედა უფრო მაგარი ფრთების წყვილი, რომლის დანიშნულებაა უკანა ფრთების დაცვა.

ემბრიოფორი (embryophore; ბერძნ. embryon ემბრიონი + pherein დაბადება) – ძეწკვურების კვერცხის შიდა გარსი, რომელიც გარს აკრავს ჩანასახს (ონკოსფერას). ანოპლოცეფალიდების ემბრიოფორს მსხლისებრი ფორმა აქვს, ტენიიდებისას კი – რადიალურად დახაზული. მეზოცესტოიდების ემბრიოფორი ძალზე თხელია, ხოლო ჰიმენოლეპიდიდებისა – სქელი, მკვრივი.

ემპოდუმი (empodium; ბერძნ. en ში (წინსართი) + pus, podos ფეხი) – ორფრთიანი მწერების თათებზე არსებულ ორ ბრჭყალს შორის განთავსებული ცალი მისაწოვარი.

ენდემური (ბერძნ. endemos ადგილობრივი) – კონკრეტული

ადგილისათვის დამახასიათებელი.

ენდოდოგენია (**endodyogenia**; ბერძნ. **endon** შიგნით + **dyo** ორი + **genos** გვარი, წარმოშობა) – უმარტივესების (მაგ. ტოქსოპლაზმების) დაყოფის წესი, რა დროსაც მდედრი ინდივიდის გარსის ქვეშ ორი შვილეული ორგანიზმი ფორმირდება.

ენდოზოიტი (**endosoitis**; ბერძნ. **endon** შიგნით + **zoon** ცოცხალი არსება) – აპიკალური კომპლექსის ნაკრების მქონე კოქციდიების უსქესო, მოძრავი ფორმა, რომელიც არსებობს მასპინძლის ორგანიზმში ან ნაწლავის გარეთ.

ენდოპარაზიტები (**endoparasiti**; ბერძნ. **endon** შიგნით + **para** პარაზიტი) – პარაზიტები, რომლებიც მასპინძლის ქსოვილებსა და შინაგან ორგანოებში ბინადრობენ.

ენდოპლაზმა (**endoplasma**; ბერძნ. **endon** შიგნით + **plasma** გამოდერწილი, გაფორმებული) – უჯრედის ციტოპლაზმის უბანი, რომელიც გარს აკრავს ბირთვს. შეიცავს მრავალ ორგანოიდს.

ენდოპლაზმური ქსელი (**endocytoblastula**; ბერძნ. **endon** შიგნით + **plasma** გამოდერწილი, გაფორმებული და **reticulum** ქსელი; სინ. ციტოპლაზმური ქსელი, ენდოპლაზმური რეტიკულუმი) – მემბრანებით შემოზღუდული ვაკუოლების, მილაკებისა და ღრუების სისტემით წარმოდგენილი ორგანოიდი, რომელიც უზრუნველყოფს ციტოპლაზმაში ნივთიერებათა ტრანსპორტირებას.

ენდოპოლიგენია (**endopoligenia**; ბერძნ. **endon** შიგნით + **polis** მრავალი + **genos** გვარი, წარმოშობა) – უმარტივესების დაყოფის წესი, რა დროსაც მდედრი ინდივიდის გარსის ქვეშ დიდი რაოდენობით შვილეული ორგანიზმები გროვდება.

ენტომოზები (**entomoses**; ბერძნ. **entomon** მწერები) – ცხოველებისა და ადამიანის დაავადებები, გამოწვეული მწერების ან მათი ლარვების მიერ, რომლებიც პარაზიტობენ მასპინძლის სხეულზე ან მის ორგანიზმში. ე-ბი გავრცელებულია ყველგან. ისინი ასნებოვნებენ ყველა სახეობის ცხოველს, რის გამო მეცხოველეობის დარგი დიდ ეკონომიკურ ზარალს განიცდის.

ენტომოლოგია (**entomologia**; ბერძნ. **entomon** მწერი +

logos სწავლება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მწერებს. ბუნებაში მწერების ერთ მილიონზე მეტი სახეობაა. მრავალი მათგანი სასარგებლოა. ისინი ახდენენ ყვავილოვანი მცენარეების დამტვერვას, მონაწილეობენ ნიადაგწარმოქმნის პროცესში, საკვებად იყენებენ მკვდარი ორგანიზმის ორგანულ ნარჩენებს, რის შედეგად ასრულებენ სანიტარიულ ფუნქციებს, არიან მრავალი ხერხემლიანი ცხოველის კვების წყარო. ამასთან, მწერების მრავალი სახეობა სერიოზულ ზიანს აყენებს მეცხოველეობისა და მემცენარეობის დარგებს, ასევე, – ადამიანს. სავეტერინარო ენტომოლოგია შეისწავლის მავნებელ მწერებს, რომლებიც იწვევენ ცხოველების დაავადებებს ან არიან სხვადასხვა ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები.

ეპიოკია (ბერძნ. **epi** ზე, ზემოთ + **oikion** სახლი, საცხოვრებელი) – კომენსალიზმის ფორმა, როდესაც ერთი სახეობა დროებით ემაგრება მეორეს და იყენებს მას გადაადგილების მიზნით ან იკვებება მისი საკვების ნარჩენებით.

ესტრიდოზები (**Oestidoses**; აღმძვრელის ოჯახის დასახელება **Oestridae** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – ცხოველების ენტომოზები. მათი აღმძვრელება **Oestridae**-ს ოჯახის ცხვირ-სახის ბორების ლარვები, რომლებიც პარაზიტობენ ცხვირის ღრუსა და შუბლის წიაღში. განსაკუთრებით საყურადღებოა: ცხვირის ესტროზი, ცხენის რინესტროზი, აქლემის ცეფალოპინოზი, ჩრდილოეთის ირმის ცეფენომიოზი (იხ. ღრუს ბორები). **ე-ბი** ქრონიკული ფორმით მიმდინარეობენ. ბორების ლარვებით დაინვაზიებისთანავე ცხოველი აცემინებს, ფრუტუნებს, თავს იქნევს, ცხვირს უხახუნებს სხვადასხვა საგნებს. ცხვირიდან სისხლის შემცველი სეროზულ-ლორწოვანი გამონადენია, ხოლო სუნთქვა – გართულებული. ზაფხულის ბოლოს ბორების ფრენის პერიოდი მთავრდება და დაავადების გამოვლენა წყდება. გაზაფხულის მოახლოებასთან ერთად ცხვირ-სახის არეში არსებული ლარვები ანახლებენ ზრდა-განვითარებას და დაავადების მიმდინარეობა მწვავედება. ამ დროს დამახასიათებელია ცხვირიდან სეროზულ-ჩირქოვანი გამონადენი, კრუნჩხვითი ხველა, პირით სუნთქვა,

საკვებისა და წყლის მიღების გართულება. ცხოველი გამხდარია. პალპაციისას ხახა მტკივნეულია. შესაძლებელია ცხოველი ასფიქსიის გამო დაიღუპოს.

ეუკოლეუსი (Eucoleus; ბერძნ. eu ლამაზი, კარგი + koleos საშო) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Capillariidae-ს ოჯახს, Tichocephalata-ს ქვერანზს. Eucoleus annulatus (ლათ. რგოლიანი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ხოხობის, კაკბის, სხვა ფრინველების პირის ღრუს, ჩიჩახვისა და საყლაპავი მილის კედლებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ჭიაყელები. ფრინველის ეუკოლიოზის აღმძვრელი.

ეუკოლიოზი (eucoleosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Eucoleus + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – Eucoleus annulatus პარაზიტობს პირის ღრუს, ჩიჩახვისა და საყლაპავი მილის კედლებში. გავრცელებულია ყველგან. ავადდებიან ქათმები, ინდაურები. სიმპტ. გართულებული ყლაპვის აქტი და სუნთქვა. შესაძლებელია ფრინველი დაიღუპოს.

ეურიტრემა (Eurytrema; ბერძნ. eurys ფართო + tremos მისაწოვარი) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება Dicrocoelidae-ს ოჯახს. Eurytrema pancreaticum (ბერძნ. pancreas კუჭქვეშა ჯირკვალი) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – კალიები. ეურიტრემატოზის აღმძვრელი.

ეურიტრემატოზი (eurytrematodes; აღმძვრელის გვარის დასახელება Eurytrema + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – Eurytrema pancreaticum პარაზიტობს მცოხნელი ცხოველების კუჭქვეშა ჯირკვალში, იშვიათად, – ღვიძლში. ფართოდ არის გავრცელებული, მათ შორის, კავკასიაში. სიმპტ.: ძლიერი სიგამხდრე, ქრონიკული ფაღარათი, შეშუპებები თავის, კისრისა და მკერდის მიდამოებში.

ეჩინოკოკი (Echinococcus; ბერძნ. echinos ეკალი, წვე-

ტი, ქაცვი + **kokkos** მარცვალი, თესლი) – ცესტოდას გვარნი; მიეკუთვნება **Taeniidae**-ს ოჯახს, **Taeniata**-ს ქვერაზმს. **Echinococcus granulosus** (ლათ. მარცვლოვანი) – სახეობა, რომლის ლენტისებრი სხეული (ზრდასრული ფორმა) ოთხი პროგლოტიდისაგან შედგება. ლოკალიზებს ძაღლის, მგლის წვრილ ნაწლავებში და იწვევს ხორცისმჭამელთა ექინოკოკოზს. **Echinococcus unilocularis** (ლათ. **unus** ერთი + **locus** ადგილი) – სინ. **Echinococcus granulosus larva** (ლათ. **larva** ლარვა) – ე-ის ლარვული (ბუშტოვანი) ფორმა, ლოკალიზებს მცოხნელი ცხოველების, ღორის, ადამიანის ღვიძლსა და ფილტვებში, იშვიათად, სხვა ორგანოებში. არჩევენ ექინოკოკის ბუშტების შემდეგ მორფოლოგიურ მოდიფიკაციებს:

- **E.veterinorum** – ბუშტის შიდა გარსზე გამოწყვანი კაფსულებია. ბუშტი ამოვსებულია სითხით, რომელშიც სკოლექსები. ამ მოდიფიკაციის ძირითადი მატარებელია ძროხა და ცხვარი, იშვიათად – ადამიანი;

- **E.hominis** – გამოწყვანი კაფსულების, სკოლექსების და სითხის გარდა ბუშტში ვითარდება მეორეული (შვილეული), მესამეული (შვილიშვილეული) ბუშტები. ამ მოდიფიკაციის მატარებელია ადამიანი;

- **E.acephalocysticus** – აცეფალოცისტები. ბუშტები, რომელთაც გამოწყვანი კაფსულები და სკოლექსები არ გააჩნიათ.

ე-ის ლარვოცისტები (echinococcus larvalis) სას. – სამ. ცხოველებისა და ადამიანის ლარვულ ექინოკოკოზს იწვევენ. გავრცელებულია ყველგან.

ექინოკოკოზი (echinococcosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **echinococcus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხოველებისა და ადამიანის დაავადება, რომლის გამომწვევი – **Echinococcus granulosus** (ლარვული ფორმა) ლოკალიზებს სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში. ექინოკოკის ამავე დასახელების ზრდასრული (ლენტისებრი) ფორმები პარაზიტობენ ძაღლის, სხვა ხორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. ლარვული ექინოკოკოზის დროს კლ. ნ-ები დამოკიდებუ-

ლია ლარვოციისტების ლოკალიზების ადგილზე. ექინოკოკოზი სუბკლინიკურად მიმდინარეობს. ავადმყოფი ცხოველი გამხდარია, პროდუქტიულობა – შემცირებული. ღვიძლის დაზიანებისას ირღვევა საჭმლის მონელების ფუნქცია. ფილტვის დაზიანებისას ვითარდება ხველა, სუნთქვა გართულებულია. ზოგჯერ ცხოველი კანექსიისაგან იღუპება.

ექინოპარიფიუმი (Echiniparyphium; ბერძნ. echinos ეკლიანი, მჩხვლეტავი + parife კიდე) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება Echinostomatidae-ს ოჯახს. Echiniparyphium recurvatum (ლათ. recurvatus უკანმხარეს მოხრილი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმებისა და წყალმცურავი ფრინველის ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – ბაყაყი. Echinostomatidae-ს ოჯახის სხვა ტრემატოდებთან ერთად არის ფრინველის ექინოსტომატიდოზების აღმძვრელი.

ექინოსტომა (Echinostoma; ბერძნ. echinos ეკლიანი, მჩხვლეტავი + stoma პირი) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება Echinostomatidae-ს ოჯახს, Echinostomatata-ს ქვერჯს. Echinostoma revolutum (ლათ. revolve დაბრუნება) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, იხვის, ბატის, გარეული წყალმცურავი ფრინველის ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. და დამატ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები.

ექინოსტომატიდოზები (echinodtomatidoses; აღმძვრელის ოჯახის დასახელება Echinostomatidae + ბერძნ. oses დაავადებები) – ჰელმინთოზები. აღმძვრელები – Echinostoma-ს, Echiniparyphium-ისა და სხვა გვარების ტრემატოდები პარაზიტობენ იხვის, ბატის, გარეული წყალმცურავი ფრინველის, იშვიათად, ქათმის, ინდაურის ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად მოზარდეული ავადდება. სიმპტ.: მადის დაკარგვა, ფალარათი, სიგამხდრე, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა, კვერცხდების შემცირება.

ექინოქასმუსი (Echinochasmus; ბერძნ. echinos ეკლიანი, მჩხვლეტავი + kasma ხვრელი) – ტრემატოდების გვარი; მიე-

კუთვნიება **Echinostomatidae**-ს ოჯახს. **Echinochasmus perforiatus** (ლათ. ფოთლებით დაფარული) – სახეობა, პარაზიტობს მტაცებელი ცხოველების, ღორის, ადამიანის ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – თევზი.

ექინურია (Echinuria; ბერძნ. echinos ეკლიანი, მჩხვლეტავი + ura კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Acuariidae-ს ოჯახს, Spirurata-ს ქვერაზმს. Echinuria uncinata (ლათ. კაუჭისებრი) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, გედის კუჭის კედელში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – დაფნიები (დატოტვილუვაშიანი წყლის კიბოსებრები – წყლის რწყილები). ფრინველის ექინურიოზის აღმძვრელი.

ექინურიოზი (echinuriosis; ბერძნ. აღმძვრელის გვარის დასახელება Echinuria + ბერძნ. osis დაავადება) – შინაური და გარეული წყალმცურავი ფრინველების ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი, ნემატოდა – Echinuria uncinata პარაზიტობს ჯირკვლოვან კუჭში. სიმპტ.: ზოგადი სისუსტე, ღორწოვანი გარსებისა და კანის საფარველის ანემიურობა და სიყვითლე, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის აშლილობა, გართულებული ყლაპვა, სიგამხდრე.

ექსცისტირება (ლათ. ex გარეთა, kystis პარკი, ბუშტი) – ცისტიდან უმარტვესების ვეგეტაციური სტადიის გამოსვლის პროცესი.

ექტოპარაზიტები (ectoparasiti; ბერძნ. ektos გარეთ + პარაზიტი) – პარაზიტები, რომლებიც მასპინძლის სხეულზე ბინადრობენ.

ექტოპლაზმა (ektoplasma; ბერძნ. ektos გარე + პლაზმა) – უმარტივესების ციტოპლაზმის გარე შრე.

3

ვაკუოლი (vacuola cellularis; ლათ. vacuus ცარიელი, cellula უჯრედი) – ერთ- და მრავალუჯრედიანი ცხოველებისა და

მცენარეების სხვადასხვა ფორმისა და ზომის ღრუ, რომელიც ამოვსებულია სითხით. ერთუჯრედიან ორგანიზმებში ვაკუოლი საჭმლის მონელებისა და გამომყოფ ფუნქციებს ასრულებს.

ვალვა (valvae; ლათ. კარის დარაბა, საგდული) – 1. მრავალი მამრი მწერის მუცლის მეცხრე სეგმენტის გვერდითი დანამატები, რომლებიც კოპულაციის დროს მდედრის მუცლის ბოლოს დამჭერ ფუნქციას ასრულებენ; 2. სარქველის დარაბები, რომლებიც იქსოდური ტკიპების ანალურ ხვრელს ხურავენ.

ვეზიკულა (vesicula; ლათ. ბუშტუკი) – კუტიკულური ამობურცულობა ზოგიერთი ნემატოდას (ოქსიურატებისა და ტრიქოსტრონგილიდების გვარების) თავის ბოლოზე. ვეზიკულა ხელს უწყობს მასპინძლის ქსოვილებზე პარაზიტის მტკიცე ფიქსაციას.

ვერმიპსილა (vermipsylla) – რწყილების გვარი (იხ. რწყილები).

ვოლფარტიოზი (wohlfahrtiosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Wohlfahrtia + ბერძნ. osis დაავადება) – ენტომოზური დაავადება. ცხვრის ჭრილობის დაჭიანება, გამოწვეული ჭრილობაში ბუზის – **Wohlfahrtia magnifica**-ს ლარვების პარაზიტობით. გავრცელებულია თბილი და ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. სიმპტ.: მოუსვენრობა, სხეულის ტემპერატურის მატება, სიგამხდრე; ქავილი და ტკივილი ჭრილობაში, სადაც ბუზის ლარვები ლოკალიზებენ. ავადმყოფი ცხვრები კბილებით ღრღნიან ჭრილობას, ცუდად ძოვენ, ჩამორჩებიან ფარას, გამხდრები არიან და არცთუ იშვიათად, იღუპებიან.

ვოლფარტის ბუზი (Wohlfahrtia magnifica; Wohlfahrt – გერმანელი მეცნიერის ვოლფარტის პატივსაცემად და ლათ. **magnificus** საუცხოო, შესანიშნავი) – ცოცხალმშობი მწერი, რომელიც მიეკუთვნება **Sarcophagidae**-ს ოჯახს. ამ ბუზის ლარვები ცხვრის ჭრილობაში პარაზიტობენ და მის დაჭიანებას იწვევენ. ავადობენ, ძირითადად ცხვრები, იშვიათად – სხვა შინაური და გარეული ცხოველები. გავრცელებულია თბილი და ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში.

ზეპარაზიტიზმი (superparasitismus; ლათ. super ზე + parasitismus პარაზიტიზმი (იხ.) – მდგომარეობა, როდესაც ერთი პარაზიტი მეორე პარაზიტის სხეულში პარაზიტობს.

ზიგოსპორა (ბერძნ. zygon ულელი, რომელიც აერთებს ორ ცხოველს + spora სპორა, თესლი) – უსქესო სპორა, რომელიც წარმოქმნილია ორი ერთნაირი უჯრედის – გამეტის შერწყმის შედეგად.

ზიგოტა (ბერძნ. zygote დაწყვილებული, წყვილად შეერთებული) – ქრომოსომების ნაკრების შემცველი უჯრედი, რომელიც წარმოქმნილია ორი გამეტის (იხ.) შერწყმის შედეგად.

ზოიტები (zoites, zoon ცოცხალი არსება) – რთულად მოწყობილი ერთუჯრედიანი ორგანიზმები. კოქციდიების სასიცოცხლო ციკლში ისინი განვითარების მოძრავ ინვაზიურ რგოლს წარმოადგენენ. **ზ-ებს** სტრუქტურული წარმონაქმნები აქვთ, რომლებიც ხელს უწყობენ მათ შეღწევას და განსახლებას მასპინძლის უჯრედებში.

ზოოანთროპონოზები (zooanthroponoses; ბერძნ. zoon ცხოველი + anthropos ადამიანი + oses დაავადებები) – ძველი განმარტებით გადამდები დაავადებები, რომელთა აღმძვრელი ადამიანისაგან ხერხემლიან ცხოველს გადაეცემა (იხ. ზოონოზები).

ზოონოზები (zoonoses; ბერძნ. zoon ცხოველი + oses დაავადებები) – გადამდები დაავადებები, რომლებიც ბუნებრივ პირობებში სხვადასხვა ხერხემლიან ცხოველებსა და ადამიანს შორის ცირკულირებენ (იხ. ანთროპოზოონოზები და ზოოანთროპონოზები).

ზოოპარაზიტოლოგია (zooparasitologia; ბერძნ. zoon ცხოველი + parasitos პარაზიტი + logos სწავლება) – მეცნიერება ცხოველების პარაზიტების შესახებ, რომლებიც ცხოველების პარაზიტულ დაავადებათა აღმძვრელები არიან. მისი შემადგენელი მეცნიერებებია: ჰელმინთოლოგია, პროტოზოოლოგია, არაქნოლ-

ოგია და ენტომოლოგია.

თ

თავეკლიანები (Acanthocephalata) – იხ. აკანთოცეფალები.

თელიერია (შვედი მეცნიერის თელიერის პატივსაცემად) – უპიგმენტო უმარტივესები; მიეკუთვნებიან **Theileria**-ს გვარს, **Theileriidae**-ს ოჯახს, **Piroplasmida**-ს რაზმს. **თ-ები** ვითარდებიან მასპინძლების მონაცვლეობით. ტკიპების ორგანიზმში ისინი მრავლობითი დაყოფის (გამეტოგონია) გზით მრავლდებიან. ტკიპების მიერ მათი გადაცემა ხდება ტრანსფაზური გზით. ტკიპიდან თბილსისხლიანი ცხოველის ორგანიზმში მოხვედრისას, ისინი ჯერ ლიმფურ კვანძებში მრავლდებიან შიზოგონიის გზით და „ბროწეულისებრ სხეულებს“ (იხ.) წარმოქმნიან, შემდეგ ინაცვლებენ ერთოროციტებში, სადაც ბეჭდისებრი, მრგვალი, ოვალური, ჩხირისებრი, მსხლისებრი ან ჯვრისებრი ფორმა აქვთ. ერთოროციტში **თ-ების** რაოდენობა ერთიდან შვიდ ეგზემპლარამდე მერყეობს.

თელიერიოზი (theileriosis; theiler + ბერძნ. osis დაავადება) – შინაური და ზოგიერთი გარეული მცოხნელი ცხოველების ტრანსმისიული დაავადება, რომლის აღმძვრელება **Theileria**-ს გვარის უმარტივესები. **თ.** უპირატესად სამხრეთის ქვეყნებშია გავრცელებული და ხშირად ვლინდება სხვა ჰემოსპორიდოზულ დაავადებებთან ერთად. მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის თელიერიოზის აღმძვრელია ოთხი სახეობა. მათგან განსაკუთრებით ვირულენტურია – **Theileria annulata** და **Th.sergenti**, რომელთა გადამტანებია, შესაბამისად, **Hyalomma**-სა და **Haemaphysalis**-ის გვარების ტკიპები. სიმპტ.: ლიმფური კვანძების გადიდება, სხეულის ტემპერატურის მატება, გულსისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის მოშლა, წინაკუჭების ატონია, ანემია და ლორწოვანი გარსების სიყვითლე. ორი სახეობა – **Th.orientalis** და **Th.mutans** დაბალი ვირულენტობით ხასიათდება. მათ მიერ გამოწვეული **თ.** სუსტი ფორმით მიმდინარეობს და კლინიკურად ნაკლებად არის

გამონატული. ცხვრისა და თხის თეილერიოზის აღმძვრელია – **Th.ovis**.

თელაზია (Thelazia; ბერძნ. thelazien ძუძუს წოვა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spirurata**-ს ქვერაზმს. ბიოჰელმინთები. სახეობები:

- **Thelazia rhodesi** (აფრიკის სახელმწიფოს – როდეზიის მიხედვით) – პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის კონიუნქტივალურ პარკსა და მესამე ქუთუთოს ქვეშ. შუალედ. მასპინძ. – ბუზები (**Musca autumnalis, M.convexifrons, M.larvipara** და სხვ.);

- **Th.guloza** (ლათ. **gulosa** გაუმადლარი) – პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის საცრემლე ჯირკვლის სადინარებსა და ცხვირ-ცრემლის არხში. შუალედ. მასპინძ. – ბუზები (**M.autumnalis, M.larvipara** და სხვ.);

- **Th.skrjabini** (აკად. კ.სკრიაბინის პატივსაცემად) – პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის საცრემლე ჯირკვლების სადინარებში. შუალედ. მასპინძ. – ბუზები (**M.autumnalis, M.amica** და სხვ.).

აღნიშნულ სახეობათა გარდა ცნობილია – **Thelazia lacrimalis, Th. erschovi** და **Th.callipeda**, რომლებიც პარაზიტობენ, შესაბამისად, ცხენის, ღორისა და ძაღლის საცრემლე ჯირკვლის სადინარებში, ცხვირ-ცრემლის არხსა და კონიუნქტივალურ პარკში. ყველა მათგანი თელაზიოზის აღმძვრელია.

თელაზიოზი (Thelaziosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Thelazia + ბერძნ. osis დაავადება) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელებია **Thelazia**-ს გვარის ნემატოდები. ისინი პარაზიტობენ მესამე ქუთუთოს ქვეშ, კონიუნქტივალურ პარკში, საცრემლე ჯირკვლების სადინარებსა და ცხვირ-ცრემლის არხებში. გავრცელებულია ყველგან, ჩრდილოეთის ქვეყნების გარდა. სიმპტ.: ცრემლდენა, სინათლისადმი შიში, კონიუნქტივიტი, ქუთუთოების შეშუპება; მძიმე ფორმის დროს – კერატიტის, წყლულებისა და ლიბრის გაჩენა რქოვანაზე. კლ. ნ-ებით გამოხატული **თ.** საძოვრული

პერიოდის განმავლობაში ვლინდება.

თელამონი (ბერძნ. **telamon** დამჭერი ფირფიტა) – საყრდენი აპარატი, დამჭერი, რომელიც არის მამრი ნემატოდების კლოაკის უძრავი, შესქელებული ნაწილი. მისი დანიშნულებაა კლოაკის დაცვა დაზიანებისაგან სპიკულების მოძრაობის დროს. **თ.** დამახასიათებელია სტრონგილატების მრავალი სახეობისათვის, განსაკუთრებით ტრიქოსტრონგილიდებისა და პროტოსტრონგილიდებისათვის.

თიზანიეზია (**Thysaniezia**; ბერძნ. **thysanos** ვარაყი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Anoplocephalata**-ს ქვერაზმს. **Thysaniezia giardi** (ფრანგი პარაზიტოლოგის გიარდის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის, თხის, ძროხეულის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – თივაჭამია მწერები. თიზანიეზიოზის აღმძვრელი.

თიზანიეზიოზი (**thysanieziosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Thysaniezia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მცოხნელი ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – **Thysaniezia giardi** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. ფართოდ არის გავრცელებული, განსაკუთრებით, სამხრეთის ქვეყნებში. ავადობენ ბატკნები 6-8 თვიდან 1,5 წლის ასაკამდე, ასევე, უფროსი ასაკის ცხვრები და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი. სიმპტ.: სიგამხდრე, ლორწოვანი გარსების ანემია, ნერწყვდენა, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა.

თიზანოსომა (**Thysanosoma**; ბერძნ. **thysanos** ვარაყი + **soma** სხეული) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Avitellinidae**-ს ოჯახს, **Anoplocephalata**-ს ქვერაზმს. **Thysanosoma actinoides** (ბერძნ. **actin** სხივი + **eidōs** მსგავსი, გარეგნობა) – სახეობა, პარაზიტობს შინაური და გარეული მცოხნელი ცხოველების ღვიძლსა და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – საძოვრის ორიბატიდული ტკიპები. თიზანოსომოზის აღმძვრელი.

თიზანოსომოზი (**thysanosomosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Thysanosoma** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მცოხნელი

ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – **Thysanosoma actinoides** პარაზიტობს ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის სადინარებში. გავრცელებულია ამერიკის კონტინენტზე.

თომინქსი (thominx ბერძნ. thominx თოკი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Capillariidae**-ს ოჯახს, **Trichocephalata**-ს ქვერაზმს. **Thominx aerophilus** (ბერძნ. **aer** ჰაერი + **philos** მეგობარი) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, კატის, მელიის, სიასამურის, ყარსალის სასუნთქ გზებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ჭიკაყვლები. ბეწვიანი ნადირის თომინქსოზის აღმძვრელი; **Th.contorta** (ლათ. **contortus** დახვეული) – სახეობა, პარაზიტობს ფრინველის საყლაპავის, იშვიათად, კუჭის ლორწოვან გარსზე. გეოჰელმინთი. ფრინველის თომინქსოზის აღმძვრელი. უპირატესად, 1-4 თვის ასაკის მოზარდული ავადდება.

თომინქსოზი (thomynxosis; აღმძვრელის გვარის დასახელება thominx + ბერძნ. osis დაავადება) – ძუძუმწოვრებისა და ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელები, **Thominx**-ის გვარის ნემატოდები პარაზიტობენ სასუნთქ გზებში ან საყლაპავსა და კუჭში. გავრცელებულია ყველგან. ფრინველის თომინქსოზი, რომლის აღმძვრელია **Thominx contorta**, მძიმე ფორმით მიმდინარეობს ოთხ თვემდე ასაკის მოზარდულში. სიმპტ.: საყლაპავის დახშობა, საკვების მიღების შეწყვეტა, სიგამხდრე, ზოგადი სისუსტე, ქოშინი; ხორცისმჭამელების თომინქსოზის აღმძვრელი – **Thominx aerophilus** პარაზიტობს ძაღლის, კატის, ბეწვიანი ნადირის ტრაქეაში, ბრონქებში, ცხვირის ღრუში. სიმპტ.: ხველა, ცხვირის ცემინება, ზედაპირული, გართულებული სუნთქვა, რომელსაც ხიხინი ახლავს, მადის დაქვეითება, სიგამხდრე.

o

იდიოსომა (idiosoma; ბერძნ. idios ინდივიდუალური, განსხვავებული + soma სხეული) – იქსოდოიდური ტკიპების სხეულის უკანა, უსეგმენტო ნაწილი, რომელსაც თან ახლავს კიდურები. ამ ტკიპების სხეულის წინა ნაწილს გნათოსომა (იხ.) ეწოდება.

იზოგამეტები (ბერძნ. **isos** თანაბარი, ერთნაირი, **gamos** შეუღლება, ქორწინება) – უმარტივესების სასქესო ინდივიდები, რომლებიც ერთმანეთისგან მორფოლოგიურად არ განსხვავდებიან.

იზოგამია (ბერძნ. **isos** თანაბარი ერთნაირი, **gamos** შეუღლება, ქორწინება) – სქესობრივი გამრავლების სახეობა, რომელშიც ერთნაირი ზომისა და შენების გამეტები მონაწილეობენ.

იზოსპორა (**isospora**; ბერძნ. **isos** თანაბარი ერთნაირი + **spora** თესლი) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Eimeriidae**-ს ოჯახს, **Coccidiida**-ს რაზმს. ი. ხერხემლიანი ცხოველების უჯრედშიდა პარაზიტია. მისი გადაცემა ხდება ოოცისტების (იხ.) მეშვეობით, რომლებიც ავადმყოფი ცხოველის ორგანიზმიდან გამოიყოფა ფეკალთან ერთად. მომწიფებული ოოცისტა შეიცავს ორ სპოროცისტას (იხ.), ყოველ მათგანში ოთხ-ოთხი სპოროზოიტია (იხ.).

იმაგინალური სტადია – სქესობრივ სიმწიფეს მიღწეული სტადია.

იმაგო (ლათ. **imago** მსგავსი) – ტკიპებისა და მწერების განვითარების ზრდასრული, სქესმწიფე სტადია.

იმერსიული სისტემა (ლათ. **immersio** ჩაძირვა) – მიკროსკოპის ოპტიკური სისტემა (ობიექტივი), რომელსაც ძირავენ სასაგნე მინაზე დაფიქსირებულ და შეღებილ ნაცხზე დაწვეთებულ კედრის ზეთში. ი. ს-ით მიიღება საკვლევი მასალის მკაფიო გამოსახულება ღიდ გადიდებებზე. გამოიყენება ჰემოსპორიდიოზულ დაავადებათა (იხ.) მიკროსკოპიული დიაგნოსტიკის დროს.

იმუნიტეტი არასტერილური – იხ. პრემუნიცია.

იმუნიტეტი სტერილური – (**immunitas sterili**; ლათ. **immunitas** რაიმესაგან გათავისუფლება) – წარმოიქმნება დაავადების მოხდის ან იმუნიზაციის შემდეგ და ნარჩუნდება ორგანიზმში დაავადების აღმძვრელის არარსებობის დროს.

ინვაზია (ლათ. **invasio** თავდასხმა, შეჭრა) – ადამიანის, ცხოველების ან მცენარეების დაინვაზიება ცხოველური წარმოშობის პარაზიტებით, შემდგომში მასპინძელსა და პარაზიტს შორის

ურთიერთქმედების განვითარებით. **ი.** კლინდება პარაზიტული დაავადების განვითარებით ან პარაზიტმატარებლობით.

ინვაზიური დაავადებები – ის. პარაზიტული დაავადებები.

ინსექტიციდები (insectida; ლათ. insectum მწერი + caedere მოკვლა) – მავნებელი მწერების საწინააღმდეგო ქიმიური ნივთიერებები.

ინტოქსიკაცია (ლათ. **in** შიგნით + ბერძნ. **toxikon** შხამი) – ბაქტერიული ან ცხოველური წარმოშობის შხამებით მოწამვლა.

ინფუზორია (Infusoria; ლათ. infusum წყლიანი ნაყენი) – უმარტივესი ცხოველების კლასი. **ი-ები** მოძრაობენ წამწამების მეშვეობით. არჩევენ: – თავისუფლად მცხოვრები ინფუზორიები (ბინადრობენ წყალსატევებსა და ნიადაგში), სიმბიონტები და კომენსალები (ბინადრობენ მცოხნელი ცხოველების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში); – პარაზიტული ინფუზორიები: – ბალანტიდიები (აღამიანისა და ღორის პარაზიტები) და იქთიოფტირუსები (თევზის პარაზიტები).

ინცისტირება (ლათ. **in** შიგნით + **kystis** ბუშტი, პარკი) – ერთუჯრედიან ორგანიზმებზე, უმარტივესებზე მკვრივი გარსის წარმოქმნის პროცესი. ასეთი გარსი უზრუნველყოფს ერთუჯრედიანებისა და უმარტივესების სიცოცხლის უნარის შენარჩუნებას არახელსაყრელ გარემო პირობებში.

იუვენილური (ლათ. **juvenilus** ახალგაზრდული) – 1. იუვენილური ფორმები – მესუთე ასაკის ნემატოდების ლარვები; 2. იუვენილური ჰორმონი (**hormao** აღვავზნებ, ვამოძრავებ) – ნივთიერება, რომელიც ეწინააღმდეგება მწერების მეტამორფოზის პროცესს. იყენებენ როგორც მწერების საწინააღმდეგო ინსექტიციდურ საშუალებას.

იუვენოიდები (ლათ. **juvenoides; juvenilus** ახალგაზრდული) – მწერების ჰორმონების სინთეტიკური ანალოგები, რომლებიც მათი მეტაბოლიზმისა და ლარვების კანის ცვლის პროცესებს არღვევენ.

იქთიოფთირიოზი (ichthyophthiriosis; აღმძვრელის გვარის დასახელება + ბერძნ. osis დაავადება) – ავადებიან მტკნარი

წყლის (მ.შ. ტბორის) და ზღვის თევზები. ი. ვლინდება ლაყურების, ფარფლებისა და კანის ანთებით, რომლებიც მოფენილია მანანის ბურღლის მსგავსი მცირე ზომის თეთრი ხორკლებით. თევზი მოუსვენრდაა, ცურავს წრეზე. ძლიერი დაზიანებისას თევზი მოდუნებულია, მას კანი ნაფლეთებად ძვრება.

იქთიოფთირუსები (Ichthyophthirius; ბერძნ. ichthys თევზი + phthirus ტილი) – ინფუზორიების გვარი; მიეკუთვნება თანაბარწამწამიანების რაზმს. **ი-ების** სხეულის სიგრძე 0,5-1 მმ-ია. მას გააჩნია ნალისებრი ფორმის მაკრონუკლეუსი და მრავლობითი ვაკუოლები. დაავადება გავრცელებულია იმ წყალსატევებში, სადაც თევზებს შემჭიდროვებულ პირობებში ამყოფებენ. განსაკუთრებით მძიმე ფორმით ავადობს მოზარდეული გაზაფხულისა და ზაფხულის თევებში. სახიფათოა დაავადების აფეთქება საქვრიითე და გამოსაზამთრებელ ტბორებში.

იქსოდეს (Ixodes; ბერძნ. ჩაბლაუჭება, ჩაჭიდება) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს. **Ixodes ricinus** – სამმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია რუსეთის ევროპულ ნაწილსა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი ბიოტოპებია განსაკუთრებით მშრალი ნიადაგის მქონე ტყის ზონები, ბუჩქნარები. ზრდასრული ფორმები პარაზიტობენ მსხვილფეხსა და წვრილფეხს მცოხნელი პირუტყვის, ცხენის, გარეული ძუძუმწოვრებისა და ფრინველის სხეულზე, ლარვები და ნიმფები – წვრილ ძუძუმწოვრებზე. არის მსხვილფეხს მცოხნელი პირუტყვის ბაბეზიოზისა და ფრანსაიელოზის, ასევე, – მსხვილფეხს მცოხნელი პირუტყვისა და ცხერის ანაპლაზმოზის აღმძვრელების გადამტანი; **I.persulcatus** – სამმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტაიგის ზონაში. არის იგივე დაავადებათა, აგრეთვე ტაიგის ტკიპისმიერი ენცეფალიტის აღმძვრელების გადამტანი. გარდა აღნიშნულისა, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელებულია **ი-ეს** გვარის 12 სახეობა, რომელთაც სავეტერინარო მნიშვნელობა გააჩნიათ.

იქსოდიდური ტკიპები (Ixodidae; ბერძნ. ixodes ჩაბლაუჭება,

ჩაჭიდება + ბერძნ. **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ტკიპების ოჯახი; მიეკუთვნება **Ixodoidea**-ს ზეოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს. სამხრეთ კავკასიაში გავრცელებულია **ი. ტების** ექვსი გვარი: **Boophilus, Dermacentor, Ixodes, Haemaphysalis, Hyalomma** და **Rhipicephalus**.

კ

კალიფორიდები (Calliphoridae; ბერძნ. **kalos** სილამაზე + **phoros** მზიდი + **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ხორცის (ლეშის) ბუზების ოჯახი; მიეკუთვნება **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. **კ-ბი** ინფექციურ და ინვაზიურ დაავადებათა აღმძვრელების გადამტანებია. მათი სხეული საშუალო ან დიდი ზომისაა, შეფერილია ლურჯად ან მომწვანო ფერად. **Calliphora uralensis** (ლათ. **uralensis** ურალის) – ლეშის ლურჯი ბუზი. გავრცელებულია ჩრდილოეთის ქვეყნებში; **C.vicina** (ლათ. **vicina** მომიჯნავე) – ხორცის ლურჯი ბუზი და **Lucilia sericata** (ლათ. **lux** სინათლე, **sericata** აბრეშუმში ჩაცმული) – ხორცის მწვანე ბუზი.

კამალანტები (Camallanata) – ნემატოდების ქვერაზმი. **კ-ები** – ადამიანისა და ცხოველების დრაკუნკულოზის, იხვის ავიოსერპენსოზის აღმძვრელებია.

კამეროსტომი (camerastoma; ლათ. **camera** კამერა, ღრუ + ბერძნ. **stoma** პირი) – მუცლის მხარეს არგასული ტკიპების იდიოსომას წინა ნაწილის ჩაღრმავება, რომელშიც განთავსებულია ხორთუმი.

კაპილარია (Capillaria; ლათ. **capillus** თმა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Capillariidae**-ს ოჯახს, **Trichocephalata**-ს ქვერაზმს. ხერხემლიანი ცხოველების პარაზიტი, რომლის სხეული ძაფისებრია. გეოჰელმინთი. სახეობები:

- **Capillaria anseris** (ლათ. **anser** ბატი) – პარაზიტობს ბატის წვრილ ნაწლავში;

- **C. obsignata** (ლათ. **obsigno** დალუქვა) – პარაზიტობს

ქათმის, ინდაურის, ციცრის, მტრედის ნაწლავში;

- **C.bovis** (ლათ. **bos** ხარი) – პარაზიტობს ძროხეულისა და ცხვრის წვრილ ნაწლავებსა და მაჭიკში;

- **C.brevispicula** (ლათ. **brevis** მოკლე + სპიკულა) – პარაზიტობს მდინარის თევზების ნაწლავებში;

- **C.bursata** (ლათ. **bursa** ჩანთა) – პარაზიტობს ქათმისა და ხოსხბის წვრილ ნაწლავებში;

- **C.caudinflata** (ლათ. **cauda** + **flatus** შებერილი) – პარაზიტობს ქათმის, ინდაურისა და ციცრის წვრილ ნაწლავში;

- **C.plica** (ლათ. **plica** ნაოჭი) – პარაზიტობს ძაღლის, მგლის, კატის, კვერნის, ყარსალის, მაჩვის შარდის ბუშტში;

- **C.putorii** (ლათ. **putor** სიმყრალე) – პარაზიტობს წავის, ყარყუმის, თრითინის, ქრცვინის, წაულის, კვერნის, სიასამურის კუჭსა და წვრილ ნაწლავებში.

კაპილარიოზი (**capillariosis**; ბერძნ. აღმძვრელის გვარის დასახელება **Capillaria** + **osis** დაავადება) – ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები, **Capillaria**-ს გვარის ნემატოდები პარაზიტობენ საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ან შარდის ბუშტში. გავრცელებულია ყველგან. **კოზის** დროს სიმპტომების გამოვლენა დამოკიდებულია აღმძვრელის ლოკალიზების ადგილზე და ვლინდება ნაწლავისა და შარდის ბუშტის კატარული ან კატარულ-ჰემორაგიული ანთების ნიშნებით.

კედრის ზეთი – მცენარეული ზეთი, რომელიც მიიღება კედრის მერქნის გამოხდის შედეგად. მასში გამავალი სინათლის სხივის გადატეხვის მაჩვენებელი უახლოვდება მინაში სხივის გადატეხვის მაჩვენებელს (1,565). გამოიყენება მიკროსკოპული კვლევისას, რა დროსაც იმერსიული სისტემის ობიექტივს ძირავენ კედრის ზეთში.

კობოსებრები (**Crustacea**; ლათ. **crusta** ნაჭუჭი) – კლასი; მიეკუთვნება ფეხსახსრიანთა (**Arthropoda**) ტიპს. უპირატესად წარმოდგენილია წყლის ცხოველებით. ზოგიერთ სახეობას თავი შერწყმული აქვს მკერდთან და ერთიანი თავმკერდი (**cephalothorax**) იქმნება. თავზე ორი წყვილი ულვაშია ანტენულებისა და

ანტენების სახით, ერთი წყვილი ზედა ყბა – მანდიბულები და ორი წყვილი ქვედა ყბა – მაქსილები. მუცელი დანაწევრებულია. კიდურების წყვილების რაოდენობა სეგმენტების რაოდენობის ტოლია. **კ-ების** მრავალი სახეობა ჰელმინთების შუალედური მასპინძელია. ზოგიერთი მათგანი თავად არის სხვადასხვა ცხოველის პარაზიტი.

კინეტოპლასტი (ბერძნ. **kinetos** მოძრავი + **platos** გამოძერწილი, შექმნილი) – დნმ-ს შემცველი ორგანოიდი, რომელიც მდებარეობს **Kinetoplastida**-ს რაზმის წარმომადგენელი უმარტივესების შოლტის ფუძესთან, ბაზალური სხეულის (იხ.) შორიანხლოს.

კირიანი ფეხი – იხ. კნემიდოკოპტესი.

კლადოცერა (**Cladocera**; ბერძნ. **klados** ტოტი + **keras** რქა) – უმდაბლესი კიბოსებრების რაზმი (იხ. დატოტვილუვაშიანი კიბოსებრები).

კლონორქისი (**Clonorchis**; ბერძნ. **klon** ტოტი + **orchis** სათესლე) – გვარი; მიეკუთვნება **Opisthorchidae**-ს ოჯახს. **Clonochis sinensis** (ლათ. ჩინური) – სახეობა, პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველების, ღორისა და ადამიანის ორგანიზმში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – თევზები.

კლონორქოზი (**clonorchosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Clonorchis** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ძალღის, კატის, ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Clonorchis sinensis** პარაზიტობს ღვიძლის ნაღველსადინარებში, ნაღვლის ბუშტსა და კუჭქვეშა ჯირკვალში. გავრცელებულია მდინარე ამურის აუზში. სიმპტ.: ძლიერი სიგამხდრე, ბეწვის აბურძგენა, ღორწოვანი გარსების სიყვითლე.

კნემიდოკოპტესი (**Knemidocoptes**; ბერძნ. **kneme** წვივი + **koptein** დაზიანება) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Analgesoidea**-ს ზეოჯახს (ბუმბლიანი ტკიპები), **Sarcoptiformes** ქვერაზმს, **Acariformes** რაზმს. პარაზიტობენ ფრინველების სხეულზე. **Knemidocoptes mutans** (ლათ. ცვალებადი) – სახეობა,

პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის, მტრედის და სხვა ფრინველების ფეხების უბუმბლო ნაწილის რქოვანა გარსის ქვეშ. იწვევს ქათმის ფეხის მუნს, მლერს („კირიანი ფეხი“). გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადდებიან ერთ წელზე მეტი ასაკის ფრინველები; **K.jaevis** (ლათ. გლუვი, სწორი) – სახეობა, აზიანებს ქათმის კანს ბუმბულით დაფარულ ადგილებში (კანის კნემიდოკოპტოზი).

კომენსალიზმი (ლათ. **commensalis**; თანამესუფრე) – სხვადასხვა სახეობის ცხოველების თანაცხოვრების ფორმა, რომლის დროს ერთი ორგანიზმი (კომენსალი) არსებობს მეორეს ხარჯზე, იყენებს როგორც თავდაცვისა და გადაადგილების საშუალებას, იკვებება მისი საკვების ანარჩენებით, ამავე დროს მას ზიანს არ აყენებს.

კომპლემენტი (**complementum**; ლათ. დასრულება, დაბოლოება, დამატება, შევსება) – ხერხემლიანთა სისხლში არსებული ცილოვანი ბუნების ნივთიერება, რომელსაც უნარი შესწევს დაუკავშირდეს ანტიგენსა და ანტისხეულს მათი რეაგირების პროცესის დროს.

კონიუგანტები (ლათ. **Conjugation**; შეერთება, შერწყმა) – უმარტივესი ინდივიდები, რომლებიც ერთმანეთს ერწყმიან.

კონიუგაცია (ლათ. **conjugation** შეერთება, შერწყმა) – დროებით შეერთებული (შერწყმული) უმარტივესი ინდივიდების სასქესო პროცესი, როდესაც ერთი უჯრედიდან მეორეში გენეტიკური მასალა (დნმ) გადადის.

კონოიდი (**conoid**; ბერძნ. **konos** კონუსი + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა) – კონუსის ფორმის მქონე ულტრამიკროსკოპიული ორგანოლა, რომელიც განთავსებულია მოძრავი სტადიის კოქციდიას უჯრედის წინა ნაწილის ციტობლაზმაში. ვარაუდობენ, რომ კ. ხელს უწყობს მასპინძლის უჯრედში პარაზიტის შეღწევას.

კოოპერია (**Cooperia**; ინგლისელი ექიმის ა.კოოპერის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichostrongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Cooperia curticei** (ამერიკელი პარაზიტოლოგის კურტიცეს პატივსაცემად) – სახეობა, პარაზი-

ტობს ცხვრისა და თხის ნაწლავებში; **C.punctata** (ლათ.**punctum** წერტილი) და **C.pectinata** (ლათ. **pecten** სავარცხელი) – სახეობები, პარაზიტობენ ძროხეულის, იშვიათად, ცხვრის წვრილ ნაწლავებში. მცოხნელი ცხოველების ტრიქოსტრონგილიდოზების აღმძვრელები.

კობეპოდა (Copepoda) – იხ. ნიჩაბფეხიანი კიბოსებრები.

კობულაცია (copulation; ლათ. შეერთება, შერწყმა) – უმარტივესების სასქესო პროცესი, რომლის დროსაც ხდება ბირთვისა და ციტოპლაზმას გამეტების (იხ.) შერწყმა და ზიგოტას (იხ.) წარმოქმნა.

კორაციდიუმი (coracidium; ბერძნ. corax ყორანი) – ჩანასახი, რომელიც ლენტურების კვერცხებში ფორმირდება. ეს არის წამწამებით დაფარული ონკოსფერა, რომლის შიგნით სამი წყვილი ემბრიონული კაუჭია.

კოტილოფორონი (Cotylophoron; ბერძნ. kotyle ღრუ + phoros მატარებელი) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Paramphistomata**-ს ქვერაზმს. **Cotylophoron cotylophorum** – სახეობა, პარაზიტობს ძროხეულის, ცხვრის, თხის, გარეული მცოხნელების ფაშვსა და ბადურაში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები. პარამფისტომატების სხვა სახეობებთან ერთად არის პარამფისტომატოზების აღმძვრელი.

კოქსა (ლათ. coxa თეძო) – მწერებისა და ობობასებრების ფეხის პროქსიმალური ნაწილი.

კოქციდიები (Coccidia; ლათ. coccus მრგვალი, ბერძნ. kokkos კენკრა) – პარაზიტული უმარტივესები; მიეკუთვნებიან **Sporozoa**-ს კლასს, **Apicomplexa**-ს ტიპს. **კების** ყველა წარმომადგენელს აქვს ორიგინალური ორგანო – აპიკალური კომპლექსი (იხ.). მათი სასიცოცხლო ციკლი შედგება ტრიადისაგან: მეროგონია (შიზოგონია), გამეტოგონია და სპოროგონია (იხ.).

კოქციდიოზები (coccidiosis) – ცხოველებისა და ადამიანის ინვაზიური დაავადებები. მათი აღმძვრელებია **Eimeria**-ს (იხ.), **Cystoisospora**-ს (იხ.), **Toxoplasma**-ს (იხ.), **Besnoitia**-ს (იხ.),

Sarcocystis-ისა (იხ.) და სხვა გვარების უმარტივესები. **კებით**, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებული და დიდ ეკონომიკურ ზარალს იწვევენ, ავადობენ სას.-სამ. და გარეული ცხოველები, ფრინველები, თევზები.

კოქციდიოსტატიკები – კოქციდიების საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატები, რომლებიც მასპინძლის ნაწლავში აფერხებენ აღმძვრელების განვითარებას ან ხოცავენ მათ. არჩევენ ორგანიზმში იმუნური სხეულების გამომუშავების არშემაფერხებელ და შემაფერხებელ კოქციდიოსტატიკებს. პირველს მიეკუთვნება: კოქციდინი, ირამინი, აპროლიუმშემცველი და სხვა პრეპარატები; მეორეს – ფარმკოქციდი, ქიკოქციდი, რეგიდაზოლი და სხვ. მეორე ჯგუფის კოქციდიოსტატიკებს იყენებენ მხოლოდ საბროილერო წიწილებისათვის.

კოლოები (Culicidae; ლათ. aculeus ნესტარი) – სისხლმწოვი მწერების ოჯახი; მიეკუთვნება **Nematocera**-ს ქვერჯს, **Diptera**-ს რაზმს. უპირატესად გავრცელებული სახეობები მიეკუთვნება **Aedes**-ის (იხ. აედესი), **Culex**-ისა (იხ. კულექსი) და **Anopheles**-ის (იხ. ანოფელესი) გვარებს. ისინი შებინდების ყამის მწერებია, აქტიურდებიან დილით და საღამოს, სუსტი განათებისას. სისხლს წოვენ მხოლოდ მდედრი ინდივიდები, რაც ცხოველის მოუსვენრობას იწვევს. მათი ნერწყვი ტოქსიკურია. **კები** არიან მრავალი დაავადების (ენცეფალიტი, ცხენის ინფექციური ანემია, ბოცერის მიქსომატოზი, ბრუცელოზი, ჯილეხი, ანაპლაზმოზი, ფილარიატოზი, მალარია და სხვ.) აღმძვრელების გადამტანები. მამრი ინდივიდები მცენარეების წვენებით იკვებებიან.

კრატეროსტომუმი (Craterostomum; ბერძნ. krater თასი + stoma პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylidae**-ს ოჯახს. პარაზიტობენ კენტრლიაქიანი ცხოველების მსხვილ ნაწლავებში. **Craterostomum acuticaudatum** (ლათ. **acutus** წაწვეტებული + **cauda** კუდი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის, ზებრას მსხვილ ნაწლავებში. **Strongylidae**-სა და **Trichonematidae** ოჯახების სხვა სახეობებთან ერთად არის ცხენის სტრონგილატოზების აღმძვრელი.

კრენოსომა (*Crenosoma*; ბერძნ. *krene* გასაღები + *soma* სხეული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Strongylata*-ს ქვერაზმს. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები, რეზერვ. მასპინძ. – მღრღნელები, ფრინველები, რეპტილიები, ამფიბიები. *Crenosoma vulpis* (ლათ. *vulpes* მელა) – სახეობა, პარაზიტობს მელას, ყარსალის, ენოტის, მაჩვის ტრაქეასა და ბრონქებში; *C.taiga* (ლათ. ტაიგა) – სახეობა, პარაზიტობს სიასამურისა და წაულის ფილტვებში; *C.petrovi* (რუსი ჰელმინთოლოგის ა.პეტროვის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს კვერნის სასუნთქ გზებში.

კრენოსომოზი (*crenosomosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Crenosoma* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელები – *Crenosoma*-ს გვარის ნემატოდები, პარაზიტობენ ბეწვიანი მხეცების (მელა, ყარსალი, ენოტი, სიასამური, წაულა, კვერნა) ბრონქებსა და ტრაქეაში. კ. გავრცელებულია მემხეცეობის მეურნეობებში. განსაკუთრებით სახიფათოა 3-7 თვის ასაკის მელიებისათვის. სიმპტ.: ანემია, ძლიერი სიგამხდრე, ბეწვის საფარის გაუარესება, დაუძლურება. ხშირია ლეტალური შედეგი.

კრიველიები (*Crivellia*) – იხ. ჰიპოდერმატიდები.

კრიველიოზი (*crivelliosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Crivellia* + *osis* დაავადება) – თხის, ნაკლებად ცხვრის ინვაზიური დაავადება (ენტომოზი). აღმძვრელია კანქვეშა ბორას (ზღმურდლი) – *Crivellia silenus*-ის ლარვები, რომლებიც პარაზიტობენ კანქვეშა უჯრედისში ზურგისა და წელის მიდამოში. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. სიმპტ.: ზურგის მიდამოში ფისტულიანი კაფსულებია, საიდანაც ექსუდატი გადმოდის. კაფსულებს შორის ბეწვი შეწყობებულია; ცხოველი დასუსტებული და მოღუნებულია, ცოტას მოძრაობს, ამცირებს საკვების მიღებას, ჩამორჩება ფარას.

კრიტიდია (*critidia*; ქერის მარცვალი + *eidos* მსგავსი, გარეგნობა) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება *Trypanosomatidae*-ს ოჯახს. სხეულს წაგრძელებული ფორმა აქვს. იგი დაფარულია

მცირე უნდულირებადი მემბრანი. კინეტოპლასტი განთავსებულია ბირთვის წინ. მოკლე შოლტი სათავეს იღებს სხეულის წინა ნაწილში. კ. – ფეხსახსრიანების პარაზიტი.

კტენიდიები (ctenidium; ბერძნ. kteis სავარცხელი + **eidos** მსგავსი, გარეგნობა) – რწყილის თავისა და მკერდის საფარველის შეიარაღება ბრტყელი კბილების რიგების სახით, რომელთა ბასრი პირები უკან არის მიმართული. მათი დანიშნულებაა გაუადვილოს რწყილს გადაადგილება მასპინძლის მატყლსა და ბუმბულში.

კტენოცეფალიდეს (Ctenocephalides) – იხ. რწყილები.

კუკულანატები (Cucullata; ლათ. cucullus თავსაბურავი) – ნემატოდების ქვერაზმი, რომლის სახეობები ზღვის ბინადრების ორგანიზმში პარაზიტობენ.

კულექსი (Culex; ლათ. aculeus ნესტარი) – კოლოების გვარი; მიეკუთვნება **Culicidae**-ს ოჯახს, **Nematocera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. ფართოდ გავრცელებული სახეობებია – **Culex pipiens**, **C. fatigans**, **C. apicalis**. გამრავლების ადგილებია – დროებითი და მუდმივი გუბეები, წყალსატევები. მდედრი ინდივიდები კვერცხებს წყალში დებენ.

კუტიკულა (cuticula; ლათ. თხელი კანი, გარსი) – ნემატოდების, თავეკლიანებისა და ფეხსახსრიანების სხეულის გარეთა საფარველი. კ. დაცვით და საყრდენ ფუნქციებს ასრულებს.

ლ

ლამბლია (lamblia; რუსი მეცნიერის დ.ლამბლის პატივსაცემად) – უმარტივესი; მიეკუთვნება შოლტიანების კლასს. მისთვის დამახასიათებელია ბილატერალურად სიმეტრიული სხეული ორი ბირთვით და ოთხი შოლტით. პარაზიტობს ადამიანის, ძაღლისა და კატის წვრილ ნაწლავებსა და ღვიძლის ნაღველსადინარებში.

ლამბლიოზი (lambliosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Lamblia + ბერძნ. osis დაავადება) – დაავადება, რომლის აღმძვ-

რელია – *Lambliia intestinalis* (ლათ. ნაწლავური). ადამიანში ვლინდება რეციდიული ენტერიტებით და ენტეროკოლიტებით ან ნაკლებად – ქოლერისტიკის მოვლენებით. შესაძლოა შერეული გამოვლენა. ზოგჯერ ლამბლიოზი უსიმპტომოდ მიმდინარეობს. *Lambliia cati* და *L.canis* – სახეობები, რომლებიც, შესაბამისად, კატისა და ძაღლის ლამბლიოზის აღმძვრელებია.

ლარვა (ლათ. *larva* ლარვა) – ცხოველების პოსტემბრიონული განვითარების პირველი სტადია მეტამორფოზის თანხლებით.

ლარვა ამფიპნესტიკური (*larva amphipneustica*; ბერძნ. *larva* ლარვა და *amphi* ორივე + *pnein* სუნთქვა) – მწერების ლარვა, რომელსაც მკერდსა და სხეულის ბოლოზე სტიგმები (სასუნთქი ხვრელები) აქვს.

ლარვა მეტაპნესტიკური (*larva metapneustica*; ბერძნ. *larva* ლარვა და *meta* უკან, შემდეგ + *pneustikos* სუნთქვისათვის განკუთვნილი) – მწერების ლარვა, რომელსაც სხეულის ბოლოზე ერთი წყვილი სტიგმა (სასუნთქი ხვრელი) აქვს.

ლარვა მიგრანს (*larva migrans*; ლათ. *larva* + მიგრაცია) – მოვლენა, რომელსაც იწვევენ *Ascardata*-ს ქვერაზმის ნემატოდების ლარვები არასპეციფიკური მასპინძლის (ადამიანი, ცხოველი) შინაგან ორგანოებში პარაზიტობის დროს. ადამიანის ორგანიზმში **ლ. მ.**-ს იწვევენ *Toxocara canis*-ისა და *Lagoschiascaris minor*-ის ლარვები. უპირატესად ავადდებიან ბავშვები თავის ტვინის, თვალის, ღვიძლის, ფილტვების და სხვა ორგანოების დაზიანების მოვლენებით. **ლ. მ.** აღენიშნებათ ცხოველებსაც, მაგ. ღორს, მის ორგანიზმში *Tox.canis*-ისა და *Tox.catis*-ის ლარვების მიგრაციის შედეგად.

ლარვოცისტა (*larvacystis*; ლათ. *larva* ლარვა + *kystis* ბუშტი) – ძეწკვურა ცესტოდების ლარვული ფორმა (ცისტიცერკოიდი, ცისტიცერკი, ცენურსი, ექინოკოკი, ალვეოკოკი, სტრობილოცერკი), რომელიც შუალედური მასპინძლის ორგანიზმში ვითარდება.

ლაურერის არხი (*canalis Laureri*; ფრანგი მეცნიერის ლაურერის პატივსაცემად) – არხი ტრემატოდების სხეულში,

რომელიც კვერცხსავლიდან იწყება და სხეულის დორსალურ ზედაპირზე იხსნება. **ლ. ა-ით** გარემოში ჭარბი ყვითრი გამოიყოფა. იშვიათად, შეწყვილებისას, იგი ვაგინის როლს ასრულებს.

ლეიშმანია (Leishmania; ინგლისელი ექიმის ლეიშმანის პატივსაცემად) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Trypanosomatidae**-ს ოჯახს. **ლ-ები** პარაზიტობენ ხერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის რეტიკულოენდოთელურ უჯრედებში.

ლეიშმანიოზი (leishmaniosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Leishmania** + ბერძნ. **osis** დაავადება) – პროტოზოული ტრანსმისიული დაავადება. გავრცელებულია ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. არჩევენ **ლ-ის** კანისა და ვისცერალურ ფორმებს, რომელთა აღმძვრელებია, შესაბამისად, – **Leishmania tropica** და **L.donovani**.

ლემნისკები (Iemnisci; ბერძნ. **Iemniskos** ლენტე, მარყუჟი) – თავეკლიანების ხორთუმიანობრი საშოს გვერდებზე მდებარე ლენტების მსგავსი წყვილი ორგანო, რომელიც წარმოქმნილია სხეულის ღრუში ჰიპოდერმის ყელის კედლის წამოწვევით.

ლენტისებრი ჭიები – იხ. ცესტოდები.

ლენტურა ფართო – იხ. დიფილობოთრიუმი.

ლენტურები (Pseudophyllidea; ბერძნ. **pseudos** ტყუილი + **phyllon** ფოთოლი) – ცესტოდების რაზმი, რომლის წარმომადგენლებს სკოლექსზე გააჩნიათ ბოთრიები და აქვთ ღია ტიპის საშვილონო. **ლ-ბი** ბიოჰელმინთებია. დეფინიტიური მასპინძლის გარდა მათ განვითარების ციკლში მონაწილეობენ შუალედური და დამატებითი მასპინძლები. **ლ-ების** კვერცხები ტრემატოდების კვერცხების მსგავსია.

ლექტომონადები (Leptomonas; ბერძნ. **leptos** წვრილი, ნაზი + **monos** ერთი) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Trypanosomatidae**-ს ოჯახს. **ლ-ების** სხეული წვრილი და თითისტარისებრია. ბირთვი მდებარეობს სხეულის შუა ნაწილში, კინეტოპლასტი – უკანა ნაწილში, საიდანაც შოლტი იწყება. ისინი ფეხსახსრიანებისა და ჭიების სხეულში ბინადრობენ. პათოგენური სახეობები აბრეშუმის ჭიის დაავადებას იწვევენ.

ლიგამენტი (*ligamentum*; ლათ. *ligamen* ასხმა, კონა) – ნაზკედლიანი პარკი თავეკლიანთა სხეულში, რომელშიც განთავსებულია სასქესო ჯირკვლები.

ლიგულა (*Ligula*; ლათ. *ligula* ენა) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება ლენტურებს. თევზისმჭამელი ფრინველების პარაზიტი. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები, დამატ. მასპინძ. – თევზები. **Ligula intestinalis** (ლათ. *intestinum* ნაწლავი) – სახეობა, პარაზიტობს თევზისმჭამელი ფრინველების, უპირატესად თოლიას ნაწლავებში.

ლიგულოზი (*ligulosis*; ლათ. აღმძვრელის გვარის დასახელება **Ligula** + ბერძნ. *osis* დაავადება) – უპირატესად, კობრისებრი თევზების ჰელმინთოზი. მისი აღმძვრელი, ცესტოდა – **Ligula intestinalis**-ის ლარვეული ფორმა (**პლეროცერკოიდი**), პარაზიტობს თევზების მუცლის ღრუში. გავრცელებულია ყველგან – მდინარეებში, ტბებში, წყალსაცავებში, ტბორებში. კლ. ნ-ები: დაავადებული თევზები ჯგუფდებიან მეჩხერ ადგილებში, წყლის ზედაპირთან ახლოს; ცურავენ გვერდზე ან მუცლით ზევით. თევზი გამხდარია. მუცლის წინა ნაწილი შებერილია. იგი შესაძლოა გასკდეს.

ლიზოსომა (*lysosoma*; ბერძნ. *lysis* დაშლა, გახრწნა + *soma* სხეული) – ციტოპლაზმას ორგანოიდი, რომელიც ჰიდროლიტიკურ ფერმენტებს შეიცავს. **ლ-ები** შლიან ბიოლოგიურ მაკრომოლეკულებს ანუ ისინი უჯრედის საჭმლის მონელების ფუნქციას ასრულებენ.

ლიმაქსი (*Limax*; ლათ. ლოქორა) – ლოქორიების გვარი; მიეკუთვნება **Pulmonata**-ს ქვეკლასს, **Gastropoda**-ს კლასს. მათ არ გააჩნიათ ნიჟარა. **ლ-ები** დავენიების შუალედური მასპინძლები არიან.

ლიმნეა (*Limnaea*; ბერძნ. *limne* ჭაობი, დამდგარი წყალი, ტბორი) – მტკნარი წყლის მოლუსკების გვარი; მიეკუთვნება **Pulmonata**-ს ქვეკლასს, **Gastropoda**-ს კლასს. მრავალი სახეობის ჰელმინთების (ტრემატოდები) შუალედური მასპინძელი. **Limnaea stagnalis** (ლათ. *stagnum* ჭაობი) – ჭაობის ტბორულა, ზოგიერ-

თი ტრემატოდას შუალედური მასპინძელი.

ლინოგნატუსი (*Linognathus*; ბერძნ. *linon* სელი + *gnathos* ყბა) – ტილების გვარი (იხ. ტილები).

ლიპეროზია (*Lyperosia*; ბერძნ. *lyperos* ნალვლიანი) – სის-სლმწოვი ბუზების გვარი (იხ. წვიები).

ლიპეურუსი (*Lipeurus*; ბერძნ. *lipos* ცხიმი + *ura* კუდი) – ბუმბლიჭამიების გვარი; მიეკუთვნება *Phlopterdae*-ს ოჯახს, *Mallophaga*-ს რაზმს, *Insecta*-ს კლასს (იხ. ბუმბულჭამიები).

მ

მაისის ხოჭო, მაისის ღრაჭა (*Melolontha*; ბერძნ. *melolonthion* ხოჭო) – ხოჭოების გვარი; მიეკუთვნება *Scarabaeidae*-ს ოჯახს, *Coleoptera*-ს რაზმს. **მ. ხ-**ს მატლები, რომლებიც ნიადაგში ბინადრობენ, *Macracanthorhynchus hirudinaceus*-ის შუალედური მასპინძლები არიან. განსაკუთრებით გავრცელებული სახეობაა – *Melolontha melolontha* (ჩვეულებრივი მაისის ხოჭო).

მაკრაკანთორინქოზი (*macracanthorhynchosis*; გვარის დასახელება *Macracanthorhynchus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი – *Macracanthorhynchus hirudinaceus* პარაზიტობს შინაური და გარეული ღორის წვრილ ნაწლავებში. საქართველოში **მ.** გავრცელებულია კერობრივად, უპირატესად დაინვაზიებულია რვა თვეზე უფროსი ასაკის ღორი. კლ. ნ-ები ინტენსიური დაინვაზიების დროს: სისუსტე, მოუსვენრობა, მადის დაქვეითება, ძლიერი სიგამხდრე, ზრდა-განვითარების შეფერხება, კუნთების კანკალი, გაუხეშებული და მოშვებული კანის საფარველი, ხანდახან – სისხლიანი ფაღარათი. ზოგჯერ ღორი მუცელზე ხოხავს, სიარულის დროს მას უკანა კიდურები ეკეცება და ხერხემალი რკალისებრად ამოხნექილი აქვს.

მაკრაკანთორინქუსი (*Macracanthorhynchus*; ბერძნ. *macro* დიდი, გრძელი + *akantha* ეკალი, ქაცვი + *rhynchos* ხორთუმი) – თავეკლიანების გვარი, რომლის წარმომადგენლები პარაზიტო-

ბენ ძუძუმწოვართა ნაწლავებში. **Macracanthorhynchus hirudinaceus** (ლათ. **hirudo** წურბელა) – სახეობა, პარაზიტობს შინაური და გარეული ღორის ნაწლავებში. მ-ით შემთხვევით შესაძლებელია ძროხეულის, ძაღლის, აგრეთვე, ადამიანის დაინვაზიება. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხოჭოები.

მაკროგამეტა (ბერძნ. **makros** დიდი + **gametes** მეუღლე) – მამრთან შედარებით უმარტივესების უფრო დიდი მდედრი ინდივიდი, რომლის სასიცოცხლო ციკლი მოიცავს სასქესო პროცესს. მ. უძრავია, შეიცავს საკვები ნივთიერებების მარაგს.

მაკროგამეტოციტი (**macrogametocytis**; ბერძნ. **markos** დიდი + **gametes** მეუღლე + **cytos** უჯრედი) – სასქესო უჯრედი, რომლისგანაც მაკროგამეტა ვითარდება.

მაკრონუკლეუსი (**macronucleus**; ბერძნ. **markos** დიდი + ლათ. **nucleus** ბირთვი) – შოლტიან და წამწამიან უმარტივესთა კლასების მრავალ სახეობათა დიდი ბირთვი, რომლის ფუნქცია დაკავშირებულია კვებისა და ზრდის პროცესებთან.

მალოფაგები (**Mallophaga**; ბერძნ. **mallos** მატყლის ბლუჯა, ნაკუწი + **phagein** კვება) – უფრო მწერების (**Hemimetabola**) რაზმი. მუდმივი ექტოპარაზიტები, – ძუძუმწოვრებისა და ფრინველების მალოფაგოზის აღმძვრელები. მ-ები გაერთიანებული არიან სამ ოჯახში: **Trichodectidae** (ბალანჭამიები), **Menoponidae** (ბეწვიჭამიები) და **Philopteridae** (ბუმბლიჭამიები). მალოფაგოტოზები გავრცელებულია ყველგან. დამახასიათებელია ქავილი, კანის გასქელება, თმის საფარის ან ბუმბულის ნაწილობრივი გაცვენა, სიგამხდრე, პროდუქტიულობის შემცირება.

მალტიური ჯვარი – ცხენის ნუტალიოზის აღმძვრელის (**Nuttallia equi**) ჯვრისებრი ფორმა.

მანდიბულები (**mandibuli**; ლათ. **mandibulum** ყბა) – მწერების დაუნაწევრებელი ზედა ყბა.

მარიტა (ლათ. **marita** ცოლი, მეუღლე) ტრემატოდების სქესმომწიფებული (ზრდასრული) ფორმა, რომელიც დეფინიტიური მასპინძლის ორგანიზმში პარაზიტობს.

მარშალაგია (*Marshallagia*; ამერიკელი მეცნიერის მარშალის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Trichostrongylidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. ***Marshallagia marshalli*** – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის, თხის, შვლის, აქლემის, მუფლონის წვრილ ნაწლავებსა და მაჭიკში. ტრიქოსტრონგილიდების სხვა სახეობებთან ერთად იწვევს მცობნელი ცხოველების ტრიქოსტრონგილიდოზებს.

მასპინძელი (*host*; ლათ. *hostis* უცხოელი, უცნობი) – ორგანიზმი, რომლის სხეულში (ან სხეულზე) ბინადრობენ და ვითარდებიან პარაზიტები. არჩევენ მასპინძლების შემდეგ ტიპებს:

- **დეფინიტიური** (საბოლოო), რომლის ორგანიზმში პარაზიტი აღწევს სქესობრივ სიმწიფეს;

- **შუალედური**, რომლის ორგანიზმში პარაზიტის არასქესმწიფე (ლარვული) ფორმები ვითარდებიან;

- **დამატებითი** (მეორე შუალედური), რომლის ორგანიზმში პარაზიტის არასქესმწიფე (ლარვული) ფორმები ვითარდებიან მას შემდეგ, რაც მათ განვითარების გარკვეული სტადია შუალედურ მასპინძელში გაიარეს;

- **რეზერვუარული**, რომლის ორგანიზმში პარაზიტები არ ვითარდებიან, წარმოდგენილი არიან ლარვული ფორმით და შეუძლიათ დეფინიტიური მასპინძლის ორგანიზმში ტრანსპორტირება;

- **ობლიგატური** (სავალდებულო), რომლის ორგანიზმის მიმართ პარაზიტი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არის ეკოლოგიურად და ფიზიოლოგიურად ადაპტირებული და სადაც აქვს განვითარების საუკეთესო პირობები;

- **ფაკულტატური**, რომლის ორგანიზმში პარაზიტის ადაპტაციის ეკოლოგიური და ფიზიოლოგიური კავშირები უფრო სუსტადაა გამოხატული და სადაც პარაზიტის განვითარებისათვის ოპტიმალური პირობები არ არის შექმნილი.

მეზოცესტიდესი (*Mesocestiodes*; ბერძნ. *mesos* საშუალო + *keistos* ლენტის + *eidosis* მსგავსი, გარეგნობა) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება ძეწკვეურების რაზმს. ***Mesocestiodes lineatus***

– სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, კატის, მელიის, ყარსალის, სიასამურის, სხვა ხორცისმჭამელების ორგანიზმში. ბიოპელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ჯავშნიანი, ორიბატიდული ტკიპები, დამატ. მასპინძ. – ამფიბიები, რეპტილიები, ფრინველები, მღრღნელები, რეზერვ. მასპინძ. – მწერიჭამიები, ზოგიერთი მღრღნელი და მტაცებელი (კვერნისებრები).

მეზოცესტიდოზი (mesocestidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Mesocestiodes** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ხორცისმჭამელების ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Mesocestiodes lineatus** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. ავადდება ყველა ასაკის ძაღლი, კატა, მელა, ყარსალი, სიასამური, კვერნა და სხვა მტაცებელი ძუძუმწოვრები, დაწყებული სამი თვის ასაკიდან. სიმპტ.: ანემია, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის მოშლა, სიგამხდრე. მოზარდეული ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება.

მელოფაგოზი (Melophagus; ბერძნ. **melon** ცხვარი, თხა (წვრილფეხა პირუტყვი) + **phagein** კვება) – მწერების გვარი; მიეკუთვნება **Hippoboscidae**-ს ოჯახს, **Pupipara**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. **Melophagus ovinus** (ლათ.**ovinus** ცხვრის) – სახეობა, მელოფაგოზის აღმძვრელი (ცხვრის ბუზარა, სისხლისმწოველი). სიმპტ.: ძლიერი ქავილი, დერმატიტი, მატყლის ნაწილობრივი გაცვენა, სიგამხდრე. შესაძლოა ბატკანი დაიღუპოს. დაავადება უპირატესად ზამთარში, ცხვრის ფარეხში შენახვისას ვლინდება.

მეროგონია (merogonia; ბერძნ. **meros** წილი + **gonea** დაბადება, წარმოქმნა, განვითარება) – **Sporozoa**-ს კლასის უმარტივესების უსქესო, მრავლობითი გამრავლება, რა დროსაც ბირთვი მრავალჯერად იყოფა და ძირითადი უჯრედისაგან მრავლობითი შვილეული უჯრედები – მეროზოიტები (იხ.) წარმოიქმნება.

მეროზოიტი (merosoitis; ბერძნ. **meros** წილი + **zoon** ცოცხალი არსება) – სპორიანების კლასის უმარტივესების (მაგ. კოქციდიები) მოძრავი ფორმა, რომელიც მერონტის (იხ.) გაყოფისას წარმოიქმნება და ახალ უჯრედებში შეჭრა შეუძლია.

მერონტი (merontis; ბერძნ. **meros** წილი + **on,ontos**

არსება) – კოქციდიას განვითარების სტადია. მრავალბირთვიანი უჯრედი, რომელიც ბირთვის მრავლობითი დაყოფით წარმოიქმნება. მერონტი მეროზოიტებად იშლება.

მეტაგენეზი (metagenesis; ბერძნ. **meta** ფარგლებს გარეთ + **genesis** განვითარება, წარმოქმნა) – თაობების მონაცვლეობით განვითარება, რა დროსაც ერთი თაობა ვითარდება სქესობრივი გზით, მომდევნო – უსქესოდ (მაგ. ფასციოლას მარიტა დებს კვერცხს. მისგან იჩეკება მირაციდიუმი, რომელიც შეიჭრება მოლუსკის სხეულში, გარდაიქმნება სპოროციტებად და მრავლდება უსქესო, დაყოფის გზით.

მეტაგონიმოზი (metagonimosis; გვარის დასახელება **Metagonimus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების, ღორისა და ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Metagonimus yokogawai** პარაზიტობს ნაწლავებში. **მ.** გავრცელებულია მდინარე ამურის აუზში.

მეტაგონიმუსი (**Metagonimus**; ბერძნ. **meta** შემდეგ + **gonimos** სასქესო ჯირკვლები) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Heterophylidae**-ს ოჯახს. **Metagonimus yokogawai** (იაპონელი მეცნიერის იოკოგავას პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველების, ღორის, თევზისმჭამელი ფრინველებისა და ადამიანის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები; დამატ. მასპინძ. – თევზები. ცხოველებისა და ადამიანის მეტაგონიმოზის აღმძვრელი.

მეტაზოა (**Metazoa**; ბერძნ. **meta** ფარგლებს გარეთ + **zoa** ცხოველი) – ყველა მრავალუჯრედიანი ცხოველის ზოგადი დასახელება ერთუჯრედიანი (**Protozoa**) ორგანიზმებისაგან განსხვავებით.

მეტაპოდოსომა (metapodosoma; ბერძნ. **meta** უკან + **pus**, **podos** ფეხი + **soma** სხეული) – აკარიფორმული ტკიპების სხეულის ნაწილი, რომელიც შეიცავს მესამე და მეოთხე წყვილი კიდურების მქონე სეგმენტებს.

მეტასტრონგილოზი (metastrongylosis; აღმძვრელის გვა-

რის დასახელება **Metastrongylus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Metastrongylus**-ის გვარის ნემატოდები პარაზიტობენ ბრონქებში. მ. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად და მძიმე ფორმით ავადდებიან გოჭები. სიმპტ.: მსუბუქი ხველა, რომელიც თანდათან ძლიერდება; ცხერის ხვრელებიდან ბლანტი, მოყვითალო ფერის გამონადენია, ვითარდება ქოშინი. ღორწოვანი გარსები მკრთალი და მოლურჯო ფერისაა. პულსი აჩქარებულია. სხეულის ტემპერატურა ხშირად ნორმის ფარგლებშია. გოჭი ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება და გამხდარია. უფროსი ასაკის ღორებში დაავადება შესამჩნევი კლინიკური ნიშნების გარეშე მიმდინარეობს.

მეტასტრონგილუსი (**Metastrongylus**; ბერძნ. **meta** უკან + **strongylos** ცილინდრული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Metastrongylus elongates** (ლათ. წაგრძელებული), **M.pudendotectus** (ლათ. **pudenda** მდედრის გარეთა სასქესო ორგანოები + **tectus** დაფარული) და **M.salmi** (ლათ. მლაშე) – სახეობები, პარაზიტობენ ღორის ფილტვებში და იწვევენ ღორის მეტასტრონგილოზს. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – ჭიაყელები.

მეტაცერკარია (**metacercaria**; ბერძნ. **meta** უკან, შემდეგ + **cercaria** ცერკარია) – ინვაზიური ფორმა, რომელიც ტრემატოდების განვითარების გარკვეულ სტადიაზე ბინადრობს დამატებითი მასპინძლის ორგანიზმში.

მეცისტოციროზი (**mecistocirrosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Mecistocirrus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ჩრდილოეთის ირმების ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი – **Mecistocirrus digitatus** პარაზიტობს მაჭიკში. ინტენსიური დაინვაზიების დროს აღინიშნება ღორწოვანი გარსების ანემია, ცხოველი გამხდარია, პროდუქტიულობა მცირდება.

მეცისტოციროუსი (**Mecistocirrus**; ბერძნ. **mekistos** ძალიან დიდი + **cirrus** ხვეული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichostrongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. მცოხნელი

ცხოველების ობლიგატური, ხოლო – ადამიანის ფაკულტატური პარაზიტი. გეოჰელმინთი. **Mecistocirrus digitatus** (ლათ. თითების მქონე) – სახეობა, პარაზიტობს ძროხის, კამეჩის, ცხვრისა და ადამიანის ორგანიზმში. მცოხნელი ცხოველების მეცისტოციროზის აღმძვრელი.

მიაზი (**myiasis**; ბერძნ. **myia** ბუზი) – ცხოველებისა და ადამიანის დაავადება, გამოწვეული ხორცის მწვანე (**Lucilia**) და ხორცის რუხი (**Sarcophagidae**) ბუზების ლარვებით, რომლებიც ღია, დაუცველ ჭრილობებში ვითარდებიან.

მიგრაცია (ლათ. **migratio** გადანაცვლება, გადასახლება) – ჰელმინთების ლარვების გადანაცვლება გარემოში ან მასპინძლის ორგანიზმში, რაც დაკავშირებულია მათ კვებასთან ან განვითარების ციკლთან.

მიკროგამეტა (**microgameta**; ბერძნ. **micros** მცირე + **gametes** მეუღლე) – უმარტივესებს შორის შეწყვილებული ორი სასქესო უჯრედიდან უფრო მცირე, მამრი ინდივიდი, რომელიც მოძრავია.

მიკროგამეტოციტი (**microgametocytis**; ბერძნ. **micros** მცირე + ბერძნ. **gametes** მეუღლე + **kytis** უჯრედი) – სასქესო უჯრედი, რომლიდანაც მიკროგამეტები ვითარდება.

მიკრონემა (**micronema**; ბერძნ. **micros** მცირე + **nema** ძაფი) – სტრუქტურა, რომლის გამოვლენა შესაძლებელია სპორიანების ტროფოზოიტების ციტოპლაზმის ელექტრონული მიკროსკოპირების დროს.

მიკროპილე (**micropyle**; ბერძნ. **micros** მცირე + **pyle** ხვრელი, შესასვლელი) – მაკროგამეტების ოოცისტების ერთ-ერთ პოლუსზე არსებული ხვრელი, რომლის მეშვეობით მიკროგამეტა მაკროგამეტაში აღწევს.

მიკროპორა (**micropora**; ბერძნ. **micros** მცირე + **poros** ხვრელი, გასასვლელი) – წარმოიქმნება პელიკულის გარეგანი მემბრანით. საეარაუდოა, რომ **მ.** მონაწილეობს პარაზიტის მიერ მასპინძლის უჯრედიდან საკვები მასალის შეწოვის პროცესში.

მიკროსპორიდიოზები (**microsporidiosis pisciarum**; ბერძნ.

micros მცირე + **spora** თესლი + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა და ლათ. **piscis** თევზი) – თევზის ინვაზიური დაავადებები. აღმძვრელები – მიკროსპორიდიები მიეკუთვნებიან **Nosematidae**-ს ოჯახს. **მ-ები**, რომლებიც გავრცელებულია ყველგან, ვლინდება ზღვისა და მტკნარი წყლის თევზების კანზე, ლაყურებზე, შინაგან ორგანოებსა და ნაწლავის კედლებზე ორიდან 20 მმ-მდე დიამეტრის მქონე ცისტების წარმოქმნით.

მიკროფილარია (microfilariae; ბერძნ. **micros** მცირე + **filaria** ფილარია, წარმოქმნილია **filum**-დან ძაფი) – **Filariata**-ს ქვერეზის ნემატოდების ლარვები, რომლებიც ბინადრობენ დეფინიტური მასპინძლის სისხლში, ქსოვილებში ან სხეულზე.

მირაციდიუმი (miracidium; ბერძნ. **meirakidion** მოზარდი, ყმაწვილი) – მწოველების (ტრემატოდები) ლარვების განვითარების პირველი სტადია.

მისაწოვარი (ლათ. acetabulum მისაწოვარი) – მასპინძლის ქსოვილებზე ჰელმინთებისა და ფესსასრიახების საფიქსაციო ორგანო.

მიტოზი (ბერძნ. mitos ძაფი) – უჯრედული დაყოფის ტიპი. **მ.** ბირთვის აპარატის გარდაქმნით მიმდინარე პროცესია, რასაც თან სდევს ქრომოსომების წარმოქმნა და შვილეულ უჯრედებში მათი თანაბრად განაწილება.

მიტოქონდრიები (mitochondria; ლათ. **mitos** ძაფი, **chondrion** მარცვალი) – ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორგანიზმების უჯრედების ორგანოები, რომლებიც ენერგეტიკულ სისტემას წარმოადგენენ. მათ გააჩნიათ ავტონომიური დნმ და რიბოსომები. ისინი შეიცავენ სუნთქვის პროცესში მონაწილე ფერმენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჟანგვა-აღდგენით პროცესებს და ენერჯის დაგროვებას ადენოზინტრიფოსფორის მეშვეობით მოლეკულებში.

მიულერიოზი (muelleriosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Muellerius** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხვრისა და თხის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Muellerius capillaris** პარაზიტობს ცხვრისა და თხის ალვეოლებში, ალვეოლურ ხვრელებსა და

უმცირეს ბრონქებში. ფართოდ გავრცელებული ჰელმინთოზი, მ.შ. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. ჩვეულებრივ, მ. სუბკლ-ინიკური ფორმით მიმდინარეობს. ინტენსიური დაინვაზიებისას სუნთქვა გახშირებულია, ხველა – ჯერ იშვიათი, მშრალი და მტკივნეული, შემდეგ – ხშირი, შეტევითი ხასიათის; ფილტვებში ხიხინი ისმინება. ზოგიერთ ცხოველს ფალარათი აქვს. მადა შენარჩუნებულია, მაგრამ სიკვდილამდე 2-3 დღით ადრე ბატკნები საკვებს აღარ იღებენ. ავადმყოფი ცხოველი ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება.

მიულერიუსი (Muellerius; გერმანელი მეცნიერის ფ. მიულერის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Protostrongylidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. Muellerius capillaris (ლათ. თმისებრი) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრისა და თხის ფილტვებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები. მიულერიოზის აღმძვრელი.

მიშერის პარკები – ცხოველების კუნთებში განთავსებული ცისტები, რომლებიც წარმოადგენენ შუალედური მასპინძლის ორგანიზმში სარკოცისტების განვითარების ბოლო სტადიას.

მოლუსკები (Mollusca; ლათ. mollusceus რბილი) – კირქვიან ნიჟარაში ან ორ ნიჟარას შორის განთავსებული რბილი სხეულის მქონე ცხოველების ტიპი. არჩევენ მოლუსკების წყლისა და ხმელეთის ფორმებს. მრავალი მათგანი ჰელმინთების შუალედური მასპინძელია.

მონიეზია (Moniezia; ფრანგი პარაზიტოლოგის მონიეზის პატივსაცემად) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება Anoplocephalata-ს ქვერაზმს. სახეობები:

- **Moniezia expansa (ლათ. expansus გაფართოებული) – პარაზიტობს ცხვრის, თხის, ძროხეულის, ირმის და სხვა გარეული მცოხნელი ცხოველების ნაწლავებში;**

- **Moniezia benedeni (ბელგიელი პარაზიტოლოგის ვან ბენედენის პატივსაცემად) – პარაზიტობს იმავე ცხოველების ნაწლავებში;**

- **Moniezia autumnalia (ლათ. autumnalis შემოდგომის)**

– პარაზიტობს ცხვრის და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ნაწლავებში.

მონიეზიოზის აღმძვრელები. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – საძოვრის ორიბატიდული ტკიპები.

მონიეზიოზი (moniezirosis; გვარის დასახელება Moniezia + ბერძნ. osis დაავადებები) – ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელები – Moniezia-ს გვარის ცესტოდები პარაზიტობენ მცოხნელ ცხოველთა წვრილ ნაწლავებში. მ. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადდებიან 1,5-8 თვის ასაკის ბატკნები, ციკნები და მიმდინარე წელს დაბადებული სბოები. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: დაკნინება, მოღუნება, დარბილებული ფეკალი, ფაღარათი. ფეკალი შეიცავს დიდი რაოდენობით ლორწოს და მ. პროგლოტიდებს (იხ.). ბატკნები ჩამორჩებიან განვითარებაში და სუსტდებიან. ზოგ შემთხვევაში ვითარდება ნერვული ფორმა (უმიზნო მოძრაობა, ტორტმანით სიარული, კრუნჩხვა), რაც სიკვდილით მთავრდება.

მონოგენეა (Monogenea; ბერძნ. monos ერთი, ერთიანი + genos გვარი, წარმოშობა) – ჰელმინთების კლასი; თევზების, ამფიბიებისა და რეპტილიების ექტოპარაზიტები. ჰერმაფროდიტები. ვითარებიან პირდაპირი გზით, შუალედური მასპინძლების გარეშე.

მონოტომია (monotomia; ბერძნ. monos ერთი, ერთიანი + tome განაჭერი) – უმარტივესის სხეულის გაყოფა ორ თანაბარ, შეილულ უჯრედად.

მოსკიტები (Phlebotomidae; ბერძნ. ვენა + tome განაჭერი + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – მცირე ორფრთიანი სისხლმწოვი მწერების ოჯახი; მიეკუთვნება Nematocera-ს ქვერასშს. დადგენილია მ-ების ორი გვარი: Phlebotomus და Sergentomyia. ისინი ზოგიერთი ვირუსული, პროტოზოული და ჰელმინთოზური დაავადების გადამტანები არიან.

მრავალკამერიანი ექინოკოკი (იხ. ალვეოკოკი).

მულტიცეპსი (Multiceps; ლათ. multus მრავალრიცხოვანი + kephale თავი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება Taeniata-ს

ქვერაზმს. სახეობები:

- **Multiceps multiceps** – პარაზიტობს ძაღლის, მგლის, მელიის, ტურის, ყარსალის წვრილ ნაწლავეებში. მისი ლარვული ფორმა – **Coenurus cerebralis** ლოკალიზებს მცოხნელი ცხოველების, ზოგჯერ ადამიანის თავის ტვინში, იშვიათად – ზურგის ტვინში;

- **M.skrjabini** (აკად. კ.სკრიაბინის პატივსაცემად) – პარაზიტობს ძაღლისა და მგლის წვრილ ნაწლავეებში. მისი ლარვული ფორმა – **Coenurus skrjabini** ლოკალიზებს ცხვრისა და თხის კანქვეშა უჯრედისში, კუნთებში, მუცლის ღრუში;

- **M.serialis** (ლათ. **series** ჯაჭვი, მწკრივი) – პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველების ნაწლავეებში. მისი ლარვული ფორმა – **Coenurus serialis** ლოკალიზებს მღრღნელების (ბოცვერი, კურდღელი) კუნთებშია შემაერთებელ ქსოვილში.

მ-ის ზრდასრული (ლენტისებრი) ფორმები ძაღლის, მგლის, მელიის, ტურის, ყარსალის მულტიცეპტოზის აღმძვრელებია.

მულტიცეპტოზი (multiceptosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Multiceps + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Multiceps**-ის გვარის ცესტოდები, წვრილ ნაწლავეებში პარაზიტობენ. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: კოლიკი, ფალარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, პირღებინება, გაუკუღმართებული მადა, სიგამხდრე, ზრდა-განვითარების შეფერხება. ზოგჯერ ნერვული მოვლენები ვლინდება.

მუმლი – (სისხლმწოვი მწერების ხალხური დასახელება) – ორფრთიანი სისხლმწოვი მწერების (კოლო, ქინქლა, ოფა, მოსკიტი, ბუზანკალი) ერთობლიობა.

მუნი (მღერი) (ლათ. scabies) – დაავადებათა ჯგუფი, რომელთაც იწვევენ აკარიფორმული (მქავენა) ტკიპები. არჩევენ კანზედა, ტყავიჭამია, ქავილიან, ყურისა და ჯირკვლის მუნს.

მუტუალიზმი (mutualismus; ლათ. mutuus ურთიერთმეგობრობა) – სიმბიოზის ფორმა (ორმხრივი სიმბიოზი), როდესაც ორივე პარტნიორს ერთმანეთისათვის სარგებელი მო-

აქვს.

მქავანები (Sarcoptes; ბერძნ. sarx, sarkos ხორცი + koptein გაგლეჯა) – მქავანა ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Sarcoptidae**-ს ოჯახს, **Sarcoptoidea**-ს ზეოჯახს, **Sarcoptiformes**-ის ქვერაზმს, **Acariformes**-ის რაზმს (იხ. სარკოპტეს).

მწერები (Insecta; ლათ. მწერები) – კლასი; მიეკუთვნება **Arthropoda**-ს (ფეხსახსრიანები) ტიპს. ზრდასრულ მწერებს სამი წყვილი ფეხი აქვთ. მათი სხეული დაყოფილია თავის, მკერდისა და მუცლის სეგმენტებად. მწერების კლასი ძალზე მრავალრიცხოვანია (მოიცავს 1,5 მლნ-ზე მეტ სახეობას). ისინი ბინადრობენ ჰაერში, ხმელეთზე, წყალში, მცენარეებში, ცხოველების ორგანიზმში. მწერების მრავალი სახეობა არის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელი, ცხოველების ექტო- და ენდოპარაზიტი, დაავადებათა აღმძვრელების გადამტანი და შუალედური მასპინძელი. მწერების კლასი იყოფა **Hemimetabola**-სა (არასრულად გარდაქმნადი) და **Holometabola**-ს (სრულად გარდაქმნადი) ჯგუფებად. **Hemimetabola**-ს ჯგუფში გაერთიანებულია ნემსიყლაპიების (**Odonata**), ერთდღიურების (**Ephemeroptera**), სწორფრთიანების (**Orthoptera**), ტარაკანასებრების (**Blattoptera**), ყურბელების (**Dermaptera**), ტერმიტების (**Isoptera**), ბუმბლიჭამიების (**Mallophaga**), ტილების (**Siphunculata**), ნახევრადხემფრთიანების ანუ ბაღლინჯოების (**Hemiptera**) რაზმები, ხოლო **Holometabola**-ს ჯგუფში – ხემფრთიანები-ხოჭოების (**Coleoptera**), ბეწვფრთიანების (**Trichoptera**), პეპლების (**Lepidoptera**), სიფრიფანფრთიანების (**Hymenoptera**), რწყილებისა (**Siphonaptera**) და ორფრთიანების (**Diptera**) რაზმები. განსაკუთრებით გავრცელებულია ბოლო რაზმის მწერები.

მწოველები (Trematoda) – იხ. ტრემატოდები.

6

ნაგანა (nagana; უძღური, გამოუსადეგარი) – შინაური ცხოველების ინვაზიური დაავადება, რომლის აღმძვრელია

- **Trypanosoma brucei**. გავრცელებულია აფრიკაში. აღმძვრელის ბიოლოგიური გადამტანია - ბუზი ცეცე. შესაძლებელია აღმძვრელის მექანიკური გადაცემა ბუზანკალებისა და წვიების მეშვეობით. ავადდება შინაური ცხოველების თითქმის ყველა სახეობა. დამახასიათებელია ციებ-ცხელება, ღაბაბისა და კიდურების შეშუპება, პროდუქტიულობის დაქვეითება. ლეტალური შედეგი ორი კვირიდან ორი თვის განმავლობაში დგება.

ნაკვეთმორიგეობითი ძოვება - ჰელმინთოზების საძოვრული პროფილაქტიკის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ჰელმინთების ბიოლოგიის საკითხებისა და მათ მიერ გამოწვეულ დაავადებათა ეპიზოოტოლოგიური თავისებურებების ცოდნაზე.

ნეკატორი (Necator; ლათ. მკვლელი) - ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Ancylostomatidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Necator americanus** (ლათ. ამერიკული) - სახეობა, ღორის ნეკატოროზის აღმძვრელი. გეოჰელმინთი.

ნეკატოროზი (Necatorosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Necator + ბერძნ. osis დაავადება) - ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა - **Necator americanus**, პარაზიტობს ღორის წერილ ნაწლავებში.

ნემატოდები (Nematoda; ბერძნ. nema, nematos ძაფი + eidos მსგავსი, გარეგნობა) - მრგვალი ჭიების კლასი, რომელიც აერთიანებს თავისუფლადმცხოვრებ და პარაზიტულ სახეობებს. **ნები** ყველა სახეობის ცხოველებისა და მცენარეების პარაზიტები არიან. ისინი სქესგაყოფილი ორგანიზმებია, ხოლო განვითარების ციკლის მიხედვით - გეო- და ბიოჰელმინთები. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ ნემატოდებს, რომლებიც გაერთიანებული არიან ქვერაზმებში: **Ascaridata, Rhabditata, Oxyurata, Strongylata, Spirurata, Filariata, Camallanata, Trichocephalata, Dioctophymata**.

ნემატოდების პირის კაფსულა - სტომას (იხ.) ნაირსახეობა, რომელსაც სხვადასხვა ფორმისა და სიდიდის ღრუს სახე აქვს და ამოფენილია კუტიკულური ფენით.

ნემატოდირელა (*Nematodirella*; ბერძნ. *nema*, *nematos* ძაფი + ლათ. *dirus* საშინელი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Trichostrongylidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Nematodirella longissimespiculata* (ლათ. *longissimus* ყველაზე გრძელი + სპიკულა) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ირმების, აქლემის, გარეული მცოხნელების წვრილ ნაწლავებში. ამ ოჯახის სხვა ჰელმინთებთან ერთად არის მცოხნელების ტრიქოსტრონგილიდოზების აღმძვრელი.

ნემატოდირუსი (*Nematodirus*; ბერძნ. *nema*, *nematos* ძაფი + ლათ. *dirus* საშინელი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Trichostrongylidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Nematodirus filicollis* (ლათ. *filum* ძაფი + *collum* კისერი) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ირმების წვრილ ნაწლავებში; *N.spathiger* (ბერძნ. *spathe* ფართო დანის პირი) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, სხვა მცოხნელთა წვრილ ნაწლავებში; *N.abnormalis* (ლათ. *ab* დან + *normalis* მართალი) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ასევე, გარეული მცოხნელების წვრილ ნაწლავებში.

ნემატოცერა (*Nematocera*; ბერძნ. *nema*, *nematos* ძაფი + *keras* რქა) – გრძელუღვაშა ორფრთიანი მწერების ქვერაზმი, რომელიც აერთიანებს კოლოების (*Culicidae*), ქინქლების (*Simuliidae*), ოფების (*Ceratopogonidae*), პეპლურებისა (*Psychodidae*) და მოსკიტების (*Phlebotomidae*) ოჯახებს.

ნემატჰელმინთები (*Nemathelminthes*; ბერძნ. *nema*, *nematos* ძაფი + *helmins*, *helminthos* ჭია) – მრგვალი ჭიების ტიპი, რომელშიც გაერთიანებულია ექვსი კლასი. მათგან პრაქტიკული სავეტერინარო მნიშვნელობა გააჩნია *Nematoda*-ს კლასს.

ნემერტინები (*Nemertini*) – ზღვის ტიპიური ბინადარი ჭიების კლასი. **ნ-ები** სქესგაყოფილი მტაცებლებია; იკვებებიან ჭიებით, მოლუსკებით, მცირე კიბოსებრებით. არიან პარაზიტული სახეობებიც.

ნემსიყლაპიები (Odonata; ბერძნ. **odus** კბილი) – მწერების რაზმი. მიეკუთვნება **Hemimetabola**-ს ჯგუფს. ისინი მსხვილი, კარგადმფრენი მტაცებლებია, რომლებიც ფრენის დროს მცირე მწერებზე, მათ შორის, კოლოებზე ნადირობენ. მათი ლარვები წყალში ბინადრობენ, სადაც კოლოს ლარვებით იკვებებიან. **ნები** პროსთოგონიმუსების (ფრინველის ტრემატოდები) შუალედური მასპინძლები არიან.

ნეოასკარიდები (Neoascaris; ბერძნ. **neos** ახალი **askaris** ჭია) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Anisakidae**-ს ოჯახს, **Ascaridata**-ს ქვერაზმს. **Neoascaris vitulorum** (ლათ. **vitulus** ხბო) – სახეობა, პარაზიტობს ხბოს წვრილ ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ხბოს ნეოასკარიდოზის აღმძვრელი.

ნეოასკარიდოზი (neascaridosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Neoascaris** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის მოზარდეულის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Neoascaris vitulorum** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში, ზოგჯერ – მაჭიკში. გავრცელებულია ყველგან. ავადღებებიან ოთხ თვემდე ასაკის ხბოები, კამეჩისა და ზებუს მოზარდეული. სიმპტ.: მადის დაკარგვა, რძის მიღებისთანავე ტიმპანის განვითარება. პირის ღრუდან აცეტონის მსგავსი სუნი აღინიშნება. ფეკალი მუქიდან შავამდე შეფერილობისაა, რაც დამოკიდებულია სისხლის მინარევის ოდენობაზე. დაავადების მძიმე ფორმით მიმდინარეობისას ვითარდება ფალარათი ან ყაბზობა, ნაწლავების შებერვა. ავადმყოფი ხშირად შარდავს. სუნთქვა გართულებულია. არის ხველა, კუნთების კრუნჩხვითი შეკუმშვები, ვითარდება უკანტანის დამბლა, ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, ჩლუნგდება ცნობიერება. ცხოველი ძლიერ გამხდარია. ინტენსიური დაინვაზიების დროს შესაძლოა განვითარდეს ნაწლავების გაუვალობა.

ნიმფა (nymphe; ბერძნ. ახალგაზრდა, გასათხოვარი ქალი) – ლარვას შემდეგ ტკიპის განვითარების ფაზა, რომელიც წინ უსწრებს ზრდასრულ (იმაგინალურ) ფაზას.

ნიჩაბფეხიანი კიბოსებრები (Copepoda; ბერძნ. **kope** კოპე

+ **pus, podos** ფეხი) – ნიჩაბფეხიანი კიბოსებრების რაზმი; მიეკუთვნება **Crustacea**-ს კლასს. წყლის მცირე ფორმები – პლანქტონის ძირითადი შემადგენელი ნაწილი და თევზების საკვები. ზოგიერთი მათგანი ჰელმინთების (**Diphyllobothrium latum, Drepanidotaenia lanceolata**) შუალედური მასპინძელია.

ნოზემა (**Nosema**; ბერძნ. **nosema, noses** დაავადება) – უჯრედშიდა პარაზიტების გვარი; მიეკუთვნება **Microsporidia**-ს რაზმს. უხერხემლო და ხერხემლიანი ორგანიზმების პარაზიტები, რომლებიც დიდ ეკონომიკურ ზარალს აყენებენ მეფუტკარეობის (იხ. ნოზემატოზი), მეაბრეშუმეობის (იხ. პებრინა) და მეთევზეობის (იხ. მიკროსპორიდიოზები) დარგებს.

ნოზემატოზი (**nosematosis**; ბერძნ. **nosema, noses** დაავადება) – ფუტკრის დაავადება, რომლის აღმძვრელია ერთუჯრედიანი პარაზიტი – **Nozema apis** (ლათ. **apis** ფუტკარი, სხეულის ზომები – 4,5-7,5x2,2-3,3 მიკრონი). **ნ-ზი** აზიანებს ფუტკრის საშუალო ნაწლავის ეპითელურ უჯრედებს და მალპიგიის მილაკებს. სიმპტ.: ფაღარათი, მოდუნება, მასობრივი გაწყდომა.

ნოტოედრესი (**Notoedres**; ბერძნ. **notos** ზურგი + **hedra** საჯდომი) – აკარიფორმული ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Sarcoptidae**-ს ოჯახს. **Notoedres cati** (ლათ. **cattus** მამრი კატა) და **N.cuniculi** (ლათ. **cuniculus** ბოცვერი) – სახეობები, რომლებიც ძაღლის, კატის, მელიის, ბოცვერის ნოტოედროზის აღმძვრელებია. იშვიათად, შესაძლებელია ადამიანის დაინვაზიციაც.

ნოტოედროზი (**notoedrosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Notoedres** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ძაღლის, კატის, მელიის, ბოცვერის ინვაზიური დაავადება (არაქნოზი), რომლის აღმძვრელი, **Notoedres**-ის გვარის ტკიპები პარაზიტობენ თავის, ზურგის, წინა და უკანა კიდურების კანის ეპიდერმისის სისქეში. გავრცელებულია ყველგან. განსაკუთრებით ამთვისებულია მოზარდული. სიმპტ.: თავის, ყურის ნიჟარების, შუბლის, ლოყების, კისრის ზედა მესამედის კანზე წარმოიქმნება პაპულები და ვეზიკულები, რომლებიც შემდეგ ფუფხით იფარება; ვლინდება ძლიერი ქავილი; დაზიანების ადგილებში კანი სქელდება

და ელასტიკურობას კარგავს. პროცესი შესაძლოა გავრცელდეს ზურგის, ბეჭების მიდამოებში, წინა და უკანა კიდურებზე.

ნოტოკოტილიდოზი (notocotylidoses; აღმძვრელის გვარის დასახელება *Notocotylus* + ბერძნ. *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – შინაური იხვებისა და ბატების, გარეული წყალმცურავი ფრინველების ჰელმინთოზები. აღმძვრელები მიეკუთვნებიან *Notocotylidae*-ს ოჯახს, *Trematoda*-ს კლასს; პარაზიტობენ სწორ და ბრმა ნაწლავებში. **ნ.** გავრცელებულია ყველგან. უპირატესად, მოზარდული ავადდება. კლ. ნ-ები არადაამახსიათებელია. ინტენსიური დაინვაზიებისას უფროსი ასაკის ფრინველი ძლიერ გამხდარია, ხოლო მოზარდული იღუპება.

ნოტოკოტილუსი (Notocotylus; ბერძნ. *notos* ზურგი + *kotyle* ღრუ) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Notocotylidae*-ს ოჯახს. *Notocotylus attenuatus* (ლათ. უბრალო) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, გარეული წყალმცურავი ფრინველების ბრმა ნაწლავში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები.

ნუტალია (ინგლისელი მეცნიერის გ.ნუტალის პატივსაცემად) – უმარტივესები; მიეკუთვნებიან *Theileriidae*-ს ოჯახს, *Piroplasmida*-ს რაზმს. **ნ-ებს** (ნუტალიოზის აღმძვრელები პარაზიტობენ სისხლში) ოვალური ან მსხლისებრი ფორმა აქვთ. მათი სხეულის ზომა ერითროციტის რადიუსის ტოლი ან მასზე ნაკლებია. თბილსისხლიანი ცხოველების ორგანიზმში ისინი ოთხად დაყოფის გზით მრავლდებიან. ერითროციტებში მათთვის დამახსიათებელია მალტიური ჯვრის ფორმა.

ნუტალიოზი (nuttalliosis; აღმძვრელის გვარის დასახელება *Nuttallia* + *osis* დაავადება) – კენტრლიაქიანი ცხოველების ინვაზიური (ჰემოსპორიდიული) დაავადება. აღმძვრელი – *Nuttallia equi* გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. მისი გადამტანებია *Hyalomma*-ს, *Rhipicephalus*-ისა და *Dermacentor*-ის გვარების ტკიპები. სიმპტ.: მაღალი ტემპერატურა, ლორწოვანი გარსების ანემიურობა და სიყვითლე, გულისა და საჭმლის მომნელებე-

ლი ტრაქტის ფუნქციების მოშლა. დაავადებამოხდელი ცხენები დიდხანს არიან ნუტალიამატარებლები.

ო

ობლიგატური მასპინძელი – იხ. მასპინძელი

ობობასებრები (*Arachnoidea*; ბერძნ. *arachne* ობობა + *eidos* მსგავსი, გარეგნობა) – კლასი, რომელიც მიეკუთვნება ფენსასხრიანთა – *Arthropoda*-ს ტიპს. ობობასებრთა სხეული დაყოფილია და შედგება თავმკერდისა და მუცლისგან (ობობები) ან ერთიანია (ტკიპები). ზრდასრულ ფორმებს ოთხი წყვილი კიდური აქვთ.

ობატიდიუმი (*ommatidium*; ბერძნ. *ommatium* თვალი + *eidos* მსგავსი, გარეგნობა) – მწერების რთული (ფასეტური) თვალის ცალკეული მხედველობითი ერთეული, რომელთა რაოდენობა სხვადასხვა მწერებს განსხვავებული აქვთ: ნემსიყლაპიას – 28 ათასი, მეთაფლე ფუტკარს – 7 ათასი, ოთახის ბუზს – 3,5-4 ათასი.

ონკოსფერა (*onkosphaera*; ბერძნ. *onkos* კაუჭი + *sphaera* ბუმბი) – ლარვა, რომელიც ფორმირდება ძეწკურა ცესტოდების კვერცხში. ო. მრგვალია. მას ექვსი კაუჭი და რადიალურად დახაზული გარსი (ემბრიოფორა) აქვს.

ონქოცერკა (*Onchocerca*; ბერძნ. *onkos* ჩირქგროვა, სიმსივნე + *kerkos* კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Filariidae*-ს ოჯახს, *Filariata*-ს ქვერგვარს. ბიოპელმინთი. *Onchocerca reticulata* (ლათ. *reticulatus* ბადისებრი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის ფეხის მომხრელი მყესების ქსოვილებში, საბორკილე სახსრის იოგებში, სისხლძარღვოვან ქსოვილებში ჩლიქიდან წინამხრამდე და კიდურების მყესების მიდამოს კანქვეშა უჯრედისში.

შუალედ. მასპინძ. – ოფები; *O.cervicalis* (ლათ. კისრის) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის ქედის იოგის მყესოვან ქსოვილში. შუალედ. მასპინძ. – ოფები და კოლოები; *O.gutturosa* (ლათ. *guttur* ყელი, ხახა) – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ქედის იოგის შემაერთებელ ქსოვილებში. შუალედ.

მასპინძ. – ქინქლები.

ონქოცერკოზი (onchocercosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Onchocerca + osis** დააეადება) – ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Onchocerca**-ს გვარის ნემატოდები, პარაზიტობენ მყესებსა და იოგებში (ზრდასრული ფორმები) და კანში (ლარვული ფორმები). გავრცელებულია ყველგან. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. ავადდება ცხენი, ძროხეული. **ო-ზით** დაავადებული ცხენი კოჭლობს, მინდაოს მიდამოში მას უვითარდება აბსცესი და ფლეგმონა. მსხვილფეხა მცოხნელ პირუტყვეს გამობხატული კლ. ნ-ები არ აქვს.

ოოცისტა (oocystis; ბერძნ. **oon** კვერცხი + **kystos** ტომარა, ბუშტი) – გარსით დაფარული ზიგოტა; გარემოში გამოიყოფა სპოროფანების მიერ. დაყოფის პროცესში მასში წარმოიქმნება სპოროზოიტები.

ოპისტორქისი (Opisthorchis; ბერძნ. **opisthein** უკნიდან + **orchis** სათესლე) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Opisthorchidae**-ს ოჯახს. **Opisthorchis felineus** (ლათ. **felis** კატა) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, კატის, ბეწვიანი ნადირის, ადამიანის, იშვიათად – ღორის ორგანიზმში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – მდინარის თევზები (ნაფოტა, კობრი, ჭანარი, კაპარჭინა). ხორცისმჭამელი ცხოველებისა და ადამიანის ოპისტორქოზის აღმძვრელი.

ოპისტორქოზი (Opisthorchosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Opisthorchis + ბერძნ. osis** დააეადება) – ხორცისმჭამელი ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Opisthorchis felineus** პარაზიტობს ღვიძლის ნალვლის სადინარებში, ნალვლის ბუშტში, იშვიათად – კუჭქვეშა ჯირკვალში. სიმპტ.: სიყვითლე, მადის დაქვეითება, დაძაბუნება, სიგამბდრე, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის აშლილობა (ფაღარათი იცვლება ყაბზობით), ტკივილი ღვიძლის მიდამოში.

ოპისტოსომა (opisthosoma; ბერძნ. **opisthein** უკნიდან + **soma** სხეული) – აკარიფორმული ტკიპების სხეულის უკანა ნაწი-

ლი, რომელზეც არ არის კიდურები.

ორგანელა (ბერძნ. **organon** ორგანო) – სინ. – ორგანოიდი.

ორგანოიდები (**organoid**; ბერძნ. **organon** ორგანო + **eidos** მსგავსი, გარეგნული) – სინ. ორგანელები – ცხოველისა და მცენარის უჯრედების ციტოპლაზმას მუდმივი სტრუქტურები, რომლებსაც განსაზღვრული ფუნქციები აქვთ. **ო-ებს** მიეკუთვნება ენდოპლაზმური ბადე, რიბოსომები, გოლჯის აპარატი, მიტოქონდრიები, ცენტროსომები და სხვ.

ორიბატიდული ტკიპები (**Oribatei**) – საძოვრის ჯავშნიანი ტკიპები; მიეკუთვნებიან **Acariformes**-ის რაზმს. მრავალი ჰელმინთოზის აღმძვრელის შუალედური მასპინძელები.

ორიენტობილპარცია (**Orientobilharzia**; ბერძნ. **orienthos** აღმოსავლეთი + ექიმ ბილპარცის პატივსაცემად) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Schistosomatata**-ს ქვერაზმს. სქესგაყოფილი მწოველები. **Orientobilharzia turkestanica** (გამოვლენილი იქნა თურქმენეთში) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის, თხის, ძროხეულის ორგანიზმში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები. მცოხნელი ცხოველების ორიენტობილპარციოზის აღმძვრელი.

ორიენტობილპარციოზი (**orientobilharziosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Orientobilharzia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხვრის, თხის, ძროხეულის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Orientobilharzia turkestanica** პარაზიტობს ჯორჯლის, ღვიძლის, კუჭქვეშა ჯირკვლის სისხლძარღვებში, ნაწლავების კედლების ლორწოქვეშა გარსში. გავრცელებულია კერობრივად, უპირატესად – შუა აზიის ქვეყნებში. სიმპტ.: დაძაბუნება, პროგრესირებადი ფაღარათი სისხლისა და ფიბრინული აფსკის მინარევებით, ხილული ლორწოვანი გარსების სიყვითლე; სხეულის ტემპერატურა – მომატებული, პულსი – აჩქარებული, სუნთქვა – გახშირებული.

ორფრთიანები (**Diptera**; ბერძნ. **dis** ორჯერ, ორგზის + **pteron** ფრთა) – მწერების რაზმი; მიეკუთვნება **Pterigata**-ს (ფრთიანები) ქვეკლასს. ვითარდებიან სრული გარდაქმნით (**Holometabola**).

მის შემადგენლობაშია ქვერაზმი **Brachycera** (მოკლეულვაშიანები), რომელიც აერთიანებს ოჯახებს: **Hypodermatidae** (კანქვეშა ბორები), **Gastrophilidae** (კუჭის ბორები), **Oestridae** (ცხვირხახის ბორები), **Muscidae** (ნამდვილი ბუზები), **Calliphoridae** (ლემის ბუზები), **Sarcophagidae** (ხორცის რუხი ბუზები), **Tabanidae** (ბუზანკალები), **Hippoboscidae** (სისხლმწოვები) და ქვერაზმი **Nematocera** (გრძელულვაშიანები), რომელიც აერთიანებს ოჯახებს: **Culicidae** (კოლოები), **Simuliidae** (ქინქლები), **Ceratopogonidae** (ოფები), **Phlebotomidae** (მოსკიტები).

ოსტერტაგია (**Ostertagia**; გერმანელი მეცნიერის ოსტერტაგის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichostrongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. გეოპლმინთი. **Ostertagia ostertagi** – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ცხვრის მაჭიკში, იშვიათად – ცხენის ღვიძლში; **O.trifurcata** (ლათ. tres სამი + furca ჩანგალი) და **O.circumcincta** (ლათ. circumcingere გარს შემოხვევა) – სახეობები, პარაზიტობენ ცხვრისა და თხის მაჭიკში. სხვა სახეობის ტრიქოსტრონგილიდებთან ერთად არიან მცოხნელთა ტრიქოსტრონგილიდოზის აღმძვრელი.

ოტოდექტესი (**Otodectes**; ბერძნ. otos ყური + dektikos მკბენელი) – აკარიფორმული ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Psoroptidae**-ს ოჯახს. **Otodectes cynotis** (ბერძ. kynoks ძაღლის) – სახეობა, რომელიც ძაღლის, კატის, ბეწვიანი ნადირის ყურის მუნს (მღერს) – ოტოდექტოზს იწვევს.

ოტოდექტოზი (**otodectosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Otodectes** + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების ყურის მუნი (მღერი), რომლის აღმძვრელი, **Otodectes**-ის გვარის ტკიპი პარაზიტობს ყურის ნიჟარის კანის შიდა ზედაპირზე, სასმენ ხვრელსა და დაფის აპკზე. უპირატესად ავადდება 1,5-4 თვის ასაკის მოზარდეული. დაავადება გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: შეტევის სახით მოუსვენრობის (გალიაში სირბილი, თავის ქნევა) პერიოდულად გამოვლენა, ზრდაში ჩამორჩენა, ბეწვის გაფერმკრთალება. სასმენი ხვრელის

კანის ზედაპირზე წყლულებია, ხოლო საშუალო და შიდა ყურის ღრუებში – ჩირქოვანი ექსუდატი.

ოფები (Ceratopogonidae; ბერძნ. keras რქა + pogonion დაკბილული, კაუჭი) – სისხლმწოვი ორფრთიანი მწერების ოჯახი; მიეკუთვნება Nematocera-ს ქვერაზმს. განსაკუთრებით გავრცელებული გვარებია: **Culicoides** (ლათ. **aculeus** ნესტარი + **eidos** მსგავსი, გარეგნობა); **Leptoconops** (ბერძნ. **leptos** წვრილი + **conos** კონუსი + **ops** სახე); **Forcipomyia** (ლათ. **forceps** მაშა + ბერძნ. **myia** ბუზი).

ოქროსთვალეები (Chrysops; ბერძნ. chrysos ოქრო + opa თვალი) – მწერების გვარი; მიეკუთვნება Tabanidae-ს ოჯახს (ბუზანკალები), Diptera-ს რაზმს. ისინი მცირე ზომის სხეულის (6-10 მმ) მქონე ბუზანკალებია, რომელთაც ოქროსფერი თვალეები და ჭრელადშეღებილი ფრთები აქვთ. **ო-ები** არიან ტულარემიისა და ჯილეხის აღმძვრელების, სხვადასხვა ვირუსისა და ტრიპანოსომების გადამტანები.

ოქსიურისი (Oxyuris; ბერძნ. oxyz ბასრი, წვეტიანი + ura კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Oxyuridae-ს ოჯახს, **Oxyurata** ქვერაზმს. **Oxyuris equi** (ლათ. **equus** ცხენი) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს კენტჩლიქიანთა ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ოქსიუროზის აღმძვრელი.

ოქსიუროზი (oxyurosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Oxyuris + ბერძნ. osis დაავადება) – ცხენის, სახედრის, ჯორის, ჯორცხენას, ზებრას ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Oxyuris equi** პარაზიტობს ბრმა ნაწლავსა და კოლინჯში. გავრცელებულია ყველგან. დამახასიათებელი კლ. ნ-ები: კუდის ფუძის მიდამოში ძუის აჩეჩვა, ქავილი და დერმატიტი. საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციის მოშლის გამო ცხოველი ძლიერ გამხდარია.

პ

პალპები (palpi; ლათ. თითებით მოსინჯვა) – საცეცები, ტკიპის მეორე წყვილი კიდურების თავისუფალი ნაწილები.

პარაბრონემა (Parabronema; ბერძნ. **para** გვერდით, ახლოს + აღმძვრელის გვარის დასახელება **Habronema**) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spirurata**-ს ქვერაზმს. **Parabronema skriabini** (აკად. კ.სკრიაბინის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს წვრილფეხა და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, მრავალი გარეული მცოხნელი ცხოველის ორგანიზმში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – წვია.

პარაბრონემოზი (parabronemosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Parabronema + osis** დაავადება) – მცოხნელი ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Parabronema skriabini** პარაზიტობს მაჭიკში. გავრცელებულია აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ქვეყნებში. კლ. ნები არადამასასიათებელია: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის მოშლა, ხილული ღორწოვანი გარსების ანემია, სიგამხდრე.

პარაგონიმოზი (paragonomosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Paragonimus + osis** დაავადება) – ბეწვიანი ნადირის, ძროხეულის, ღორის, ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – **Paragonimus westermani** პარაზიტობს ფილტვებში. გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიის ქვეყნებში. სიმპტ.: ხველა, გართულებული სუნთქვა, ხიზინი ფილტვებში.

პარაგონიმუსი (Paragonimus; ბერძნ. **para** გვერდით + **gonimos** შვილოსნობა) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Troglorematidae**-ს ოჯახს. **Paragonimus westermani** (გერმანელი მეცნიერის ვესტერმანის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველების, ძროხეულის, ღორისა და ადამიანის სასუნთქ სისტემაში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – მტკნარი წყლის კიბოები და კიბოსებრები. პარაგონიმოზის აღმძვრელი.

პარაზიტი (parasitos; ბერძნ. **para** გვერდით + **sitos** საკვები) – ორგანიზმი, რომელიც დროებით ან მუდმივად სახლდება სხვა ინდივიდის სხეულში ან მის ზედაპირზე, იკვებება მასპინძლის წვენებით, ქსოვილებით ან გადამუშავებული საკვებით და

აყენებს მას გარკვეულ ზიანს:

- **პარაზიტი ჰეტეროქსენური** (**heteros** სხვა + **xenos** მასპინძელი) – სასიცოცხლო ციკლის დასამთავრებლად საჭიროა რამდენიმე ცხოველი – მასპინძელი;

- **ჰ.ჰომოქსენური** (ბერძნ. **homos** თანაბარი + **xenos** მასპინძელი) – სასიცოცხლო ციკლი მთავრდება ერთი მასპინძლის ორგანიზმში;

- **ჰ.მონოქსენური** (ბერძნ. **monos** ერთი + **xenos** მასპინძელი) – ვითარდება ერთი სახეობის ცხოველის მონაწილეობით;

- **ჰ.პოლიქსენური** (ბერძნ. **poli** მრავალი + **xenos** მასპინძელი) – ბინადრობს მრავალი გვარისა და სახეობის ცხოველების სხეულში ან სხეულზე.

პარაზიტიზმი (**parasitismus**; ბერძნ. **parasitos** პარაზიტი + **ismos** ავადმყოფური მდგომარეობა) – გენეტიკურად სხვადასხვაგვარი ორგანიზმების ისტორიულად ჩამოყალიბებული ასოციაცია, დაფუძნებული კვებით კავშირებზე, როდესაც ერთი ორგანიზმი (პარაზიტი) ბინადრობს მეორე ორგანიზმში (მასპინძელი) და იყენებს მას, როგორც საკვების მიღების წყაროს. ამასთან, ორივე პარტნიორი ერთმანეთის მიმართ სხვადასხვა სიმწვავის მქონე ანტაგონისტურ ურთიერთობაშია.

პარაზიტიფორმისი (**Parasitiformes**; პარაზიტი + **forma** ფორმა) – პარაზიტიფორმული ტკიპების რაზმი; მიეკუთვნება **Arachnoidea**-ს კლასს (ობობასებრები). მასში გაერთიანებულია **Ixodoidea**-ს და **Gamasoidea**-ს ზეოჯახები. პირველ ზეოჯახში შედის **Ixodidae**-სა და **Argasidae**-ს ოჯახები, მეორეში – **Dermanyssidae**-ს ოჯახი. პარაზიტიფორმული ტკიპები არიან ინვაზიურ და ინფექციურ დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები, აგრეთვე – ექტოპარაზიტები.

პარაზიტოზები (**parasitoses**; ბერძნ. **parasitos** პარაზიტი + **oses** დაავადებები) – პარაზიტული ორგანიზმებით გამოწვეული პარაზიტული (ინვაზიური) დაავადებები.

პარაზიტოლოგია (**parasitologia**; ბერძნ. **parasitos** პარაზიტი + **logos** სწავლება) – კომპლექსური მეცნიერება, რომელიც

ყოველმხრივ სწავლობს ადამიანის, ცხოველებისა და მცენარეების პარაზიტებს, მათ მიერ გამოწვეულ დაავადებებს და ამ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

პარაზიტოცენოზი (parasitocenosis; ბერძნ. parasitos პარაზიტი + koinos საერთო) – ინვაზიური, ბაქტერიული, სოკოვანი და ვირუსული ორგანიზმების ერთობლიობა, რომლებიც მასპინძლის ორგანიზმში მუდმივ ურთიერთქმედებაში არიან და მასზე კომპლექსურ გავლენას ახდენენ. თავის მხრივ, მასპინძლის ორგანიზმი საკუთარი თავდაცვითი რეაქციებით გავლენას ახდენს ცალკეული პარაზიტების პათოგენურ მოქმედებაზე რაც, მთლიანობაში, პარაზიტოცენოზზე აისახება.

პარაზიტოციდული (ბერძნ. parasitos პარაზიტი + caedere მოკვლა) – პარაზიტზე დამლუპველად მოქმედი, პარაზიტის საწინააღმდეგო საშუალება.

პარაზიტული დაავადებები – სნეულებები, გამოწვეული ცხოველური წარმოშობის პარაზიტებით. აღმძვრელის მიხედვით ანსხვავებენ: ჰელმინთოზებს (აღმძვრელები – ჰელმინთები), პროტოზოოზებს (აღმძვრელები – უმარტივესები), არაქნოზებს (აღმძვრელები – ობობასებრები) და ენტომოზებს (აღმძვრელები – მწერები).

პარამფისტომა (Paramphistomum; ბერძნ. para გვერდით + amphi ორმხრივი + stoma პირი) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება Paramphistomidae-ს ოჯახს, Paramphistomata-ს ქვერაზმს. Paramphistomum cervi, P. ichikawai – სახეობები, პარაზიტობენ ძროხის, კამეჩის, იშვიათად ცხვრის, თხის, ირმის, ზოგიერთი გარეული მცოხნელის ფაშეში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, რომლებიც მიეკუთვნებიან Planorbidae-ს ოჯახს. პარამფისტომატების სხვა სახეობებთან ერთად არიან მცოხნელების პარამფისტომატოზის აღმძვრელები.

პარამფისტომატოზები (paramphistomoses; ქვერაზმის დასახელება Paramphistomata + ბერძნ. oses დაავადებები) – მცოხნელი ცხოველების ჰელმინთოზები. აღმძვრელებია ტრემატოდები,

რომლებიც მიეკუთვნებიან **Paramphistomum**-ის, **Calicophoron**-ისა და **Gastrothylax**-ის გვარებს. ისინი გაერთიანებული არიან **Paramphistomata**-ს ქვერაზმში. მათი ახალგაზრდა ფორმები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში, ზრდასრული ფორმები – იმავე ცხოველის ფაშეში, იშვიათად – ბადურაში. გავრცელებულია ყველგან. დაავადება მიმდინარეობს მწვავე (1,5-2 წლის მოზარდული) და ქრონიკული (უფროსი ასაკის ცხოველები) ფორმებით. მწვავე მიმდინარეობისას პირუტყვი დაუძლურებული, მოდუნებული და ძლიერ გამხდარია, ნაკლებად მოძრაობს, უმეტესად წევს, კენესის და კბილებს აკრაჭუნებს. ლორწოვანი გარსები მკრთალია, აღინიშნება ჰიპოტონია, წინაკუჭების ატონია, ფაღარათი, რომელიც იცვლება ყაბზობით. ყბათაშუა და ღაბაბის არეებში – შეშუპებაა. ქრონიკული მიმდინარეობისას აღინიშნება უწყვეტი ფაღარათი, პროგრესირებადი სიგამხდრე და ანემია.

პარანოპლოცეფალა (Paranoplocephala; ბერძნ. **para** გვერდით + **a** უარყოფა + **hoplon** იარაღი + **kephale** თავი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Anoplocephalata**-ს ქვერაზმს. **Paranoplocephala mamillana** (ლათ. **mamillanus** დვრილებით აღჭურვილი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – საძოვრის ორიბატიდული ტკიპები. ანოპლოცეფალიდების სხვა სახეობებთან ერთად არის კენტჩლიქიანი ცხოველების ანოპლოცეფალიდოზის აღმძვრელი.

პარანოპლოცეფალოზი (paranoplocephalosis; გვარის დასახელება **Paranoplocephala** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Paranoplocephala mamillana** პარაზიტობს კენტჩლიქიანი ცხოველების წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადდებიან ცხენები 5-7 თვის ასაკიდან 2-3 წლის ასაკამდე. ინტენსიური დაინვაზიების დროს აღინიშნება ენტერიტები, ჭვლების შეტევები, სიგამხდრე, კვიციების ზრდაში ჩამორჩენა, ხილული ლორწოვანი გარსების ანემია, ზოგჯერ – ღაბაბისა და კიდურების შეშუპება.

პარასკარიდოზი (parascaridosis; აღმძვრელის გვარის დასახელება

სელემა **Parascaris** + ბერძნ. **eidos** მსგავსი, გარეგნობა + **osis** დაავადება) – ცხენის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Parascaris equorum** პარაზიტობს წვრილ ნაწლავსა (ზრდასრული ფორმები) და ღვიძლსა და ფილტვებში (ლარვეული ფორმები). გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ერთ წლამდე ასაკის მოზარდული ავადდება. უფროსი ასაკის ცხენების ორგანიზმში პ. გამოსატული კლ. ნების გარეშე მიმდინარეობს. კვიცებს აღნიშნებათ ფალარათი, ენტერიტი, ბრონქოპნევმონიის ნიშნები: სხეულის ტემპერატურის ხანმოკლე მატება, სველა, აჩქარებული სუნთქვა, სეროზულ-ლორწოვანი გამონადენი ცხვირიდან. ზოგჯერ ვითარდება ნერვული ალგზნების შეტევები. წვრილ ნაწლავებში აღმძვრელის პარაზიტობისას ცხოველი თანდათან ხდება, ფალარათი იცვლება ყაბზობით, კვიცები ჩამორჩებიან ზრდაგანვითარებაში, მუცლის მოცულობა გადიდებულია, ხილული ლორწოვანი გარსები მკრთალია. შესაძლოა განვითარდეს ჭვლეზის შეტევები. ნერვული ფორმისას აღნიშნება: კრუნჩხვები, უკანა კიდურების პარეზი, ალგზნების მძაფრი შეტევები.

პარასკარისი (Parascaris; ბერძნ. para გვერდით, ახლოს + **askaris** ჭია) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Ascaridae**-ს ოჯახს, **Ascaridata**-ს ქვერაზმს. **Parascaris equorum** (ლათ. **equus** ცხენი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას წვრილ ნაწლავებში. ლარვეული ფორმები ასრულებენ ენტერო-ჰეპატო-კარდიოპულმონალურ მიგრაციას. გეოჰელმინთი. კენტრილიქიანი ცხოველების პარასკარიდოზის აღმძვრელი.

პარაფილარია (parafilaria; ბერძნ. para გვერდით, ახლოს + **Filaria** ნემატოდების გვარის დასახელება) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Filariidae**-ს ოჯახს, **Filariata**-ს ქვერაზმს. **Parafilaria multipapillosa** (ლათ. **multus** მრავალრიცხოვანი + **papilla** დვრილი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის კანქვეშა უჯრედისში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – სისხლმწოვი ბუზები.

პარაფილარიოზი (parafilariosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Parafilaria + ბერძნ. osis დაავადება) – ცხენის ჰელმინ-

თოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – *Parafilaria multipapillosa* პარაზიტობს კანქვეშა უჯრედისში. ავადდებიან სამ წელზე ხნიერი ცხენები. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. კლ. ნები: ზურგის, გვერდების, მინდაოსა და ბეჭების მიდამოებში წარმოიქმნება მუხუდოს მარცვლიდან ლობიოს მარცვლამდე ზომის ბორცვები. მზიან დღეებში ამ ადგილებში ვითარდება სისხლმდენი ჭრილობები. სალამობით და ღამით სისხლდენა წყდება, თუმცა მომდევნო დღეს კვლავ ხდება მისი განახლება. პ. საძოვრული პერიოდის დაავადებაა.

პართენიტა (parthenita; ბერძნ. parthenos ქალწული) – სპოროციტებისა და რედიების (მწოველების პართენოგენეტიკური თაობები) კრებითი დასახელება.

პართენოგენეზი (parthenogenesis; ბერძნ. parthenos ქალწული + genesis განვითარება) – კვერცხის განვითარება განაყოფიერების გარეშე.

პაროიკია (paroikia; ბერძნ. para გვერდით, oikia საცხოვრებელი) – თანაცხოვრების ფორმა, როდესაც ერთი ორგანიზმი მეორეს გვერდით სახლდება და ამ უკანასკნელს იყენებს თავის დასაცავად ან იკვებება მისი საკვების ნარჩენებით.

პარუტერინული ორგანო – საშვილოსნოს მიმდებარე ორგანო. იგი სახეცვლილი, გამკვრივებული პარენქიმაა, რომელიც ფორმირდება ზოგიერთი ცესტოდას (*Avitellinidae*, *Mesocestoididae*) პროგლოტიდას წინა ნაპირზე. საშვილოსნოდან კვერცხები ინაცვლებენ **პ-ლ ო-ში**, რომელიც პარენქიმული განტოტებებით ჩაზრდილია საშვილოსნოში. ავიტელინების ყოველ პროგლოტიდაში ერთი ასეთი ორგანო ფორმირდება, სტილეზიების პროგლოტიდაში – ორი, თიზანიეზიების პროგლოტიდაში – რამდენიმე ასეული. **პ-ლი ო** გარემოში კვერცხის დაცვის ფუნქციას ასრულებს.

პასალუროზი (passalurosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Passalurus + ბერძნ. osis დაავადება) – ბოცვერისა და კურდღლის ჰელმინთოზი. გავრცელებულია ყველგან. აღმძვრელი, ნემატოდა – *Passalurus ambiguus* პარაზიტობს მსხვილ

ნაწლავებში. სიმპტ.: ანუსის მიდამოში ქავილი, ბეწვის აჩეჩვა და კანის გაწითლება.

პასალურუსი (*Passalurus*; ბერძნ. *passalos* ბასრი ჯოხი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Oxyuridae*-ს ოჯახს, *Oxyurata*-ს ქვერანზმს. ***Passalurus ambiguus*** (ლათ. საეჭვო, ორანზროვანი) – სახეობა, პარაზიტობს ბოცვრებისა და კურდღლისებრების მსხვილ ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ბოცვრის პასალუროზის აღმძვრელი.

პატენტური პერიოდი (*patentus periodus*; ლათ. *patens* ღია, ნაღდი) – პერიოდი, როდესაც დაავადების აღმძვრელი გარემოში გამოჰყოფს საკუთარ ჩანასახოვან ფორმას (კვერცხი, ლარვა, ოოცისტა).

პებრინა – თუთის აბრეშუმხვევიას ინვაზიური დაავადება. აღმძვრელი, ერთჯვრედიანი პარაზიტი – ***Nosema bombycis*** (3-4x1,2-2 მკმ). აზიანებს თუთის აბრეშუმხვევიას ორგანიზმის ყველა ქსოვილს მათი განვითარების ყველა სტადიაზე. აღმძვრელის გადაცემა ხდება ტრანსოვარიული გზით. ინვაზიის საწყის ეტაპზე აბრეშუმხვევიას მუხლუხო საკვებს აღარ იღებს და ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება. კანის ცვლა გართულებულია და ხშირად, იგი იღუპება. თუ მუხლუხო გადარჩა, კანის ცვლის პერიოდში მისი სხეული დაფარულია მუქი ყავისფერი ლაქებით. ჩაჭურების პროცესი არაერთდროულად მიმდინარეობს. მიღებული პარკი წვრილია და დაფარულია თხელი გარსით.

პედიკულიდე (*Pediculidae*; ლათ. *pediculus* ტილი + *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ტილების ოჯახი. პარაზიტობენ ადამიანის სხეულზე.

პედიპალპები (*pedipalpi*; ლათ. *pes, pedis* ტერფი + *palpare* ხელით მოსინჯვა) – ფეხსაცეცები, ფეხსახსრიანების კიდურების მეორე წყვილი. ტკიპების **პ-ები** ექვსეგმენტია. მათი პირველი სეგმენტები შეზრდილია და წარმოქმნიან პირის ღრუს ქვედა კედელს. დანარჩენი სეგმენტები თავისუფალია და საცეცების როლს ასრულებენ.

პელიკულა (*pellicula*; ლათ. *pellis* ტყავი, კანი) – გარსი,

რომელიც ანცალკევებს უჯრედის შიგთავსს გარემო არესგან. მისი საშუალებით ხდება კვების პროდუქტების შთანთქმვა და მეტაბოლიტების გამოყოფა. სავარაუდოდ, პ. მონაწილეობს პარაზიტის მოძრაობაში.

პერიტრემა (peritrema; ბერძნ. **peri** ირგვლივ + **tre** სასულე, არხი ჰაერისათვის) – განსხვავებული ფორმის ქიტინიზებული ფირფიტები, რომლებიც გარს აკრავს მწერებისა და ტკიპების სასუნთქ ხვრელებს.

პერკუტანული (percutaneus; ლათ. **per** წინდებული, გულ-ისხმობს რაიმე საშუალების რაიმეში გავლას + **cutis** კანი) – კანქვეშა, კანის გავლით.

პერორალური (peroralis; ლათ. **per** წინდებული, გულისხმობს რაიმე საშუალების რაიმეში გავლას + **os, oralis** პირი) – პირის გავლით, შიგნით (**per os**).

პინოციტოზი (pinocytosis; ბერძნ. **pino** სმა, დაღვევა + **cytus** წყლის სათავსი, აქ – უჯრედი) – პროცესი, რომლის დროსაც უჯრედი გარედან შეიწოვს სითხეს.

პიროპლაზმები (Piroplasma; ბერძნ. **pirum** მსხალი + **plasma** გამოძერწილი ფიგურა) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Babesiidae**-ს ოჯახს, **Piroplasmida**-ს რაზმს. **პ-ები** ერთროციტებში პარაზიტობენ. მათ მსხლისებრი, ოვალური ან ამებისებრი ფორმა აქვთ, ხოლო ზომით ერთროციტის რადიუსზე მეტნი არიან. მათი გადამტანებია **Ixodidae**-ს გვარის ტკიპები, რომლებიც ინვაზიას ტრანსოვარიული გზით გადასცემენ. **პ-ების** სახეობებია:

- **Piroplasma bigeminum** (ლათ. **bis** ორჯერ + **geminus** ორმაგი, წყვილი, ტყუპი) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის პიროპლაზმოზის აღმძვრელი. გადამტანებია ტკიპები – **Boophilus calcaratus, Rhipicephalus bursa** და სხვ.;

- **P. caballi** (ლათ. **caballus** ცხენი) – ცხენის პიროპლაზმოზის აღმძვრელი. გადამტანებია ტკიპები – **Dermacentor marginatus, D. nuttalli, Hyalomma plumbeum** და სხვ.;

- **P. canis** (ლათ. **canis** ძაღლი) – ძაღლის პიროპლაზმოზის

აღმძვრელი. გადამტანებია ტკიპები – **Dermacentor pictus**, **D.marginatus**, **Rh.sanguineus**;

- **P.ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი) – წვრილფეხა მცოხნელი ცხოველების პიროპლაზმოზის აღმძვრელი. გადამტანია ტკიპი – **Rhipicephalus bursa**;

- **P.trautmanni** (გერმანელი მეცნიერის ტრაუტმანის პატივსაცემად) – ღორის პიროპლაზმოზის აღმძვრელი. გადამტანია ტკიპი – **Rh.turanicus**.

პიროპლაზმიდოზები (piroplasmidoses; ბერძნ. piron მსხალი + plasma გამოძერწილი, ფიგურა, oses დაავადებები) – ცხოველთა დაავადებები. აღმძვრელები – უბიგმენტო, ენდოგლობულარული უმარტივესები, მიეკუთვნებიან **Babesiidae**-სა და **Theileriidae**-ს ოჯახებს, **Piroplasmida**-ს რაზმს. კლ. ნები: დაავადების საწყის სტადიაზე სხეულის ტემპერატურა 41-42^o-მდე მატულობს და ამ დონეზე რჩება ავადმყოფობის მთელი პერიოდის განმავლობაში. პულსი აჩქარებულია (100-120 წუთში), სუნთქვა – გახშირებული. თვალის ლორწოვანი გარსები ჯერ ჰიპერემიულია, შემდეგ – გაყვითლებული. ნაწლავის პერისტალტიკა თანდათან სუსტდება, შარდი წითელი ფერისაა და მცირე პორციებით გამოიყოფა. პირუტყვი საკვებს და წყალს აღარ იღებს და უმეტესად წევს. ხშირად ვლინდება კანკალი. აღნიშნული კლინიკური ნიშნების ფონზე პირუტყვი 5-7 დღის შემდეგ კვდება. **Piroplasmida**-ს რაზმს ასევე მიეკუთვნებიან **Dactylostomatidae**-ს ოჯახის წარმომადგენლები, რომლებიც, უმთავრესად, თევზებისა და ამფიბიების დაავადებათა აღმძვრელები არიან.

პიროპლაზმიდოზური სიტუაცია (ლათ. **situs** მდგომარეობა) – პიროპლაზმიდოზების ეპიზოოტიური მდგომარეობის მიხედვით მიღებულია ტერიტორიის შემდეგი კლასიფიკაცია:

1. **კეთილსაიმედო** – დაავადების აღმძვრელისა და მისი გადამტანი ტკიპის არარსებობა;

2. **საშიში** – არის გადამტანი ტკიპი, მაგრამ არ არის დაავადების აღმძვრელი, რომლის გაჩენის შემთხვევაში ტერიტორია ეპიზოოტიურად გარდაიქმნება;

3. **ენზოოტიური** – არის გადამტანი ტკიპი და აღმძვრელი, მაგრამ ტკიპების რაოდენობა არასაკმარისია ყოველწლიურად ცხოველების „რევაქცინაციისათვის“. ამიტომ, ყოველთვის არიან ამთვისებელი ცხოველები;

4. **ლატენტური (latens ფარული)** – მრავლად არიან გადამტანი ტკიპები, რომლებიც მასპინძელი ცხოველების სხეულზე პარაზიტობის მთელი სეზონის განმავლობაში ახდენენ ცხოველების „რევაქცინაციას“. დაავადებული ცხოველები არ ვლინდება, მაგრამ ყველა მათგანი პარაზიტმატარებელია. ავადებიან კეთილსაიმედო ტერიტორიიდან შემოყვანილი ცხოველები.

პლანორბისი (Planorbis; ლათ. planus ბრტყელი + orbis რგოლი) – კოჭელა, მტკნარი წყლის მოლუსკების გვარი; მიეკუთვნება Pulmonata-ს ქვეკლასს, Gastropoda-ს კლასს. **პ-ების** ნიჟარა დახვეულია ერთ სიბრტყეში. ისინი მრავალი ჰელმინთოზის აღმძვრელის შუალედური მასპინძლებია. **Planorbis planorbis** (მოვარაყებელი კოჭელა) – ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც არის Paramphistomata-ს ქვერაზმის ტრემატოდების შუალედური მასპინძელი.

პლატოდესი (platodes; ბერძნ. plathys ბრტყელი + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ბრტყელი ჭიები, რომლებიც მიეკუთვნებიან Plathelminthes-ის ტიპს.

პლეირიტი (pleurite; ბერძნ. pleura გვერდი) – მწერის სეგმენტების გვერდითი ფირფიტები, რომლებიც ტერგიტს (იხ.) და სტერნიტს (იხ.) აერთებენ.

პლეროცერკოიდი (plero cercoid; ბერძნ. pleres სრული + kerkos კუდი + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ლენტურა ცესტოდების ინვაზიური ლარვა.

პოლიმორფიზმი (polymorphis; ბერძნ. poly მრავალი + morphé ფორმა) – მრავალფორმიანობა; ერთი და იგივე სახეობის ორგანიზმების არსებობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით ან სხვა ნიშნებით.

პოლიმორფოზი (polymorphosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Polymorphus + ბერძნ. osis დაავადება) – იხვის ჰელ-

მინთოზი. აღმძვრელები – **Polymorphus magna** და **P.minutus** პარაზიტობენ იხვისა და გარეული წყალმცურავი ფრინველის ნაწლავებში. კლ. ნ-ები: ფალარათი, მოზარდეულის ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა. ინტენსიური დაინვაზიებისას ფრინველი იღუპება.

პოლიმორფუსი (Polymorphus; ბერძნ. poly მრავალი + morphe ფორმა) – აკანთოცეფალების გვარი; მიეკუთვნება **Polymorphidae**-ს ოჯახს. **Polymorphus magna** და **P.minutus** – სახეობები, პარაზიტობენ იხვებისა და გარეული წყალმცურავი ფრინველების ნაწლავებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები, რეზერვ. მასპინძ. – თევზები. ფრინველის პოლიმორფოზის აღმძვრელები.

პოპულაცია (ლათ. populatio მოსახლეობა) – ერთი სახეობის ორგანიზმების ინდივიდების ერთობლიობა, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბინადრობენ გარკვეულ ტერიტორიაზე და რომლის ფარგლებში ამა თუ იმ ხარისხით შესაძლებელია თავისუფალი შეჯვარება.

პორალური (poral; ბერძნ. poros ხვრელი, გასასვლელი) – ცესტოდების სასქესო ორგანოს განთავსება პროგლოტიდის იმ მხარეს, სადაც არის პორა (სასქესო ხვრელი).

პოტერიოსტომუმი (Poteriostomum; ბერძნ. poterion სასმისი, თასი + stoma პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერეზს. **Poteriostomum imparidentatum** (ლათ. impar განსხვავებული + dens კბილი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის მსხვილ ნაწლავებში. ამ ოჯახის სხვა ნემატოდებთან ერთად იწვევს ცხენის სტრონგილიდოზს.

პრეაკანთელა (preacanthella; ლათ. prae წინა + acanthella ლარვას დასახელება, გამომდინარე ქაცვისაგან acantha) – თავეკლიანების ლარვა, რომელსაც ზრდასრული პარაზიტის ყველა ორგანო გააჩნია, თუმცა ზოგიერთი მათგანი განუვითარებელია. ვითარდება შუალედური მასპინძლის ორგანიზმში.

პრეზერვაცია (preservatio; ლათ. preserv არიდება, საფრთხის აცილება) – დაცვით-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა

კომპლექსი, რომლის დანიშნულებაც ცხოველებისა და ადამიანის დასნებოვნების საფრთხის აცილება, მათი დაცვა პარაზიტებთან კონტაქტისაგან სხვადასხვა მეთოდებით, რომლებიც ზემოქმედებენ არა დაავადებათა აღმძვრელებზე, არამედ, მათგან დასაცავ შინაურ ცხოველებსა და ადამიანზე. ტერმინი შემოთავაზებულია 1947 წელს კ.სკრიაბინის მიერ, როგორც ცნების - „დევასტაცია“ ანტითეზა (იხ. დევასტაცია).

პრემუნიცია (ლათ. **praemunitio** ვიცავ) – არასტერილური იმუნიტეტი – არამთვისებლობის მდგომარეობა, რომლის დროს კონკრეტული სახეობის ცხოველის ორგანიზმში შენარჩუნებულია მისთვის ვირულენტური დაავადების აღმძვრელი. **პ.** – მასპინძელსა და პარაზიტს შორის ბიოლოგიური წონასწორობის მდგომარეობაა, რომელიც აღინიშნება მრავალი ინვაზიური დაავადების შემთხვევაში.

პრეპატენტული პერიოდი (**praepatentus periodus**; ლათ. **prae** წინა, ადრე + **patens** ღია, აშკარა) – პარაზიტის განვითარების პერიოდი დეფინიტიური მასპინძლის ორგანიზმში შეჭრიდან მის მიერ ჩანასახოვანი ფორმების (კვერცხი, ლარვა, ცისტა) გარემოში გამოყოფამდე.

პროგლოტიდა (**proglottida**; ბერძნ. **proglottis** ენის წვერი + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა) – ცესტოდას სტრობილას (სხეულის) ცალკეული ნაწევარი (სეგმენტი).

პროგლოტიდშუა ჯირკვლები (**glandulae interproglottidae**; ლათ. **glandula** ჯირკვალი, **inter** შუა + ბერძნ. **proglottis** ენის წვერი) – ჯირკვლები, რომლებიც განთავსებულია **Moniezia**-ს გვარის ცესტოდების სხეულის დორსალურ და ვენტრალურ მხარეებზე, პროგლოტიდების წინა კილის პარენქიმაში. მათ ფინჯნისებრი ფორმა აქვთ და განლაგებული არიან პროგლოტიდის კილის გასწვრივ (**Moniezia expansa**) ან შეჯგუფული არიან კილის ცენტრში (**Moniezia benedeni**).

პროკარიოტები (**prokaryota**; ბერძნ. **pro** მისადგამი, ნიშნავს რაღაცისადმი წინმავალს, წინმსწრებს + **karyon** ბირთვი) – ორგანიზმები, რომელთაც არ გააჩნიათ უჯრედული ბირთვი

და ქრომოსომული აპარატი. მათ მიეკუთვნება ბაქტერიები, რიკეტსიები, მიკოპლაზმები, მულურჯო-მომწვანო წყალმცენარეები და სხვ. **პ-ების** მემკვიდრული ინფორმაციის გადაცემა ხდება დნმ-ის ძაფის ე.წ. ნუკლეოიდის მეშვეობით. იგი არ არის გამიჯნული ციტოპლაზმისაგან მემბრანის მეშვეობით.

პროსთოგონიმოზი (prosthogonimosis; ბერძნ. აღმძვრელის გვარის დასახელება **Prosthogonimus + osis** დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Prosthogonimus ovatus** და **P.cuneatus** პარაზიტობენ ფაბრიციუსის ჩანთასა და კვერცხსავალში. **პ.** გავრცელებულია კერობრივად. ავადდება ქათამი, ინდაური, გარეული ფრინველი. დაავადება უპირატესად გაზაფხულის ბოლოს – ზაფხულის დასაწყისში ვლინდება და ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: კვერცხის ნაჭუჭის გათხელება, გართულებული კვერცხდება და კვერცხის გამოყოფის შეფერხება. შემდეგ კვერცხი გამოიყოფა ნაჭუჭის გარეშე (კვერცხის გადმოქცევა). ძლიერი დაინვაზიებისას ფრინველი უძლურდება, ძალას კარგავს. სხეულის ტემპერატურა მატულობს, წყურვილი ძლიერდება, ბუმბული აბურძენილია. უკანალს კასრისებრი ფორმა აქვს, კლოაკა წამოწეულია. ფრინველი ტაატით დადის, რაც იხვის სიარულს გავს.

პროსთოგონიმუსი (Prosthogonimus; ბერძნ. **prostein** წინ მდებარე + **gonimos** სასქესო ორგანოები) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Prosthogonimidae**-ს ოჯახს. **Prosthogonimus ovatus** (ლათ. ოვალური) და **P.cuneatus** (ლათ. სოლისებრი) – სახეობები, პარაზიტობენ ქათმის, ინდაურის, იშვიათად ბატის, იხვის და გარეული ფრინველების ფაბრიციუსის ჩანთასა (მოზარდეული) და კვერცხსავალში (ზრდასრული ფრინველი). ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – ნემსიყლაპიები. ფრინველების პროსთოგონიმოზის აღმძვრელები.

პროსომა, პროტეროსომა (proterosoma; ბერძნ. **proteros** წინ მდებარე + **soma** სხეული) – აკარიფორმული ტკიპების თავის ნაწილი, რომელიც მოიცავს სხეულის წინა ნაწილს კიდურების

პირველ ორ წყვილთან ერთად.

პროტისტოლოგია (ბერძნ. **protistos** უპირველესი + **logos** სწავლება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის **Protozoa**-სა (იხ.) და **Protophyta**-ს (იხ.) წარმომადგენლებს.

პროტოზოა (**Protozoa**; ბერძნ. **protos** პირველი + **zoa (zoon)** ცხოველი) – ერთუჯრედიანი ცოცხალი ორგანიზმები, უმარტივესები.

პროტოზოოზები (**protozooses**; ბერძნ. **protos** პირველი + **zoon** ცოცხალი არსება, **oses** დაავადებები) – უმარტივესი პარაზიტული ორგანიზმებით გამოწვეული ადამიანისა (სამედიცინო პროტოზოოლოგია) და ცხოველების (სავეტერინარო პროტოზოოლოგია) დაავადებათა (პიროპლაზმიდოზები, კოქციდიოზები, მასტიგოფოროზები, ცილიატოზები და სხვ.) ჯგუფი.

პროტოზოოლოგია (**Protozoologia**; ბერძნ. **Protozoa** უმარტივესი + **logos** სწავლება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის უმარტივესებს – ერთუჯრედიან ორგანიზმებს, მათ მიერ გამოწვეულ დაავადებებს და ამ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებებს. **პ.** ზოოლოგიის ნაწილია და დაკავშირებულია შემდეგ დისციპლინებთან: ზოგადი ბიოლოგია, გენეტიკა, ციტოლოგია, ეკოლოგია, ეპიდემიოლოგია და ეპიზოოტოლოგია.

პროტონიმფა (ბერძნ. **protos** პირველი + ნიმფა) – ლარვული ფორმის შემდეგ მრავალი ტკიპის განვითარების პირველი ნიმფური სტადია, რომელსაც მოსდეს მეორე ნიმფური განვითარების სტადია – ტელეონიმფა.

პროტოპლაზმა (**Protoplasma**; **protos** პირველი + **plasma** გამოძერწილი, გაფორმებული) – ცოცხალი უჯრედის შიგთავსი. ყოველ უჯრედში ორი კომპონენტია: კარიოპლაზმა (ბირთვი) და ციტოპლაზმა (უჯრედის დანარჩენი ნაწილი).

პროტოსტრონგილოზი (**protostrongylosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Protostrongylus** + **osis** დაავადება) – წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჰელმინთოზი. აღმძვრელები პარაზიტობენ ბრონქებსა და ალვეოლებში. უპირატესად გავ-

რცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. სიმპტ.: პ. ძირითადად სუბკლინიკური ფორმით მიმდინარეობს, რა დროსაც მცირდება ცხოველის პროდუქტიულობა. გართულებისას, რაც გამოწვეულია მიკროფლორის მიერ, ვითარდება მწვავე პნევმონია. მას ერთვის ხველა, დიდი ოდენობით ნახველის გამოყოფა და გამონადენი ცხვირიდან.

პროტოსტრონგილუსი (Protostrongylus; ბერძნ. protos პირველი + გვარის დასახელება Strongylus ბერძნ. strongylos-იდან ცილინდრული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Protostrongylidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. Protostrongylus kochi (გერმანელი მეცნიერის რ.კოხის პატივსაცემად) და P.hobmaieri (ესტონელი პარაზიტოლოგის ი.პობმაიერის პატივსაცემად) – სახეობები, პარაზიტობენ ცხვრისა და თხის ბრონქებსა და ალვეოლებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები. ცხვრისა და თხის პროტოსტრონგილოზის აღმძვრელები.

პროტოფიტები (Protophyta; protos პირველი + phyton მცენარე) – უმარტივესი მცენარეები, რომელთაც მიეკუთვნება ბაქტერიები და წყალმცენარეები.

პროცერკოიდი (procerkoid; ბერძნ. pro წინმდებარე + kerkos კუდი + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ლენტურების რაზმის ცესტოდების ლარვული ფორმა. ვითარდება შუალედური მასპინძლის – კიბოსებრების ორგანიზმში.

პულექსი (Pulex; ლათ. რწყილი) – რწყილების გვარი (იხ. რწყილები).

პულვილები (pulvilli; ლათ. pulvillus პატარა ბალიში) – ფრთისებრი ბალიშების წყვილი, რომელიც წინათათების ბრჭყალების ქვეშ გააჩნიათ ორფრთიან მწერებს.

პუპარიუმი (puparium; ლათ. pupa ჭუპრი) – ცრუ პარკი. წარმოიქმნება მწერის ლარვას მიერ კანის ბოლო ცვლის შედეგად დარჩენილი კანისაგან, რომლის ქვეშ ვითარდება ჭუპრი ზრდასული მწერის გამოფრენამდე (მაგ. ბუზები).

რაბდიტოლული ლარვა (rhabditiforma larva; ბერძნ. rhabdos კვერთხი + ლათ. **forma** ფორმა და ლათ. **larva** ლარვა) – ლარვა, რომლის საყლაპავზე არის ორი გაფართოება – ბულბუსები. ისინი ერთდებიან შევიწროვებული ყელით. საყლაპავის ასეთი ტიპი დამახასიათებელია ნემატოდების მრავალ სახეობათა პირველი სტადიის ლარვებისა და რაბდიტიდების თავისუფლად მცხოვრები გენერაციის ჰელმინთებისათვის.

რადიალური გვირგვინი (corona radiata; ლათ. corona გვირგვინი, **radiatus** სხივოსანი) – ზოგიერთი ნემატოდას (დამახასიათებელია სტრონგილიდებისათვის) პირის ხვრელის ირგვლივ კუტიკულური ფურცლების გვირგვინი.

რაიეტინა (Raillietina; ფრანგი ჰელმინთოლოგის ა.რაილიეტის პატივსაცემად) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Davaineidae**-ს ოჯახს. **Raillietina echinobothrida** (ბერძნ. **echinos** ქაცვი + **bothros** ნაპრალი) და **R.tetragona** (ბერძნ. **tetras** ოთხი + **gone** თესლი, მარცვალი) – სახეობები, პარაზიტობენ ქათმის, ინდაურისა და მრავალი გარეული ფრინველის წვრილ ნაწლავებში. ფრინველის რაიეტინოზის აღმძვრელები.

რაიეტინოზი (raillietinosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Raillietina** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Raillietina**-ს გვარის ცესტოდები პარაზიტობენ ქათმის, ინდაურისა და მრავალი სახეობის გარეული ფრინველის წვრილ ნაწლავებში. უპირატესად გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. ავადდება ყველა ასაკის ფრინველი. **რ.** მიმდინარეობს მწვავე (1-7 დღე) და ქრონიკული (20 დღემდე) ფორმებით. მწვავე მიმდინარეობისას მოზარდული დაძაბუნებულია და კომატოზურ მდგომარეობაში იღუპება. ქრონიკული მიმდინარეობისას ქათმის ხილული ლორწოვანი გარსები ანემიურია, ბიბილო და საყურეები – გალურჯებული, სუნთქვა – გახშირებული. ზოგჯერ ვითარდება ფრთებისა და ფეხების დამბლა. ფრინველი სიგამხდრისგან კვდება.

რედია (redia; იტალიელი პარაზიტოლოგის ფ.რედის პატივსაცემად) – მწოველების (ტრემატოდა) ლარვული ფორმა, რომელიც შუალედური მასპინძლის ორგანიზმში ვითარდება.

რეზერვუარული მასპინძელი – იხ. მასპინძელი.

რეინვაზია (reinvasia; ლათ. **re** წინდებული, რომელიც განმეორების მაჩვენებელია + ინვაზია) – რომელიმე პარაზიტული სნეულებით დაავადებული ან დაავადებამოხდელი ცხოველის იმავე დაავადების აღმძვრელით განმეორებით დაინვაზიება, რაც ინვაზიური პროცესის განვითარებას იწვევს.

რეპელენტები (repellentia; ლათ. **repellentis** გამგდები) – ნივთიერებები, რომლებიც აფრთხობენ მწერებს, ტკიპებს, ძუძუმწოვრებსა და ფრინველებს. გამოიყენება ადამიანისა და ცხოველების დასაცავად სისხლმწოვი ფესსახსრიანების თავდასხმისაგან, ასევე, თესლისა და მცენარეების მავნებლების საწინააღმდეგოდ.

რიბოსომები (ribos ნაკადი, ჭავლი + **soma** სხეული) – ელექტრულად მკვრივი გრანულები, რომლებიც განთავსებულია უჯრედის ციტოპლაზმაში მილაკების, ცისტერნებისა და ბურთულების ირგვლივ. რიბოსომებზე ხდება ცილების სინთეზი.

რიზოპლასტი (rhizoplastos; ბერძნ. **rhiza** ფესვი, საწყისი, საფუძველი + **platos** ფორმირებული) – უმარტივესების (ტრიპანოსომები, ტრიქომონადები) მიკროფობრილა, რომელიც შოლტის ფუძეს ბირთვთან აკავშირებს.

რიზოპოდები (Rhizopoda; ბერძნ. **rhiza** ფესვი + **pus, podos** ფეხი) – უმარტივესები, რომლებიც მიეკუთვნებიან **Sarcodina**-ს კლასს. **რების** დამახასიათებელი ნიშანია დროებითი გამონაზარდების – ფსეუდოპოდიების (იხ.) წარმოქმნა, რომლებიც სამოძრაო ფუნქციას ასრულებენ. ისინი ფართოდ არიან გავრცელებული, უსქესო გზით მრავლდებიან, საკვებს მთელი სხეულით შეიწოვენ. არიან პარაზიტული სახეობებიც.

რიკეტსიები (ამერიკელი მეცნიერის ჰ.რიკეტსისს პატივსაცემად) – ბაქტერიებსა და ფილტრში გამავალ ვირუსებს შო-

რის შუალედური მდებარეობის მქონე უჯრედშიდა პარაზიტების ჯგუფი, რომლებიც ავადმყოფიდან ჯანმრთელ ცხოველს უპირატესად ფეხსახსრიანი გადამტანების მეშვეობით გადაეცემა.

რინოსტრუსი (Rhinoestrus) – იხ. ღრუს ბორები.

რიპიცეფალუსი (Rhipicephalus; ბერძნ. **rhipis** მარაო + **kephale** თავი) – პარაზიტიფორმული ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ოჯახს. **Rhipicephalus bursa** (ლათ. ტომარა, ჩანთა) – ორმასპინძლიანი ტკიპი, გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. მისი ბიოტოპებია – ყამირი საძოვრები და იშვიათი ბუჩქნარებიანი საბალახო ფართობები. იგი ცხვრის ბაბეზიოზის, პიროპლაზმოზისა და ავიტელინოზის აღმძვრელების გადამტანია. **Rh.sanguineus** (ლათ. სისხლიანი) – ძაღლის პიროპლაზმოზის აღმძვრელის გადამტანი; **Rh.rossicus** (ლათ. რუსული) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის პიროპლაზმოზის აღმძვრელის გადამტანი; **Rh.turanicus** (ლათ. თურანიდან – მდებარეობს აზიაში) – ცხენის ნუტალიოზისა და ღორის პიროპლაზმოზის აღმძვრელების გადამტანი. გარდა ამისა, სავეტერინარო მნიშვნელობა აქვს **რ-ის** გვარის 10 სახეობას, რომლებიც გავრცელებულია მრავალ ქვეყანაში.

რიშტა (Drancunculus medinensis) – იხ. ღრაკუნკულუსი.

როფტრიები – Coccidiida-ს რაზმის უმარტივესების უჯრედებში არსებული დაკლაკნილი, კვერთხისებრი წარმონაქმნები, რომლებიც ლოკალიზებენ აპიკალურ და დისტალურ ნაწილებში. ვარაუდობენ, რომ როფტრია-მიკრონემას კომპლექსის მიერ პროდუცირებული ფერმენტები ხელს უწყობენ უჯრედში პარაზიტის შეღწევას.

რწყილები (Aphaniptera; ბერძნ. **aphanes** უხილავი + **pteron** ფრთა) – სისხლმწოვი მწერების რაზმი; მიეკუთვნება **Insecta**-ს კლასს. **რ-ები** ჰემატოფაგებია. ისინი დაავადებათა აღმძვრელების გადამტანები არიან ან თავად აავადებენ ცხოველებს. **Ctenocephalides canis** (ბერძნ. **kteis** სავარცხელი + **kephale** თავი + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა და **canis** ძაღლი) – სახეობა

(ძალის რწყილი), პარაზიტობს ხორცისმჭამელების, მღრღნელებისა და ადამიანის სხეულზე. გავრცელებულია ყველგან. არის დიპილიდიუმის (იხ.) შუალედური მასპინძელი; **Pulex irritans** (ლათ. **pulex** რწყილი და **irritare** გაღიზიანება) – სახეობა (ადამიანის რწყილი), პარაზიტობს ადამიანის, ხორცისმჭამელებისა და ღორის სხეულზე. გავრცელებულია ყველგან. არის დიპილიდიუმის შუალედური მასპინძელი; **Vermipsylla alacurt** (ლათ. **vermis** + ბერძნ. **psylla** რწყილი და თურქ. **ala** ჭრელი + **kurt** ჭია) – სახეობა, პარაზიტობს ჩლიქოსან ცხოველებზე. გავრცელებულია შუა აზიაში; **V.dorcadia** (ბერძნ. **Dorcas, dorcadis** ანტილოპა) – სახეობა, პარაზიტობს ჩლიქოსანი ცხოველების მოზარდეულის სხეულზე. გავრცელებულია შუა აზიაში; **Echidnophaga gallinacea** (ბერძნ. **echidna** გველი + **phagia, phagos** მჭამელი და **gallinaceus** ქათმისებრი) – სახეობა, გავრცელებულია თბილი კლიმატის მქონე ქვეყნებში. პარაზიტობს ფრინველისა და შინაური ცხოველების სხეულზე; **Sarcopsylla penetrans** (ბერძნ. **sarx, sarkos** ხორცი + **psylla** რწყილი და ლათ. **penetrare** შეღწევა) – სახეობა, გავრცელებულია ტროპიკული კლიმატის მქონე ქვეყნებში. პარაზიტობს ღორის, ძალისა და ადამიანის სხეულზე.

ს

საბზუილე (**Halteres**; ბერძნ. **halter** საწონი) – **Diptera**-ს რაზმის მწერების უკანმკერდის წყვილი მცირე დანამატი (უკანა ფრთების რუდიმენტული ნარჩენები), რომელსაც საწონის მსგავსი ფორმა აქვს. მისი დანიშნულებაა ფრენის დროს წონასწორობის შენარჩუნება.

სალივარია (**Salivaria**; ლათ. **salivia** ნერწყვი + **aria** ადგილი) – ტრიპანოსომების ჯგუფი. ვითარდებიან გადამტანების, მაგ. ბუზი ცეცეს სანერწყვე ჯირკვლებში. ამ ჯგუფის წარმომადგენლებია პათოგენური ტრიპანოსომები – **Trypanosoma brucei**, **T.evansi** და სხვ.

სარკოდური (ფესვფეხიანები) – იხ. რიზოპოდები.

სარკოპსილა (*Sarcopsylla*; ბერძნ. *sarx* ხორცი + *psylla* რწყილი) – რწყილების გვარი (იხ. რწყილები).

სარკოპტეს (*Sarcoptes*; ბერძნ. *sarx* ხორცი + *koptein* გაგლეჯა) – მქავანა ტკიპების გვარი; მიეკუთვნება *Acariformes*-ის რაზმს. ვითარდება კანის ეპიდერმული ფენის ქვეშ. **ს.** გვარის ტკიპების სხეული სფეროსებრი ფორმისაა. მისი სიგრძე 0,25-0,5 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. სხეულის წინა ნაწილში მძლავრი ხორთუმი, რომელიც აღჭურვილია მჭრელი ფირფიტებით. მათ ოთხი წყვილი კუდური აქვთ. პირველ ორ წყვილზე ზარისებრი მისაწოვრებია, მესამე და მეოთხე კიდურებზე – ჯაგრები. **ს-ები** იწვევენ ცხოველების სარკოპტოზებს – ქავილიან მუნს (მღერს). *Sarcoptes equi* (ლათ. *equus* ცხენი), *S. suis* (ლათ. *sus* ღორი), *S. capre* (ლათ. *caper* თხა), *S. ovis* (ლათ. *ovos* ცხვარი), *S. bovis* (ლათ. *bos* კურო) და *S. cameli* (ლათ. *camelus* აქლემი) პარაზიტობენ, შესაბამისად, კენტჩლიქიანების (ცხენი, სახედარი, ჯორი, ჯორცხენა), ღორის, თხის ცხვრის, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და აქლემის კანში.

სარკოპტიდები (*Sarcoptidae*; ბერძნ. *sarx* ხორცი + *koptein* გაგლეჯა + *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავლობას) – ოჯახი, რომელიც მიეკუთვნება *Sarcoptoidea*-ს ზეოჯახს, *Sarcoptiformes*-ის ქვერაზმს, *Acariformes*-ის რაზმს. **ს-დების** ოჯახში გაერთიანებულია ორი გვარი: – *Sarcoptes* და *Notoedres*.

სარკოპტოზები (*sarcoptoses*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Sarcoptes* + ბერძნ. *oses* დაავადებები) – ქავილიანი მუნი (მღერი); მწვავე ან ქრონიკული ფორმებით მიმდინარე დაავადებები. აღმძვრელები – *Sarcoptes*-ის გვარის ტკიპები (მქავანები) პარაზიტობენ კანის ეპიდერმული ფენის ქვეშ. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: ქავილი, კანის ანთება, ბაღისი, მატყლის გაცვენა, პროგრესირებადი სიგამხდრე.

სარკოსპორიდია (*Sarcosporidia*; ბერძნ. *sarx*, *sarcos* ხორცი + *spora* თესლი + *eidos* მსგავსი, გარეგნობა) – იხ. სარკოცისტები.

სარკოფაგიდები (*Sarcophagidae*; ბერძნ. *sarx* ხორცი + *phagein* კვება) – ორფრთიანი მწერების ოჯახი, ხორცის რუხი ბუზები, რომლებიც მიეკუთვნება *Diptera*-ს რაზმს. **ს-ები** არიან რიგი ინფექციური დაავადებების აღმძვრელთა გადამტანები, ხოლო მათი ლარვები იწვევენ ცხოველებისა და ადამიანის მიაზებს. განსაკუთრებით საყურადღებოა – *Wohlfahrtia magnifica*, რომლის ლარვები ცხოველებისა და ადამიანის ობლიგატური პარაზიტები არიან და ვოლფარტიოზს (იხ.) იწვევენ.

სარკოცისტები (*Sarcocystes*; ბერძნ. *sarx*, *sarcos* ხორცი + *cystis* ბუშტი) – უმარტივესები, რომლებიც მიეკუთვნებიან *Coccidida*-ს რაზმს. **ს-ების** საბოლოო მასპინძელია – ხორცისმჭამელი ცხოველები და ადამიანი. მათ ორგანიზმში **ს-ები** გადიან განვითარების გამეტოგონიისა და სპოროგონიის ფაზებს და გარემოში გამოიყოფიან მომწიფებელი, სპორულირებული ოოცისტების სახით. შუალედ. მასპინძ. – შინაური ცხოველები, მღრღნელები, რომელთა სისხლძარღვებსა და კუნთოვან ქსოვილში უსქესო გამრავლება (შიზოგონიის ფაზა) მიმდინარეობს და მრავლობითი დაყოფის შედეგად ვითარდება **ს-ები**, ზომით – 10-15 მმ.

სარკოცისტოზი (*sarcocystosis*) – სარკოცისტებით გამოწვეული, შინაური და გარეული ცხოველების ქრონიკულად, უსიმპტომოდ მიმდინარე დაავადება, რომლის დროს კუნთოვან ქსოვილში და გულის კუნთებში ცისტები (მიშერის პარკები) წარმოიქმნება. **ს.** ფართოდაა გავრცელებული. მათ მიერ მიყენებული ზარალი გამოიხატება ხორცის გამოწუნებით და მისი ხარისხის დაქვეითებით.

სასქესო ბურსა (*bursa genitalis*; ლათ. *bursa* ჩანთა და *genitalis* სასქესო, მიეკუთვნება სასქესო ორგანოებს) – კუტიკულური წარმონაქმნი *Strongylata*-ს ქვერაზმის ნემატოდების მამრი ინდივიდების კუდის ბოლოზე, რომელიც სამი ფარფლისაგან შედგება. კოპულაციის დროს ისინი ასრულებენ შეცებით და საფიქსაციო ფუნქციებს. სტრონგილატების ბურსა შეიცავს ნეკნებს (იხ. ბურსის ნეკნები). *Diectophymata*-ს ქვერაზმის

ნემატოდების მამრი ინდივიდების სასქესო ბურსა ზარისებრი ფორმისაა. მას კუნთოვანი შენება აქვს და ნეკნები არ გააჩნია.

საყვითრები (*glandulae vitellinae*; ლათ. *glandula* ჯირკვალი, *vitellinus* საყვითრე) – საყვითრე ჯირკვლები, რომლებიც გააჩნიათ ტრემატოდებსა და ცესტოდებს.

საჭე (*gubernaculum*) – იხ. გუბერნაკულუმი.

სენსილა (*sensilla*; ლათ. *sensus* შეგრძნება) – მწერებისა და ტკიპების შეგრძნებითი ორგანოების ძირითადი ერთეული, რომლის მთავარი შემადგენელია ნერვული უჯრედები.

სეტარია (*Setaria*; ლათ. *seta* ბეწვი, თმა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Setariidae*-ს ოჯახს, *Filariata*-ს ოჯახს. *Setaria labiatopapillosa* (ლათ. *labium* ტუჩი + *papilla* დვრილი) – სახეობა, პარაზიტობს ძროხისა და კამეჩის მუცლის, იშვიათად – გულ-მკერდის ღრუში. შუალედ. მასპინძ. – კოლო; *S. equina* (ლათ. *equus* ცხენი) – სახეობა, პარაზიტობს ცხენის მუცლის ღრუში, იშვიათად – სხვა ორგანოებში. შუალედ. მასპინძ. – კოლო. ცხოველების სეტარიოზის აღმძვრელები.

სეტარიოზი (*setariosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Setaria* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელები – *Setaria*-ს გვარის ნემატოდები პარაზიტობენ ცხენის, ძროხის, ცხვრის, ირმის მუცლის ღრუში (ზრდასრული ფორმები), თავის, ზურგის ტვინში და თვალში (იუვენილური ფორმები. იხ.), სისხლში (ლარვები – მიკროსეტარიები). ირღვევა მოძრაობის კოორდინაცია, ვითარდება პარეზი, დამბლა. რთული მიმდინარეობისას ცხოველი ილუპება.

სიმბიოზი (*symbiosis*; ბერძნ. *syn* ერთად + *bios* ცხოვრება) – ორგანიზმების ურთიერთქმედება, თანაცხოვრება, რა დროსაც პარტნიორები ურთიერთსარგებელს (იხ. სინოიკია და მუტუალიზმი) იღებენ.

სიმონდსია (*Simondsia*; გერმანელი მეცნიერის სიმონდსის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Thelaziidae*-ს ოჯახს, *Spirurata*-ს ქვერაზმს. *Simondsia paradoxa* (ბერძნ. *paradoxa* პარადოქსი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის კუჭში.

ლორის სიმონდსიოზის აღმძვრელი.

სიმონდსიოზი (*simondsiosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება **Simondsia + osis** დაავადება) – ლორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Simondsia paradoxa** პარაზიტობს კუჭში. კლ. ნ-ები: ფაღარათი, საერთო სისუსტე, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა.

სიმულიოტოქსიკოზი (*simuliotoxicosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება **Simulium + osis** დაავადება) – ცხოველზე ქინქლეზის მასობრივი თავდასხმით გამოწვეული, მწვავე ფორმით მიმდინარე დაავადება, რომლის შედეგად სწრაფად ვითარდება ორგანიზმის ინტოქსიკაცია და 1-2 დღის განმავლობაში ცხოველი იღუპება. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ამთვისებელია მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი და ცხენი. სიმპტ.: ძლიერი მოუსვენრობა, რაც დაძაბუნებით იცვლება, სალივაცია, ენის, ყბათაშორისი არესა და ლაბების შეშუპება, ლიმფური კვანძების გადიდება მოდუნება, ცალკეული კუნთების ფიბრილარული კრუნჩხვები.

სინანთროპული ორგანიზმები (ბერძნ. *syn* ერთად + *anthropos* ადამიანი) – ცხოველები და ფრინველები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთან, მის ცხოველქმედებასთან და ბინადრობენ მის გარემომცველ სივრცეში.

სინგამოზი (*syngamosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება **Syngamus + osis** დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Syngamus**-ის გვარის ნემატოდები პარაზიტობენ ტრაქეაში, იშვიათად, ბრონქებში. გავრცელებულია კერობრივად, თბილი, ტენიანი კლიმატის მქონე ადგილებში. ავადდება ქათამი, ინდაური, ციცარი, ხოხობი, ბატი, ბელურა, ყვავი, კაჭკაჭი და სხვ. უპირატესად, მოზარდული ავადობს. სიმპტ.: ფრინველის თავს იქნევს, კისერს იგრძელებს, პირს აღებს („ამთქნარებს“), რა დროსაც გამოსცემს მოკლე, სტვენის მსგავს ხმას, აცემინებს. სუნთქვა გართულებულია, ვითარდება ქოშინი და ასფიქსიის ნიშნები. ფრინველი გამხდარი და დასუსტებულია. ხილული ლორწოვანი გარსები მკრთალია, ბუმბული – აბურძნული, ფრთები – ჩამოშვებული, მოძრაობა – შენელებული. წიწილა

ასფიქსიისაგან ილუპება.

სინგამუსი (*Syngamus*; ბერძნ. *Syn* ერთად + *gamos* შეწყვილება, კოპულაცია) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Syngamidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Syngamus trachea* (ბერძნ. *trachys* ხორკლიანი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, ციცრის, ხოხბის, ყვავის, ბელურას, კაჭკაჭის და სხვა ფრინველების ტრაქეაში. გეოპელმინთი. რეზერვ. მასპინძ. – ჭიკაყელა, მოლუსკები, მწერები. ზრდასრული, სქესმწიფე მდედრი და მამრი სინგამუსები ტრაქეაში მუდმივად შეწყვილებულ მდგომარეობაში არიან. ფრინველის სინგამოზის აღმძვრელი.

სინოიკია (ბერძნ. *synoikos* თანამცხოვრები, *syn* ერთად + *oikos* სახლი, საცხოვრებელი) – თანაცხოვრების ფორმა, ცალმხრივი სიმბიოზი, რომლის შემთხვევაში მხოლოდ ერთი ორგანიზმი იღებს სარგებელს, მაგრამ მეორეს არ ვნებს.

სინტომია (*syntomia*; *syn* ერთად + *tomia* კვეთა, გაყოფა) – უმარტივესების მრავლობითი დაყოფის პროცესი, რომლის დროსაც ბირთვი განმეორებით იყოფა. შედეგად, ერთუჯრედიანი არსება დროებით მრავალბირთვიანი ხდება.

სირინგოფილუსი (*Syringophilus*; ბერძნ. *syrings* ფუტლარი + *philos* მეგობარი) – ფრინველის მქავენას (მდერი) აღმძვრელი ტკიპების გვარი. *Syringophilus bipectinatus* (ლათ. *bipectinatus* ორმაგსავარცხლისებრი) – ფრინველის ბუმბულის მქავენას (*syringophilosis*) აღმძვრელი, რომელსაც თათებზე სავარცხლისებრი მისაწოვრები აქვს. გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით სამხრეთის ქვეყნებში. ავადდება ქათამი და ქათმისებრთა ოჯახის ფრინველი. სიმპტ.: ბუმბულის მტკრევა და ცვენა, კანის გაწითლება და ქავილი. ფრინველი დაზიანებულ ადგილს იკორტნის.

სისტემატიკა (ბერძნ. *systematikos* მოწესრიგებული, სისტემას მიკუთვნებული) – ბიოლოგიური მეცნიერება ორგანიზმული სამყაროს მრავალფეროვნების შესახებ, რომელიც ამ სამყაროს კლასიფიკაციის პრინციპებს შეიმუშავებს და ევოლუციურ ასპექტში სახეობათა შორის ნათესაურ ურთიერთდამოკიდებულებას

ადგენს.

სისხლის პარაზიტები – სხვადასხვა სისტემატიკური მდგომარეობის მქონე პარაზიტული ორგანიზმები, რომელთაც აერთიანებთ ადამიანისა და ცხოველების სისხლის მიმოქცევის სისტემაში ლოკალიზების პირობა. სისხლის პარაზიტებია: ენდოგლობულარული უმარტივესები (პლაზმოდია, პიროპლაზმიდები), რიკეტსიები (ანაპლაზმები), ტრიპანოსომები, ჰელმინთები (შისტოსომები, ფილარიატიების ლარვეები) და სხვ.

სისხლმწოვები (haematophagi; ბერძნ. haima სისხლი + phagein კვება) – მწერები (სისხლმწოვი ბუზი, კოლო, ბუზანკალი, ოფა, ქინქლა, მოსკიტი, ბალღინჯო, რწყილი, ტილი, ბუზარა, ტკიპი), რომლებიც თბილსისხლიანი ცხოველების სისხლით იკვებებიან.

სიფონაპტერა (Siphonaptera) – რწყილების რაზმი (იხ. რწყილები).

სკარაბეიდები (Scarabaeidae; ბერძნ. skarabos ხოჭო + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – მარაოულვაშა ხოჭოების ოჯახი; მიეკუთვნება Coleoptera-ს რაზმს, Holometabola-ს ჯგუფს, Insecta-ს კლასს.

სკოლექსი (ბერძნ. skolex ჭია) – ლენტისებრი ჭიების თავი, რომელზეც განთავსებულია საფიქსაციო ორგანოები (ხორთუმი, მისაწოვრები, კაუჭები, ბოთრიები).

სკოლექციდა (Scolecida; ბერძნ. skolex ჭია, მრავლობით რიცხვში – skoleces ჭიები) – ჰელმინთების ქვეტიპი, რომელიც აერთიანებს ბილატერალური სიმეტრიის სხეულისა და კარგად განვითარებული კან-კუნთოვანი პარკის მქონე უმდაბლეს ჭიებს. იგი იყოფა ოთხ ტიპად – Plathelminthes, Nemathelminthes, Acanthocephales და Nemertini, რომლებშიც გაერთიანებულია 15 კლასი.

სკრიაბინემა (Skrjabinema; აკად. კ.სკრიაბინის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Syphacidae-ს ოჯახს, Oxyurata-ს ქვერაზმს. *Skrjabinema ovis* – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის, თხის და მრავალი გარეული წყვილჩლიქიანი ცხო-

ველის მსხვილ ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ცხვრისა და თხის სკრიაბინემოზის აღმძვრელი.

სკრიაბინემოზი (*skrjabinemosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Skrjabinema* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ცხვრისა და თხის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – *Skrjabinema ovis* (ლათ. *ovis* თხა) პარაზიტობს მსხვილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად, მიმდინარე წელს დაბადებული მოზარდული ავადდება. სიმპტ.: ქაეილი ანუსისა და შორისის მიდამოებში, ბეწვის აჩეჩვა, დაბეჭილობა და ფუფხეები კუდზე, ზოგ შემთხვევაში კულის შიდა მხარეზე კანის ანთება წყლულეზის წარმოქმნით.

სკუტუმი (*scutum*; ლათ. ფარი) – ფეხსახსრიანების სხეულის დორსალურ მხარეს სხვადასხვა ზომისა და ფორმის ქიტინოვანი წარმონაქმნები – ფარები.

სოლენოპოტესი (*Solenopotes*) – ტილების გვარი. იხ. ტილები.

სპიკულები (*spicula*; ლათ. *spiculum* წვეტი) – მამრი ნემატოდების სხეულის ბოლოზე კუტიკულური წარმონაქმნები, რომელთაც სპეციალური კუნთების მეშვეობით შეუძლიათ კლოაკიდან გამოწევა და უკან შეწევა. **ს-ების** დანიშნულებაა კოპულაციის დროს მდედრის ფიქსაცია და ვაგინის გახსნა, რის შემდეგ მათზე სპერმა ჩამოედინება და მდედრი ინდივიდის სასქესო ორგანოებში ხვდება. სპიკულების რაოდენობა, უმეტესად, ორია.

სპიკულოკაულოზი (*spiculocaulosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Spiculocaulus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი, ნემატოდა – *Spiculocaulus leuckarti* პარაზიტობს მცოხნელი ცხოველების ბრონქებსა და ბრონქიოლებში. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. დამახასიათებელი სიმპტომი – ხველა.

სპიკულოკაულუსი (*Spiculocaulus*; ლათ. *spiculum* წვეტი + *kaulos* ღერძი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Protostrongylidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერანზს.

Spiculocaulus leuckarti (გერმანელი მეცნიერის პ.ლეიკარტის პატივსაცემად.) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრისა და თხის ბრონქებსა და ბრონქიოლებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები.

სპიროქეტები (Spirochete; ბერძნ. spiera ხვეული, სპირალი + chaite ჯაგარი, თმა) – მიკროორგანიზმების ჯგუფი, რომელთა სხეულს წვრილი კორპსადრობის მსგავსად დახვეული ძაფის ფორმა აქვს. **ს-ები** ძირითადად არაპათოგენური სახეობებია, რომლებიც წყალსა და ნიადაგში ბინადრობენ. ზოგიერთი სახეობა არის ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების დაავადებების (ბოცვერის ტრეპონემოზი, ფრინველის ბორელიოზი) აღმძვრელი.

სპიროქეტოზი (spirochaetosis avium) – იხ. ტრეპონემოზი, ფრინველის ბორელიოზი.

სპიროცერკა (Spirocerca; ბერძნ. speira სპირალი + kerkos კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Thelaziidae**-ს ოჯახს, **Spirurata**-ს ქვერაზმს. **Spirocerca lupi** (ლათ. **lupus** მგელი) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, მელის, მგლის, ტურის საყლაპავის, კუჭისა და აორტის კედლებში; **S. arctica** (ლათ. **arcticus** არქტიკული) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს ძაღლის, ყარყუმის, ყარსალის კუჭის კედლებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კობროფაგი ხოჭოები, რეზერვ. მასპინძ. – ამფიბიები, რეპტილიები, ფრინველები, თაგვი. ხორცისმჭამელთა სპიროცერკოზის აღმძვრელები.

სპიროცერკოზი (spirocercosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Spirocerca + ბერძნ. osis დაავადება) – ძაღლისებრთა ოჯახის წარმომადგენლების ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Spirocerca**-ს გვარის ნემატოდები პარაზიტობენ საყლაპავის, კუჭისა და აორტის კედლებში. სიმპტ.: ყლაპვის აქტის, სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის მოშლა, გამუდმებული პირღებინება, ძლიერი სიგამხდრე.

სპირურა (Spirura; ბერძნ. speira სპირალი + oira კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spiruridae**-ს ოჯახს,

Spirurata-ს ქვერაზმს. **Spirura rytipleurites** – სახეობა, პარაზიტობს მელიის და კატის საყლაპავსა და კუჭში. იწვევს მათ სპირურატოზს, რის შედეგად ირღვევა კუჭნაწლავის ტრაქტის მოქმედება.

სპირურატები (**Spirura**; ბერძნ. **speira** სპირალი + **oira** კუდი) – ნემატოდების ქვერაზმი. დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანია საყლაპავის დაყოფა წინა კუნთოვან და უკანა ჯირკვლოვან ნაწილებად. ბინადრობენ საჭმლის მომწეებელ ტრაქტში, თვალბუდესა და ცხვირის ღრუში). ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – უპირატესად, ფეხსახსრიანები. ცხოველების სპირურატოზის აღმძვრელები.

სპირურატოზი (**spiruratoses**; აღმძვრელების ქვერაზმის დასახელება **Spirurata** + ბერძნ. **osis** დაავადება – ცხოველები-სა და ფრინველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები – **Spirurata**-ს ქვერაზმის ნემატოდები იწვევენ მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის თელაზიოზს, კენტჩლიქიანების დრაშეიოზს და ჰაბრონემოზს, ფრინველის ტეტრამეროზსა და ექინუროზს, იხვის სტრეპტოკაროზს, ხორცისმჭამელების სპიროცერკოზს და სხვ.

სპორები (**sporoses**; ბერძნ. **spora** თესლი) – პარაზიტული უმარტივესების (სპოროვანები) ერთ- ან მრავალუჯრედიანი წარმონაქმნები, რომელთაც მკვრივი გარსი აკრავთ. **ს-ები** ავრცელებენ ინვაზიას და ხელს უწყობენ მისი სიცოცხლის შენარჩუნებას არახელსაყრელი გარემო პირობების დროს.

სპორობლასტი (**sporoblast**; ბერძნ. **spora** თესლი + **blastos** ჩანასახი) – ზიგოტის ბირთვიდან სპოროცისტებად (იხ.) გარდაქმნამდე ოოცისტის განვითარების შუალედური ეტაპი.

სპოროგონია (**sporogonia**; ბერძნ. **spora** თესლი + **genea** დაბადება, წარმოქმნა, განვითარება) – **Coccidiida**-ს რაზმის, **Sporozoa**-ს კლასის წარმომადგენლების ოოცისტაში სპოროზოიტების ფორმირების პროცესი.

სპოროვანები (**Sporozoa**; ბერძნ. **spora** თესლი + **zoon** ცხოველი) – პარაზიტული უმარტივესების კლასი. მათთვის დამახასიათებელია თაობებისა და გამრავლების ფორმების (უსქესო

და სქესობრივი) მონაცვლეობა. **ს-ების** გამრავლების ციკლის ძირითადი ეტაპებია: მეროგონია, გამეტოგონია და სპოროგონია. **ს-ები**, დაახლოებით, 2 ათასამდე სახეობას ითვლიან.

სპოროზოიტები (sporozoites; ბერძნ. spora თესლი + **zoon** ცხოველი) – Sporozoa-ს კლასის უმარტივესების განვითარების ბოლო სტადიაზე სპოროცისტაში, მისი ორად ან ოთხად დაყოფის შედეგად წარმოქმნილი ელემენტები. მასპინძლის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში სპოროზოიტების შემცველი ოოცისტას მოხვედრისას, ისინი გამოთავისუფლდებიან და შეიჭრებიან ნაწლავის ეპითელიურ უჯრედებში.

სპორონტი (sporont; ბერძნ. spora თესლი + **on, ontos** არსებული) – ოოცისტის წარმოქმნის შემდეგ მისი შიგთავსი. შემდგომში, **ს.** სპორობლასტებად იშლება.

სპოროცისტა (Sporocysta; ბერძნ. spora თესლი + **kistos** ტომარა, ბუშტი) – 1. შუალედური მასპინძლის ორგანიზმში Trematoda-ს კლასის ჰელმინთების განვითარების სტადია. 2. სპოროგონების კლასის ზოგიერთი ერთუჯრედიანის განვითარების სტადია.

სტერკორარია (Stercoraria; ლათ. stercus ნაკელი + **aria** ადგილი) – ტრიპანოსომების ჯგუფი, რომელიც საჭმლის მომნელებელ ტრაქტში ვითარდება. ეს ჯგუფი ძირითადად არაპათოგენურ სახეობებს აერთიანებს. **Tripanosoma lewisi** – სახეობა, პარაზიტობს ვირთხების ორგანიზმში, რომელთა დასნებოვნება ხდება დაინვაზიებული ტილების, რწყილების ან მათი ექსკრემენტების შეჭმის შედეგად; **Trip. theileri** – სახეობა, პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ორგანიზმში, რომლის დაინვაზიება ხდება სისხლმწოვი მწერების მიერ.

სტერნიტი (ლათ. sternon მკერდის ძვალი) – ფეხსახსრბანების მკერდის სეგმენტის ვენტრალური ნახევარგოლი.

სტეფანოფილარია (Stephanofilaria; ბერძნ. stephanos გვირგვინი + **filum** ძაფი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Setariidae-ს ოჯახს, Filariata-ს ქვერგვამს. **Stephanofilaria stilesi** (ამერიკელი მეცნიერის ქ.სტილესის პატივსაცემად) – სახეობა,

რომელიც აზიანებს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის მუცლის, ცურისა და ყურის ნიჟარის კანს. ბიოჰელმინთი. შუალედური მასპინძელი – წვიები. მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის სტეფანოფილარიოზის აღმძვრელი.

სტეფანოფილარიოზი (*stephanophilariosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Stephanofilaria* + ბერძნ. *osis* დაავადება) – *Stephanofilaria*-ს გვარის ნემატოდებით გამოწვეული მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჰელმინთოზი, რომელიც აზიანებს კანს სხეულის სხვადასხვა მიდამოში. ცხოველის დაინვაზიება საძოვარზე ხდება. სიმპტ.: ბეწვის გაცვენა კანზე მუცლის მიდამოში; შეშუპებები, რომლებიც ფუფხებით იფარება. ყურის ნიჟარას შიდა ზედაპირზე ფუფხისებრი ნადები ჩნდება.

სტეფანუროზი (*stephanurosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Stephanurus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – *Stephanurus*-ის გვარის ნემატოდებით გამოწვეული ჰელმინთოზი. გავრცელებულია ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. სიმპტ.: მადის დაქვეითება, სიგამხდრე, განვითარების შენელება, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა.

სტეფანურუსი (*Stephanurus*; ბერძნ. *stephanos* გვირგვინი + *oria* კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Stephanurus dentatus* (ლათ. *dens* კბილი) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს თირკმელებში, იშვიათად, სხვა შინაგან ორგანოებში. ცხოველი ავადდება საკვებთან ან წყალთან ერთად აღმძვრელის ლარვებით დაინვაზიებული საკვების მიღებისას, ასევე, პერკუტანულად. რეზერვ. მასპინძ. – ჭიაყელები. ღორის სტეფანუროზის აღმძვრელი.

სტიგმა (*Stigma*; ბერძნ. ნიშანი) – სასუნთქი ხვრელი ფეხ-სახსრიანების სხეულზე.

სტილესია (*Stilesia*; ამერიკელი მეცნიერის ქ.სტაილზის პატივსაცემად) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება *Avitellinidae*-ს ოჯახს, *Anoplocephalata*-ს ქვერაზმს. სახეობები:

- *Stilesia globipunctata* (ლათ. *globus* სფერო + *punctatus* პუნქტირებული, წერტილოვანი) – პარაზიტობს ცხვრის, თხის,

ძროხეულის წვრილ ნაწლავებში;

- **St.hepatica** (ლათ. **hepaticus** ღვიძლის) – პარაზიტობს მცოხნელი ცხოველების ნაღვლის სადინარებში;

- **St.vittatus** (ლათ. **vittatus** ზოლიანი) – პარაზიტობს აქლემის, ცხვრისა და თხის ნაღვლის სადინარებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – ორიბატიდეს ჯგუფის მინდვრის ტკიპები. მცოხნელი ცხოველების სტილეზიოზის აღმძვრელები.

სტილეზიოზი (**stilesiosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Stilesia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მცოხნელი ცხოველების ჰელმინთოზი. აღმძვრელები მიეკუთვნება **Stilesia**-ს გვარს. გავრცელებულია ფართოდ, სამხრეთის ქვეყნებში. სიმპტ.; მადის დაქვეითება, ფაღარათი, სისუსტე, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, პროგრესირებადი სიგამხდრე, ანემია, ლორწოვანი გარსების სიყვითლე.

სტიქორქისი (**Stichorchis**; ბერძნ. **stichos** გამოთანაბრება + **orchis** სათესლე) ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Cladorchidae**-ს ოჯახს. **Stichorchis subtriquetrus** (ლათ. **sub** ქვე + **triquetrus** სამკუთხა) – სახეობა, პარაზიტობს თახვის ბრმა ნაწლავში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – წყლის მოლუსკები. სტიქორქოზის აღმძვრელი.

სტიქორქოზი (**stichorchosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Stichorchis** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი – **Stichorchis subtriquetrus** პარაზიტობს თახვის ნაწლავებში. დაავადება მიმდინარეობს მწვავე და ქრონიკული ფორმებით. მწვავე ფორმის დროს ორგანიზმის ინტოქსიკაცია ხდება და ხშირად დაავადება სიკვდილით მთავრდება. ქრონიკული მიმდინარეობისას სიგამხდრე პროგრესირებს და ანემია ვითარდება.

სტომა (ბერძნ. **stoma, stomatos** პირი) – ფარინქსის პირის ნაწილი, რომლის ელემენტების კომპლექსი გასდევს სხეულს პირის ხვრელიდან შუა ნაწლავის დაწყებამდე.

სტომოქსისი (**Stomoxys**; ბერძნ. **stoma** პირი + **oxys** ბასრი) – სისხლმწოვი ბუზების (იხ. წვიები) გვარი.

სტრეპტოკარა (*Streptocara*; ბერძნ. *sreptos* რგოლი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Acuariidae*-ს ოჯახს, *Spirurata*-ს ქვერაზმს. ***Streptocara crassicauda*** (ლათ. *crassus* მსხვილი + *cauda* კუდი) – სახეობა, რომელიც პარაზიტობს შინაური და გარეული იხვის კუნთოვან კუჭში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – წყლის კიბოსებრები (გვერდულელები), რეზერვ. მასპინძ. – თევზები. იხვის სტრეპტოკაროზის აღმძვრელი.

სტრეპტოკაროზი (*streptocarosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Sreptocara* + ბერძნ. *osis* დაავადება) – შინაური და გარეული იხვის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – ნემატოდა ***Streptocara crassicauda*** პარაზიტობს კუნთოვან კუჭში. უპირატესად 1,5 თვის ასაკის მოზარდული ავადდება. სიმპტ.: მადის დაქვეითება, საერთო სისუსტე, სიგამხდრე, ლორწოვანი გარსების ანემიურობა, ფალარათი ან შეკრულობა, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა.

სტრიგეიდე (*Strigeidae*; ლათ. *striga* ალქაჯი + ბერძნ. *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ჰელმინთების ოჯახი; მიეკუთვნება *Trematoda*-ს კლასს. სტრიგეიდები – მცირე ზომის ჰელმინთები, რომლებიც ფრინველების ნაწლავებში პარაზიტობენ.

სტრობილა (*strobila*; ბერძნ. *strobilos* ნაძვის გირჩა) – ცესტოდების პროგლოტიდების ერთობლიობა.

სტრობილოცერკი – (*strobilocercus*; სტრობილა + ბერძნ. *kerkos* კუდი) – ცესტოდას ლარეული ფორმა, რომელიც მღრღნელების (*Hydatigera*) ორგანიზმში ვითარდება. იგი აღჭურვილია კარგად გამოხატული კაუჭებით. **ს-კს** გააჩნია შიგნით ჩაბრუნებული სკოლექსი. მისგან გამოდის გრძელი ცრუ სტრობილა, რომლის ბოლო სითხით შევსებული მცირე ზომის ბუშტით მთავრდება.

სტრონგილატები (*Strongylata*; ბერძნ. *strongylos* ცილინდრული) – ნემატოდების ქვერაზმი. მდედრი სტრონგილატებისათვის დამახასიათებელია კარგად განვითარებული სასქესო სისტემა, მამრებისათვის – კუდის ბოლოზე სამფარფლიანი სას-

ქესო ბურსა. ზრდასრული ფორმების საყლაპავი კვერთხისებრი ფორმისაა. **ს-ები** გეო- და ბიოჰელმინთებია. პარაზიტობენ სასუნთქ სისტემასა და საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. გავრცელებულია ყველგან.

სტრონგილატოზები ცხენის (strongylatoses equorum; ნემატოდების ქვერაზმის დასახელება Strongylata + ბერძნ. oses დაავადებები და ლათ. equus ცხენი) – ცხენის ჰელმინთოზები. აღმძვრელები მიეკუთვნება Strongylidae-სა და Trichonematidae-ს ოჯახებს. გავრცელებულია ყველგან. არჩევენ ცხენის სტრონგილიდოზებს (დელაფონდიოზი, სტრონგილოზი, ალფორტიოზი) და ტრიქონემატიდოზებს (ტრიქონემატოზი) იხ.

სტრონგილიდები (Strongylidae; აღმძვრელის გვარის დასახელება Strongylus + ბერძნ. id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ნემატოდების ოჯახი; მიეკუთვნება Strongylata-ს ქვერაზმს. გეოჰელმინთები. ცხენის პარაზიტები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვარებია: Alfortia, Delafondia და Strongylus (იხ.).

სტრონგილიდოზები (strongylidoses-ს; აღმძვრელის გვარის დასახელება Strongylus + ბერძნ. id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს + oses დაავადებები) – ცხენის ჰელმინთოზური დაავადებები, რომელთა აღმძვრელები მიეკუთვნებიან Strongylidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. გავრცელებულია ყველგან. განსაკუთრებით საყურადღებოა – დელაფონდიოზი, სტრონგილოზი და ალფორტიოზი (იხ.).

სტრონგილოზი (strongylosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Strongylus + ბერძნ. osis დაავადება) – ცხენის ჰელმინთოზი. აღმძვრელია ნემატოდა – Strongylus equinus, რომლის ზრდასრული ფორმები პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში. ძლიერი დაინვაზიებისას მადა დაქვეითებულია. ცხოველი გამხდარია და სწრაფად იღლება. უფროსი ასაკის ცხენების მუშაობის უნარი დაქვეითებულია. მოზარდული ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება. სუსტი დაინვაზიებისას დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ლარვული ფორმები პარაზიტობენ კუჭქვეშა ჯირკვალში და

იწვევენ მისი ფუნქციის მოშლას.

სტრონგილოიდესი (Strongyloides; ბერძნ. Strongylos ცილინდრული + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Rhabditata-ს ქვერაზმს. სახეობები:

- **Strongyloides ransomi** (ამერიკელი პარაზიტოლოგის ბ.რანსომის პატივსაცემად) – პარაზიტობს ღორის ორგანიზმში;

- **St.papillosus** (ლათ. papillus დვრილებით აღჭურვილი) – პარაზიტობს მცოხნელი ცხოველებისა და ბოცვერის ორგანიზმში;

- **St.westeri** (ინგლისელი მეცნიერის ვესტერის პატივსაცემად) – პარაზიტობს ცხენის ორგანიზმში;

- **St.stercoralis** (ლათ. sercus ნაკელი) – პარაზიტობს ძაღლის, კატის, პრიმატებისა და ადამიანის ორგანიზმში;

- **St.fulleborni** (გერმანელი პარაზიტოლოგის ფ.ფიულებორნის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს პრიმატებისა და ადამიანის ორგანიზმში.

დასახელებული სახეობები სტრონგილოიდოზის აღმძვრელებია. ისინი პარაზიტობენ წვრილი ნაწლავების ღორწოვან გარსში. დაინვაზიება ხდება პერორალური, პერკუტანული, ინტრაუტერინული (ცურის დვრილის არხის გავლით) და გალაქტოგენური (საშვილოსნოსშიდა) გზებით. დამახასიათებელია განვითარების პირდაპირი და არაპირდაპირი ტიპები. არაპირდაპირი განვითარების შემთხვევაში თავისუფლად მცხოვრები თაობები ვითარდება.

სტრონგილოიდოზი (strongyloidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Strongyloides + ბერძ. osis დაავადება) ღორის, მცოხნელი ცხოველების, ცხენის, ბოცვერის, ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელები – Strongyloides-ის გვარის ნემატოდები პარაზიტობენ წვრილი ნაწლავების ღორწოვან გარსში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადდება მოზარდეული. უფროსი ასაკის ცხოველები პარაზიტმატარებლები არიან. დაავადება მიმდინარეობს მწვავე, ქვემწვავე და ქრონიკული ფორმებით. სიმპტ.: საწყის სტადიაზე აღინიშნება კანის

ქავილი, ცხოველი მოუსვენრად არის და ახველებს. შემდეგ იგი სუსტდება და სიგამხდრე პროგრესირებს; მატულობს სხეულის ტემპერატურა, ირღვევა ნაწლავის პერისტალტიკა, ვითარდება ფალარათი ან ყაბზობა. ცხოველი საკვებს აღარ იღებს და ზრდა-განვითარებაში ჩამორჩება.

სტრონგილუსი (Strongylus; ბერძნ. Strongylos ცილინდრული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Strongylidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. **Strongylus equinus** (ლათ. equus ცხენი) – სახეობა, რომლის ლარვები პარაზიტობენ ცხენის კუჭქვეშა ჯირკვალში, ზრდასრული ფორმები – მსხვილ ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ცხენის სტრონგილოზის აღმძვრელი. დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანი – ოთხი კბილით აღჭურვილი ბოკალისებრი პირის კაფსულა.

სუ-აურუ (ყაზახ. სუ წყალი, აურუ დაავადება) – აქლემის, ცხენის, სახედრისა და ძაღლის ინვაზიური ტრანსმისიული დაავადება, რომლის აღმძვრელია ერთუჯრედიანი შოლტიანი პარაზიტი – **Trypanosoma evansi** (სინ. **Trypanosoma ninaekohljakimove**). გავრცელებულია შუა აზიის ქვეყნებში. სიმპტ.: ციებ-ცხელება, შეშუპება, სიყვითლე, ანემია, ბეწვის აბურძგვნა, ლიმფური კვანძების გადიდება, სწრაფად დაღლა.

სუბპელიკულური მიკრომილაკები (ბერძნ. sub ქვეშ, pellis ტყავი) – ისინი გააჩნიათ უმარტივესებს (Protozoa). აპიკალური პოლარული რგოლიდან შიდა მემბრანული კომპლექსის ქვეშ რადიალურად გამოშვებული სუბპელიკულური მილაკები. სხვადასხვა სახეობებს მათი რაოდენობა და ზომები განსხვავებული აქვთ. ვარაუდობენ, რომ ისინი ქმნიან უჯრედის კარკასს და მონაწილეობენ მის მოძრაობაში.

სუბულურა (Subulura; ლათ. subula სადგისი + ბერძნ. oira კული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Oxyurata-ს ქვერაზმს. **Subulura brumpti** (ფრანგი პარაზიტოლოგის ე.ბრუმპტის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის, გარეული ფრინველის ბრმა ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხოჭოები, კუტკალიები, კალიები. ფრი-

ნველის სუბულუროზის აღმძვრელი.

სუბულუროზი (*subulurosis*; აღმძვრელის გეარის დასახელება *Subulura* + ბერძნ. *osis* დააფუძნდა) – შინაური და გარეული ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – *Subuluria brumpti* პარაზიტობს ბრმა ნაწლავში. გავრცელებულია ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში.

სქელი წვეთი – სისხლის პრეპარატი მიკროსკოპისათვის. სისხლის 2-3 წვეთს აწვეთებენ სასაგნე მინაზე, ანაწილებენ თანაბარ, სქელ ფენად, აშრობენ და ფიქსაციის გარეშე ღებავენ გიმზა-რომანოვსკის წესით. გამოიყენება ტრიპანოსომებისა და ჰელმინთების ლარვების გამოსავლენად.

ტ

ტაბანიდები (*Tabanidae*) – ბუზანკალების ოჯახი (იხ. ბუზანკალები).

ტარაკანი (*Blattoptera*; ლათ. *blatta* ტარაკანი, შუქისმოშიში მწერი + *pteron* ფრთა) – მწერების (ტარაკანისებრების) რაზმი; მიეკუთვნება *Hemimetabola*-ს ჯგუფს. ტ. სინანთროპული და ზოოთროპული მწერია. *Blattella germanica* (ლათ. გერმანული) – წითური ტარაკანი; *Blatta orientalis* (ლათ. აღმოსავლური) – შავი ტარაკანი. ისინი აზიანებენ მეცხოველეობის პროდუქტებს, დანამულ კონცენტრირებულ საკვებსა და ტყავის ნედლეულს; არიან ნაწლავური ინფექციების აღმძვრელების გადამტანები, ჰელმინთების შუალედური მასპინძლები.

ტაქსისი (ბერძნ. *taxis* წესრიგი, მდებარეობა) – უმარტიველებისა და უმდაბლესი მცენარეების, ასევე სხვა ცოცხალი ორგანიზმების (ლეიკოციტები, სპერმატოზოიდები) მოძრაობა, რაც გამოწვეულია გალიზიანებით (მაგ. შუქით – ფოტოტაქსისი, ქიმიური ნივთიერებებით – ქემოტაქსისი და ა.შ.).

ტეგუმენტუმი (*tegumentum*; ლათ. *tegumen* საფარველი) – ციტოპლაზმური წარმონაქმნი, რომელიც ტრემატოდებისა და ცესტოდების გარეთა საფარველს წარმოადგენს.

ტელეონიმფა (teleonymphe; ბერძნ. telos შედეგი + nymphe ჭუპრი) – მეორე სტადიის ნიმფა.

ტენია (Taenia; ლათ. taenia ლენტია) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Taeniata**-ს ქვერანზმს. ზრდასრულ ფორმებს, რომლებიც ტენიოზების აღმძვრელებია, შეიარაღებული სკოლექსი აქვთ. ისინი პარაზიტობენ ადამიანისა და ხორცისმჭამელი ცხოველების წვრილ ნაწლავებში. მათი ლარვული ფორმები – ცისტიცერკები, რომლებიც ცისტიცერკოზების აღმძვრელებია, პარაზიტობენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმში. სახეობები:

- **Taenia solium (ლათ. solium ძეწკვი)** – (ღორის სოლიტერი), პარაზიტობს ადამიანის წვრილ ნაწლავებში, ხოლო მისი ლარვული ფორმა – **Cysticercus cellulosae** ბუდობს ღორის კუნთებში, გულში და იწვევს ღორის ცელულოზურ ცისტიცერკოზს. იგივე ცისტიცერკა ბუდობს ადამიანის თავის ტვინსა და თვალში. გავრცელებულია ყველგან;

- **T.hydatigena (ბერძნ. hydor წყალი + genes წარმოქმნილი)** – პარაზიტობს ძაღლის და სხვა ხორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში. მისი ლარვული ფორმა – **Cysticercus tenuicollis** (ნაზყელიანი ცისტიცერკა), ბუდობს ცხვრის, თხის, ღორის, იშვიათად ძროხეულის, ასევე, მრავალი გარეული ძუძუმწოვრის ჯორჯალზე, ბადექონზე, ღვიძლზე, სხვა ორგანოებზე. იწვევს ნაზყელიან ცისტიცერკოზს. გავრცელებულია ყველგან;

- **T.ovis (ლათ. ovis ცხვარი)** – პარაზიტობს ხორცისმჭამელი ცხოველების წვრილ ნაწლავებში. მისი ლარვული ფორმა – **Cysticercus ovis**, რომლის ჩაბუდების ადგილებია ცხვრის, თხის გული, დიაფრაგმა, საღეჭი და ენის კუნთები, ჩონჩხის მუსკულატურა, იშვიათად – ფილტვები, ღვიძლი, საყლაპავისა და კუჭის კედლები, თირკმელები, თავის ტვინი. იწვევს ოვისურ ცისტიცერკოზს;

- **T.pisiformis (ლათ. pisum მუხუდო + forma ფორმა)** – პარაზიტობს ხორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში. ლარვული ფორმა – **Cysticercus pisiformis** ბუდობს ბოცვრისა

და კურდღლის ჯორჯალზე, ბადექონსა და ღვიძლზე. იწვევს პიზიფორმულ ცისტიცერკოზს. გავრცელებულია ყველგან.

ტენიარინქოზი (*taeniarhynchosis*; გვარის დასახელება *Taeniarhynchus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – *Taeniarhynchus saginatus* პარაზიტობს ადამიანის წვრილ ნაწლავებში. მისი ლარვული ფორმა – *Cysticercus bovis* ლოკალიზებს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჩონჩხის მუსკულატურის კუნთებშია შემაერთებელ ქსოვილში, გულში, ენასა და იშვიათად, პარენქიმულ ორგანოებში. იწვევს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის ცისტიცერკოზს (ფინოზს). ადამიანი ავადდება ცისტიცერკებით დაინვაზიებული ძროხეულის ხორცის შეჭმისას, ხოლო ცისტიცერკებით ძროხეულის დაინვაზიება ხდება ადამიანის მიერ ექსკრემენტებთან ერთად გამოყოფილი ტენიარინქუსების პროგლოტიდებით ან კვერცხებით დაინვაზიებული ბალახის ძოვისას.

ტენიარინქუსი (*Taeniarhynchus*; ლათ. *taenia* ლენტე + ბერძნ. *rhynchus* ხორთუმი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება *Taeniata*-ს ქვერაზმს. *Taeniarhynchus saginatus* (ლათ. *saginato* გამოკვებული) – სახეობა, პარაზიტობს ადამიანის წვრილ ნაწლავებში. მისი სხეულის სიგრძე 10 მეტრამდეა. სკოლექსზე (თავი) კაუჭები არ არის. მასზე ოთხი მისაწოვარია, რომლებითაც სკოლექსი ნაწლავის კედელზე ფიქსირდება. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი, რომლის ჩონჩხის მუსკულატურის კუნთებშია შემაერთებელ ქსოვილში, გულში, ენასა და იშვიათად, პარენქიმულ ორგანოებში ლოკალიზებენ ტენიარინქუსის ლარვული ფორმები – *Cysticercus bovis* (ფინები). გავრცელებულია ყველგან.

ტენიიდები (*Taeniidae*; ლათ. *taenia* ლენტე + ბერძნ. *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ცესტოდების ოჯახი; მიეკუთვნება *Taeniata*-ს ქვერაზმს. პროგლოტიდას სიგრძე აღემატება მის სიგანეს. სასქესო სვრელები იხსნება ცალ მხარეს, ოღონდ, არასწორი მიმდევრობით. ბიოჰელმინთები. დეფინ. მასპინძ. – ადამიანი და ხორცისმჭამელები, შუალედ. მას-

პინძ. – ძუძუმწოვრები. ლარეული ფორმებია – ცისტიცერკი, ცენურუსი, ექინოკოკი, ალვეოკოკი.

ტენიიდოზები (taeniidoses; ლათ. taenia ლენტი + ბერძნ. oses დაავადებები) – ჰელმინთოზები. მათი აღმძვრელები – ზრდასრული ცესტოდები **Taeniidae**-ს ოჯახიდან, პარაზიტობენ ადამიანისა და ხორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. ხორცისმჭამელების ჰელმინთებია – **Multiceps multiceps, Echinococcus granulosus, Taenia hydatigena, T.ovis, T.pisiformis, Alveococcus multilocularis** და სხვ. სიმპტ.: საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის მოშლა, ჭვლისებრი მოვლენები, ფალარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, მადის დაქვეითება ან გაუმაძღრობა, სიგამხდრე, მოუსვენრობა, კრუნჩხვები, ლორწოვანი გარსების ანემია.

ტენიოზი (taeniosis; ლათ. taenia ლენტი + ბერძნ. osis დაავადება) – ადამიანისა და ხორცისმჭამელი ცხოველების ცესტოდოზური დაავადება. აღმძვრელები, რომლებიც წვრილ ნაწლავებში პარაზიტობენ, **Taenia**-ს გვარს მიეკუთვნებიან. ძალღის პარაზიტებია: **Taenia hydatigena, T.ovis, T.pisiformis** და სხვები, რომლებიც გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: ნაწლავის მოტორული და სეკრეტორული ფუნქციის მოშლა, პირღებინება, სიღამხდრე, ანემია.

ტერგიტი (ლათ. tergum ზურგი) – ფეხსახსრიანების მკერდის სეგმენტის დორსალური ნახევარგოლი.

ტეტრამერესი (Tetrameres; ბერძნ. tetras ოთხი + meros ნაწილი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Spirurata**-ს ქვერგვამს. **Tetrameres fissispina** (ლათ. **fissim** ნაპრაღი + **spina** ქაცვი) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, მტრედის, გარეული ფრინველების ჯირკვლოვან კუჭში. სქესობრივი დიმორფიზმი მკვეთრად არის გამოხატული. მამრის სხეული ძაფისებრი ფორმისაა, სიგრძეში – 4 მმ-მდე. მდედრის სხეულს სფეროსებროვალური ფორმა აქვს, ხოლო თავისა და კუდის ბოლოები – წაწვეტებული. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – წყლის კიბოსებრები (გვერდმცურავები), რეზერვ. მასპინძ. – კარჩხანა,

ლორჯო, ფარფლწითელა და მდინარის სხვა თევზები. ფრინველის ტეტრამეროზის აღმძვრელი.

ტეტრამეროზი (tetramerosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Tetrameres** + ბერძნ. **osis** დააყადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Tetrameres fissispina** პარაზიტობს იხვის, ბატის, მტრედის, გარეული ფრინველების ჯირკვლოვან კუჭში. გავრცელებულია ყველგან. ამთვისებელია 1,5 თვის ასაკის მოზარდეული. სიმპტ.: მადის დაქვეითება, ზოგადი სისუსტე, სიგამხდრე, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა, ფალარათი ან ყაბ-ზობა.

ტილები (Siphunculata; ლათ. **siphunculus** მილაკი) ან (**Anoplura;** ბერძნ. **anoplos** შეუიარაღებელი + **oura** კუდი) – მწერების რაზმი; მიეკუთვნება **Hemimetabola**-ს ჯგუფს. ტ-ის თავი მკერდთან შედარებით ვიწროა. მისი კვერცხი ეწებება თმას, მატყლს, ჯაგარს, ტანსაცმელს. ტ-ები პარაზიტობენ ძუძუმწოვრების სხეულზე და იწვევენ ცხოველების სიფუნკულატოზს. ისინი სპეციფიკურები არიან მასპინძლის სახეობის მიმართ. არ პარაზიტობენ ფრინველის სხეულზე. სახეობები:

- **Haematopinus eurysternus** (ბერძნ. **haima** სისხლი + **pinein** სმა და **eurys** ფართო + **sternon** მკერდი) – პარაზიტობს ძროხეულის სხეულზე;

- **H.suis** (ლათ. **sus** ღორი) – პარაზიტობს ღორის სხეულზე;

- **H.asini** (ლათ. **asinus** სახედარი) – პარაზიტობს კენტჩლიქინი ცხოველების სხეულზე;

- **Linognathus vituli** (ბერძნ. **linon** სელი + **gnathos** ყბა და ლათ. **vitulus** ხბო) – პარაზიტობს ძროხეულის მოზარდეულის სხეულზე;

- **L.ovillus** (ლათ. **ovis** ცხვარი) და **L.pedalis** (ლათ. ფეხის) – პარაზიტობენ ცხვრის სხეულზე;

- **L.setosus** (ლათ. **seta** ბეწვი, ბალანი) – პარაზიტობს ძაღლის სხეულზე;

- **Solenopotes capillatus** (ბერძნ. **solen** არხი, მილი + **poteos** მსმელი და ლათ. **calippatus** თმით, ბალნით დაფარული) – პარა-

ზიტობს ძროხეულის სხეულზე;

- **Microthoracicus cameli** (ბერძნ. **micros** მცირე + ლათ. **thoracicus** მკერდის და ლათ. **camelus** აქლემი) – პარაზიტობს აქლემის სხეულზე;

- **Haemadipsus ventricosus** (ბერძნ. **haima** სისხლი + **dipsa** წყურვილი + ლათ. **ventricosus** მუცლიანი) – პარაზიტობს კურდღლებისა და ბოცვრების სხეულზე.

ტილიანობა, დატილიანება (siphunculatosis; მწერების რაზმის დასახელება **Siphunculata** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ინვაზიური დაავადება (ენტომოზი). გამომწვევია მწერები, რომლებიც მიეკუთვნებიან **Siphunculata**-ს რაზმს. პარაზიტობენ ცხოველებისა და ადამიანის სხეულზე. გავრცელებულია ყველგან. შინაური ძუძუმწოვრების სხეულზე პარაზიტობენ ტილები, რომლებიც მიეკუთვნებიან **Haematopinidae**-ს, **Linognaythidae**-ს და **Hoplopleuridae**-ს ოჯახებს. კლ. ნ-ები: კანის ქავილი, გამელოტების კერები, ნაკაწრები და დაბეჭილობა ნაქავებ ადგილებში. ტილიანობის (დატილიანების) შედეგად მცირდება ცხოველის წონამატი, ფერხდება მისი ზრდა-განვითარება. მძიმე ფორმით ავადდებიან ხბოები, ცხენები და ღორები.

ტიროგლიფოიდები (Tyrogliphoidea; ბერძნ. **tyros** ყველი + **glyphein** ამოტეხვა + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა) – სარკოპტიფორმული ტკიპების ზეოჯახი; მიეკუთვნება **Acariformes**-ის რაზმს. **ტ-ები** – პურის ან ბელის ტკიპები, რომელთა მიერ დაზიანებული საკვების ცხოველებისათვის მიცემისას შესაძლოა დაავადებათა განვითარება.

ტკიპები (Chelicerata; ბერძნ. **chelicera** ქელიცერა) – ქელიცერიანიული ფეხსახსრიანების კლასი, რომელშიც გაერთიანებულია სამი რაზმი: **Acariformes** (აკარიფორმული ტკიპები), **Parasitiformes** (პარაზიტიფორმული ტკიპები) და **Opilioacarina** (თივაჭამია ტკიპები). **ტ-ებს** დასახსრული კიდურები და ქიტინიზებული საფარველი აქვთ. მწერებისაგან განსხვავებით, მათ არ გააჩნიათ ანტენები. კიდურების პირველი წყვილი ქელიცერებია, მეორე – პედიპალპები (საცეცები), დანარჩენი ოთხი

– სამოძრაო კიდურები. მათი სხეული ერთიანია და სეგმენტებად არ იყოფა. პირის ორგანო განთავსებულია განათოსომაში (თავის ნაწილი). არჩევენ ხმელეთის, მტკნარი და ზღვის წყლის ტკიპებს. კვების ხასიათის მიხედვით ისინი საპროფაგები, ნეკროფაგები და მტაცებლები არიან. იკვებებიან მიკროფლორით, მცენარის წვენებით. პარაზიტობენ ცხოველების, ფრინველების, ადამიანის სხეულზე. ბინადრობენ საკვებ პროდუქტებში (მარცვალი, ფქვილი). **ტ-ები** უმეტესად კვერცხმდებლებია, მაგრამ არიან ცოცხალმშობებიც. სასიცოცხლო ციკლი მოიცავს კვერცხის, ლარვას, ნიმფისა და იმაგოს ფაზებს.

ტოქსასკარიდოზი (toxascariidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება *Toxascaris* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ხორცისმჭამელების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – *Toxascaris leonina* პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. ავადდება მოზარდული ექვსი თვის ასაკიდან და უფროსი ასაკის ცხოველები. სიმპტ.: ფაღარათი, ყაბზობა, მუცლის გადიდება, პირღებინება, ჭვლები, ლორწოვანი გარსების სიმკრთაღე, უმადობა, ზოგჯერ გაუკუღმართებული მადა, სიგამხდრე, ეპილეპტიკური კრუნჩხვები.

ტოქსასკარიისი (Toxascaris; ბერძნ. *toxon* ისარი + *askaris* ჭია) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Ascaridata*-ს ქვერაზმს. *Toxascaris leonina* (ლათ. *leoninus* ლომისებრი) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, კატის და გარეული ხორცისმჭამელების წვრილ ნაწლავებში. ტოქსასკარიდოზის აღმძვრელი.

ტოქსოკარა (Toxocara; ბერძნ. *toxon* ისარი + *kara* თავი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Anisakidae*-ს ოჯახს, *Ascaridata*-ს ქვერაზმს. *Toxocara canis* (ლათ. ძაღლის) – სახეობა, პარაზიტობს ლეკვების წვრილ ნაწლავებში. დაინვაზიება ხდება პერორალური გზით აღმძვრელის ინვაზიური კვერცხის გადაყლაპვისას, ნაყოფის მუცლად ყოფნის დროს და დაინვაზიებული რეზერვუარული მასპინძლის შეჭმით; *T.cati* (ლათ. *cattus* კატა) – სახეობა, პარაზიტობს კატის წვრილ ნაწლავებში. გეოჰელმინთები. ძაღლისა და კატის ტოქსოკაროზის

აღმძვრელები.

ტოქსოკაროზი (*toxocarosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Toxocara* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ხორცისმჭამელების ჰელმინთოზი. მისი აღმძვრელები, რომლებიც პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში, მიეკუთვნებიან *Toxocara*-ს გვარს. ავადდებიან ლეკვები და კნუტები. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: სიგამხდრე, ანემია, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციის მოშლა, ხშირი პირღებინება, ბრონქოპნევმონიის მოვლენები, ჭვლები, ეპილეპტიკური კრუნჩხვები.

ტოქსოკაროიდული განვითარების ტიპი – დამახასიათებელია *Toxocara*-სა და *Neoascaris*-ის გვარების ნემატოდებისათვის. დეფინიტური მასპინძლის დაინვაზიება ხდება პერორალურად, ჰელმინთის ინვაზიური კვერხების გადაყლაპვისას. ნაწლავში იჩეკებიან ლარვები, რომლებიც შეიჭრებიან ნაწლავის კედლის სისხლძარღვებში. მაკე ცხოველის ორგანიზმში მოხვედრილი ლარვები სისხლის მეშვეობით გააღწევენ პლაცენტაში და ჩაიბუდებენ ნაყოფის ფილტვებში. მისი დაბადების შემდეგ ლარვები მიგრირებენ პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და ნაწლავებში მოხვედრის შემდეგ ამთავრებენ განვითარებას. გარდა ამისა, მამრი ან არამაკე დეფინიტური მასპინძლის სისხლში მოხვედრილი ლარვები მიგრირებენ ფილტვებში, გადაინაცვლებენ პირის ღრუში, გადაიყლაპებიან და ნაწლავში მოხვედრის შემდეგ აღწევენ ზრდასრულ სტადიას.

ტოქსოპლაზმა (*Toxoplasma gondii*; ბერძნ. *toxon* თალი + *plasma* გამოძერწილი, გაფორმებული; *gondii* მღრღნელის – *Ctenodactylus gondii*-ს დასახელებიდან, რომლის ორგანიზმში პირველად აღმოაჩინეს ტოქსოპლაზმა). აღმძვრელს რკალისებრი ფორმა აქვს და ფორთოხლის წილს მოგვაგონებს, თუმცა მას შეიძლება ოვალური ან მრგვალი ფორმაც ჰქონდეს. **ტ-ს** ზომები 4-7x2-4 მიკრონია. დეფინიტური მასპინძელია კატა, რომლის ნაწლავების ეპითელურ უჯრედებში მიმდინარეობს **ტ-ს** განვითარების მეროგონიისა (იხ.) და გამეტოგონიის (იხ.) პროცესები. კატა ფეკალთან ერთად გარემოში გამოყოფს იზოსპოროიდული

ტიპის ოოცისტებს (იხ.). შუალედ. მასპინძ. – ძუძუმწოვრები, მათ შორის, ადამიანი, აგრეთვე ფრინველები და რეპტილიები.

ტოქსოპლაზმოზი (toxoplasmosis; ბერძნ. აღმძვრელის გვარის დასახელება Toxoplasma + ბერძნ. osis დაავადება) – ინვაზიური დაავადება, რომელსაც იწვევს უჯრედშიდა პარაზიტი **Toxoplasma gondii**. **ტ-სათვის** დამახასიათებელია სხვადასხვა სისტემისა თუ ორგანოს დაზიანება. დაავადება გავრცელებულია ყველგან. ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმში იგი გამოხატული კლინიკური ნიშნებით ან უსიმპტომოდ მიმდინარეობს. თანდაყოლილი **ტ.** ვითარდება ნაყოფის ტრანსპლაცენტარული დაინვაზიების შედეგად. მისთვის დამახასიათებელია ცენტრალური ნერვული სისტემის უპირატესი დაზიანება და სიმახინჯეები. შექნილი **ტ.** უპირატესად ალიმენტარული გზით დაინვაზიებისას ვითარდება და ვლინდება ნერვული და ლიმფური სისტემების, თვალების, ჩონჩხის კუნთების, მიოკარდისა და ა.შ. დაზიანებებით.

ტრანსმისიული დაავადებები (ლათ. **transmission** გადაცემა) – ინფექციური და ინვაზიური დაავადებები, რომელთა აღმძვრელები ერთი თბილსისხლიანი ცხოველიდან მეორეს გადაეცემა სისხლმწოვი მწერების მეშვეობით.

ტრანსოვარიული გადაცემა (ლათ. **trans** გავლით + **ovarium** საკვერცხე) – შთამომავლობისათვის ინვაზიურ დაავადებათა აღმძვრელების გადაცემა მათი შეჭრით გადამტანის საკვერცხეში. შედეგად, მდედრი ტკიპი დებს კონკრეტული დაავადების აღმძვრელით დაინვაზიებულ კვერცხს, რომლიდანაც გამოჩეილ ლარვას შეუძლია ცხოველის დასნებოვნება. მაგ. იქსოდიდური ტკიპებით ბაბუზიდიოზების აღმძვრელების გადაცემა ტრანსოვარიული გზით ხდება.

ტრანსფაზური გადაცემა (ლათ. **trans** გავლით + ბერძნ. **phasis** გამოვლენა) – დაავადების აღმძვრელის გადაცემა გადამტანის მეტამორფოზის პერიოდში. მაგ. იქსოდიდური ტკიპი – **Hyalomma detritum** მსხვილფეხა მცოხნელ პირუტყვს თეილერიოზის აღმძვრელს (**Theileria annulata**) გადასცემს თუ ამ ტკიპის ნიმფამ მოწოვა დაავადებული ცხოველის სისხლი (ე.ი.

ნიმფას წინა ფორმა – ლარვა არ იყო დაინვაზიებული).

ტრაქეები (ლათ. **trachea** ტრაქეა, სასუნთქი ყელი) – მწერებისა და ტკიპების სასუნთქი მილაკები, რომელთა მეშვეობით ფეხსახსრიანები სუნთქავენ. **ტ-ები** ხვრელებით (სტიგმებით) იხსნებიან სხეულის ზედაპირზე.

ტრაქეოფილუსი (**Tracheophilus**; ტრაქეა + **philos** მოყვარული) – ჰელმინთების გვარი; მიეკუთვნება **Cyclocoeliidae**-ს ოჯახს, **Trematoda**-ს კლასს. პარაზიტობს იხვისა და ბატის ტრაქეაში.

ტრემატოდები (**Trematoda**; ბერძნ. **trematodes** მისაწოვრების მქონე) – ჰელმინთების კლასი; მიეკუთვნება **Plathelminthes**-ის ტიპს. **ტ-ების** სხეული ბრტყელია. გამონაკლისია პარამფისტომატები, რომელთა სხეული ლილივისებრი ან მსხლისებრი ფორმისაა. კუნთოვანი მისაწოვრები (საფიქსაციო ორგანოები) განლაგებულია სხეულის წინა ბოლოზე, ვენტრალურად ან სხეულის უკანა ბოლოზე. **ტ-ები** ჰერმაფროდიტებია (გამონაკლისია შისტომატატები). მათ განვითარების რთული ციკლი აქვთ, მასპინძლებისა და თაობების მონაცვლეობით. პირველი შუალედური მასპინძლებია – მოლუსკები, მეორე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – რგოლიანი ჭიები, მოლუსკები, კიბოსებრები, ფეხსახსრიანები, ხოლო ხერხემლიანებიდან – უმთავრესად, თევზები. ზოგიერთს რეზერვუარული მასპინძელი გააჩნია. მათი დეფინიტური მასპინძლებია ხერხემლიანები, იშვიათად – უხერხემლოები. **ტ-ები** პარაზიტობენ სხვადასხვა ორგანოებსა და ქსოვილებში.

ტრემატოდების სენსილები – შეგრძნების დვრილები ტრემატოდების მირაციდიუმებისა და ცერკარიების სხეულზე. ისინი აღჭურვილია შეგრძნების უნარის მქონე ბუსუსებით, რომელთა ფუძიდან ნერვული უჯრედების წამონაზარდები გამოდიან. **ს-ების** რაოდენობა და მდებარეობა დამოკიდებულია ლარვების სახეობრივ კუთვნილებაზე.

ტრემატოდოზები (**trematodoses**; ჰელმინთების კლასის დასახელება **Trematoda** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – ჰელმინთოზები, რომელთა აღმძვრელები, **Trematoda**-ს კლასის ბრტყელი

ჭიები, პარაზიტობენ ხერხემლიანების, იშვიათად უხერხემლოთა ორგანოებსა და ქსოვილებში. განსაკუთრებით საყურადღებო ტრემატოდოზებია: მცონხელი ცხოველების ფასციოლოზი, დიკროცელიოზი, ეურიტრემატოზი, პარამფისტომატოზები, ორიენტობილპარციოზი, ხორცისმჭამელი ცხოველების ოპისტორქოზი, კლონორქოზი, ფრინველის პროსთოგონიმოზი და სხვ. (იხ.)

ტრეპონემა (ბერძ. *trypanon* ბურლი + *nema* ძაფი) – *Treponema*-ს გვარი; მიეკუთვნება *Spirochaetales*-ის ქვერაზმს; ფრინველების რიგ დაავადებათა (იხ. ბორელიოზი) აღმძვრელი.

ტრეპონემოზი (*treponemosis cuniculi*; ბერძ. *trypanon* ბურლი + ბერძ. *osis* დაავადება და ლათ. *cuniculus* ბოცვერი) – ბოცვერის სპიროქეტოზი, ქრონიკული ფორმით მიმდინარე დაავადება, რა დროსაც კანზე გარე სასქესო ორგანოების, ანუსისა და სხვა მიდამოში ფეტვის მარცვლის ზომის პაპულები ჩნდება. ცხოველების დაინვაზიება ხდება პაპულებიდან გამონადენით, განსაკუთრებით შეწყვილების დროს. ამთვისებელია კურდღელი, თაგვი, ვირთხა, ზღვის გოჭი, ზაზუნა.

ტრიოდონტოფორუსი (*Triodontophorus*; ბერძ. *treis* სამი + *odus* კბილი, *phoros* მატარებელი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Strongylata*-ს ქვერაზმს. *Triodontophorus serratus* (ლათ. დაკბილული), *Tr.brevicauda* (ლათ. *brevis* მოკლე + *cauda* კუდი) – და *Tr.tenuicolis* (ლათ. *Tenuis* წვერილი + *col-lum* კისერი) – სახეობები, პარაზიტობენ ცხენისა და სახედრის მსხვილ ნაწლავებში, რის შედეგად წარმოიქმნება წყლულები, რომლებიც დიდხანს არ შუშდება.

ტრიპანოსომა (*Trypanosoma*; ბერძ. *Trypanon* ბურლი + *soma* სხეული) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება *Trypanosomidae*-ს ოჯახს, *Kinetoplastida*-ს რაზმს, *Mastigophora*-ს კლასს. პარაზიტობენ ადამიანისა და ცხოველების სისხლსა და ქსოვილებში. დამახასიათებელი მორფოლოგიური ნიშანია ერთი შოლტის არსებობა.

ტრიპანოსომოზები (*trypanosomoses*; აღმძვრელის გვარის

დასახელება **Trypanosoma + oses** დაავადებები) – ცხოველები-სა და ადამიანის ტრანსმისიული დაავადებები. აღმძვრელები – შოლტისებრი უმარტივესები, მიეკუთვნებიან **Trypanosomidae**-ს ოჯახს. **ტ-ები** გავრცელებულია ყველგან, განსაკუთრებით, სამხრეთის ქვეყნებში. დაინვაზიება ხდება სისხლმწოვი მწერების მეშვეობით ან დაგრილების დროს (**T.equiperdum**). მტაცებლების დაინვაზიება შესაძლებელია ალიმენტარული გზითაც. სიმპტ.: სხეულის მაღალი ტემპერატურა, დაძაბუნება, ლიმფური კვანძების გადიდება, შეშუპებები, ნერვული სისტემის დაზიანება. ცხოველი კახექსიის შედეგად იღუპება.

ტრიქინელა (**Trichinella**; ბერძნ. **thrix** თმა, ბეწვი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichinellidae**-ს ოჯახს, **Trichocephalata**-ს ქვერაზმს. ზრდასრული ტრიქინელები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში, ხოლო ლარვები – იმავე მასპინძლის განივზოლიან კუნთებში. ტრიქინელების მაპინძლებია ძუძუმწოვრების 100-ზე მეტი სახეობა. ავადდება ადამიანიც. გავრცელებულია ყველა კონტინენტზე. **Trichinella spiralis** (ლათ. სპირალური) – ფართოდ გავრცელებული სახეობაა, რომელიც აინვაზიებს ცხოველებსა და ადამიანს; **Trich.pseudospiralis** (ბერძნ. **pseudos** ტყუილი + ლათ. **spiralis** სპირალური) – სახეობა, რომელიც პირველისაგან განსხვავდება ზომით და განვითარების ვადებით. გარდა ამისა, კუნთებში ჩაბუდებისას მისი ლარვა არ იკეთებს კაფსულას, თუმცა, სრულად ამთავრებს ზრდა-განვითარებას ფრინველის (ქათამი, იხვი, კაკაბი და სხვ.) ორგანიზმში. აღნიშნული სახეობები არიან ტრიქინელოზის აღძვრელები.

ტრიქინელოზი (**trichinellosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Trichinella + osis** დაავადება) – ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზი, რომელიც გამოსატყული ალერგიული მოვლენებით მიმდინარეობს. აღმძვრელის (**Trich. spiralis**) ლარვები იბუდებენ განივზოლიან კუნთებში, ხოლო მათი ზრდასრული ფორმები – იმავე ორგანიზმის წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. ცხოველების ორგანიზმში

ტ. გამოხატული კლ. ნ-ების გარეშე მიმდინარეობს. ღორის შემთხვევაში შესაძლებელია სხეულის ტემპერატურის ხანმოკლე მატება, დაძაბუნება, კუნთების ტკივილი, კანის ქავილი, მონაცვლეობით კოჭლობა.

ტრიქობოთრია (ბერძნ. **thrix, trichos** თმა, ბეწვი + **bothrion** ორმო) – სტრესის აღქმის სახეცვლილი ბეწვები, რომლებიც აქვთ აკარიფორმულ ტკიპებს თავის ფარის ძაბრისებრ ჩაღრმავებებში.

ტრიქოდინა (ბერძნ. **thrix, trichos** თმა, ბეწვი + **dine** მორევი) – ინფუზორიების გვარი; მიეკუთვნება **Ciliata**-ს კლასს. **ტ-ს** სხეული მრგვალი ფორმისაა, დაფარულია წამწამებით. მას გააჩნია ერთი ციტოსტომი და მრავლობითი ვაკუოლი. **ტ-ები** პარაზიტობენ ზღვისა და მტკნარი წყლის თევზების კანსა და ლაყუჩებზე.

ტრიქომონადა (**trichomonas**; ბერძნ. **thrix** თმა, ბეწვი + **monas, monados** განუყოფელი, ერთეული) – უმარტივესების გვარი; მიეკუთვნება **Trichomonadidae**-ს ოჯახს, **Mastigophora**-ს ქვეტიპს. **ტ-სათვის** დამახასიათებელია 3-5 შოლტის, მოკლე, უნდულირებადი მემბრანისა (იხ.) და აქსოსტილის (იხ). არსებობა. **ტ-ები** ლოკალიზებენ შარდსასქესო ორგანოებში, ცხვირისა და პირის ღრუებში. **Trichomonas foetus, T.equii, T.suis** და **T.vaginalis** – სახეობები, რომლებიც, შესაბამისად, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ცხენის, ღორისა და ადამიანის პარაზიტებია და მათ ტრიქომონოზს იწვევენ.

ტრიქომონოზები (**trichomonosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება – **trichomonas** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – ტრიქომონების მიერ გამოწვეული ცხოველებისა და ადამიანის დაავადებები. მსხვილფეხა მცოხნელ პირუტყვს უზიანდება სასქესო ორგანოები, ვითარდება აბორტი. **ტ-ები** გავრცელებულია კერობრივად.

ტრიქონემა (**Trichonema**; ბერძნ. **thrix, trichos** თმა, ბეწვი + **nema** ძაფი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichonematidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. **T.insigne**

(ლათ. ნიშანი) – სახეობა, რომლის ლარვები პარაზიტობენ კენტრილიქიანი ცხოველების ბრმა ნაწლავისა და კოლინჯის კედლებში, ხოლო ზრდასრული ფორმები – იმავე ნაწლავების სანათურში. ცნობილია ტ-ების 40-ზე მეტი სახეობა, რომლებიც ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას ტრიქონემატოზების აღმძვრელები არიან.

ტრიქონემატიდული განვითარების ტიპი – დამახასიათებელია ზოგიერთი სტრონგილიდისა (ეზოფაგოსტომა) და ტრიქონემატიდისათვის. მდებრი ინდივიდები ნაწლავის სანათურში დებენ კვერცხებს. გარემოში გამოყოფილი კვერცხებიდან პირველი სტადიის ლარვები იჩეკებიან, რომლებიც ორჯერ იცვლიან კანს და ინვაზიურ სტადიას (მესამე სტადიის ლარვები) აღწევენ, ამასთან, გამოცვლილ კანს არ იშორებენ. ინვაზიური სტადიის ლარვები მიგრირებენ ბალახის ღეროებზე და თუ ცხოველი ბალახთან ერთად მათ გადაყლაპავს, ლარვები შეიჭრებიან მისი ნაწლავის კედლებში, სადაც იზრდებიან, ვითარდებიან და იწვევენ ე.წ. „კვანძოვან დაავადებას“. შემდეგ ისინი გამოდიან ნაწლავის სანათურში, სადაც სქესმწიფე სტადიას აღწევენ.

ტრიქონემატოზები (trichonematoses; აღმძვრელის გვარის დასახელება trichonema + ბერძნ. oses დაავადებები) – კენტრილიქიანი ცხოველების ჰელმინთოზები. აღმძვრელები, რომლებიც მიეკუთვნება *Trichonema*-ს გვარს, პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: მსუბუქი ფორმისას – გახდომა, ანემია, სწრაფად დაღლა, ფალარათი, ზოგჯერ სხეულის ტემპერატურის მატება. მძიმე ფორმის დროს სხეულის ტემპერატურა მატულობს, მადა ქვეითდება, ცხოველი სუსტდება და ტაატით დადის. დამახასიათებელია დამაუძლურებელი ფალარათი. ფეკალში სისხლის მინარევებია და მას მყრალი სუნი აქვს. ზოგჯერ აღინიშნება კიდურების შეშუპება და სუსტი ჭვლების ნიშნები.

ტრიქოსტრონგილიდები (Trichostrongylidae; ბერძნ. thrix, trichos თმა, ბეწვი + strongylos ცილინდრული + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ნემატოდების ოჯახი; მიეკუთვნება

Strongylata-ს ქვერასშს. ტ-ები თმისებრი ნემატოდებია. მამრი ინდივიდისათვის დამახასიათებელია კარგად გამოხატული სასქესო ბურსა. პარაზიტობენ ძუძუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიების და ამფიბიების კუჭსა და წვრილ ნაწლავებში. აღწერილია ტ-ების ასამდე სახეობა, რომლებიც მიეკუთვნებიან გვარებს: **Haemonchus**, **Nematodirus**, **Cooperia**, **Ostertagia**, **Trichostrongylus**, **Mecistocirrus**, **Marshallagia**, **Nematodirella**, **Hyostrongylus** და სხვ. გეოჰელმინთები. ისინი მცოხნელთა ტრიქოსტრონგილიდოზების აღმძვრელებია. გავრცელებულია ყველგან.

ტრიქოსტრონგილიდოზები (trichostrongylidoses; აღმძვრელის ოჯახის დასახელება **Trichostrongylidae** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – ცხოველების ჰელმინთოზების კომპლექსი. მათი აღმძვრელები მიეკუთვნებიან **Trichostrongylidae**-ს ოჯახს. პარაზიტობენ კუჭსა და წვრილ ნაწლავებში. განსაკუთრებული სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ მცოხნელთა ტრიქოსტრონგილიდებს (იხ.). გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: მადის დაქვეითება, ფაღარათი, მეტეორიზმი, სისხლნაკლებობა, ჰიდრემია, ზოგჯერ – კრუნჩხვები, ჭვლები, დამბლა (ჰემონქოზისა და ნემატოდიროზის შემთხვევაში).

ტრიქოსტრონგილიდური განვითარების ტიპი – ტრიქონემატიდული განვითარების ტიპის მსგავსია: გარემოში კვერცხებიდან იჩეკებიან პირველი სტადიის ლარვები, რომლებიც ორჯერ იცვლიან კანს (მარაშლაგიების ლარვები კვერცხში ყოფნისას კანს იცვლიან ერთხელ, ხოლო ნემატოდირუსების ლარვები – ორჯერ, რის შემდეგ ისინი იჩეკებიან), აღწევენ ინვაზიურ სტადიას და მიგრირებენ ბალახის საფარზე. ბალახთან ერთად გადაყლაპული ლარვები შეიჭრებიან კუჭის ან წვრილი ნაწლავების ლორწოვან გარსში, სადაც იზრდებიან, ვითარდებიან, შემდეგ ნაწლავის სანათურში გამოდიან და ზრდასრულ სტადიას აღწევენ.

ტრიქოსტრონგილოზები (trichostrongyloses; აღმძვრელის გვარის დასახელება **Trichostrongylus** + ბერძნ. **oses** დაავადებები) – მცოხნელი ცხოველების, ფრინველისა და ადამიანის

ჰელმინთოზები, რომელთა აღძვრელები – *Trichostrongylus*-ის გვარის ნემატოდები, პარაზიტობენ კუჭსა და წვრილ ნაწლავებში. განსაკუთრებით საყურადღებოა მცოხნელთა ტრიქოსტრონგილოზები. სიმპტ.: მადის დაკარგვა, ფალარათი, სისუსტე, სიგამხდრე.

ტრიქოსტრონგილუსები (*Trichostrongylus*; ბერძნ. *thrix*, *trichos* თმა, ბეწვი + *strongylos* ცილინდრული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Trichostrongylidae*-ს ოჯახს, *Strongylata*-ს ქვერაზმს. სახეობები:

- *Trichostrongylus colubriformis* (ლათ. *coluber* + *forma* ფორმა) – პარაზიტობს წვრილფეხა და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, აქლემის მაჭიკსა და წვრილ ნაწლავებში, მღრღნელებისა და ადამიანის წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან;

- *Tr. axei* (ლათ. *axei* ღერძი) – პარაზიტობს წვრილფეხა და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ირმის, ანტილოპას მაჭიკსა და წვრილ ნაწლავებში, ასევე, ღორის, ცხენისა და ადამიანის კუჭში. გავრცელებულია ყველგან;

- *Tr. retortaeformis* (ლათ. *retortus* უკან მობრუნება, დახვევა + *forma* ფორმა) – პარაზიტობს კურდღლებისა და ბოცვრების კუჭსა და წვრილი ნაწლავის წინა უბანზე. გავრცელებულია ყველგან;

- *Tr. tenuis* (ლათ. *tenuis* წვრილი) – პარაზიტობს იხვის, ბატის, ინდაურის, ციცრის, ხოსბის ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან.

ტრიქოცეფალოზი (*trichocephalosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Trichocephalus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ძუძუმწოვრებისა და ადამიანის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელები მიეკუთვნებიან *Trichocephalus*-ის გვარს. პარაზიტობენ მსხვილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: დაძაბუნება, სისუსტე, სიგამხდრე, ფალარათი, ყაბზობა, ზრდა-განვითარების შეფერხება.

ტრიქოცეფალუსი (*Trichocephalus*; ბერძნ. *thrix*, *trichos*

თმა, ბეწვი + **kephale** თავი) – ნემატოდების გვარი (ბეწვთა-ვეები); მიეკუთვნება **Trichocephalidae**-ს ოჯახს, **Trichocephata**-ს ქვერაზმს. სახეობები:

- **Trichocephalus suis** (ლათ. ღორი) – პარაზიტობს შინაური და გარეული ღორების ბრმა ნაწლავში;

- **Tr. ovis** (ლათ. ცხვარი) – პარაზიტობს წვრილფეხა და მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, აქლემის, ირმის ბრმა ნაწლავსა და კოლინჯში;

- **Tr. skrjabini** (აკად. კ.სკრიაბინის პატივსაცემად) – პარაზიტობს შინაური და გარეული მცოხნელების ბრმა ნაწლავსა და კოლინჯში;

- **Tr. vulpis** (ლათ. მელია) – პარაზიტობს ძაღლის, მელიის, მგლის მსხვილ ნაწლავებში;

- **Tr. nutria** (ლათ. ნუტრია) – პარაზიტობს ნუტრიას მსხვილ ნაწლავებში. გეოქელმინთები.

ტროფოზოიტი (trophozoit; trophe კვება + **zoon** ცოცხალი არსება) – პროლიფერაციული და ვეგეტაციური ფორმა, რომლის თანამედროვე დასახელებაა ენდოზოიტი (იხ.); წარმოადგენს **Coccidiida**-ს (იხ.) რაზმის ზოგიერთი სახეობის უსქესო გამრავლების სტადიას.

ტყავიჭამიები (Chorioptes; ბერძნ. chorion გარსი + **koptein** დაზიანება) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Psoroptidae**-ს ოჯახს, **Sarcoptoidea**-ს ზეოჯახს, **Sarcoptiformes**-ის ქვერაზმს, **Acariformes**-ის რაზმს. **ტ-ები** იკვებებიან ეპიდერმისის აქერცლილი (აშრეებული) უჯრედებით. პარაზიტობენ მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ცხენის სხეულზე (იხ. ქორიოპტოზი).

უ

უმარტივესები (Protozoa; ბერძნ. protos პირველადი + **zoon** ცხოველი) – ერთუჯრედიანი ცხოველების ტიპი. მრავალუჯრედიანი ცხოველების უჯრედების მსგავსად **უ-ბის** სხეული

როული აგებულებისაა, მაგრამ მათ გააჩნიათ ჩვეული ორგანოები: ციტოსომა, შოლტები, წამწამები, კონოიდი და ა.შ. მრავლდებიან უსქესო და სქესობრივი გზით. უბის ტიპი 25 ათასზე მეტ სახეობას მოიცავს, მათგან 3,5 ათასი – ადამიანის, ცხოველის და მცენარის პარაზიტია.

უნდულირებადი მემბრანა (ლათ. **undulas** ტალღისებრი, **membrana** აპკი) – აპკისებრი წამონაზარდი ტრიპანოსომების სხეულის გასწვრივ, რომელსაც ტალღისებრი ფორმა აქვს და შოლტებთან ერთად წარმოადგენს ტრიპანოსომების გადაადგილების საშუალებას.

უნცინარია (**Uncinaria**; ლათ. **uncinus** მრუდე, გაღუნული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერჯს. **Uncinaria stenocephala** (ბერძნ. **stenos** ვიწრო + **kephale** თავი) – სახეობა, პარაზიტობს ხორცისმჭამელთა წვრილ ნაწლავებში.

უნცინარიოზი (**uncinariosis**; გვარის დასახელება **Uncinaria** + **osis** დაავადება) – ხორცისმჭამელთა პელმინთოზი. აღმძვრელი – **Uncinaria stenocephala** პარაზიტობს ძაღლის, კატის, ყარსალის, მელიისა და სხვა ხორცისმჭამელთა წვრილ ნაწლავებში. უფრო ხშირად და მძიმე ფორმით ავადდება მოზარდეული. უ. ფართოდ არის გავრცელებული. დამახასიათებელია: პირღებინება, მადის დაკარგვა ან გაუკუღმართება, სისხლიანი ფაღარათი, ძლიერი სიგამხდრე. ხშირად, ცხოველი იღუპება.

ფ

ფაბრიციუსის ჩანთა (**bursa fabricii**) – ლიმფოიდური ორგანო. აქვს მხოლოდ ფრინველებს. **ფ. ჩ-ში** პარაზიტობენ პროსტოგინიმიუსები (იხ.). იგი წარმოადგენს იმუნური სისტემის მნიშვნელოვან კომპონენტს; მონაწილეობს ანტისხეულების – იმუნოგლობულინების წარმოქმნის რეგულაციაში.

ფაგოციტები (ბერძნ. **phagos** შთანთქმელი + **kytos** უჯრედი) – „შთანთქმელი უჯრედები“, ლეიკოციტები და ზოგიერთი შემეაერთებელქსოვილოვანი უჯრედი, რომელთაც უნარი შესწევთ

განადგურონ (შეჭმის ან უჯრედშიდა მონელების გზით) ბაქტერიები, უმარტივესები, რიკეტსიები, მკვდომადი ქსოვილები და სხვადასხვა სახის უცხო სხეულები, მათ შორის ჰელმინთების ლარვები. ფეხები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უცხო სხეულებისა და დაავადებათა ცოცხალი აღმძვრელების შეჭრისგან ორგანიზმის დაცვის საქმეში.

ფაზმიდები (phasmidae; ბერძნ. phasma გამოჩენა) – ზოგიერთი ნემატოდის კაუდალური გვერდითი დვრილები. მათზე ხვრელებია, რომლებიც ჯირკვლებს უკავშირდებიან.

ფაკულტატური მასპინძელი – იხ. მასპინძელი.

ფანია (Fannia) – ნამდვილი ბუზების გვარი, რომელიც მიეკუთვნება Muscidae-ს ოჯახს. (იხ. ბუზები).

ფარინქსი (pharynx; ბერძნ. pharynx ხახა) – 1. ტრემატოდების ხახა, რომელიც განთავსებულია პირის კაფსულას ფსკერსა და საყლაპავს შორის; 2. ნემატოდების წინა ნაწლავი, რომელიც განთავსებულია პირის ხვრელსა და შუა ნაწლავს შორის. მისი პირველი (წინა) ნაწილია სტომა, მეორე (უკანა) – საყლაპავი.

ფასციოლა (Fasciola; ლათ. მცირე ზომის ლენტი) – ტრემატოდების გვარი, რომელიც მიეკუთვნება Fasciolidae-ს ოჯახს. **Fasciola hepatica** (ლათ. hepaticus ღვიძლის) და **F.gigantica** – სახეობები, რომლებიც ჩლიქიანი ცხოველების, მღრღნელებისა და ადამიანის ორგანიზმში პარაზიტობენ და ფასციოლოზის აღმძვრელები არიან. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები – **Limnea truncatula** და **Limnea auricularia**.

ფასციოლოზი (fasciolosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Fasciola + osis დაავადება) – ძუძუმწოვარი ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელები, **Fasciola**-ს გვარის ტრემატოდები პარაზიტობენ ღვიძლის ნაღვლის სადინარებში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად, მცოხნელები ავადობენ. ცხვრები ფის მწვავე ფორმით ავადდებიან. ამ დროს დამახასიათებელია ანემია, ლორწოვანი გარსების სიყვითლე, მადის დაქვეითება, დაძაბუნება, სისხლიანი ფალარათი ან ყაბზობა,

ტიმპანია, სხეულის ტემპერატურის მატება, ქოშინი, ზედაპირული, გახშირებული სუნთქვა. დაავადების ქრონიკული ფორმით მიმდინარეობისას ცხვარი დასუსტებული და გამხდარია, მატყლი მშრალი და მსხვრევადი ხდება, ქუთუთოები, ყბათაშორისი არე და მკერდის მიდამო შეშუპებულია. ძროხეული ქრონიკული ფორმით ავადდება. ამ დროს კლ. ნ-ები, განსაკუთრებით, შეშუპება, ნაკლებად არის გამოხატული, თუმცა პირუტყვის ნაკვებობა აშკარად დაბალია.

ფასციოლოპსიდოზი (fasciolopsidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Fasciolopsis** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ღორისა და ძაღლის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი **Fasciolopsis buski** პარაზიტობს საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. სიმპტ.: ფაღარათი, შეშუპება, ასციტი.

ფასციოლოპსისი (Fasciolopsis; ლათ. **fasciola** მცირე ზომის ლენტი + **opsis** მსგავსება) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Fasciolidae**-ს ოჯახს. **Fasciolopsis buski** - სახეობა, პარაზიტობს შინაური და გარეული ღორის, ძაღლის წვრილ ნაწლავებში, ზოგჯერ - ღვიძლსა და კუჭქვეშა ჯირკვალში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები. ცხოველების ფასციოლოპსიდოზის აღმძვრელი.

ფენოთიაზინის ბრიკეტები (ინგლ. brik აგური) – სუფრის მარილის (ექვსი წილი), ცარცის, ძვლის ფქვილის (სამი წილი) და ფენოთიაზინის (ერთი წილი) დაპრესილი ან შეწებებული და გამომშრალი ნარევი, რომელსაც დამატებული აქვს მიკროელემენტები (კობალტი, მანგანუმი, თუთია, რკინა, იოდი, სპილენძი და სხვ.). სას.-სამ. ცხოველების მინერალური შიმშილისა და მრავალი ინვაზიური დაავადების საწინააღმდეგო ეფექტიანი საშუალება, რომელშიც შესაძლებელია ანტიბიოტიკების დამატებაც.

ფესსახსრიანები (Arthropoda; ბერძნ. **arthron** სახსარი + **pus, podos** ფეხი) – ცხოველთა ტიპი, რომელთაც ნაწევრებად დაყოფილი გარე ქიტინიზებული ჩონჩხი და კიდურები აქვთ. ფესსახსრიანთა სხეული სეგმენტებისაგან შედგება.

ფიზა (Physa; ბერძნ. **physan** გაბერვა) – მოლუსკების გვა-

რი; მიეკუთვნება **Pulmonata**-ს ქვეკლასს, **Gastropoda**-ს კლასს. მრავალი ტრემატოდის შუალედური მასპინძელი.

ფიზალოპტერა (Physaloptera; ბერძნ. physalis ამპულა, ბებერა + pteron ფრთა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Spirurata-ს ქვერაზმს. პარაზიტობენ სორცისმჭამელი ცხოველებისა და ადამიანის საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. Physaloptera praeputialis (ლათ. praeputium სხეული) – სახეობა, პარაზიტობს კატისებრთა ოჯახის შინაური და გარეული ცხოველების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – სწორფრთიანი მწერები, ხოჭოები.

ფიზალოპტეროზი (physalopterosi; აღმძვრელის გვარის დასახელება Physaloptera + ბერძნ. osis დაავადება) – ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – Physaloptera praeputialis პარაზიტობს კატისებრების საჭმლის მომნელებელ ტრაქტში. სიმპტ.: სისხლიანი ფალარათი, სიგამხდრე, ბეწვის აბურძგენა.

ფიზოცეფალოზი (physocephalosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Physocephalus + ბერძნ. osis დაავადება) – ჩლიქოსანი ცხოველების ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი – Physocephalus sexalatus პარაზიტობს კუჭში. უპირატესად ავადდება შინაური და გარეული ღორი. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: კეების შეწყვეტა, წყურვილი, ფალარათი, მოუსვენრობა, ზრდა-განვითარების შეფერხება.

ფიზოცეფალუსი (Physocephalus; ბერძნ. physis ზრდა + kephale თავი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Strongylata-ს ქვერაზმს. Physocephalus sexalatus (ლათ. sex ექვსი + ala ფრთა) – სახეობა, პარაზიტობს შინაური და გარეული ღორის, იშვიათად, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, აქლემის, ცხენის, სახედრის კუჭში. ღორის ფიზოცეფალოზის აღმძვრელი. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ნაკელის ხოჭო, რეზერვ. მასპინძ. – ფრინველები, რეპტილიები, სორცისმჭამელები, თევზები, სხვა ხერხემლიანები.

ფილამენტები (filamentum; ლათ. filum ძაფი) – განსაკუთრებული წამონაზარდები ძეწკვურა ცესტოდებისა და ზოგიერთი

ნემატოდას კვერცხების გარე გარსზე.

ფილარიატები (Filariata; ლათ. filum ძაფი) – ნემატოდების ქვერაზმი. **ფ-ების** სხეული ძაფისებრია. ცნობილია **ფ-ების** 400-მდე სახეობა, რომლებიც გაერთიანებულია 86 გვარში და მიეკუთვნებიან **Filariidae**-ს, **Setariidae**-სა და **Aproctidae**-ს ოჯახებს. **ფ-ების** უმრავლესი გვარების (**Loa, Dipetalonema, Onchocerca, Setaria, Wuchereria**) სახეობები პარაზიტობენ ცხოველების ორგანოებსა და ღრუებში (საჭმლის მომნელებელი ტრქტის გარდა), რომლებიც არ არიან დაკავშირებული გარემოსთან (კუნთებშორისი შემაერთებელი ქსოვილი, მყესები, სასახსრე ჩანთები, სისხლისა და ლიმფის მიმოქცევის სისტემები, ნერვული ქსოვილი). **ფ-ები**, რომლებიც მიეკუთვნებიან **Parafilaria**-სა და **Stephanofilaria**-ს გვარებს, პარაზიტობენ ჩლიქიანი ძუძუმწოვრების კანსა და კანქვეშა უჯრედისში, რის გამოც კანზე სისხლდენადი ჭრილობები წარმოიქმნება. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – სისხლმწოვი ფეხსახსრიანები (კოლო, ქინქლა, ოფა, სისხლისმწოველა, ბუზანკალი, ტკიპი და სხვ.). **ფ-ების** მდებრი ინდივიდები ჩაბუდების ადგილებში შობენ ლარვებს ან დებენ კვერცხებს, რომლებიდან ლარვები (მიკროფილარიები) იჩეკებიან. სისხლმწოვი მწერების მიერ სისხლის წოვისას მიკროფილარიები ხვდებიან მათ ნაწლავებში, შემდეგ - მწერის მუცლის ღრუში, სადაც ინვაზიურ სტადიამდე ვითარდებიან. დეფინიტიური მასპინძლის დაინვაზიება განმეორებითი სისხლის წოვისას ხდება, რა დროსაც ინვაზიური მიკროფილარიები გადადიან საბოლოო მასპინძლის ორგანიზმში. **ფ-ები** ცხოველებისა და ადამიანის ფილარიატოზების აღმძვრელებია, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში.

ფილარიატოზები (filiariatoses; აღმძვრელის ქვერაზმის დასახელება Filariata + ბერძ. oses დაავადებები) – ხერხემლიანების (თევზების გარდა) ჰელმინთოზები, რომელთა აღმძვრელი ნემატოდები, მიეკუთვნებიან **Filariata**-ს ქვერაზმს.

ფილარიედული ლარვა (filarieform larva; ლათ. filum სახეობა, ფორმა და larva ლარვა) – ზოგიერთი ნემატოდას

ლარვები, რომელთაც გრძელი, ძაფისებრი სხეული და წვრილი, გრძელი საყლაპავი აქვთ ბულბუსის გარეშე (იხ. რაბდიოტოდული ლარვა).

ფილაროიდესი (Filaroides; ლათ. filum ძაფი + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Filaroididae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერაზმს. Filaroides osleri (ინგლისელი პარაზიტოლოგის უ.ოსლერის პატივსაცემად) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლისა და კატის ტრაქეასა და ბრონქებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები. ხორცისმჭამელი ცხოველების ფილაროიდოზის აღმძვრელი.

ფილაროიდოზი (filaroidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Filaroides + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელი ცხოველების ჰელმინთოზი; აღმძვრელი, ნემატოდა – Filaroides osleri. უპირატესად ავადდება ძაღლისა და კატის მოზარდეული. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. ძირითადი კლ. ნები – ძლიერი ხველა, მადის დაქვეითება, სიგამხდრე.

ფილიკოლისი (Filicollis; ლათ. filum ძაფი + collum კისერი) – ჰელმინთების გვარი; მიეკუთვნება Filicollidae-ს ოჯახს, Acanthocephala-ს კლასს. Filicollis anatis (ლათ. anas იხვი) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, გედის, სხვა წყალმცურავი ფრინველების წვირლ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის კიბო – Asellus aquaticus. ფრინველის ფილიკოლოზის აღმძვრელი.

ფილიკოლოზი (filicollosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Filicollis + ბერძნ. osis დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. მისი აღმძვრელებია თავეკლიანები, რომლებიც პარაზიტობენ ფრინველის ნაწლავებში. ავადდებიან იხვები, ბატები, წყალმცურავი გარეული და ჭაობის ფრინველები. დაავადება გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: ზოგადი სისუსტე, ბუბბულის აბურძგვანა, მადის დაქვეითება, მოზარდეულის ზრდა-განვითარების შეფერხება. ინტენსიური დაინვაზიების დროს ფრინველი კვდება.

ფიმბრიარია (Fimbriaria; ლათ. fimbria ფოჩი, ფოჩის

კიდე) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Hymenolepididae**-ს ოჯახს. **Fimbriaria fasciolaris** (ლათ. ლენტისებრი) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, ქათმის და სხვა ფრინველის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები. ამავე ოჯახის სხვა ცესტოდებთან ერთად იწვევს ფრინველის ჰიმენოლეპიდოზებს.

ფინა (Finne; გერმ. მუწუკი, ფერიმჭამელა) – ცისტიცერკი. Taeniata-ს ქვერანზის ზოგიერთი ცესტოდას (**Taeniarhynchus saginatus, Taenia solium, T.Hydatigena, T.pisiformis, T.ovis**) განვითარების ბუშტოვანი სტადია. ფინები ბუდობენ კუნთებში მდებარეებულ ქსოვილში, სეროზულ გარსებზე, შინაგან ორგანოებში. იწვევენ სასოფლო-სამეურნეო ცხოველების ფინოზებს.

ფიტოპარაზიტები (Phytoparasi; ბერძნ. phyton მცენარე + პარაზიტი) – მცენარეული წარმოშობის პარაზიტები (ბაქტერიები, კოკები, ვიბრიონები, რიკეტსიები, პარაზიტული სოკოები და სხვ.). **ფ-ებით** გამოწვეულ დაავადებებს ინფექციური ეწოდება, განსხვავებით ინვაზიურისაგან, რომელთა აღმძვრელები ზოოპარაზიტებია.

ფრანსაიელა (Francaiella; პორტუგალიელი მეცნიერის ფრანსას პატივსაცემად) – მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის უჯრედშიდა პარაზიტი. მისი სხეულის სიგრძე ერთორციტის რადიუსის ტოლია. ფ-ას გადაცემა ხდება Boophilus-ის გვარის ტკიპების მეშვეობით, რომელიც Ixodidae-ს ოჯახს მიეკუთვნება.

ფრანსაიელოზი (francaiellosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Francaiella + ბერძნ. osis დაავადება) – ძროხეულის ტრანსმისიული დაავადება. აღმძვრელი, ერთუჯრედიანი – **Francaiella colchica** პარაზიტობს ერთორციტებში. სიმპტ.: სხეულის მაღალი ტემპერატურა, ლორწოვანი გარსების ანემიურობა და სიყვითლე, ჰემოგლობინურია, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის აშლილობა, გულსისხლძაღვთა სისტემის ფუნქციის მოშლა. **ფ.** ხშირად ვლინდება პიროპლასმოზთან ერთად.

ფრინველის მალარია (malaria avium; იტალ. mala aria ცუდი ჰაერი) – ფრინველის ინვაზიური დაავადება. აღმძვრელე-

ბი – **Plasmodium**-ის გვარის უმარტივესები, რომლებიც მიეკუთვნებიან **Haemosporidia**-ს რაზმს, პარაზიტობენ ფრინველის ერთროციტებსა და რეტიკულო-ენდოთელური სისტემის უჯრედებში. ამთვისებელია ყველა ჯიშის ქათამი. აღმძვრელის გადამტანია – კოლო. ავადმყოფი ქათამის სხეულის ტემპერატურა 43,5°C აღწევს, ფრინველი დათრგუნულია, სუნთქვა – გართულებული, ვითარდება ანემია. წიწილების უმეტესობა იხოცება.

ფსეუდოლაბიები (pseudolabia; ბერძნ. pseudos ცრუ + ლათ. labium ტუჩი) – სპირურატების (ფიზალოპტერიდები, სპირურიდები, გნათოსტომატიდები) ცრუ ტუჩები, ორი კარგად განვითარებული ლატერალური ტუჩი, რომელთაც არ გააჩნიათ ნამდვილი ტუჩებისათვის დამახასიათებელი შიდა დვრილების მთელი რგოლი.

ფსეუდოპოდიები (pseudopod; ბერძნ. pseudos ცრუ + podos ფენი) – სინ. ცრუფეხები – ციტოპლაზმას დროებითი გამონაზარდები, რომლებიც უმარტივესებისათვის მოძრაობისა და საკვების მოპოვების ორგანოიდებს წარმოადგენენ.

ფსეუდოსკოლექსი (pseudoscolex; ბერძნ. pseudos ცრუ + skolex ჭია) – ზოგიერთი ცესტოდას სპეციფიკური წარმონაქმნი, რომელიც სკოლექსის მომდევნო პროგლოტიდების გაფართოებისა და დანაოჭების გზით ვითარდება. იგი ასრულებს საფიქსაციო ფუნქციას მასპინძლის (მაგ. **Fimbriaria fasciolaris**) ქსოვილებზე, თუმცა მისაწოვრები და კაუჭები არ გააჩნია.

ფსიქოდიდები (Psychodidae) – პეპლურების ოჯახი, რომელიც ორფრთიანი მწერების – **Diptera**-ს რაზმს მიეკუთვნება.

ფსოროფტესები (Psoroptes; ბერძნ. psoriasis მქავანა, მღერი + koptein ჩხვლეტა, დაზიანება) – კანზედა, აკარიფორმული ტკიპები; მიეკუთვნებიან **Psoroptidae**-ს ოჯახს. **ფები** ცხოველების კანის მქავანას, მღერის (ფსოროფტოზები) აღმძვრელებია. სახეობები:

- **Psoroptes ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი) – პარაზიტობს ცხვრის კანზე;

- **P.bovis** (ლათ. **bovis** კურო) – პარაზიტობს ძროხეულის კანზე;

- **P.equi** (ლათ. **equus** ცხენი) – პარაზიტობს ცხენის, სახედრისა და ჯორის კანზე;

- **P.cuniculi** (ლათ. **cuniculus** ბოცვერი) – პარაზიტობს ბოცვერის კანზე.

ფსოროფტიდები (**Psoroptidae**; **Psoroptes** + ბერძნ. **id** ბოლოსართი, ნიშნაცს შთამომავალს) – აკარიფორმული ტკიპების ოჯახი, რომელიც **Sarcoptiformes**-ის ქვერაზმს მიეკუთვნება. იგი აერთიანებს **Psoroptes**-ის, **Chorioptes**-ისა და **Otodectes**-ის გვარებს.

ფსოროფტოზი (**psoroptosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Psoroptes** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხოველების მწვავე ან ქრონიკული ფორმით მიმდინარე დაავადება. აღმძვრელები – კანზედა მქავანა ტკიპები, რომლებიც **Psoroptes**-ის გვარს მიეკუთვნებიან, კანზე პარაზიტობენ. **ფეხი** გავრცელებულია ყველგან. სიმპტ: ქავილი, მატყლის, ბეწვის გაცვენა, სიგამხდრე. ზოგჯერ ცხოველი კვდება.

ქ

ქაბერტია (**Chabertia**; ფრანგი მეცნიერის პ.ქაბერტის პატივსაცემად) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Chabertia ovina** (ლათ. **ovis** ცხვარი) – სახეობა, პარაზიტობს ცხვრის მსხვილ ნაწლავებში. გეოჰელმინთი. ქაბერტიოზის აღმძვრელი.

ქაბერტიოზი (**chabertiosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Chabertia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხვრის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი – **Chabertia ovina** პარაზიტობს მსხვილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: ანემია, სიგამხდრე, ფალარათი, შეშუპება ყბათაშორის არეში, გაძლიერებული წყურვილი.

ქავილი (ლათ. **pruritus** ქავილი) – კანის მტკივნეულ-მოღიჯინე

გალიზიანება. ერთ-ერთი ძირითადი სიმპტომი სარკოპტოიდოზების დროს.

ქაცვები (ლათ. *spina* ქაცვი, ეკალი) – ქიტინოვანი წარმონაქმნები ჰელმინთების, ტკიპების და მწერების სხეულზე, რომელთა დანიშნულებაა მასპინძლის ქსოვილებზე ფიქსირება და გადაადგილების ხელშეწყობა.

ქეილოსპირურა (*Cheilospirura*; ბერძნ. *cheilos* ტუჩი + *spira* სპირალი + *oira* კუდი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება *Acuariidae*-ს ოჯახს, *Spirurata*-ს ქვერაზმს. ***Cheilospirura hamulosa*** (ლათ. *hamulus* კაუჭი) – სახეობა, პარაზიტობს ქათმის, ინდაურის კუნთოვან კუჭში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – სწორფრთიანი მწერები, ხოჭო, ცხვირგრძელა. ფრინველის ქეილოსპირუროზის აღმძვრელი.

ქეილოსპირუროზი (*cheilospirosis*; აღმძვრელის გვარის დასახელება *Cheilospirura* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ქათმის, ინდაურის, ციცრის, ხოხბის ჰელმინთოზი. აღმძვრელი – ***Cheilospirura hamulosa*** პარაზიტობს კუნთოვან კუჭში; ფართოდ არის გავრცელებული. დამახასიათებელი კლინიკური ნიშანი – ფაღარათი.

ქელიცერები (ბერძნ. *chele* მარწუხი + *keras* რქა) – ტკიპების კიდურების პირველი წყვილი, რომელიც განთავსებულია ზედა ტუჩის ზემოთ. ტკიპების სახეობათა უმრავლესობას სამნაწევრიანი ქელიცერები აქვთ, რომელთა ბოლო ნაწევრები მარწუხებს ქმნიან. მარწუხის პირველი თითი მოძრავია, მეორე – უძრავი. **ქების** დანიშნულებაა საკვებისათვის პირის წაღება და მისი დაღეჭვის ხელშეწყობა.

ქინქლები (*Simuliidae*; ლათ. *simulare* თავის მოკატუნება) – მცირე ორფრთიანი სისხლმწოვი მწერების ოჯახი; მიეკუთვნება *Nematocera*-ს ქვერაზმს. გავრცელებულია ყველგან, სადაც გამდინარე წყალსატევებია. **ქები** რიგი ინფექციური დაავადების აღმძვრელების გადამტანებია. მასობრივი თავდასხმისას სიმულიოტოკსიკოზს იწვევენ.

ქიტინი (*chitin*; ბერძნ. *chiton* ტუნიკა) – რთული ქიმიური

შედგენილობის მქონე ნივთიერება, რომლისგან შედგება ფეხსახსრიანთა კუტიკულის შიდა ფენა. ქიტინი მდგრადია ქიმიური ზემოქმედების მიმართ, არ იხსნება წყალში, სპირტში, ტუტეში და ორგანულ გამხსნელებში, მაგრამ იხსნება ძლიერ მჟავებში.

ქოანოტენია (**Choanotaenia**; ბერძნ. **choanos** ძაბრი + ლათ. **taenia** ლენტი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Hymenolepidata**-ს ქვერაზმს. **Choanotaenia infundibulum** – სახეობა, პარაზიტობს ქათმისებრთა ოჯახის (ქათამი, ინდაური, ციცარი, კაკაბი და სხვ.) ფრინველების წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ოთახის ბუზი, ხოჭო, კუტკალია. ფრინველის ქოანოტენიოზის აღმძვრელი.

ქოანოტენიოზი (**choanotaeniosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Choanotaenia** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ფრინველის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ცესტოდა – **Choanotaenia infundibulum** პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. სიმპტ.: ფალარათი, დაძაბუნება, სიგამხდრე.

ქორიოპტესები (**Choriopetes**; ბერძნ. **chorion** გარსი + **koptein** დაზიანება) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Psoroptidae**-ს ოჯახს, **Acariformes**-ის რაზმს. ტყავიჭამიები. ცხოველების ქორიოპტოზების აღმძვრელები. სახეობები:

- **Choriopetes bovis** (ლათ. **bos** ხარი) – პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის სხეულზე;

- **Ch.equi** (ლათ. **equus** ცხენი) – პარაზიტობს ცხენის სხეულზე;

- **Ch.caprae** (ლათ. **capra** თხა) – პარაზიტობს თხის სხეულზე;

- **Ch.ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი) – პარაზიტობს ცხვრის სხეულზე.

ქორიოპტოზი (**chorioptosis**; აღმძვრელის გვარის დასახელება **Choriopetes** + ბერძნ. **osis** დაავადება) – ცხოველების არაქნოზული დაავადება, რომლის აღმძვრელები – **Choriopetes**-ის გვარის ტკიპები პარაზიტობენ კანზე. გავრცელებულია

ყველგან. განსაკუთრებით ამთვისებელია ცხენისა და წვრილფეხა მცონხელი პირუტყვის მოზარდეული. სიმპტ.: ქავილი დაზიანების ადგილებში, კანზე ეკზემასებრი ცვლილებების, მსხვილი ქერქებისა და შიშველი ადგილების წარმოქმნა.

ქრიზომია (Chrysomya; ბერძნ. **chrysos** ოქრო + **myia** ბუზი) – ხორცის მწვანე ბუზი; მიეკუთვნება **Calliphoridae**-ს ოჯახს, **Diptera**-ს რაზმს. **Chrysomya albiceps** (ლათ. **albus** თეთრი + **caput** თავი) და **Ch.macellaria** (ლათ. ხორცის პროდუქტები) – სახეობები, ცხოველისა და ადამიანის მიაზეხის აღმძვრელები.

ქრომატინი (ბერძნ. **chroma** ფერი) – უჯრედის ბირთვის ნივთიერება, ქრომოსომების ძირითადი შემადგენელი ნაწილი, რომელიც დეზოქსირიბონუკლეოპროტეიდისაგან შედგება. იღებება ძირითადი საღებავებით მუქ-წითელ ან ლილის ფერად.

ღ

ღრუს ბორები (Oestridae; ბერძნ. **oistros** შეშლილობა + **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ფართოდ გავრცელებული ცხვირ-ხახის ბორების ოჯახი; მიეკუთვნება **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. ცხოველების ესტრიდოზების აღმძვრელები. ცოცხალმშობი მწერები. სახეობები:

- **Oestrus ovis** (ლათ. **ovis** ცხვარი) – ცხვრის ბორა, რომლის ლარვები პარაზიტობენ ცხვრის ცხვირის ღრუში, ცხაურა ძელის ლაბირინთებში, შუბლის წიაღში, იშვიათად – ადამიანის თვალში;

- **Cephenomya trompe** (ბერძნ. **kephen** მამრი ფუტკარი + **myia** ბუზი + **trompe** შიშის მომგვრელი) – ბორა, რომლის ლარვები პარაზიტობენ ჩრდილოეთის ირმების ცხვირ-ხახის ღრუში;

- **Rhinoestrus purpureus** (ბერძნ. **rhinos** ცხვირი + **oistros** შეშლილობა და ლათ. **purpureus** მეწამული ფერი) – ბორა, რომლის ლარვები პარაზიტობენ ცხენის, სახედრის, ჯორისა და

ჯორცხენას ცხვირისა და მის მომიჯნავე ღრუებში;

- **Rh.latifrons** (ლათ. **latus** ფართო + **frons** შუბლი) – და **Rh.uzbekistanicus** (ლათ. უზბეკური) – ბორა, რომლის ლარვეები ცხენის, სახედრის, ჯორისა და ჯორცხენას პარაზიტები არიან;

- **Cephalopina titillator** (ბერძნ. **kephale** თავი + **pinein** და ლათ. **titillare** შეღიჭინება) – ბორა, რომლის ლარვეები პარაზიტობენ აქლემის ცხვირის ღრუში, ცხვირ-ხახასა და ცხაურა ძელის ლაბირინთებში.

ყ

ყელი (**collum**; ლათ. ყელი) – ცესტოდების სხეულის შევიწროებული უბანი, რომელიც უშუალოდ სკოლექსის შემდეგ მდებარეობს. მისი დანიშნულებაა ახალი პროგლოტიდების პროდუცირება.

ყველის ბუზი (**Piophilidae casei**; ბერძნ. **pion** ცხიმოვანი + **philos** მოყვარული და ლათ. **caseus** ყველი) – ბუზების გვარი; მიეკუთვნება **Piophilidae**-ს ოჯახს, **Diptera**-ს რაზმს. მცირე ზომის (სხეულის სიგრძე 4-5 მმ), მბრწყინავი შავი ფერის მწერები. მუდმივად ბინადრობენ პროდუქტების საწყობებში, ბიოსაბოლველ ქარხნებსა და თევზის სარეწებში. ისინი კვერცხებს დებენ ახალ, დამარილებულ ან შებოლილ თევზზე, ხიზილალაზე, ყველზე, შაშხსა და ქონზე. კვერცხებიდან ლარვეები იჩიკებიან და ვითარდებიან. მესამე სტადიის ლარვეები ხტომით (მეტომელები) გადაადგილდებიან. ლარვეებს შეუძლიათ მძიმე ფორმით მიმდინარე ცხოველებისა და ადამიანის ნაწლავური მიაზების გამოწვევა.

შ

შიზოგონია (**schiso** ვხლეჩ, ვყოფ + **gonea** დაბადება, წარმოქმნა, განვითარება) – ნაწლავის ეპითელურ უჯრედებში შეჭრილი **Sporozoa**-ს კლასის უმარტივესების მეროზოიტების (იხ.) უსქესო, მრავლობითი გამრავლების სტადია, რომე-

ლიც ძირითადად სამჯერ, იშვიათად ხუთჯერ მეორდება და, შესაბამისად, წარმოიქმნება პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე, მეხუთე სტადიის შიზონტები.

შისტოსომა (Schistosoma; ბერძნ. schistos ჩამოჭრილი კიდე + soma სხეული) – ტრემატოდების გვარი; მიეკუთვნება Schistosomatidae-ს ოჯახს. სქესგაყოფილი ტრემატოდები. ბიო-ჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – წყლის მოლუსკები. ცხოველე-ბისა და ადამიანის შისტოსომოზის აღმძვრელები. სახეობები:

- **Schistosoma bovis** – პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნე-ლი პირუტყვის, თხის, ანტილოპას, იშვიათად, ცხენის კარის და ჯორჯლის სისხლძარღვებში. გავრცელებულია სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ აზიასა და აფრიკაში;

- **Sch.matthei** – პარაზიტობს შინაური და გარეული მცოხ-ნელების კარის და ჯორჯლის სისხლძარღვებში. გავრცელებუ-ლია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში;

- **Sch.indicum** – პარაზიტობს ცხენის, სახედრის, ჯორის, ჯორცხენას, აქლემის, მსხვილფეხა და წვრილფეხა მცოხნელი პირუტყვის ჯორჯლის ვენებში, ღვიძლსა და ნაწლავების სის-ხლძარღვებში. ცხენის ღვიძლში იწვევს წერტილოვან ციროზს. გავრცელებულია სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში;

- **Sch.nasale** – პარაზიტობს ძროხეულის, თხისა და ცხენის ცხვირის ლორწოვანი გარსის ვენებში;

- **Sch.japonicum** – პარაზიტობს ადამიანის, ძროხეულ-ის, ცხენის, ცხვრის, ძაღლის, კატის, ღორის მეზენტერიალურ და პორტალურ სისხლძარღვებში. გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში.

შისტოსომოზი (schistosomosis; აღმძვრელის გვარის დასახე-ლება Schistosoma + ბერძნ. osis დაავადება) – ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელები პარაზიტობენ პორტალურ და ნაწლავის ვენებში. გავრცელებულია ტროპი-კული და სუბტროპიკული კლიმატის მქონე ქვეყნებში. სიმპტ.: კანის ქავილი, პნევმონიის მოვლენები, ფალარათი, ყაბზობა, ჰემატურია, ფეკალში სისხლი და ლორწო, სიგამხდრე.

შოლტი (*flagellum*; ლათ. *flagrum* მათრახი) – *Mastigophora*-ს (იხ.) კლასის უმარტივესების სამოძრაო ორგანოა. შ. სხვადასხვა ზომის, რთული შენების მქონე ძაფისებრი წამონაზარდია, რომელიც უწვრილესი ცხრა პერიფერიული და ორი ცენტრალური ფიბრილისაგან შედგება. ყოველი შოლტი ბაზალური სხეულისაგან (იხ.) გამოდის.

შოლტიანები (*Mastigophora*; ბერძნ. შოლტის მქონე) – უმარტივესები; მიეკუთვნება *Mastigophora*-ს კლასს. მათთვის დამახასიათებელია 1-8 შოლტის ქონა, რომლებიც სამოძრაო ორგანოებია. მრავლდებიან უსქესო გზით. არჩევენ თავისუფლად მცხოვრებ და პარაზიტულ **შ-ებს**. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ ძუძუმწოვრების დაავადებათა აღმძვრელებს – ტრიპანოსომებს, ტრიქომონადებს და სხვ.

შუალედური მასპინძელი – იხ. მასპინძელი.

G

ცენუროზი (*coenurosis*; აღმძვრელის ლარვული ფორმის გვარის დასახელება *coenurus* + ბერძნ. *osis* დაავადება) – ცხვრის ჰელმინთოზი, რომელსაც *Multiceps*-ის გვარის ცესტოდას ლარვული ფორმები იწვევენ. უპირატესად გავრცელებულია ცერებრალური ცენუროზი (რეტი) და კუნთოვანი ქსოვილისა და კანქვეშა უჯრედისის ცენუროზი. ცერებრალური ცენუროზის საწყის სტადიაზე ცხვარი დაძაბუნებული ან აგზნებული, ან დამფრთხალია. მას აღენიშნება კუნთების კრუნჩხვითი კანკალი და იგი უმიზნოდ მოძრაობს. მომდევნო ეტაპზე კლინიკური ნიშნები ქრება და 2-6 თვის განმავლობაში ცხოველი ჯანსაღად გამოიყურება. შემდეგ მისი მდგომარეობა მკვეთრად უარესდება, ცხოველი აღარ იღებს საკვებს, არ რეაგირებს გარემო სიტუაციაზე, მოძრაობს წრეზე, ხდება, სუსტდება, უმეტესად წევს და ბოლოს, კვდება. კუნთოვანი ქსოვილისა და კანქვეშა უჯრედისის ცენუროზის დროს ცხვარი მადას კარგავს, ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში, ხდება. მატყლი აბურძღნულია.

თავისა და კისრის მიდამოში კანქვეშ, აგრეთვე ტანზე ჩნდება სიმსივნისებრი წარმონაქმნები.

ცენურუსის ბუშტი (coenurus; ბერძნ. koinos საერთო + **oura** კუდი) – ზოგიერთი ცესტოდას სითხით სავსე ლარვული ფორმა. ბუშტის შიდა გარსზე მიმაგრებულია მრავლობითი ჩანასახოვანი სკოლექსი (იხ.). **Coenurus cerebralis** (ლათ. **cerebrum** თავის) – ცესტოდა **Multiceps multiceps**-ის ლარვული ფორმა. ლოკალიზებს ცხვრის თავის ტვინში, იშვიათად – ზურგის ტვინში. ცხვრის ცენუროზის – რეტის აღმძვრელი; **Coenurus skrjabini** – ცესტოდა **Multiceps skrjabini**-ს ლარვული ფორმა. ლოკალიზებს ცხვრის კუნთებსა და კანქვეშა უჯრედისში. იწვევს კუნთებისა და კანქვეშა უჯრედისის ცენუროზს.

ცერკარია (cercariae; ბერძნ. kerkos კუდი) – ტრემატოდების განვითარების ლარვული ფორმა. ვითარდება შუალედური მასპინძლის – მოლუსკის სხეულში სპოროციისტისა და რედიებისაგან. **ც-ს** გააჩნია საკუთრივ სხეული და კუდი. მოლუსკის ორგანიზმიდან გარემოში გამოსვლის შემდეგ ცერკარია ან ინცისტირდება და გარდაიქმნება ინვაზიურ ლარვულ ფორმად – ადოლესკარიად, ან ხვდება დამატებითი მასპინძლის ორგანიზმში, სადაც ინვაზიურ სტადიამდე (მეტაცერკარია) ვითარდება.

ცერკი (ბერძნ. kerkos კუდი) – მწერის (მაგ. ტარაკანისებრების) მუცლის ბოლო სეგმენტის დანამატი, რომელიც შეგრძნების ფუნქციას ასრულებს.

ცესტოდები (Cestoda; ბერძნ. kestos ლენტის, ბაბთა + **eidos** მსგავსი, გარეგნობა) – ლენტისებრი ჭიების კლასი; მიეკუთვნება **Plathelminthes**-ის ტიპს. **ც-ების** სხეულის შემადგენელია თავი (სკოლექსი), ყელი და სტრობილა, რომელიც, თავის მხრივ, წარმოდგენილია ცალკეული ნაწევრებით (პროგლოტიდები). **ც-ები** ჰერმაფროდიტები და ბიოჰელმინთები არიან.

ცესტოდოზები (cestodoses; აღმძვრელების კლასის დასახელება Cestoda + ბერძნ. oses დაავადებები) – სერხემლიანი ცხოველებისა და ადამიანის ჰელმინთოზები. მათი აღმძვრელების – ლენტისებრი ჰელმინთების (ცესტოდები) სქესმწიფე (ზრდას-

რული) ფორმები პარაზიტობენ ნაწლავებში, ხოლო ლარვული ფორმები (ტენიიდების შემთხვევაში) – სხვადასხვა შინაგან ორგანოში. გავრცელებულია ყველგან.

ცეფალოპინა (Cephalopina) – ბორების გვარი (იხ. ღრუს ბორები).

ცეფენოზია (Cephenoyia) – ბორების გვარი (იხ. ღრუს ბორები).

ცეცე (Clossina) – ბუზების გვარი (იხ. გლოსინები).

ციათოსტომა (Cyathostoma; ბერძნ. kyathos ფილა + stoma პირი) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება Syngamidae-ს ოჯახს, Strongylata-ს ქვერგვამს; **Cyathostoma bronchialis** (ლათ. ბრონქების) – სახეობა, პარაზიტობს იხვის, ბატის, გედის და სხვათა ბრონქებში. გეოპელმინთი. რეზერვ. მასპინძ. – ჭიაყელები. იწვევს ციათოსტომოზს. გავრცელებულია კერობრივად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. უპირატესად ავადდება 3-4 თვის ასაკის ბატის მოზარდული. ინტენსიური დაინვაზიებისას დაავადება მწვავე ფორმით მიმდინარეობს, სუსტი დაინვაზიებისას – ქრონიკული ფორმით. სიმპტ.: სიგამხდრე, მოღუნება, სისუსტე, თავის მოძრაობა სხვადასხვა მხარეს, ჩრდილში ყოფნის მცდელობა, წყალსატევებიდან გარიდება, გაღებულ ნისკარტიდან ქაფიანი ლორწოს დენა, გართულებული სუნთქვა ხრინწით. ფრინველი ასფიქსიისაგან იღუპება.

ციკლოპი (Cyclops; ბერძნ. kyklos რგოლი + ops სახე) – წყლის მცირე კიბოსებრების გვარი; მიეკუთვნება Copepoda-ს რგვამს, Crustacea-ს კლასს. სხვადასხვა ცესტოდების შუალედური მასპინძელი.

ცილიატა (Ciliata; ლათ. cilium წამწამი) – წამწამიანი ინფუზორიების კლასი; მიეკუთვნება Protozoa-ს ტიპს.

ცირუსი (cirrus; ლათ. ლოკონი, ხვეული) – ტრემატოდებისა და ცესტოდების შემაწვევილებელი ორგანო, თესლგამომტანი არხის ბოლო ნაწილი. ც. განთავსებულია კუნთოვანი აგებულების სასქესო ჩანთაში – ცირუსის ბურსაში (**bursa cirri**).

ცისტა (cysta; ბერძნ. kystis ბუშტი, პარკი) – არახელსაყრელ

პირობებში მრავალი უმარტივესის საარსებო ფორმა, რომელსაც მეკრივი გარსი აკრავს. პარაზიტული სახეობები **ც-ის** ფორმით (ბალანტიდიები) მასპინძლიდან მასპინძელს გარემო არის მეშვეობით გადაეცემა. ზოგიერთი კოქციდიას ცისტა (ოოცისტის ფორმით) მისი განვითარების აუცილებელი ფორმაა.

ცისტიცერკი (*Cysticercus*; ბერძნ. *kystis* ბუშტი, პარკი + *kerkos* კუდი) – ფინა, *Taeniata*-ს ქვერაზმის ცესტოდების ლარვული ფორმა. სითხით საესე ბუშტი, რომლის შიდა, ჩანასახოვან გარსზე მიმაგრებულია ერთი სკოლექსი. ვითარდება შუალედური მასპინძლების (იხ. ტენია) კუნთოვან ქსოვილსა და შინაგან ორგანოებში. არჩევენ:

- *Cysticercus cellulosae* (ლათ. *cellulosus* უჯრედული) – ბუდობს ღორის და ადამიანის ორგანიზმში;

- *Cyst.bovis* (ლათ. *bos* კურო) – ბუდობს ძროხეულის ორგანიზმში;

- *Cyst.tenuicollis* (ლათ. *tenuis* თხელი + *collum* ყელი) – ბუდობს ცხვრის, თხის, ღორის, ძროხეულის ორგანიზმში;

- *Cyst.ovis* (ლათ. *ovis* ცხვარი) – ბუდობს ცხვრის ორგანიზმში;

- *Cyst.pisiformis* (ლათ. *pisum* მუხუდო + *forma* ფორმა) – ბუდობს ბოცვრისა და კურდღლის ორგანიზმში.

ცისტიცერკოზები (*cysticercoses*; ფინას დასახელება *Cysticercus* + ბერძნ. *oses* დაავადებები) – მრავალი სახეობის ცხოველისა და ადამიანის ჰელმინთოზები (ფინოზები). მათი გამომწვევია *Taeniata*-ს ქვერაზმის ცესტოდების ლარვული ფორმები (ცისტიცერკები), რომლებიც ბუდობენ კუნთოვან ქსოვილსა და შინაგან ორგანოებში. გავრცელებულია ყველგან. არჩევენ ბოვისურ (მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი), ცელულოზურ (ღორი), ტენუიკოლურ ანუ ნაწყელიან (ცხვარი, თხა, ღორი, ცხენი, მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვი, ირემი, სხვა გარეული მცოხნელი ცხოველები), ოვისურ (ცხვარი, თხა, აქლემი, ჯეირანი), პარენქიმატოზულ (ირემი, ცხენ-ირემი, შველი, ცხვარი) და პიზიფორმულ (ბოცვერი, კურდღელი)

ცისტიცერკოზებს. კლ. ნ-ები არადამახასიათებელია და ვლინდება მხოლოდ ინტენსიური დაინვაზიების დროს: ციებ-ცხელება, მიოზიტები, ძლიერი სიგამხდრე.

ცისტიცერკოიდი (cysticeroid; ბერძნ. kystis ბუშტი, პარკი + eidos მსგავსი, გარეგნობა) – ზოგიერთი ძეწკვერა (ანობლოცეფალატები, დავენეატები, ჰიმენოლეპიდატები) და ლენტურა (პროტეოცეფალატები) ცესტოდას ლარვეული ფორმა. შედგება ორგანოსიანი ბუშტისაგან ჩაბრუნებული საფიქსაციო ორგანოებით და ბუშტოვანი კუდისაგან, რომელშიც სამი წყვილი ემბრიონული კაუჭია.

ცისტოზოიტი (cystozoitis; ბერძნ. kystis ბუშტი, პარკი + zoon ცოცხალი არსება) – უმარტივესების განვითარების სტადია, რომელიც დამახასიათებელია ქრონიკულად მიმდინარე დაავადების, მაგ. ტოქსოპლაზმოზისათვის.

ცისტოიზოსპორები (Cystoisospora; ბერძნ. kystis ბუშტი, პარკი + isos ერთნაირი + spora თესლი) – უმარტივესები; მიეკუთვნებიან Cystoisospora-ს გვარს, Eimeriidae-ს ოჯახს, Coccidiida-ს რაზმს. მათ რთული განვითარების ციკლი აქვთ. მეროგონია და გამეტოგონია მიმდინარეობს ხორცისმჭამელი ცხოველების ნაწლავებში, რის შემდეგ გარემოში გამოიყოფა იზოსპოროიდული ტიპის მოუმწიფებელი ოოცისტები. ძალის და კატის დაინვაზიება ხდება ოოცისტების გადაყლაპვის ან მღრღნელების შეჭმით, რომელთა ორგანიზმში ც-ები განვითარების გარკვეულ სტადიას გადაიან. მღრღნელები ფაკულტატური მასპინძლებია.

ცისტოიზოსპოროზი (cystoisosporosis; ბერძნ. kystis ბუშტი, პარკი + isos ერთნაირი + spora თესლი + osis დაავადება) – პროტოზოული დაავადება. აღმძვრელები მიეკუთვნება Cystoisospora-ს გვარს. ც-ით ავადდებიან ძაღლები და კატები. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: დიარეა, პოლინურია, სიგამხდრე. შესაძლებელია მოზარდეულის სიკვდილი.

ცისტოკაულოზი (cystocaulosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Cystocaulus + ბერძნ. osis დაავადება) – ცხვრისა და თხის

პელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Cystocaulus nigrescens** პარაზიტობს ბრონქებსა და ბრონქიოლებში. სიმპტ.: პულსის აჩქარება, სხეულის ტემპერატურის მატება, ძლიერი დაინვაზიებისას – ფილტვებში ხიხინი, სიგამხდრე.

ცისტოკაულუსი (**Cystocaulus**; ბერძნ. **kystis** ბუშტი, პარკი + **kaulos** ღერო) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Protostrongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. **Cystocaulus nigrescens** (ლათ. **nigrescere** გაშავება) – სახეობა, პარაზიტობს ბრონქებსა და ბრონქიოლებში. ბიოპელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ხმელეთის მოლუსკები. ცხვრისა და თხის ცისტოკაულოზის აღმძვრელი.

ციტოპიგი (**cytopygis**; ბერძნ. **kytos** უჯრედი + **pyge** უკანტანი) – ხვრელი ზოგიერთი უმარტივესის პელიკულაში, საიდანაც გადაუმუშავებელი საკვების ნარჩენები გამოიყოფა.

ციტოპლაზმა (**cytoplasma**; ბერძნ. **kytos** უჯრედი + **plasma** ფორმირებული) – უჯრედის კომპონენტი, რომელშიც მიმდინარეობს ცილის სინთეზი, უჯრედული სუნთქვა, ცხიმოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლა, ასევე ხორციელდება უჯრედის კონკრეტული სახეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფუნქციები.

ციტოსტომა (**cytostom**; ბერძნ. **kytos** უჯრედი + **stoma** პირი) – ხვრელი მრავალი უმარტივესის პელიკულაში, რომლის მეშვეობით ხდება საკვების ჩაყლაპვა და საჭმლის მომნელებელი ვაკუოლის წარმოქმნა.

ციტოფარინქსი (**cytopharynx**; ბერძნ. **kytos** უჯრედი + **pharynx** ხახა) – ჩაღრმავება, რომელიც მიემართება ციტოსტომადან უჯრედის სიღრმეში.

ძ

ძეწკვურები (**Cyclophyllidea**; ბერძნ. **cyclos** წრე + **phyllon** ფურცელი) – ცესტოდების რაზმი, რომლის წარმომადგენლებს სკოლექსზე ოთხი მისაწოვარი აქვთ საფიქსაციო ორგა-

ნობის სახით, ხოლო პროგლოტიდებში – დახურული ტიპის საშვილოსნო. კვერცხი ექვსკაუჭიან ჩანასახს – ონკოსფერას შეიცავს. **ძ-ების** განვითარების ციკლში ორი მასპინძელი (შუალედური და დეფინიტიური) მონაწილეობს.

წ

წამწამები (ლათ. *cilium* წამწამი) – მოკლე წარმონაქმნი, რომელიც სათავეს იღებს *Ciliata*-ს კლასის უმარტივესების ბაზალური სხეულიდან, ხვრეტს მის პელიკულას და გარეთ გამოდის. ყოველ წამწამს ცხრა პერიფერიული და ორი ცენტრალური ფიბრილი აქვს.

წვია – სისხლმწოვი ბუზი; მიეკუთვნება *Muscidae*-ს ოჯახს, *Stomoxys*-ის (ბერძნ. *stoma* პირი + *oxys* ბასრი), *Haematobia*-ს (ბერძნ. *haima* სისხლი + *bios* სიცოცხლე) და *Lyperosia*-ს (ბერძნ. *lyperos* მწუხარე) გვარებს. სახეობები:

- *Stomoxys calcitrans* (ლათ. *calcitrare* წიხლის კვრა, ჩაწიხვლა) – შემოდგომის წვია, ბინადრობს სადგომებში და გარეთ, ცხოველების თავშეყრის ადგილებში;

- *Haematobia stimulans*, *H. atripalpis* (იხ. ჰემატობია);

- *H. irritans* (ლათ. *irritator* აღმძვრელი, გამაღიზიანებელი)

- ძროხის მცირე წვია. ცხოველს თავს ესხმის საძოვარზე;

- *Lyperosia titillans* (ლათ. *titillation* ლიტინი, ალგზნება) – ძროხის სამხრეთის წვია. ბინადრობს ცხელი კლიმატის მქონე ქვეყნებში. პარაბრონემას შუალედური მასპინძელი.

წვიმელები (*Haematopota*; ბერძნ. *haima* სისხლი) – ბუზანკალების გვარი; მიეკუთვნება *Tabaninae*-ს ქვეოჯახს, *Tabanidae*-ს ოჯახს. მათ რუხი ფერის ვიწრო სხეული აქვთ, რომლის სიგრძე 7-12 მმ-ია. ფრთებზე კარგად არის გამოხატული ბადისებრი სურათი. **წ-ები** განსაკუთრებით აქტიურდებიან წვიმის წინ, ცხელ, დახუთულ ამინდში. ისინი არიან ტულარემიის, ჯილეხის, ცხენისა და აქლემის ტრიპანოსომოზებისა და სხვა დაავადებათა აღმძვრელების გადამტანი.

წილი – ტილის კვერცხი.

ჭ

ჭიაყელები (Lumbricidae; ლათ. lumbricus წვიმის, მიწის ჭია) – ჭიების ოჯახი; მიეკუთვნება ოლიგოხეტების კლასს. ჭიაყელები არიან მეტასტრონგილუსების, კაპილარიების, თომინქსების და სხვა მრავალი ჰელმინთის შუალედური მასპინძელი.

ჭუპრი (puppa; ლათ. ჭუპრი) – Holometabola-ს ჯგუფის მწერების განვითარების ფაზა, რომელიც დგება ლარვის კანის ბოლო ცვლის შემდეგ. ჭუპრის სხეული იყოფა მკერდისა და მუცლის ნაწილებად. მასზე ზრდასრული მწერისათვის დამახასიათებელი დანამატებია (ანტენები, ხორთუმი, ფრთები). ჭუპარი იკვებება. იგი ცოცხლობს ლარვას მიერ დაგროვილი საკვები ნივთიერებების ხარჯზე. ჭუპრში ჯერ ლარვას ორგანოების ჰისტოლოგიური მიმდინარეობს, შემდეგ – იმაგო ფორმის ორგანოების ჰისტოგენეზი.

ჭუპრმდებლები (Puppipara; ლათ. pupa ჭუპრი + parere შობა) – მწერების ქვერაზმი; მიეკუთვნება **Diptera-ს** რაზმს. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ ძუძუმწოვრებისა და ფრინველების ექტოპარაზიტებს, რომლებიც **Hippoboscidae-ს** ოჯახს მიეკუთვნებიან. სასქესო გზებში კვერცხებიდან ლარვები იჩეკებიან. აქ, ერთ ხანს, ისინი ვითარდებიან და სასქესო ჯირკვლების გამონაყოფით იკვებებიან. გარემოში გამოსვლიდან 2-6 საათის შემდეგ ლარვები ჭუპრდებიან.

ხ

ხორცის რუხი ბუზები (Sarcophagidae) – ხს. სარკოფაგიდები.

ჰ

ჰაბრონემა (Habronema; ბერძნ. habros კოხტა, ლაზათიანი + **nema** ძაფი) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Spiruridae-ს**

ოჯახს. კენტჩლიქიანი ცხოველების პარაზიტი. **Habronema muscae** (ლათ. **musca** ბუზი) – სახეობა, რომლის შუალედური მასპინძელია ოთახის ბუზი (**Musca domestica**); **H.microstoma** (ბერძნ. **micro** მცირე + **stoma** პირი) – სახეობა, რომლის შუალედური მასპინძელია სისხლმწოვი ბუზი-წვია – **Stomoxys calcitrans** (ბერძნ. **stoma** პირი + **oxys** ბასრი, ლათ. **calcitrare** წიხლის კვრა). ორივე სახეობა ცხენის ჰაბრონემატოზის აღმძვრელია.

ჰაბრონემოზი (habronematosis; გვარის დასახელება habronema + ბერძნ. osis დაავადება) – კენტჩლიქიანთა ჰელმინთოზი. აღმძვრელები – Habronema muscae და H.microstoma პარაზიტობენ კუჭის კედელში. H.muscae-ს ლარვები აზიანებენ ცხენის კანის საფარველს და ფილტვებს. ეს სახეობა გავრცელებულია ყველგან. დაავადება ქრონიკული ფორმით მიმდინარეობს. სიმპტ.: ინტენსიური დაინვაზიების დროს – კატარული გასტროენტერიტი, პროგრესირებადი სიგამხდრე, სისუსტე, პერიოდული ჭვლეები. ჰების კანის ფორმის დროს კანზე ჩნდება ბურცობები, რომლებიც შემდეგ წყლულდება („ზაფხულის წყლული“).

ჰალტერესი (Halteres; ბერძნ. halter საწონი) – იხ. საბზუილე.

ჰაუსტელუმი (haustellum; ლათ. haurire ამოხაპვა, შესმა) – ზოგიერთი მწერისა და კიბოსებრის ხორთუმი სისხლის ან მცენარის წვენი შესაწოვად.

ჰელმინთი (ბერძნ. helmins, helminthos ჭია) – პარაზიტული ჭია.

ჰელმინთოზები (helminthoses; ბერძნ. helmins, helminthos ჭია + oses დაავადებები) – ადამიანის, ცხოველთა და მცენარეების დაავადებები, რომელთაც პარაზიტული ჭიები – ჰელმინთები იწვევენ.

ჰელმინთოლარვოსკოპია (ბერძნ. helmins, helminthos ჭია + ლათ. larva ლარვა + ბერძნ. skopia დაკვირვება) – ჰელმინთოზების დიაგნოსტიკისა და გარემო არეს, კვების პროდუქტებისა და საკვების სანიტარიული შეფასების მიზნით ფეკალურ მასაში,

სისხლში, კუნთოვან ქსოვილში, კონიუნქტივალური პარკის შიგთავსში, კანისა წყლულებიდან აღებულ ანაფხეკებში ან ცხოველის კანში, აგრეთვე გარემო არეში ჰელმინთების ლარვების გამოვლენა.

ჰელმინთოლოგია (ბერძნ. *helmins, helminthos* ჭია + *logos* სწავლება) – მეცნიერება პარაზიტული ჭიების (ჰელმინთები), მათ მიერ გამოწვეული დაავადებებისა (ჰელმინთოზები) და ამ დაავადებათა საწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ.

ჰელმინთოლოგოსკოპია (ბერძნ. *helmins, helminthos* ჭია + ლათ. *ovum* კვერცხი + ბერძნ. *skopia* დაკვირვება) – ჰელმინთოზების დიაგნოსტიკის მიზნით ფეკალურ მასაში, შარდში, პერიანალური ნაოჭებიდან აღებულ ანაფხეკში, სისხლში, კუჭის შიგთავსში ჰელმინთების კვერცხების გამოვლენა.

ჰელმინთოსკოპია (ბერძნ. *helmins, helminthos* ჭია + ბერძნ. *skopia* დაკვირვება) – ჰელმინთოზების დიაგნოსტიკის მიზნით ფეკალურ მასაში, ჰელმინთოლოგიური ან პათ.ანატომიური გაკვეთისას შინაგან ორგანოებში, მათ შიგთავსში ჰელმინთების ან მათი ფრაგმენტების გამოვლენა.

ჰემადიპსუსი (*Haemadipsus*) – ტილების გვარი. იხ. ტილები.

ჰემატობია (*Haematobia*; ბერძნ. *haima* სისხლი + *bios* სიცოცხლე) – სისხლმწოვი ბუზების გვარი; მიეკუთვნება *Muscidae*-ს ოჯახს, *Diptera*-ს რაზმს, *Insecta*-ს კლასს. ბუზიწვია, რომელიც ჯილეხის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზის, ღორის წითელი ქარისა და სხვა დაავადებათა აღმძვრელების გადამტანია, საძოვარზე თავს ესხმის ცხოველებს, უმთავრესად მსხვილფეხა მცოხნელ პირუტყვს. სახეობები – *Haematobia stimulans* (ლათ. *stimulare* დევნა, გარეკვა, ჭენება) – ძროხის წვია და *H.atripalsis* – ცხენის წვია.

ჰემატოპინიდები (*Haematopinidae*; ბერძნ. *haima* სისხლი + *pinein* სმა + *id* ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – ტილების (იხ.) ოჯახი. პარაზიტობს ძუძუმწოვრების სხეულზე.

ჰემატოპინუსი (*Haematopinus*) – ტილების (იხ.) გვარი.

ჰემატოპოტი (Haematopota) – ბუზანკალების (იხ.) გვარი.

ჰემატოფაგა (ბერძნ. **haima** სისხლი + **phagos** შთანთქმა) – პარაზიტები, რომლებიც სისხლით იკვებებიან. **ჰებს** მიეკუთვნება ჰელმინთებისა (ანკილოსტომა, უნცინარია, ჰემონქუსი და სხვ.) და ფეხსასხრიანების (ბუზი, კოლო, ქინქლა, ოფა, ბუზანკალი) მრავალი სახეობა.

ჰემაფიზალის (Haemaphysalis); ბერძნ. **haima** სისხლი + **physalis** ბუშტი) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება **Ixodidae**-ს ოჯახს, **Parasitiformes**-ის რაზმს, **Arachnoidea**-ს კლასს. უპირატესად გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. განვითარება – სამმასპინძლიანი ტიპის მიხედვით. **Haemaphysalis punctata** (ლათ. **punctatus** პუნქტირებული) და **H.japonica** (ლათ. იაპონური) – **Theileria sergenti**-ს გადამტანები; **H.otophila** (ბერძნ. **otos** ყური + **philos** მოყვარული, მეგობარი) – **Anaplasma ovis**-ისა და **Piroplasma ovis**-ის გადამტანი. გარდა აღნიშნულისა, ცნობილია **ჰ-ის** გვარის კიდევ 10 სახეობა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში რიგი ინფექციური და ინვაზიური დაავადებების აღმძვრელების გადამტანები არიან.

ჰემიმეტაბოლა (Hemimetabola); ბერძნ. **hemi** რთული სიტყვების ნაერთი, რომელიც ნიშნავს ნახევარს, ცალმხრივს + **metabole** გარდაქმნა) – მწერები, რომლებიც არასრული გარდაქმნით (კვერცხი, ლარვა, იმაგო) ვითარდებიან – ბუმბლიჭამია, ბალანჭამია, ტილი, ბალღინჯო, ტარაკანი.

ჰემიპტერა (Hemiptera); ბერძნ. **hemi** ნახევრული, სანახევრო + **pteron** ფრთა) – ბალღინჯოების (ნახევრადღემეფერთიანები) რაზმი. სავეტერინარო და სამედიცინო მნიშვნელობა აქვთ ბალღინჯოებს, რომლებიც მიეკუთვნებიან **Cimicidae**-ს ოჯახს. **Cimex lectularius** (ლათ. **cimex** ბალღინჯო და **lectus** ლოგინი, საწოლი) – ლოგინის ბალღინჯო; **C.columbarius** (ლათ. **columba** მტრედი) – პარაზიტობს მტრედის და სხვა ფრინველების სხეულზე.

ჰემონქოზი (haemonchosis); აღმძვრელის გვარის დასახელება **Haemonchus** + ბერძნ. **osis** დაავადება) – მცოხნელი ცხოველე-

ბის ჰელმინთოზი. აღმძვრელები, ნემატოდები – **Haemonchus spp.** პარაზიტობენ მაჭიკში. ავადდება ცხვარი, თხა, ძროხეული, აქლემი, ჩრდილოეთის ირემი, გარეული მცოხნელები. გავრცელებულია ყველგან, მაგრამ კლინიკურად ვლინდება ცხვრებსა და თხებში სამხრეთის ქვეყნებში. სიმპტ.: დაბეჩავება, მატყლის სიმშრალე და აბურძგვნა, ლორწოვანი გარსების ანემია, მადის დაქვეითება, ფალარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, ზოგჯერ სხეულის ტემპერატურის მატება; ცუდი კვებისას – ძლიერი სისუსტე, შეშუპება ყბისქვეშა არეში.

ჰემონქუსი (haemonchus; ბერძნ. haima სისხლი + **onkos** შევსებული) ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Trichostrongylidae**-ს ოჯახს, **Strongylata**-ს ქვერაზმს. მცოხნელი ცხოველების პარაზიტი. ლოკალიზობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტში.

ჰემოსპორიდიები (Haemosporidia; ბერძნ. haima სისხლი + **spora** თესლი + **eidosis** მსგავსი, გარეგნობა). იხ. პიროპლაზმიები.

ჰემოსპორიდიოზები – სას.-სამ. ცხოველთა დაავადებები. აღმძვრელები – **Piroplasmida**-ს რაზმის უმარტივესები მიეკუთვნებიან **Sporozoa**-ს კლასს, **Apicomplexa**-ს ტიპს. იხ. პიროპლაზმიდოზები.

ჰერმაფროდიტი (hermaphroditus) – მრავალუჯრედიანი ორგანიზმი, რომელსაც ერთდროულად მდედრობითი და მამრობითი სასქესო ორგანოები გაჩნია. ყველა ტრემატოდა (შისტოსომატების გამოკლებით) და ცესტოდა ჰერმაფროდიტია.

ჰეტერაკიდოზი (heterakidosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Heterakis + ბერძნ. osis დაავადება) – ქათმისებრი ფრინველების ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Heterakis gallinarium** პარაზიტობს ბრმა ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. სიმპტ.: მადის დაკარგვა, ფალარათი, სიგამხდრე, სისუსტე, კვერცხმდებლობის შემცირება, მოზარდეულის ზრდაგანვითარების შეფერხება.

ჰეტერაკისი (Heterakis; ბერძნ. heteros სხვა, სხვაგვარი + **akis** წვეტი, სპიკულა) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Oxyurata**-ს ქვერაზმს. **Heterakis gallinarium** (ლათ. **gallina**

ქათამი) – სახეობა, პარაზიტობს ქათამისებრი ფრინველების ნაწლავების ბრმა წამონაზარდებში. გეოჰელმინთი.

ჰეტეროფიესი (Heterophyes; ბერძნ. heteros სხვა, სხვაგვარი + phie ფორმა, მოხაზულობა) – ტრემატოდას გვარი. Heterophyes heterophyes (ბერძნ. heteros სხვა + phie ფორმა, მოხაზულობა) – სახეობა, პარაზიტობს ძაღლის, კატის, მელიის, ადამიანის წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – მტკნარი წყლის მოლუსკები, დამატ. მასპინძ. – მტკნარი წყლის თევზები (კეფალი, გამბუზია და სხვ.).

ჰეტეროფიოზი (heterophyosis; აღმძვრელის გვარის დასახელება Heterophyes + ბერძნ. osis დაავადება) – ხორცისმჭამელებისა და ადამიანის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ტრემატოდა – Heterophyes heterophyes პარაზიტობს წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში. სიმპტ.: მადის დაქვეითება, ფაღარათი, ზოგჯერ სისხლისა და ლორწოს შემცველობით, იცვლება ყაბზობით.

ჰექსაპოდა (Hexapoda; ბერძნ. hex ექვსი + pus, podos ფეხი) – მწერების მოძველებული დასახელება.

ჰიალომა (Hyalomma; ბერძნ. hyalos მინა + omma თვალი) – ტკიპების გვარი; მიეკუთვნება Ixodidae-ს ოჯახს, Parasitiformes-ის რაზმს, Arachnoidea-ს კლასს. სახეობები:

- **Hyalomma anatolicum** (ანატოლიური) – სამმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. ძირითადად პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის სხეულზე, თუმცა გვხვდება სხვა სახეობის ცხოველებზეც. ბინადრობს საძოვრებზე და პირუტყვის სადგომებში. არის **Theileria annulata**-ს და **Th.mutans**-ის გადამტანი;

- **H.detritum** (ლათ. **deterere** წაშლა, განადგურება, გახრწნა) – ორმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. პარაზიტობს მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვის, ცხენის და სხვა ცხოველების სხეულზე;

- **H.plumbeum** (ლათ. **plumbeum** ტყვია) – ორმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია უკრაინაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ

კავკასიაში, შუა აზიაში. მისი ლარვები და ნიმფები იკვებებიან ფრინველის სისხლით, იმაგო (ზრდასრული) ფორმები პატრაზიტობენ მსხვილფეხა მცოხნელი პირუტყვისა და ცხენის სხეულზე. ბინადრობს გადაუხნავ საძოვრებზე. არის **Piroplasma caballi**-ს, **Nuttallia equi**-ს და **Anaplasma ovis**-ის გადამტანი;

- **H.scupense** – ერთმასპინძლიანი ტკიპი. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში. წლის ცივ პერიოდში (ოქტომბრიდან მაისამდე) პარაზიტობს ძირითადად ძროხეულის, იშვიათად ცხენის, ცხვისა და სხვა ცხოველების სხეულზე. არის **Theileria annulata**-ს და **Nuttallia equi**-ს გადამტანი.

ჰიდატიდოზი (hydatidosis) – იხ. ექინოკოკოზი.

ჰიმენოლეპიდიოზი (Hymenolepididosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Hymenolepis** + ბერძნ. **id** ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს + **osis** დაავადება) – წყალმცურავი ფრინველების ჰელმინთოზი, რომლის აღმძვრელი ცესტოდები პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. გავრცელებულია ყველგან. უპირატესად ავადობს მოზარდეული. სიმპტ.: ფაღარათი, რომელიც ყაბზობით იცვლება, სიგამხდრე, ზრდა-განვითარებაში ჩამორჩენა, გაძნელებული მოძრაობა, ბუმბული აბურძგნული, კლოაკის მიდამო სკორეთი დასერილი. ზოგჯერ ავადყოფი ფრინველი წონასწორობას კარგავს, ვითარდება კიდურების დამბლა, ვლინდება კრუნჩხვები.

ჰიმენოლეპისი (Hymenolepis; ბერძნ. **hymen** აპკი + **lepis** ქერცლი) – ცესტოდების გვარი; მიეკუთვნება **Hymenolepididae**-ს ოჯახს. წყალმცურავი ფრინველების პარაზიტები. **Hymenolepis gracialis** (ლათ. ახოვანი) და **H.setigera** (ლათ. **seta** ჯაგარი + **gerere** ტარება) – სახეობები, რომლებიც იხვისა და ბატის ჰიმენოლეპიდიოზის აღმძვრელებია; პარაზიტობენ წვრილ ნაწლავებში. ბიოჰელმინთები. შუალედ. მასპინძ. – კიბოსებრები.

ჰიოსტრონგილოზი (hyostrongylosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Hyostrongylus** + **osis** დაავადება) – ღორის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Hyostrongylus rubidus** პარაზიტობს კუჭში. გავრცელებულია ყველგან. ავადდება ყველა ასაკის

ლორი, მაგრამ უპირატესად, ერთ წელზე მეტი ასაკის. სიმპტ.: სისუსტე, მადის დაკარგვა, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა, წოლისაკენ მისწრაფება, წყურვილი, მუქი შეფერილობის ფეკალი, ზოგჯერ – ფაღარათი.

ჰიოსტრონგილუსი (Hyostrongylus; ბერძნ. hyos ბავში + strongylus ცილინდრული) – ნემატოდების გვარი; მიეკუთვნება **Trichostrongylidae**-ს ოჯახს. **Hyostrongylus rubidus** (ლათ. წითელი) – სახეობა, პარაზიტობს ღორის კუჭში. გეოჰელმინთი.

ჰიპობოსკა (Hippobosca; ბერძნ. hippos ცხენი + boskien კეება) – სისხლმწოვი მწერების გვარი; მიეკუთვნება **Hippoboscidae**-ს ოჯახს, **Puppipara**-ს (ჭუპრმდებელი) ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს. **Hippobosca equina** (ლათ. equinus ცხენის), **H.canis** (ლათ. canis ძაღლი) და **H.camelina** (ლათ. camelus აქლემი) – სახეობები, რომლებიც პარაზიტობენ, შესაბამისად, ცხენის, ძაღლის და აქლემის სხეულზე. სიმპტ.: კანის ქავილი, ცხოველის სიგამხდრე და ზრდა-გავითარებაში ჩამორჩენა.

ჰიპოდერმა (hypoderma; ბერძნ. hypo ქვემ + derma კანი) – 1. ერთშირანი ეპითელიუმი, რომელიც ნემატოდების კუტიკულის ქვეშ მდებარეობს. მას ჯირკვლოვან-ექსკრეტორული და კუტიკულის წარმოქმნის ფუნქციები აქვს; 2. კანქვეშა ბორების გვარი. იხ. ჰიპოდერმები.

ჰიპოდერმატიდები (Hypodermatidae; ბერძნ. hypo ქვემ + derma კანი + id ბოლოსართი, ნიშნავს შთამომავალს) – კანქვეშა ბორების ოჯახი; მიეკუთვნება **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. სავეტერინარო მნიშვნელობა აქვთ გვარებს - **Hypoderma** (იხ. ჰიპოდერმები), **Oedemagena** და **Crivellia**. სახეობები:

- **Oedemagena tarandi** (ბერძნ. oedema სიმსივნე + genus გვარი, წარმოშობა + tarandus ირემი) – ედემაგენოზის აღმძვრელი ლარვული ფორმები, რომლებიც ჩრდილოეთის ირემების ორგანიზმში პარაზიტობენ;

- **Crivellia silenus** (ლათ. sileo სიჩუმე) – კრიველიოზის აღმძვრელი ლარვული ფორმები, რომლებიც შინაური თხის, ნიამორის

(გარეული თხა), იშვიათად ცხვრისა და მუფლონის ორგანიზმში პარაზიტობენ. გავრცელებულია სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში.

ჰიპოდერმატოზი (Hypodermatosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Hypoderma + osis** დააყვადება) – მსხვილფეხა მცოხნელი პიროუტყვის ქრონიკული დაავადება. აღმძვრელები – **Hypoderma bovis**-ისა და **H.lineatum**-ის ლარვები პარაზიტობენ კუნთებშია შემაერთებელ ქსოვილში, ზურგის ტვინის არხში (**H.bovis**), საყლაპავი მილის ღრმა ფენებსა (**H.lineatum**) და ზურგის მიდამოს კანქვეშა უჯრედისში. **ჰ.** ვლინდება ლარვების ჩაბუდების ადგილებში ანთებითი მოვლენებით, ორგანიზმის ზოგადი ინტოკსიკაციით, მეხორცული და მერძეული პროდუქტიულობის შემცირებით. ხშირად ავადობს მოზარდეული. სიმპტ.: ზაფხულში, კვერცხებიდან გამოჩეკილი ლარვების კანში შეჭრისას – ქავილი, კანქვეშა უჯრედისის შემუშუპება, დაზიანებული უბნების მტიკენეულობა. ადრე გაზაფხულზე ზურგის მიდამოში ჯერ მკვრივი ბორცვაკები წარმოიქმნება, შემდეგ მათ წვერზე ფისტულა ჩნდება, საიდანაც სეროზული სითხე გადმოედინება, რომელიც ბალანს აწეებს.

ჰიპოდერმები (Hypoderma; ბერძნ. **hypo** ქვეშ + **derma** კანი) – კანქვეშა ბორების გვარი; მიეკუთვნება **Brachycera**-ს ქვერაზმს, **Diptera**-ს რაზმს, **Insecta**-ს კლასს. ლარვული ფორმები პარაზიტობენ ძროხის, იშვიათად ცხენის, ზებუს, ცხვრის, თხის კუნთებშია შემაერთებელ ქსოვილში, კანქვეშ და ჰიპოდერმატოზს იწვევენ. **Hypoderma bovis** (ლათ. **bos** კურო) – ჩვეულებრივი კანქვეშა ბორა. გავრცელებულია კერობრივად; **H.lineatum** – (ლათ. **linea** ხაზი) – სამხრეთის კანქვეშა ბორა. გავრცელებულია სამხრეთის ქვეყნებში.

ჰიპოპიგიუმი (hypopygium; ბერძნ. **hypo** ქვეშ + **pyge** გავა) – ზოგიერთი მწერის (კოლო) მამრობითი გარეთა სასქესო აპარატი, რომელიც წარმოადგენს მუცლის ბოლო სეგმენტების სახეცვლილებას. **ჰ.** შედგება მარწუხების წყვილისაგან, რომლებიც წარმოქმნილია ძირითადი ფართო და დისტალური

კაუჭისებრი სეგმენტებისაგან.

ჰიპოსტომა (hypostoma; ბერძნ. **hypo** ქვეშ + **stoma** პირი) – ტკიპების განათოსომას (სალეჭი ფრთები) ფუძის წამონაზარდი. **ჰ.** მდებარეობს პირის აპარატის ვენტრალურ მხარეს. **Trombidiformes** ოჯახის ტკიპების **ჰ-ს** მისაწოვებელი მილის სახე აქვს.

ჰიპოფარინქსი (hypopharynx; ბერძნ. **hypo** ქვეშ + **pharynx** ხახა) – მწერის პირის ღრუს კედლის წამონაზარდი.

ჰისტეროსომა (hysteresoma; ბერძნ. **hysteros** უკან + **soma** სხეული) – **Acariformes**-ის რაზმის ტკიპების სხეულის ნაწილი, რომელიც მოიცავს მესამე და მეოთხე წყვილი კიდურების სეგმენტებს (მეტაპოდოსომა) და უკიდურებო მუცელს (ოპისტოსომა).

ჰისტომონადა (Histomonas; ბერძნ. **histos** ქსოვილი + **monas** ინდივიდი, განუყოფადი, ერთეული) – უმარტივესი; მიეკუთვნება **Mastigophora**-ს კლასს. მას გააჩნია განვითარების შოლტიანი და ამებისებრი ფაზები. **ჰ-ს** შოლტიანი ფაზა მრგვალია, ზომით – 12x21 მიკრონი. მას ერთი-ოთხი შოლტი აქვს და ბიძგებით წრიულად მოძრაობს; **ჰ-ს** ამებისებრი ფაზა (ზომით – 8-30 მიკრონი) ორად გაყოფით მრავლდება.

ჰისტომონოზი (histomonosis; ბერძნ. **histos** ქსოვილი + **monas** ინდივიდი, ერთეული + **osis** დაავადება) – ინდაურის ჭუკების, იშვიათად წიწილების ინვაზიური დაავადება, რომლის აღმძვრელია უმარტივესი – **Histomonas meleagridis**. **ჰ.** გავრცელებულია ყველგან, ვლინდება მწვავე და ქრონიკული ფორმებით. ფრინველი მოღუნებულია, კარგავს ჭამის მადას. ვითარდება ფალარათი. ხშირად, თავის მიდამოში კანი მუქ ფერს იძენს, რის გამო დაავადებას „შავ თავს“ უწოდებენ. ხასიათდება ლეტალობის მაღალი მაჩვენებლით. ზრდასრული ფრინველი კვერცხმდებლობას ამცირებს.

ჰისტრიქოზი (hystrichosis; აღმძვრელის გვარის დასახელება **Hystrichis** + ბერძნ. **osis** დაავადება) – იხვის ჰელმინთოზი. აღმძვრელი, ნემატოდა – **Hystrichis tricolor** პარაზი-

ტობს ჯირკვლოვან კუჭში. **ჰ.** გავრცელებულია კერობრივად. განსაკუთრებით მძიმედ ავადობს მოზარდული. უფროსი ასაკის ფრინველები პარაზიტმატარებლები არიან. სიმპტ.: მადის უქონლობა, დაბეჩავება, ხილული ლორწოვანი გარსების ანემიურობა. ბუმბული ჭუჭყიანი და აბურძგნულია. ვითარდება ფაღარათი, დარღვეულია მოძრაობის კოორდინაცია. ფრინველი ჩამორჩება ზრდა-განვითარებაში, გამხდარია, უეცრად კვდება.

ჰისტრიქსი (Hystrichis; ბერძნ. ეკლებიანი მათრახი) – ნემატოდას გვარი; მიეკუთვნება **Dioctophymata**-ს ქვერაზმს. **ჰ-ის** სხეულის წინა ნაწილზე განთავსებულია ბასრი ეკლები. **Hystrichis tricolor** (ლათ. tres სამი + color ფერი) – სახეობა, პარაზიტობს იხვის ჯირკვლოვან კუჭში. ბიოჰელმინთი. შუალედ. მასპინძ. – ჭიაყელა.

ჰოლომეტაბოლა (Holometabola; ბერძნ. holos სრული + **metabole** გარდაქმნა, ცვლილება) – სრულად გარდაქმნადი (კვერცხი, ლარვა, ჭუპრი, იმაგო) მწერები – ბორა, ბუზი, კოლო, ქინქლა, ოფა, მოსკიტი, რწყილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Чеботарев Р.С., Ратнер Ю.Б. Краткий Паразитологический словарь. Минск. Государственное издательство сельскохозяйственной литературы БССР. 1962. 319 стр.

2. Ветеринарная энциклопедия. Издательство „Советская энциклопедия“. Москва. 1968, т. 1; 1969, т. 2; 1972, т. 3; 1973, т. 4; 1975, т. 5; 1976, т. 6.

3. Ветеринарный энциклопедический словарь. Издательство „Советская энциклопедия“. Москва. 1981. 635 стр.

4. Степанов А.В., Павлова Н.В. Словарь ветеринарных паразитологических терминов. Москва. Россельхозиздат. 1987. 142 стр.

5. P.J. Goling. Dictionary of Parasitology. 2005 by Taylor and Francis Group, LLG. 383 pages.

6. D. Jacobs, M. Fox, L. Gibbons, C.Hermosilla. Principles of Veterinary Parasitology. 2015, Wiley-Blackwell. 312 pages.

შემოკლებები:

- აკად. - აკადემიკოსი
- ბერძნ. - ბერძნული
- გერმ. - გერმანული
- დამატ. - დამატებითი
- დეფინ. - დეფინიციური
- ზოოლ. - ზოოლოგია
- თურქ. - თურქული
- იტალ. - იტალიური
- იხ. - იხილეთ
- კლ. ნ-ები - კლინიკური ნიშნები
- ლათ. - ლათინური
- მაგ. - მაგალითად
- მასპინძ. - მასპინძელი
- მკმ - მიკრომეტრი, მიკრონი
- მმ - მილიმეტრი
- რეზერვ. - რეზერვუარული
- სას.-სამ. - სასოფლო-სამეურნეო
- სიმპტ. - სიმპტომები
- სინ. - სინონიმი
- სიტყვასიტ. - სიტყვასიტყვით
- სმ - სანტიმეტრი
- ფრანგ. - ფრანგული
- ყაზახ. - ყაზახური
- შუალედ. - შუალედური

სარჩევნი

ა.....	3
ბ.....	20
გ.....	31
დ.....	36
ე.....	49
ვ.....	58
ზ.....	60
თ.....	61
ი.....	64
კ.....	68
ლ.....	75
მ.....	79
ნ.....	90
ო.....	96
პ.....	100
რ.....	116
ს.....	119
ტ.....	136
უ.....	152
ფ.....	153

ქ.....	161
ღ.....	164
ყ.....	165
შ.....	165
ც.....	167
ძ.....	172
წ.....	173
ჭ.....	174
ხ.....	174
ჰ.....	174
გამოყენებული ლიტერატურა:.....	185
შემოკლებები:.....	186

ISBN 978-9941-8-0970-5



9 789941 809705